საქართველო ... ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ...

# თბ...ილ...ელ...

№38 ... 22 სექ... ფასი 1,50 ლარი

www.tbilisselebi.ge



გვ. 14

**რა სიურპრიზი მოუწყო ქეთა თოფურიას მეუღლემ ქორწილში და რომელი მსოფლიო დონის ვარსკვლავი აამღერა მისთვის**

**როგორ პოზირებდა მილა იოვოვიჩი „ატელიე კიკალას“ ტყავის მოსასხამით და რის კეთებას სთხოვდა მას ობიექტივის წინ მამუკა კიკალიშვილი**

გვ. 79

ISSN 1987-569X

9 771987 569002



გვ. 18

**როგორ „გაზარდა“ მეუღლემ თაკო ჩხეიძე და რაში არიან ისინი ერთმანეთს აყოლილები**



გვ. 70

**ვის უნდოდა გია სურამელაშვილის გაპრეზიდენტება და რატომ არ შეუშლის მას ცეკვაში ხელს ქეიფი და დროსტარება**



გვ. 75

**რატომ წამოდგა ფეხზე ვლადიმირ პუტინი საქართველოს ჰიმნზე და როგორ გახდა ვარლამ ლიპარტელიანი ევროპის ჩემპიონი**



გვ. 71

**რატომ არ უშვებდნენ სარფის საბაჟოზე სტუდია „გვირილას“ ბავშვებს, რომლებმაც ბულგარეთში გრანპრი აიღეს**

# გილოცავთ ღვთისმშობლობას!

# ამერიკული რესტორნების ქსელი „ვენდი“ უკვე საქართველოშია!

*12 სექტემბერს რუსთაველის გამზირზე მულტინაციონალური კომპანია „ვენდის“ პრეზენტაცია გაიმართა. „ვენდი“ ამერიკული რესტორნების ქსელია, რომელიც პოპულარულია მთელ მსოფლიოში და ამჯერად „ვისოლ ჯგუფთან“ ერთად შემოვიდა ქართულ ბაზარზე. ამერიკული რესტორნის – „ვენდის“ გახსნის ცერემონიას „ვენდის“ საერთაშორისო პრეზიდენტი* **დარელ ვან ლიკტენი** *და ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი დაესწრნენ. სიმბოლური ლენტი საზეიმოდ გაჭრა ოპერის ცნობილმა მომღერალმა და საქველმოქმედო ფონდ „ივანნას“ დამფუძნებელმა, პაატა ბურჭულაძემ. „ვისოლ ჯგუფმა“ მულტინაციონალური კომპანია „ვენდისგან“ საქართველოსა და აზერბაიჯანში რესტორნების ქსელის განვითარების ექსკლუზიური უფლება 2012 წელს მოიპოვა და მომავალი 5 წლის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით „ვენდის“ 15 რესტორნის გახსნას გეგმავს.*




*პრეზენტაციამ მეტად მხიარულად და შთამბეჭდავად ჩაიარა პოპულარული მუსიკებისა და ალაფურშეტის ფონზე. გაიჭრა ულამაზესი ტორტი „ვენდის“ ლოგოთი. მოწვეულმა სტუმრებმა ერთხმად მოიწონეს რესტორნის თანამედროვე ინტერიერი და უგემრიელესი საფირმო კერძები, რაც კომპანიის სამომავლო წარმატებებსა და პოპულარობაზე მიუთითებს.*

*რუსთაველის გამზირზე, 1 000 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე, განთავსებული ორსართულიანი ამერიკული რესტორანი ყველაზე დიდია „ვენდის“ ქსელში მსოფლიო მასშტაბით, რადგან თბილისში არსებული რესტორანი ბავშვთა გასართობ, სადღესასწაულო ცენტრს, სათამაშო ზონასა და კაფესაც მოიცავს. რაც შეეხება საფირმო კერძებს, აქ დიდი არჩევანია: საქონლისა და ქათმის ხორცის ბურგერები, „ჩილის“ ბოსტნეულის სალათები, გამომცხვარი კარტოფილი... გარდა ამისა, ამერიკული რესტორანი ყველაზე მომთხოვნ მომხმარებელსაც კი მოხიბლავს პრემიუმ-კლასის 15 სახის იტალიური „ტრუჩილოს“ ყავითა და დესერტებით.*



**დარელ ვან ლიკტენი** *(„ვენდის“ საერთაშორისო პრეზიდენტი):* მოხარულები ვართ, რომ „ვენდის“ რესტორნების ქსელის განვითარებას საქართველოში ისეთ მსხვილ ბიზნესპარტნიორთან ვახდენთ, როგორიც „ვისოლ ჯგუფია“. საქართველოს დინამიკურად მზარდ ბაზარზე შემოსვლა „ვენდის“ აღმოსავლეთ ევროპაში განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია და მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ გვჯერა საქართველოს უკეთესი მომავლის.

**სოსო ფხაკაძე** *(„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი):* ჩვენთვის საამაყოა, რომ ამერიკული რესტორნების ქსელის – „ვენდის“ განვითარება ექსკლუზიურად „ვისოლ ჯგუფს“ ერგო წილად როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში. „ვენდისთვის“, ისევე, როგორც „ვისოლ ჯგუფისთვის“, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის წარმოების ქვაკუთხედია. „ვენდის“ დამაარსებლის, დეივიდ ტომასისთვის, საზოგადოებაზე ზრუნვა ძირითადი ღირებულება იყო. „ვისოლ ჯგუფმა“ ეს ტრადიცია უკვე დიდი ხანია, დანერგა და მომავალშიც გავაგრძელებთ. შესაბამისად, სიმბოლურია, რომ „ვენდის“ პირველი რესტორანი სწორედ საქველმოქმედო ფონდ „ივანნას“ დამაარსებელმა პაატა ბურჭულაძემ გახსნა. „ვისოლ ჯგუფმა“ შეთანხმებას მიაღწია საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაცია OPIC-თან და მათი მხარდაჭერით ჩვენ „ვენდის“ ფართო ქსელის შექმნას შევძლებთ. მისასალმებელია, რომ „ვენდი“ – მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ბრენდი – უკვე საქართველოშია!

**სოფი ლორია**


## საფინანსო კომპანია „საქართველო“

გთავაზობთ: ავტოლომბარდს ყველაზე დაბალი პროცენტით, ადგილზე გადაფორმებითა და დაზღვევით 5 წუთში; ასევე, ერთდღიან საექსკურსიო ტურებს კომფორტული ავტობუსებით, საქართველოს ტერიტორიაზე ახლადაღმოჩენილი, ეგვიპტის პირამიდების დროინდელი ყორღანების დასათვალიერებლად, ორჯერადი კვებით. ტურის ღირებულება ჯდება 60 ლარი. ჩვენს კომპანიას გააჩნია 12 კომფორტული ავტობუსი. შეგვიძლია, მოგემსახუროთ საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, იაფად და ხარისხიანად.

გარდა ამისა, საფინანსო კომპანია „საქართველო“ უკვე მე-6 წელია, თქვენი საიმედო პარტნიორია, რომელიც მოსახლეობისგან იღებს სესხებს წლიური 30-პროცენტიანი სარგებლით.



მისამართი:
აღმაშენებლის
გამზირი №151
ტელ: * 18 18

# ს ა რ ჩ ე ვ ი


როგორ ავიწროებს რუსეთი რკალს საქართველოს გარშემო და რა შემთხვევაში მოხვდება ავტომატურად რუსეთის გავლენის სფეროში .............. 6



როგორ ხდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის ერთპიროვნული და უძლეველი მმართველი პრემიერ-მინისტრი სუსტი პრეზიდენტის, სუსტი მთავრობისა და სუსტი პარლამენტის ფონზე ..................... 8

რატომ არის გამოტოვებული ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ბიოგრაფიაში ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროებში მუშაობის ფაქტები ............................................... 9



რატომ ვერ აალაპარაკა ქართულმა სახელმწიფომ სახელმწიფო ენაზე თავისი მოსახლეობის მესამედი და ვისი სუსტი წერტილია მოთხრობითი ბრუნვა........................10

რის გამო გაარტყა ხელი მცირეწლოვან ბავშვს რუმინეთის



პრეზიდენტმა და როდის ჩააბარა მან საგზაო პოლიციაში ტესტი ორგანიზმში ალკოჰოლის შემცველობის დასადგენად ............................................ 12

რა გზით მოიპოვა პირველი მილიონი დაღესტნელმა სულეიმან ქერიმოვმა და რამდენი ოფიციალური საყვარელი ჰყავდა მას ............................................. 13

ადვოკატი გირჩევთ.............................. 16

რა პრობლემები ექმნება მამაკაცს, რომელიც ცოლში მეტოქესა და დაპირისპირებულ ქალს ხედავს ....... 20

როგორ ეხმარება ცოლი ქმარს შვილის მოძებნაში და ვის ეძებს 40 წლის ქალბატონი მანავიდან მურმანსკის მხარეში ........................... 21

საიდან წარმოიშვა და რას ნიშნავს სიტყვა „ყარაჩოხელი" და რა ტრადიციები ჰქონდათ მათ ................ 23



რატომ შეიძლება გახდეს ერთი ადამიანის ცოდვა მეორე ადამიანის სასჯელი და როდის მოსდის ქრისტიანს ყველაზე ხშირად ცოდვილი აზრები .................. 24

მოძღვარი გვირჩევს................ 25





რომელ ფეხბურთელში გადაიხადა მადრიდის „რეალმა" 100 მილიონი ევრო და ვინ შეიძინა ლონდონის „არსენალმა" თავისთვის სარეკორდო თანხად ........................................................ 26

ექიმის რჩევები ................................ 29

ვის გამო დატოვა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა გოგი ხოშტარიამ და საიდან მოტანილ სისხლიან ფეხსაცმელებს ინახავდა ის სახლში.................................................. 30

ჰოლივუდის რომელ ვარსკვლავთან ჰქონდა რომანი ედვარდ ნორტონს და ვის დაუთმო მან მთავარი როლი სტივენ სპილბერგის ფილმში „რიგითი რაიანის გადასარჩენად" ........................................ 34

ვის შეატანინა ტროცკიმ შხამი ლენინის მოსაწამლავად და როგორ დააჭერინა სტალინმა მკვლელები ძერჟინსკის .............................................. 35



შეკითხვა ასტროლოგს............36

როგორ მოვეხიბლოთ და დავიყოლიოთ ამა თუ იმ სტიქიის ქვეშ დაბადებული ადამიანები............36

კოსმეტოლოგის რჩევები...................47

ვინ და რატომ დახოცა 17 წლის განმავლობაში 45 ადამიანი ................ 48



რომელ დღეებშია სასურველი ყურძნის მოსავლის აღება-დაბინავება და რატომ არ შეიძლება ახალ მთვარეზე კომპოტებისა და მურაბების მომზადება .............. 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ............ 51

ვეტერინარის რჩევები .................. 56

ფლორის სამყაროში ............................ 56

ქმარმა ცოლის ქალიშვილობის აღიარებას 6 თვე ციხეში ჯდომა არჩია ..................................................... 57

ქურდული ცხოვრება .......................... 58

სერიული მანიაკები ............................. 66

რა ნათესაური კავშირი ჰქონდა თეთრბატკნიანთა მბრძანებლის უსაყვარლეს მეუღლე თეოდორა კომნენს ქართველებთან ..................... 72

როგორ „ააწყო" ჩინელმა ბიჭმა ვაგზლის ბაზრობაზე ბიზნესი ........... 78

მოქეიფე რაჟიკუნა და „გრუზავიკს" გამოკიდებული გიჟურა მხეიძე ......... 78



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47





**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „უგრძნობი“

## ოსტაპ ბენდერის მოტივებზე

ჯერჯერობით **არც ხელისუფლებას გამოუძიებია,** ჰქონდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტს უფლება, **უპრაგონოდ ეხარჯა ბიუჯეტის ფული** (მხედველობაში მაქვს ის დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც, ბ-ნმა სააკაშვილმა შვილის სწავლის ფულიც ბიუჯეტს გადაახდევინა და თანაგუნდელი ქალბატონებისთვის ნაჩუქარი ნაირ-ნაირი სამკაულისაც) და, მეორე მხრივ, **არც პრეზიდენტს** (არც მის თანაგუნდელებს) **უგრძნია უხერხულობა ამგვარი ფაქტების გამო** (არც ახლა გრძნობს).

ჰოდა, ვიდრე **ისინი კოაბიტირებენ** (ამ ჩვენი ბიუჯეტის ხარჯზე), **ვერტმფრენების საქმეც გასკდა.** კერძოდ, **ამ ჩვენს პირველ პირს ამ ჩვენი პარტნიორი საფრანგეთისგან ფრიად ძვირად ღირებული ვერტმფრენები შეუძენია,** ხელისუფლებას კი **ამ სამი ევროკოპტერის გაყიდვა გადაუწყვეტია, რომ ბიუჯეტს შეეწიოს.** თუმცა, თავის მხრივ, **მყიდველი** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი ფრენის მოყვარული პრეზიდენტი) **აცხადებს, რომ ეს ძვირად ღირებული ვერტმფრენები საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად შეიძინა.**

მეტიც, იქვე დასძენს, რომ **ამ საფრენ აპარატებს თავის დროზე სამოქალაქო დანიშნულება ოკუპანტთათვის თვალის ასახვევად განესაზღვრათ** (მომყავს ამონარიდი პრეზიდენტის საჯარო განმარტებიდან: „როდესაც ჩვენ ამ ვერტმფრენებს ვყიდულობდით, **მედვედევი და ლავროვი დაემუქრნენ საფრანგეთს სანქციებით, რომ თუ საქართველოს მისცემდნენ ისინი ამ ვერტმფრენებს, ისინი ევროკოპტერს აღარ შეუშვებდნენ რუსეთში.**“). რაც მთავარია, **ამ საქმეში საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი სარკოზიც პირადად ყოფილა ჩართული** (აბა, ისეთი წვრილფეხობა, როგორიც საფრანგეთის იმჟამინდელი ტრანსპორტის მინისტრია, ხომ იყო და იყო ჩარეული).

ერთი სიტყვით, **პრეზიდენტი სასტიკად ეწინააღმდეგება ამ სიმწრით მოპოვებული ვერტმფრენების გაყიდვას** (მაღალმთიანი რეგიონი ვართ და ვერტმფრენები ჰაერივით გვჭირდებაო). კვლავ ციტატას მოვიშველიებ: „ახლა ვიყავი მთაში. იქ რომ რამე მოხდეს, ერთი ვერტმფრენი არა ჰყავს, რომელიც ავა და, მაგალითად, გამოიყვანს სადმე გაჭედილ მოგზაურს ან გადაიყვანს თუნდაც ჯარის ნაწილს ან პოლიციის ნაწილს. **ეს არის ჩვენი ერთადერთი შანსი და ამ ერთადერთ შანსსაც გვართმევენ.“**

**ასეა თუ ისე, მართალია, ჯერჯერობით საფრანგეთის საელჩოს კომენტარი არ გაუკეთებია** (იყო თუ არა ჩართული ბ-ნი სარკოზი ამ საერთაშორისო აფერაში)**,** მაგრამ, ეჭვი მაქვს, რომ ბ-ნი **სარკოზის წინააღმდეგ თავის სამშობლოში აღძრულ საქმეს ჩვენმა პრეზიდენტმა ფრიად საინტერესო დეტალები დაუმატა.**

# მშობლიური კვერცხების ხიბლი

სანამ **დანარჩენი მსოფლიო იმაზე მსჯელობს, რა მოხდება სირიაში, იმის პარალელურად, რომ აშშ კუნთებზე იყურება, რფ-ს კი მშვიდობის ხუნდობა აქვს შეთავსებული,** ჩვენს სამშობლოში **კვერცხის გაძვირებას პროგნოზირებენ.**



სახელდობრ, ამ საგანგაშო **ინფორმაციას მეფრინველეობის ასოციაცია ავრცელებს,** ხოლო **მიზეზად იმას აცხადებს, რომ, რაკი ამ ბოლო დროს კვერცხის იმპორტირებას მივეძალეთ** (სიიაფის გამო), **ჩვენებურ მწარმოებლებს წარმოების მოცულობა 30 პროცენტით შეუკვეცავთ;** ამასობაში კი, **მოლდოვასა და უკრაინაში, საიდანაც კვერცხს ვეზიდებით, ეს პროდუქტი გაძვირებულა.**

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ადგილობრივი მწარმოებლები ასე უცბად ვერ გააფართოებენ თავიანთ წარმოებას,** შესაძლოა, **კვერცხი გაგვიძვირდეს** (საქსტატის მონაცემებით, **მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში, გასულ წელთან შედარებით, კვერცხის იმპორტი 795 პროცენტითაა გაზრდილი**). სხვათა შორის, თუ გავითვალისწინებთ, რომ, მაგალითად, **აშშ-ში კვერცხის საცალო ფასი 25,2-თეთრია, გაუგებარია, ჩვენთან როგორ ახერხებენ 30-თეთრიანი კვერცხების შექმნა-ჩამოტანას.**

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით გვამშვიდებენ (ამ ეტაპზე გაძვირებას გავუძლებთო), თუმცა, ამთავითვე აშკარაა, რომ **თვით ასეთ პროზაულ საკითხშიც კი, მხოლოდ საკუთარი კვერცხების იმედზე უნდა იყო.**

# „პაჩკა-პაჩკა დოლარების“ ცვენა

## ანუ, ხელფასი წყვეტს ყველაფერს?

მართალია, **მარეგულირებელი ორგანოების ნაკლებობას არ ვუჩივით,** იმ ორგანოში კი – მაღალ-მაღალ ხელფასებს, **თუმცა, მთლად იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი ცხოვრება საათივით დარეგულირებულია.**



როგორც უნდა იყოს, **რაკი სემეკის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია, მასზე დასანიშნი კანდიდატურებიც აქტიურად განიხილება.** წინასწარი ინფორმაციით, **ამ საპატიო პოსტზე ირინა მილორავას ამზადებენ** (აქამომდე **ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის გენდირექტორს**). ეს კონკრეტული **კანდიდატურა ამ პოსტზე ენერგეტიკის სამინისტროს წამოუყენებია და,** როგორც გვაუწყეს, ზეპირი მსჯელობისა და კონსულტაციების შედეგად შეირჩა (წერილობით ემსჯელათ, ვინ დაუშალა?!).

**ვინაიდან ადგილი ცარიელი არასდროს რჩება,** ბუნებრივია, **ადრე თუ გვიან,** ქ-ნი მილორავა თუ **ვინმე** სხვა, **სემეკის თავმჯდომარის სკამს მაინც დაიკავებს,** თუმცა, **კვლავაც ბუნდოვანია, გადაისინჯება თუ არა სემეკის თავკაცთა ხელფასები** (რომელთა წლიური **სახელფასო შემოსავალი ოთხედ მილიონ ლარს უკაკუნებს**), თუ, **ეს ორგანო ამ ღარიბებით დასახლებულ ქვეყანაში** კვლავაც **„შავი დედლებივით გასაკეთებელთა“ და „პაჩკა-პაჩკა დოლარების“ ცვენის ადგილად დარჩება?!**

# უპასუხოდ

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, **ირანის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი ისე უმტკივნეულოდ წავიდა პოსტიდან** (ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც ორი ვადა ამოწურა, რასაც ირანის კონსტიტუცია ითვალისწინებდა), **რომ გულჩვილ ადამიანს თვალზე ცრემლიც კი მოადგებოდა** (განსაკუთრებით, თუ ჩვენებურების სკამებზე მიცემენტების ტრადიციას გავიხსენებთ). თუმცა, **მისი პოსტსაპრეზიდენტო ცხოვრება გაცილებით გულისამაჩუყებელია** (რომ არ ვთქვა, შესაშური-მეთქი).

როგორც გაირკვა, თავის დროზე **ვაშინგტონის რისხვა ამჟამად მასწავლებლად მუშაობს და**, არც მეტი, არც ნაკლები, **საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილდება;** უფრო მეტიც, **ირანის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროსაც მასწავლებლის ხელფასზე ცხოვრობდა** და ირანის ბიუჯეტიდან ერთი რიალიც არ აუღია. რაც მთავარია, **ჩააგდო კანონი, რის მიხედვითაც, ირანის ექსპრეზიდენტებს მაღალი პენსია უნდა დანიშვნოდათ.**

## პრეზიდენტი – ავტობუსში

ბუნებრივია, ეს ვერ ამართლებს თუნდაც იმას, რომ იქ, ირანში, ჰალსტუხის გამო სიკვდილით სჯიან, მაგრამ, ისიცაა, **იქნებ საქართველოს მოქალაქეც შეეღოდა ჰალსტუხს, ყოფილი პრეზიდენტი ამ ჩვენს ყვითელ ავტობუსში მოჩიქჩიქე რომ ენახა?!**

# ასოთა თამაში
## ანუ, წაუკითხავ წიგნთა შურისძიების მსხვერპლნი

შესაძლოა, იმიტომ, რომ **პატრიოტიზმი მოეძალათ**, ან, სულაც, **იმ პროზაული მიზეზით, უსაქმო კაციო** ... **გასულ კვირას დედაქალაქის საკრებულომ**, ცხადია, სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, **დედაქალაქის რამდენიმე უსახელო ქუჩისთვის ახალი სახელების მინიჭების შესახებაც იმსჯელა.**

**იმსჯელეს და დაადგინეს**, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღმის **უსახელო ქუჩების, ჩიხებისა თუ შესახვევებისთვის, „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟების სახელები მიენიჭებინათ** („კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქალისა მბეჭვლელსა"?!).



შესაბამისად, **აწ უკვე თბილისის ქუჩებითაა უკვდავყოფილი ნურადინ-ფრიდონის** (ცნობისთვის: საკრებულოს საიტზე გამოქვეყნებულ ამ **ოფიციალურ ინფორმაციაში ეს ჩვენი ნურადინ-ფრიდონი, მურადინ-ფრიდონადაა მოხსენიებული)**, მელიქ-სურხავის, მულღაზანზარის, ხატაეთისა თუ გულანშაროს ქუჩები (**აი, ინდოეთმა რა დააშავა, ეს ვერ გავიგე**) და, ამიერიდან, **თვით ჭაშნაგირის (აი, ჭაშნაგირი რა შუშაია ამ გაუგებრობასთან, რთული ასახსნელია) სახელობის ქუჩაც კი გვექნება** (და, ვითომ, მესტუმრეთუხუცესის რატომაც არა?!).

**უკვდავყოფილთა სიაში მოხვდნენ როგორც ფატმანი, ისე მისი ქმარი – უსენი, თვით მამიდა დავარიც კი** (რომლის წყალობითაც დატრიალდა ნესტან-დარეჯანის დაკარგვის ტრაგედია) და ბუნებრივია, მთლად ცენტრალური პერსონაჟებიც.

სავსებით ბუნებრივია, **დასაფასებელია ჩვენებურ საკრებულოელთა ეს რომანტიკული წიაღსვლები**, რომ არა ერთი „მაგრამ ": თვით ამ ჩამონათვალშიც კი ნათლად იკვეთება, რომ **„ვეფხისტყაოსნისთვის" თვალი სკოლის დამთავრების შემდეგაც არ ჩაუკრავთ.** ხოლო, **თუ უფრო დაწვრილმანდებით** (მაგალითად, იმას, ნურადინი მურადინი რომ ჰგონიათ), **შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ სკოლაში სწავლის პერიოდშიც არ მოუკლავთ მაინცდამაინც თავი „ვეფხისტყაოსნის" წაკითხვით.** ჰოდა, იქნებ (აწ უკვე **თავიანთ მიერ მონათლული ქუჩების ხათრით), გადაეკითხათ** (თუ, რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის" პატივისცემა ამოძრავებთ და არა უსაქმო კაცის სინდრომი), რომ **ამ ასოთა თამაშს** (როგორც მწერალი იტყოდა, – წაუკითხავ წიგნთა შურისძიებას) **მომავალში მაინც ამგვარ უხერხულობაში არ ჩაეყარა?!**

# „კტო ნა სვეტე ვსეხ მილეე"?!
## ხუნდი თუ ბაკალა

გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ **რფ-ის განათლების ფონდს ნობელის პრემიაზე პრ. პუტინი წარუდგენია: არც მეტი, არც ნაკლები, ნობელის მშვიდობის პრემიაზე** და, **ზემოხსენებული ფონდის პრეზიდენტს** (ვინმე სერგეი კომკოვს) **ნობელის კომიტეტის შესაბამისი წერილითაც მიუმართავს** (პათოსით: **„კტო ნა სვეტე ვსეხ მილეე? ვსეხ რუმიანეე ი ბელეე?!"**).



აი, **რფ-ის განათლების ფონდის ექსპერტს** (ვინმე ოლეგ სერგეევს) კი, ზედაც, **დაუმატებია, რომ, ჯერ ერთი, პრ. პუტინი მშვიდობისთვის პრაქტიკული მებრძოლია** და, რაც მთავარია, **მისი ყველაზე დიდი დამსახურება ჩეჩნეთში ომის შეჩერებაა** (სამგზის ვაი!!!). **ვინმე სერგეევი იმასაც შენიშნავს, რომ პრ. პუტინი ლომივით იბრძვის სირიის კონფლიქტის უსისხლოდ მოსაგვარებლად.**

**რფ-ის განათლების ფონდის მოტივაცია კიდევ გასაგები იქნებოდა** (პრინციპით, ყვავს თავისი ბახალაო), **მაგრამ, თავისი სიტყვა ჩრდილოელი მმართველისთვის საფრანგეთსაც შეუწევია** (აი, იმ საფრანგეთმა ჩვენთვის რომ სამოქალაქოდ გადაცმული სამხედრო ვერტმფრენები მოუყიდია) **.**

რუსული მხარე იუწყება, რომ, **ფრანგი კოლეგების აზრით, თუკი პრ. პუტინი შეძლებს სირიის დაბომბვის თავიდან აცილებას, ეს იქნება დასტური იმისა, რომ სწორედ პრ. პუტინია ყველაზე მშვიდობისმოყვარე ორფეხა მთელ დედამიწაზე** და **უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ ბარაკ ობამასო.**

მართალია, **ჩვენ სავსებით მკაფიო აზრი გვაქვს ჩამოყალიბებული პრ. პუტინზე**, თუმცა არ ვიცით, **რა გადაწყვეტილებას მიიღებს ნობელის კომიტეტი**, ოღონდ, **ეს მაინც ვერ უკარგავს აქტუალობას კითხვას: უფრო ხუნდია თუ ბახალა** (მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, **თუ მას ეს პრემია მიანიჭეს, ჩვენ ცივილიზებული სამყაროსთვის წინილები ვყოფილვართ**).

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# გაუმართლებლები
## ტერორისტი, კატა და საქართველოს მოქალაქე

ეს **წუთისოფელი ვისთვის დედაა, ვისთვის დედინაცვალი და, ვისთვის – ორივენიცა**. ასე, მაგალითად, **გასულ კვირას 34 წლის ტერორისტი ანდერს ბრეივიკი** (21 წელი რომ მიუსაჯეს 69 ადამიანის დახოცვისთვის, რომლებიც სისცოცხლეს „ნორვეგიის ისლამიზაციის შესაჩერებლად" გამოასალმა) **ოსლოს უნივერსიტეტში ჩაირიცხა.**



**ტერორისტი-მანიაკი პოლიტოლოგიას დაეუფლება**, ერთი ისაა, **დაუსწრებლად.** ოსლოს უნივერსიტეტის პრეზიდენტის განმარტებით, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა ქვეყნის ყველა მოქალაქეს აქვს **(აბა, უფასო განათლება სოციალისტურიაო?!).** სხვათა შორის, **რამდენიმე თვის წინათ ბრეივიკს უარი ეთქვა უნივერსიტეტში მიღებაზე**, ვინაიდან, **სრული საშუალო განათლება არ მიუღია**, მაგრამ, **უბეჯითია, გამოცდები ჩაუბარებია და საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტიც მოუპოვებია.**

თავის მხრივ, **ციხის ხელმძღვანელობა პირობას დებს, რომ ტერორისტ პატიმარს ყველა საჭირო წიგნითაც უზრუნველყოფენ და სამეცადინოდ ცალკე ოთახსაც გამოუყოფენ** (პრინციპით: „დააფარე, დააფარე, არ გაცივდეს").

ამის პარალელურად, ცნობილია, რომ, მაგალითად, **გერმანიაში, ველურ კატებს** (რომლებსაც, სხვათა შორის, არ აქვთ ხმის უფლება) **გადასასვლელებს უშენებენ.** მას შემდეგ, რაც **სპეციალისტები შეისწავლიან ველური კატების გადაადგილების მარშრუტებს (რომლებიც ზოგჯერ ავტომაგისტრალებს კვეთს, რის გამოც კატები ხშირად იღუპებიან), საჭირო ადგილებში სპეციალურ ხიდებს უშენებენ.**



ჰოდა, თუ ამ ევროპულ რეალობას – ტერორისტით დაწყებული და კატით დამთავრებული – ჩვენს რეალობას შევუდარებთ (დღემდე რომ დაგებულ გზებს გვამადლიან), **რთულია, არ ინატრო, აქეთ – ნორვეგიელი ტერორისტის, იქით – გერმანული ველური კატის ბედი.**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



ილუზიაა იმის თქმა, რომ ევროპა ცივილიზაციური არჩევანია. მარტივად სათქმელია, მაგრამ ბევრ პრობლემას გულისხმობს

**ვიდრე ჩვენი პრეზიდენტი და, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამბობს, ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწე ბ-ნი ილარიონოვი კავკასიონს ლაშქრავდნენ და რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო დროშებს აფრიალებდნენ, სომხეთის პრეზიდენტმა რფ-ის პრეზიდენტს საბაჟო კავშირში შესვლის პირობაც მისცა და სამომავალო ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაზეც დაეთანხმა (ბუნებრივია, მაშინ, როდესაც ის შეიქმნება). ამასობაში კი, ვლ. პუტინმა ბაქო მოიარა, თავისი აზერბაიჯანელი კოლეგაც ინახულა და, თუმცა უცნობია, რაზე ისაუბრეს პრეზიდენტებმა დახურულ კარს მიღმა, ორივეს მეტად ნასიამოვნები სახეც ჰქონდა. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, საბაჟო კავშირში წევრობაზე ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე აზერბაიჯანსაც ეთქვა თანხმობა, რაც საქართველოს დასავლურ ორიენტაციას ბუნებრივად აყენებს დარტყმას. სულ ახლახან კი აშშ-ის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევს წერილი გაუგზავნა და ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში დახმარება აღუთქვა. სამხრეთ კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი გაგვიზიარებს თავის მოსაზრებას.**

# როგორ ავიწროებს რუსეთი რკალს საქართველოს გარშემო და რა შემთხვევაში მოხვდება ავტომატურად რუსეთის გავლენის სფეროში

**– თუკი აზერბაიჯანი დათანხმდება საბაჟო კავშირსა და ევრაზიის კავშირში გაწევრიანებას, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი საქართველოს მონაწილეობის გარეშეა გადაწყვეტილი? რისკენ მიდის ეს პოლიტიკური მოძრაობები საქართველოს გარშემო?**

– დავიწყებ ევრაზიული კავშირიდან. ჯერ ერთი, მისი საბოლოო კონტურები და სტრატეგია ბოლომდე ნათელი არ არის. გარდა ამისა, რუსეთის გარდა, მასში შედის ყაზახეთი, ბელორუსია და ვერ ვიტყვით, რომ ყაზახეთსა და სომხეთს, ბელორუსსა და სომხეთს ერთნაირი ინტერესები აქვთ. არ არის გარკვეული, როგორ გაფართოვდება ევრაზიული კავშირი და რა ფორმას მიიღებს და, ჩემი აზრით, ბევრი არასწორად აფასებს თვითონ ევრაზიული კავშირის იდეას. ითვლება, რომ მოსკოვს უნდა, დაიქვემდებაროს ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. სინამდვილეში ეს სხვანაირი ვარიანტია.

**– ყველას დაქვემდებარება არ უნდა, თუ ყველას დაქვემდებარებას არ აპირებს ჩექმის ქვეშ?**

– ჯერ ერთი, ყველას არა და მეორე, ყველას არ აქვს ინტერესი ევრაზიული კავშირისადმი. ცხადია, რომ ევრაზიული კავშირი არ აინტერესებს ბალტიისპირეთის ქვეყნებს; უზბეკეთს, რომელსაც ყაზახეთთან აქვს წინააღმდეგობები. არც აზერბაიჯანს აქვს ინტერესი ევრაზიული კავშირისადმი და ეს საკითხი არც განხილულა შეხვედრაზე. თუ უკრაინაში ევროპულ და ევრაზიული ვექტორებს შორის არჩევანი განიხილებოდა, აზერბაიჯანის დღის წესრიგში არ დგას ევრაზიული კავშირის იდეა და არც რუსეთს უთქვამს არასდროს, რომ სურს აზერბაიჯანის ხილვა ევრაზიულ კავშირში, თუმცა უარს არ ეტყვიან, მაგრამ მე ვერ ვხედავ ასეთ ინტერესს ბაქოს მხრიდან.

**– მოსკოვს არ აქვს ინტერესი, იხილოს აზერბაიჯანი ევრაზიულ კავშირშიო, მხოლოდ სომხეთის დანახვა უნდა იქ?**

– მოსკოვს უნდა, შემოიკრიბოს თანამოაზრეები, რომელთაც ერთმანეთის მიმართ არ ექნებათ პრეტენზიები და წინააღმდეგობები, იმიტომ რომ დსთ-ის ფორმატი აღარ მუშაობს. დღეს სხვა რეალობაა და ამიტომ მე ვხედავ მოსკოვის მხურვალე სურვილს, რომ ყველას კვლავ ერთად მოუყაროს თავი. პირიქით, ევრაზიული კავშირი არის არა ინტეგრაცია რაღაცის ხსოვნისთვის, არამედ მცდელობა, აიგოს მჭიდრო ურთიერთობა მათთან, ვისაც უნდა რუსეთთან ერთად მიაღწიოს რაღაც მიზნებს, თუმცა ეს მიზნები ბოლომდე ნათელი არ არის. რაც შეეხება სომხეთს: არ უნდა გადავამეტოთ ამ განცხადებების მნიშვნელობა. დაველოდოთ, რა სამუშაო პროცედურები დაიწყება. სერჟ სარქისიანს ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, რომ ვილნიუსში არ წავა ევროკავშირის სამიტზე.

**– მაგრამ, თუ ყველანი ევროპისკენ წავლენ, რუსეთი ვის მონახავს მოკავშირეებად?**

– რას ნიშნავს ევროპისკენ წასვლა?! ევროპისკენ მოძრაობა მხოლოდ საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე არ არის დამოკიდებული. დიდი პარტნიორობის გამოცხადება დღესაც შეიძლება, მაგრამ დღესვე არის ევროპა მზად, რომ უვიზო რეჟიმი გააფორმოს ამ ქვეყნებთან და თავის რიგებში გააწევრიანოს უკრაინა, საქართველო და აზერბაიჯანი?! არ ვარ დარწმუნებული, მზად იყოს. საერთოდაც, უკრაინის მნიშვნელობა რუსეთისთვის სხვაა, ვიდრე კავშირი საქართველოსთან ან სომხეთთან. ევრაზიულ კავშირს ძლიერს გახდიდა სწორედ რუსეთისა და უკრაინის კავშირი. რუსეთისთვის უკრაინა ძალაა.

**– ჩვენ, დანარჩენები საკაზმი ვართ?**

– მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად მცირე ქვეყნებისადმი, ბელორუსია იქნება ეს თუ ტაჯიკეთი, ეს განსხვავებული წონითი კატეგორიებია. ამიტომაც ჯიუტობს მოსკოვი უკრაინასთან მიმართებაში, უკრაინა რუსეთისთვის არის ერთ-ერთი ფანჯარა ევროპაში.

**– უკრაინამ თითქოს უარი თქვა საბაჟო კავშირში შესვლაზე.**

– ჯერჯერობით ეს არ არის ფაქტი. ბევრი ფიქრობს, რომ ევროპაში შესვლა ავტომატურად მოხსნის უამრავ პრობლემას, მაგრამ ეს ასე არ არის. რა, უკრაინა ძალიან დემოკრატიული ქვეყანაა და ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს?! უკრაინული ბიზნესი ძალიან განსხვავდება რუსული ბიზნესისგან ბიზნესეთიკის მხრივ?! ის აღარ არის ოლიგარქიული?! ილუზიაა იმის თქმა, რომ ევროპა ცივილიზაციური არჩევანია. მარტივად სათქმელია, მაგრამ ბევრ პრობლემას გულისხმობს და ჩვენ არ ვიცით, როგორც იმოქმედებს უკრაინელების ცხოვრებაზე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა.

**– უკრაინელებს, ალბათ, იმედი აქვს, რომ მათი ცხოვრება ისეთივე იქნება, როგორიც ევროპელების არის.**

– ევროპაშიც არ არის ყველაფერი ცალსახად, თუ შევხედავთ ბულგარეთის, რუმინეთის ინტეგრაციას. ევროკავშირი არ არის საუკეთესო ფინანსურ მდგომარეობაში.

**– არც რუსეთი.**

– რუსეთსაც არ აქვს იდეალური მდგომარეობა, მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ არც ევროკავშირი და არც საბაჟო კაშირი არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული არჩევანი. არჩევანი შეიცვლება. დღეს ასეა, ხვალ სხვანაირად იქნება.

**– თუ გაქვთ ინფორმაცია, რაზე ილაპარაკეს არაოფიციალურად პუტინმა და ალიევმა? რაზე მოილაპარაკეს, თუ მოილაპარაკეს?**

– მგონია, რომ რთული არ არის ამის გამოცნობა. უპირველესად, ეს ეხება ყარაბაღს. მოსკოვი დაინტერესებულია სტატუს-კვოს შენარჩუნებით და არ უნდა ვითარების ცალმხრივი საომარი გადახედვა. ვფიქრობ, ამ მიმართულებით გარკვეული რეკომენდაციები მისცეს ბაქოს.

**– რომ არ დაიწყოს ომი ყარაბაღის დასაბრუნებლად?**

– რომ არ დაიწყოს ომი, რადგან მოსკოვს არ სჭირდება არანაირი ომი. მოსკოვს უნდა, რომ შეინარჩუნოს ვითარება ისე, როგორც არის და ის არ შეცვალოს. თქვენ ახსენეთ

## ზურა მაზმიშვილის გახსენება



დრო არ არის მკურნალი და ამაში შენი წასვლის დაგვარწმუნე... ერთი წელი ვილაცისთვით ცოტაა, ჩვენთვის კი – მთელი საუკუნე, შენს ნატვრაში გალეული... ახლა მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობთ და, იმის იმედით, რომ ასეთმა კეთილმა და დიდბუნებოვანმა, უკვე დაიმკვიდრე ზეცაში სასუფეველი. გარდაცვალება არ ეთქმის ამქვეყნიდან შენს წასვლას. ჯერაც არ გვჯერა, რომ ის ტრაგედია კანონზომიერი იყო. გვიჭირს უშენობა... გვენატრები.

**მეგობრები**

აზერბაიჯანის არჩევნები: მოსკოვს ალიევი მოსწონს და მე არ მესმის, რატომ ამბობენ, რომ თითქოს მოსკოვს უნდა ალიევის ჩამოგდება. რატომ უნდა უნდოდეს, რომ ისლამისტებს გაუხსნას გზა და არაბული სცენარი გაიმეოროს აზერბაიჯანში?!

**– იმას ამბობთ, რომ ილჰამ ალიევი მისაღები მმართველია მოსკოვისთვის?**

– აბსოლუტურად, ის პროგნოზირებადია, მასთან დალაგებულია კავშირი, მათ შორის, არაფორმალურიც, არ ვიტყვი კორუფციულიმეთქი, რომ ვინმემ არ მიჩივლოს. პერსონალურად პუტინთანაც მას ნორმალური ურთიერთობა აქვს. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მოსკოვს აზერბაიჯანისგან? რომ აზერბაიჯანს არ ჰქონდეს მკვეთრად პროდასავლური კურსი, რომ არ გახდეს სააკაშვილისდროინდელი მეორე საქართველო.

**– მკვეთრად პროდასავლური კურსი რას ნიშნავს?**

– დემონსტრაციულად მხოლოდ აშშ-ის სასარგებლოდ იმოქმედოს და რუსეთს უბრალოდ იგნორირება გაუკეთოს, როგორც იქცეოდა სააკაშვილი. თუ მოსკოვი იქნება ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების ერთადერთი მონაწილე, აზერბაიჯანს არავინ აიძულებს, შევიდეს ევრაზიულ კავშირში. მოსკოვს ესმის, რომ აზერბაიჯანი ძლიერადაა დაკავშირებული დასავლეთთან და ზოგიერთ სიტუაციაში აზერბაიჯანი ნაწილობრივ რუსეთის კონკურენტიცაა.

**– არა მხოლოდ აზერბაიჯანი, აზერბაიჯან-საქართველოს ტანდემი.**

– იცი, რა, მე ამ ტანდემსაც არ შევაფასებდი ზომაზე მეტად. გავიხსენოთ სასაზღვრო დავა, საქართველო-აზერბაიჯანს შორის დღემდე არ არის დელიმიტიზებული და დემარკირებული საზღვარი, არსებობს ბორჩალოელი აზერბაიჯანლების და უამრავი სხვა პრობლემა.

**– არანაირი პრობლემა არ არის ქვემო ქართლში, მე არ მსმენია ამის შესახებ. თქვენ საიდან იცით?**

– ეს პრობლემები არსებობს, უბრალოდ არ არის პოლიტიზებული, ისევე, როგორც ჯავახეთში. უფრო ყოფითია, მაგრამ ისინი არსებობს და დროდადრო სპეკულაცია მიდის ამაზე. ცალსახად ვერ ვიტყვი, რომ უპრობლემო ტანდემია.

**– მე არ მითქვამს, რომ უპრობლემოა, მე ის ვთქვი, რომ აზერბაიჯანი-საქართველოს ტანდემი იმითაა დასაფასებელი, რომ ამ ორ ქვეყანას ერთმანეთი სჭირდება თავიანთი ეროვნული ინტერესების გასატარებლად და ეს ვერ მიიღწევა, თუ არ იარსებებს ეს ტანდემი.**

– მაგრამ აქ ბევრი მაგრამაა: აზერბაიჯანსა და საქართველოს სხვადასხვა დონის წყენა აქვთ მოსკოვზე; ასევე, განსხვავებულია მათი დასავლეთთან ურთიერთობის ხარისხი; დასავლეთით დაინტერესების ხარისხიც. შევხედოთ სიტუაციას სირიასთან მიმართებაში: როგორ დაუჭირეს მხარი ქართველებმა ამ ინტერვენციას და როგორ აკურატულად მოიქცნენ აზერბაიჯანლები.

**– აზერბაიჯანი ყოველთვის აკურატულად იქცევა საერთაშორისო არენაზე და ამიტომაც აკურატული საზღვრები აქვს რუსეთთან.**

– ტანდემი ტანდემად, მაგრამ ეს მრავალმხრივი ტანდემია. რაც შეეხება სომხეთსა და რუსეთს: ითვლება, რომ რუსეთმა ზეწოლა განახორციელა სომხეთზე. რაღაც ზეწოლა, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ამით ყველაფერს არ ავხსნიდი. ვფიქრობ, სირიის გარშემო არსებულმა სიტუაციამ უფრო დიდი გავლენა მოახდინა სარქისიანის გადაწყვეტილებაზე. დღეს თურქეთი ჩაებმება ომში სირიასთან და ეს იქნება პრეცედენტი, ხვალ კი იტყვიან, რა უნდა სომხეთს, რა ხდება ყარაბაღში? მოდი, სომხეთს დავარტყათო და სწორედ ამის ეშინია სომხეთს. თურქეთი მათი მეზობელია და ეს მეზობელი მარსზე არ აპირებს გაფრენას. აი, ამან უფრო უბიძგა საბაჟო კავშირისკენ, ვიდრე რუსეთის ზეწოლამ.

**– იმისთვის, რომ სომხეთს დაუჭიროს მხარი, რუსეთს სჭირდება გასავლელი თავისი სამხედრო ბაზისკენ. აზერბაიჯანი არ მისცემს მას სამხედრო ტვირთებისთვის დერეფანს, რადგან ის იარაღი შესაძლოა, მის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული ყარაბაღში. ანუ ერთადერთი გზა სომხეთში რუსეთის ბაზისკენ გადის საქართველოზე.**

> **მოსკოვთან მეგობრობა არის სომხეთის ინტერესი და არა ახირება; ასევე, საქართველოს ინტერესია დასავლეთთან დამეგობრება**

– ამიტომაც ცდილობს რუსეთი აზერბაიჯანთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. რუსეთს ომი არ სჭირდება. მას არ აქვს საზღვარი სომხეთთან და ეს პრობლემაა. რუსეთი უნდა ჩამოყალიბდეს, ვის დაუჭიროს მხარი ომის შემთხვევაში, ამიტომ ცდილობს ლავირებას, რომ სიტუაცია აკონტროლოს და არ დაუშვას ფეთქებადი სცენარები.

**– თუ რუსეთი სომხეთთან და აზერბაიჯანთან მეტ-ნაკლებად დაარეგულირებს ურთიერთობებს, საქართველო მარტო რჩება სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დაუცველ რგოლად?**

– საქართველოსთვის, პროდასავლური კურსის გარდა, სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ. ეს დაზღვევაა, რადგან მოსკოვს აქვს თავისი ინტერესი აფხაზეთსა და „იუჟნაია ოსეტიაში“, მაგრამ არა საქართველოს სიღრმეში. არასდროს განხილულა სერიოზულად საკითხი, რომ მოსკოვს სამხედრო კონტროლი უნდა დაემყარებინა მთელ საქართველოზე. ასე რომ, რა შეიძლება, დაემუქროს საქართველოს? მეზობლად ჰყავს თურქეთი, რომელთანაც ნორმალური ურთიერთობა აქვს, აზერბაიჯანთანაც ნორმალური ურთიერთობები, იმიტომ რომ არსებობს ერთობლივი ენერგოპროექტები, ამდენად, საქართველოს ექნება თავისი ფანჯრები.

**– თუ სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთის კეთილი მოკავშირეები გახდებიან, ეს ხომ ნიშნავს, რომ საქართველო ავტომატურად ხვდება რუსეთის გავლენის სფეროში? საქართველოს შეუძლია, მარტო დარჩეს პროდასავლური და არ იქცეს პოლიგონად?**

– მოსკოვთან მეგობრობა არის სომხეთის ინტერესი და არა ახირება; ასევე, საქართველოს ინტერესია დასავლეთთან დამეგობრება. არ მგონია, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთ სისტემაში შევიდნენ რუსეთთან, იმიტომ რომ ისინი მოწინააღმდეგეები არიან. რა საერთო სტრატეგიული მიზნები შეიძლება, ჰქონდეთ სომხეთსა და აზერბაიჯანს, როდესაც ყარაბაღი ვერ გაუყვიათ?!

**– შორიდან როგორ ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ადეკვატურ ნაბიჯებს დგამს? ხდება აზერბაიჯანივით აკურატული?**

– აზერბაიჯანს, საქართველოსგან განსხვავებით, აქვს რესურსები, რომ მტკიცედ იგრძნოს თავი.

**– მაგრამ ეს ენერგომატარებლები გადის საქართველოზე. მათ სხვანაირად აზრი ეკარგება.**

– რა თქმა უნდა. თქვენი ხელისუფლება ცდილობს ნორმალიზების პოლიტიკის გატარებას. თუმცა სააკაშვილსაც რომ გაეგრძელებინა ის კურსი, რაც დაიწყო, გახსოვთ, როგორი აღტაცებული იყო პუტინით, ვინ იცის, როგორ მოტრიალდებოდა ისტორია.

**– საქართველოს ხელისუფლება კი ცდილობს, მაგრამ რუსეთს აქვს უცნაური რეაქცია.**

– დინამიკაში უნდა შევხედოთ საკითხს. ურთიერთობები იყო ნულს ქვემოთ და იქიდან ვიწყებთ. უკვე ამოვიდა ნულამდე და ახლა უნდა შევეცადოთ, რომ ნულიდან რაღაც პოზიტივამდე ავიდეთ. თუ ვინმე ორ თვეში ელოდა რაღაც შედეგს რუსულ-ქართული ურთიერთობებიდან, ის უბრალოდ გულუბრყვილო ყოფილა.

**– სანამ ჩვენ ვმსჯელობთ, შესაძლოა, რომ ანუშკას ზეთი უკვე დაეღვარა? ანუ მოილაპარაკეს რუსეთმა და აშშ-მა, რომ სამხრეთ კავკასია რაღაც დროით ისევ რუსეთის გავლენის სფეროს უბრუნდება?**

– სამხრეთ კავკასია ხელსახოცი ხომ არ არის, რომ ვინმეს გადასცე?! არ მგონია, ასეთი შეთანხმება იყოს. ჯერჯერობით ამერიკელები ასეთის არსებობას არ აღიარებენ. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების გამო კავკასია მეორე პლანზე გადადის, თუ მოსკოვი და ვაშინგტონი არ მოილაპარაკებენ.

**– მეც ამას ვამბობ: მოილაპარაკებენ სირიაზე და გასაცვლელი მონეტა იქნება კავკასია.**

– უფრო პრაგმატულ ურთიერთობებზე შეიძლება, მოილაპარაკონ, ვიდრე ამაზე.

**ნინო ხაჩიძე**



# თამაზ გოგავას გახსენება

ორმოცი დღე გავიდა. ორმოცი მძიმე, სევდით, ტკივილითა და მონატრებით გაჯერებული დღე... ვერ ვეგუებით იმას, რომ აღარ ხარ... ყველგან ისევ ვხედავთ შენს ღიმილიან, სიკეთით სავსე თვალებს... უკვე ვხვდები, რომ ვერაფერი შეავსებს ამ სიცარიელეს, რომელიც შენი წასვლით დატოვე. ღირსეულად იცხოვრე. არასდროს გიღალატია საკუთარი თავისთვის და კაცურკაცობის პრინციპებისთვის, ყველასთვის საყვარელი, მზრუნველი და მომაგე იყავი, შენთვის კი არაფერს ითხოვდი... რატომ არ გვასწავლე, როგორ გაგვეძლო უშენობისთვის?!. უშენობა მოგვერია და უსაშველო მონატრებად ჩაგვისახლდა გულში...

**მეგობრები**

**27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კონსტიტუციის ახალი რედაქცია ამოქმედდება და ქვეყანაში ძალაუფლება ახლებურად გადანაწილდება. კერძოდ, არსებული სუპერსაპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელით ჩანაცვლდება, თუმცა, თუ პროფესიონალებს ვენდობით, იმ ახალში ახლა უკვე პრემიერ-მინისტრი ისარგებლებს სუპერუფლებებით. რა საკონსტიტუციო რეალობა დამყარდება ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და რატომ მოითხოვს ჯერარამოქმედებული საკონსტიტუციო ცვლილებები ცვლილებებს, რომ ქვეყანა ქვეყანას, საპარლამენტო რესპუბლიკა კი საპარლამენტო რესპუბლიკას დაემსგავსოს, თემას იურისტი ირაკლი კობახიძე განგვიმარტავს.**

# როგორ ხდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის ერთპიროვნული და უძლეველი მმართველი პრემიერ-მინისტრი სუსტი პრეზიდენტის, სუსტი მთავრობისა და სუსტი პარლამენტის ფონზე

**– რა მოხდება ქვეყანაში, სამართლებრივი გარემოს თვალსაზრისით, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ?**

– საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ იცვლება მთავრობის შემადგენლობა. უფლებამოსილებას იხსნის მთავრობის ძველი შემადგენლობა და პარლამენტში მთავრობის ახალი შემადგენლობა შედის დასამტკიცებლად.

**– და ამ ახალი მთავრობის დამტკიცებასაც სჭირდება ხმათა უბრალო უმრავლესობა?**

– დიახ და ამის შემდეგ არსებითად იცვლება როგორც მთავრობის, ისე პრემიერ-მინისტრის სტატუსებიც.

**– პრემიერ-მინისტრიც გადადგება?**

– დიახ, თუმცა ისინი განაგრძობენ უფლებამოსილების განხორციელებას ახალი მთავრობის დამტკიცებამდე.

**– ვინ წარადგენს ახალ მთავრობას?**

– ახალ მთავრობას წარადგენს პრეზიდენტი, თუმცა მას არანაირი დისკრეცია არ აქვს. პრეზიდენტი ვალდებულია, პრემიერ-მინისტრობის ის კანდიდატი წარუდგინოს პარლამენტს, რომელსაც შესთავაზებს გამარჯვებული საარჩევნო სუბიექტი.

**– საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული საარჩევნო სუბიექტი?**

– დიახ, მარტივად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი ვალდებულია, ის კანდიდატურა წარუდგინოს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ვისაც წარადგენს „ქართული ოცნება“. რაც შეეხება მთავრობის სხვა წევრებს: პრემიერ-მინისტრი დამოუკიდებლად განსაზღვრავს მინისტრების კანდიდატურებს და პრემიერ-მინისტრია პასუხისმგებელი მინისტრების კანდიდატურების შეტანაზე პარლამენტში. ანუ რეალურად აქ პრეზიდენტის როლი მთლიანად სიმბოლურია, მას არ შეუძლია არსებითი გავლენის მოხდენა პროცესებზე.



გვაქვს მახინჯი მოდელი, რომელშიც არ არის უზრუნველყოფილი პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილებები და ამან შეიძლება, ძალიან ბევრი კონფლიქტი გამოიწვიოს

**– კურიერული ფუნქცია აქვს, უხეშად რომ ვთქვა.**

– სიმბოლური ფუნქცია აქვს და ამას ხშირად ნოტარიალურ ფუნქციასაც უწოდებენ. რაც შეეხება ახალი პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებებს: პრეზიდენტს ახალ მოდელში აღარ ექნება აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ფუნქცია, მთავრობაა პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაზე და ეს მოიცავს როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკას. ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განახორციელებს მთავრობა და, შესაბამისად, მას აღარ ჰყავს არანაირი ზემდგომი ორგანო პრეზიდენტის სახით. ეს, თავისთავად, ნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრი და არა პრეზიდენტი იქნება ქვეყნის რეალური ლიდერი. ეს არის არსებითი ცვლილება და კონკრეტული უფლებამოსილებების ჩამოთვლას აზრი არ აქვს, იმიტომ რომ, ახალი მოდელით, მთავრობა პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც განეკუთვნება აღმასრულებელი უფლებამოსლების სფეროს.

**– თუკი აქამდე გვქონდა სუპერსაპრეზიდენტო მოდელი, ახალი მოდელით, გვექნება სუპერსაპრემიერმინისტრო. გასაგებია, რომ პრემიერ-მინისტრი არის ქვეყნის ლიდერი, მთავრობის მეთაური, მაგრამ თუ არის დაბალანსებული პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება? ეს არსებითი საკითხია, რადგან აქამდე არსებული საპრეზიდენტო მოდელის ნაკლი სწორედ სახელისუფლო შტოების დაუბალანსებლობა იყო.**

– ჩვენი პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები არსებითად არ განსხვავდება სხვა საპარლამენტო რესპუბლიკების პრემიერ-მინისტრების უფლბამოსილებებისგან. ამ თვალსაზრისით, პრობლემა არ არის. როგორც ვთქვი, მთავრობა მთლიანადაა პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაზე. ანალოგიურადაა მოწესრიგებული ეს საკითხი იმ ქვეყნებშიც, რომლებშიც საპარლამენტო მმართველობაა. ჩვენს მოდელში ძირითადი პრობლემა არის ის, რომ პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება არ არის დაბალანსებული პარლამენტის მხრიდან, რაც აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც საპარლამენტო, ისე შერეული ტიპის მმართველობაში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, ძალიან უჭირს პარლამენტს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება. თითქმის შეუძლებელია პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება, რაც ნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრი თითქმის ისეთივე ხელშეუხებლობით ისარგებლებს, როგორც საპრეზიდენტო მოდელში სარგებლობდა პრეზიდენტი. ანუ როგორც საპარლამენტო, ისე შერეული ტიპის მოდელებისთვის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ პარლამენტს მარტივად უნდა შეეძლოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება საჭიროების შემთხვევაში, რაც არ არის უზრუნველყოფილი ჩვენს მოდელში. სწორედ ეს პრობლემა განაპირობებს სერიოზულ დისბალანსს პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის. რეალურად, საპარლამენტო ტიპის მმართველობაში პარლამენტია წამყვანი სუბიექტი, ჩვენს მოდელში კი პარლამენტს არ აქვს უფლებამოსილება, გამოიყენოს ის ძირითადი ბერკეტი, რაც მას კონსტიტუციით უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

**– გამოდის, რომ, თუ მთავრობას ერთხელ დაამტკიცებს პარლამენტი, შემდეგ ძვრას ველარ უზამს მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე?**

– დიახ. ფორმალურად პარლამენტს აქვს მთავრობის გადაყენების უფლება, მაგრამ ეს პროცედურა იმდენად გართულებულია, რომ პარლამენტს არ აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის საშუალება.

**– რა შემთხვევაში შეუძლია პარლამენტს, დააყენოს მთავრობის დათხოვნის საკითხი?**

– მთავრობის გადაყენების საკითხის დასმა ნებისმიერ დროს შეიძლება, პრობლემა ისაა, რომ პროცედურა მეტისმეტად გაწელილია, დაახლოებით, თვე-ნახევარს გრძელდება და ამ თვე-ნახევრის განმავლობაში ძალიან მარტივად შეუძლია პრემიერ-მინისტრს სიტუაციის იმგვარად დარეგულირება, რომ თავიდან აიცილოს მთავრობის დათხოვნა. გარდა ამისა, კრიზისის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს ასეთი გაწელილი ვადები. ამას ემატება ისიც, რომ პრეზიდენტს აქვს საშუალება, ვეტო დაადოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ და ამ ვეტოს გადალახვას პარლამენტის მაღალი კვორუმი ესაჭიროება. თავის დროზე, ვენეციის კომისიამ სწორედ ეს შენიშვნა გამოთქვა. ფაქტობრივად, შეუძლებელია პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება, არადა, ეს ახალი სისტემის ქვაკუთხედი უნდა ყოფილიყო. ანუ ის ძირითადი თვისება, რაც აქვთ საპარლამენტო და შერეული ტიპის მოდელებს, არ არის მოცემული ჩვენს ახალ კონსტიტუციაში.

**– ესე იგი, თუ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ერთი გუნდის წარმომადგენლები იქნებიან, უძლეველები გახდებიან?**

– რეალურად ასეა. პარლამენტი იქნება ძალიან სუსტი, პრეზიდენტიც სუსტი იქნება და არსებითად ის იქნება თანამოზიარე იმისა, რასაც განახორციელებს მთავრობა. რჩება ძლიერი პრემიერ-მინისტრი სუსტ პრეზიდენტთან და სუსტ პარლამენტთან ერთად, რაც გვქონდა საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში, როდესაც პრეზიდენტი იყო ძლიერი, მთავრობა და პარლამენტი – სუსტები და ისინი ვერ ახერხებდნენ ძლიერი პრეზიდენტის დაბალანსებას. ახალ მოდელშიც იგივე ვითარება იქმნება, განსხვავება ის არის, რომ აქ უკვე პრემიერ-მინისტრი იქნება სუპერძალაუფლების მატარებელი პოლიტიკური პირი.

**– პარლამენტს, ფაქტობრივად, არ ექნება მთავრობის გადაყენების შესაძლებლობა, მაგრამ ამ ახალი მოდელით, ვინ იღებს აღმასრულებელ გადაწყვეტილებებს – მხოლოდ მინისტრები თუ მთავრობა ერთობლივად? პრემიერ-მინისტრი ერევა ცალკეული უწყებების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში?**

– რთულია ამის თქმა, რადგან ძალიან კომპლექსურია მთავრობის უფლებამოსილებების სპექტრი. არის გადაწყვეტილებები, რომლებსაც მინისტრები არეგულირებენ თავიანთი ბრძანებებით, არის გადაწყვეტილებები, რომლებსაც არეგულირებს მთავრობა თავისი განკარგულებებით. პრემიერ-მინისტრს არ შეუძლია ნორმატიული აქტების გამოცემა, შესაბამისად, ის გრძელვადიანი მოქმედების დოკუმენტებს ვერ შეიმუშავებს, მას შეუძლია მხოლოდ ინდივიდუალური აქტების გამოცემა. ამ კუთხით, პრემიერ-მინისტრი შეზღუდულია მთავრობის თანხმობით. ამდენად, ძირითადად, ახალი მოდელით, გადაწყვეტილებებს იღებს მთავრობა თავისი დადგენილებებითა და განკარგულებებით და მინისტრები, რომელთაც აქვთ თავიანთ დარგში გადაწყვეტილებების მიღების უფლება, რაც ფორმდება მინისტრის ბრძანებით.

# რატომ არის გამოტოვებული ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ბიოგრაფიაში ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროებში მუშაობის ფაქტები

ენერგეტიკის მინისტრის მეორე მოადგილე ირაკლი ხმალაძე 1982 წელსაა დაბადებული, განათლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო – საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია (2005 წელს დაასრულა სწავლა). მისი იურიდიული კარიერა 2003 წელს დაიწყო იურიდიულ ფირმა MJO-ში, სადაც იურისტად 2005 წლამდე იმუშავა; 2005 წლიდან ენერგეტიკის სამინისტროში დასაქმდა – თავდაპირველად, იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს წამყვან სპეციალისტად, მოგვიანებით, მთავარ სპეციალისტად და სამმართველოს უფროსიც გახდა. 2008 წელს ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო და 2013 წლამდე იურიდიული დეპარტამენტის უფროსადაც მუშაობდა, ვიდრე 2013 წლის 24 მაისიდან ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე არ გახდა. ამის პარალელურად, 2011 წლიდან „ჯიპას" ლექტორიცაა.

ზემომოყვანილი ბიოგრაფია ენერგეტიკის სამინისტროს საიტზეა განთავსებული, თუმცა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების გვერდზე ვკითხულობთ, რომ ბ-ნ ხმალაძეს ფინანსური და ქონებრივი დეკლარაციების შევსება 2004 წლიდან დაუწყია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის იმხანად ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა: სახაზინო სამსახურის უფროსად; 2006 წელს ის ჯანდაცვის სამინისტროში გადასულა – საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსად. ჩვენთვის უცნობია, რატომ ვერ მოხვდა ბ-ნი ხმალაძის საქმიანი ბიოგრაფიის ეს ნაწილი მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში. მაგრამ, რაკი პირველი დეკლარაცია შეავსო, როგორც ფინანსთა სამინისტროს ჩინოვნიკმა, ჩვენც იმ წლიდან დავიწყეთ აწ უკვე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ქონების ჩხრეკა.



2004 წელს შევსებულ დეკლარაციაში ირაკლი ხმალაძე ოჯახის წევრებად მიუთითებდა: მამას – კონსტანტინე ხმალაძეს, დედას – ნათელა აბულაშვილს და დას – თამარს. ხმალაძეების საცხოვრებელი ბინა მუხიანში ქ-ნი ნათელას საკუთრება იყო (10 000 ლარად ღირებული), მამამისს, ბ-ნ კონსტანტინე ხმალაძეს კი ეკუთვნოდა საცხოვრებელი ბინა ბალანჩივაძის ქუჩაზე – 14 000 ლარად ღირებული. ბ-ნი ხმალაძის წლიურმა სახელფასო შემოსავალმა იმ ხანად 8 000 ლარი შეადგინა. 2008 წელს შევსებულ დეკლარაციაში, რომელიც ბ-ნმა ხმალაძემ შეავსო, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა, ოჯახის წევრად მიუთითა მეუღლე – ვასილევა ვიქტორია. სწორედ ქ-ნი ვასილევა გახლდათ მფლობელი საცხოვრებელი ბინისა ვაჟა-ფშაველას გამზირზე, რომლის ღირებულებადაც 70 000 ლარია მითითებული. იმხანად ბ-ნი ხმალაძის წლიური სახელფასო შემოსავალი 11 500 ლარს შეადგენდა. იმ წელს მან სასწავლო გრანტიც მიიღო პრეზიდენტის განვითარების და რეფორმების ფონდიდან – 5 000 აშშ დოლარის ოდენობით.

სულ ბოლო, 2013 წელს შევსებულ დეკლარაციაში ბ-ნი ხმალაძე ოჯახის წევრებად მიუთითებს: მეუღლეს – თამარ მცხვეთაძეს და ორ შვილს: 2008 წელს დაბადებულ თეას და 2011 წელს დაბადებულ მაიას.

ცოლ-ქმრის ერთობლივი საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა დიდ დიღომში. 2012 წლის განმავლობაში ირაკლი ხმალაძემ, როგორც ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, წლიურ ხელფასად 69 980 ლარი აიღო; როგორც „ჯიპას" ლექტორმა – 2 475 ლარი, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც საჯარო რეესტრის თანამშრომელმა, სექტორის ასისტენტმა – 16 500 ლარი.

2012 წლის განმავლობაში ირაკლი ხმალაძემ შეიძინა 1 800 ლარის ღირებულების ტელევიზორი, იმავე ღირებულების სარეცხი მანქანა, 20 000 ლარამდე კი სესხების მომსახურებისთვის დახარჯა. იმავე წელს 4 800 აშშ დოლარად გაყიდა თავისი ავტომანქანაც.

**ნინო ხაჩიძე**

---

**– მინისტრები ძლიერი ფიგურები იქნებიან?**

– ახალი სისტემის პრობლემაა ის, რომ პრემიერ-მინისტრს ნებისმიერ დროს შეუძლია მინისტრების გადაყენება. ნორმების თანახმად, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს, პრემიერ-მინისტრს ნებისმიერ დროს შეუძლია მთელი მთავრობის გადაყენება და ახალი მინისტრების დანიშვნა. ახლა იგეგმება საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, რის მიხედვითაც, პრემიერ-მინისტრს ექნება საშუალება, მთავრობის მხოლოდ ერთი მესამედის გადახალისების, სხვა შემთხვევაში, თუ ერთ მესამედზე მეტის გადახალისება მოხდება, დაევალება პარლამენტში მთავრობის წარდგენა ნდობის მისაღებად.

**– და, თუ პარლამენტში უმრავლესობა პრემიერ-მინისტრისაა?**

– ზოგადად, მინისტრებზე სერიოზული გავლენა აქვს პრემიერ-მინისტრს, იქიდან გამომდინარე, რომ მათი გადაყენება ნებისმიერ დროს შეუძლია. ეს გარკვეულწილად ზღუდავს მინისტრების ავტონომიას.

**– პარლამენტზე ასეთივე აბსოლუტური გავლენა ექნება პრემიერ-მინისტრს, ახალი მოდელით? შეუძლია მისი დათხოვნა?**

– გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია პარლამენტის დათხოვნის პროვოცირება საქართველოს მთავრობის მიერ. მაგალითად, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრმა გარკვეულ კანონპროექტს დაუკავშიროს მთავრობის ნდობის საკითხი და, თუ პარლამენტი ვერ ან არ გამოუცხადებს ნდობას მთავრობას, ამას მოჰყვება პარლამენტის დათხოვნა. თუმცა ამ ნორმის გადასინჯვა იგეგმება. ზოგადად, პარლამენტის დათხოვნას რაც შეეხება: ეს ჩვეულებრივი მოვლენაა როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო მოდელში.

**– მე არ მიგულისხმია, რომ პარლამენტის დათხოვნის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს, პარლამენტის სიძლიერის შესაფასებლად დავსვი ეს კითხვა.**

– პრემიერ-მინისტრს პარლამენტის დათხოვნა არ შეუძლია, სხვათა შორის, პრეზიდენტსაც არ შეეძლო სუპერსაპრეზიდენტო სისტემაში პარლამენტის უმიზეზოდ დათხოვნა. იმის მიუხედავად, რომ, ახალი მოდელით, პრემიერ-მინისტრს არ აქვს არსებითი რეპრესიული უფლებამოსილებები პარლამენტის მიმართ, სისტემა მაინც არსებითად დაუბალანსებელი რჩება. საბოლოოდ, პარლამენტის დათხოვნის უფლება ექნება პრეზიდენტს, თუმცა პრემიერ-მინისტრს აქვს მინიჭებული გარკვეული მექანიზმები, რითაც შეუძლია პარლამენტის დათხოვნის პროვოცირება.

**– თუ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი სხვადასხვა გუნდის წარმომადგენლები იქნებიან, ეს დაასუსტებს პრემიერ-მინისტრს? ან რა მოხდება, თუ პრემიერ-მინისტრი დაკარგავს უმრავლესობას პარლამენტში, თუ მისი უმრავლესობა დაიშლება?**

– რეალურად ახალი სისტემა ისეთია, რომ, მართალია, პრეზიდენტს არსებითად სიმბოლური ფუნქციები და უფლებამოსილებები აქვს, მაგრამ ეს მაინც არ არის ბოლომდე სიმბოლური. ერთი რამაა გასათვალისწინებელი: პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი წესით, მიუხედავად იმისა, რომ მისი უფლებამოსილება არსებითად შეკვეცილია. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, თუ პრეზიდენტად აირჩევა სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, მან შეიძლება, საკმაოდ სერიოზული გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე, გამომდინარე თავისი მაღალი ლეგიტიმაციიდან. პრეზიდენტს ექნება ამომრჩევლის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა და ამასთან, პრეზიდენტს რჩება გარკვეული აღმასრულებელი ტიპის უფლებამოსილებები: ელჩების დანიშვნა, საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოება, საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებების დადება, რასაც პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად ახორციელებს, ანუ ბოლომდე სიმბოლური პრეზიდენტიც არ გამოდის. ამას ძალიან ხშირად აკრიტიკებდნენ ექსპერტები, რადგან პრეზიდენტი ან ბოლომდე სიმბოლური უნდა იყოს, ან აღმასრულებელი უფლებამოსილებების რაღაც კონკრეტული პორცია უნდა ჰქონდეს მინიჭებული. ჩვენთან არც ერთია და არც – მეორე. ანუ გვაქვს მახინჯი, შუალედური მოდელი, რომელშიც არ არის უზრუნველყოფილი პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილებები და ამან შეიძლება, ძალიან ბევრი კონფლიქტი გამოიწვიოს. ეს კონფლიქტი შესაძლოა, პრემიერმაც გამოიყენოს სათავისოდ და პრეზიდენტმაც. იმის თქმა მინდა, რომ პრეზიდენტს, გამომდინარე თავისი მაღალი ლეგიტიმაციიდან და იმ ფრაგმენტული უფლებამოსილებებიდან, რაც აქვს მინიჭებული, შეუძლია, საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე. მათ შორის, პრეზიდენტს შეუძლია, დააყენოს კოალიციური მთავრობის შექმნის მოთხოვნა, იმისდა მიუხედავად, რომ პარლამენტში შესაძლოა, უმრავლესობა იყოს პრემიერ-მინისტრის მხარდამჭერი. თავისთავად, კონსტიტუციის ახალი მოდელი ბევრ საკითხს ტოვებს ბუნდოვნად, რამაც შეიძლება, გამოიწვიოს მოვლენების არაერთგვაროვანი განვითარება.

**– თავი რომ დავანებოთ ჩვენი პოლიტიკური პერსონების პროფესიონალიზმს, ჩვენ სამოქმედო სქემა, ანუ კონსტიტუციაც სრულიად უვარგისი გვაქვს.**

– აუცილებელია საკონსტიტუციო რეფორმის ორი მიმართულებით განხორციელება. ერთი, რომ უნდა დაბალანსდეს ურთიერთობები: პრემიერ-მინისტრი უნდა შეიზღუდოს თავის უფლებამოსილებებში და პარლამენტს უნდა მიენიჭოს მისი კონტროლის რეალური საშუალება და მეორე – მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს აღმასრულებელი უფლებამოსილებები პრეზიდენტსა და მთავრობას შორის.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**წლიდან წლამდე იმდენად მძიმდება ჩვენი საჯარო მეტყველება, რომ ქართული სალაპარაკო ენა არათუ გასცდა სალიტერატურო ნორმებს, არამედ, უკვე შინაარსის გაგებაც ჭირს, ისეთი უცნაური ქართულით მეტყველებენ ჩვენი პოლიტიკოსები, ჩემი კოლეგები თუ უბრალოდ ქუჩაში გამვლელები. იმის პარალელურად, რომ საქართველოს არაქართველი მოქალაქეებით დასახლებული რეგიონების მცხოვრებლებთან საკომუნიკაციო ენა საერთოდ აღარ გვაქვს. ბოლო 9 წელია, საერთაშორისო ტრიბუნებზე საქართველოს სახელმწიფო ენა თითქმის არავის გამოუყენებია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ იტალიის პრეზიდენტმა ინგლისურად მოსაუბრე ჩვენს პრეზიდენტს პროტოკოლის დაცვა სთხოვა და ქართულ ენაზე ლაპარაკი აიძულა. პარლამენტში უკვე შესულია კანონპროექტი სახელმწიფო ენის შესახებ (რადგან სარეკლამო ბილბორდებიდან ჯერ კვლავაც ახალგაზრდა უცხოურმა ენამ უკვე განდევნა სამყაროსავით ძველი ქართული ენა), თუმცა, სანამ ხალხის რჩეულები ჩვენს დედაენას რამეს უსაშველებენ, იმას, თუ სადამდე შეიძლება, მიგვიყვანოს სახელმწიფო ენისადმი ასეთმა უდიერმა დამოკიდებულებამ, ლევან ღვინჯილია განგვიმარტავს.**

# რატომ ვერ აალაპარაკა ქართულმა სახელმწიფომ სახელმწიფო ენაზე თავისი მოსახლეობის მესამედი და ვისი სუსტი წერტილია მოთხრობითი ბრუნვა

**– მეჩვენებოდა, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს რცხვენოდათ ქართულ ენაზე ლაპარაკი საერთაშორისო ტრიბუნებიდან. პრეზიდენტმა შენიშნა კიდეც ერთხელ: ქართული სულ სამ მილიონ ადამიანს ესმის დედამიწაზე, ამიტომ ინგლისურს უნდა მივეძალოთო, თუმცა, ჩემი აზრით, ქართულად მეტყველებდა რუსთაველი და ეს სავსებით საკმარისია ამ ენის პრესტიჟისთვის.**

– ქართულ ენიდან გასვლა გიწევს, როდესაც საერთაშორისო არენაზე საქმიანობ, არ მინდა, ვთქვა - „მოღვაწეობ”. სამწუხაროდ, ბოლო დროს ამ სიტყვასაც დაეკარგა თავისი ნამდვილი შინაარსი: კაცი სულ რაღაც თვე-ნახევრით იყო წასული სადღაც სამუშაოდ და ამბობს: აქა და აქ ვმოღვაწეობდიო; მას ჰგონია, რომ მისი „საქმიანობა“ იყო „ღვაწლი“. ის, რომ საზღვრები გაიხსნა; ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები გააქტიურდა; ის, რომ საქართველო ერთიან გლობალურ პროცესებში ჩართვას იწყებს, ბუნებრივია, ითხოვს ენობრივ ურთიერთობათა გააქტიურებასაც და, შეიძლება, გარე სამყაროსთან ურთიერთობა ქართულად ყოველთვის არ იყოს მოსახერხებელი და შესაძლებელი, მაგრამ ამ ყმაწვილებს, რომლთაც, ძალაუფლება რომ ჩაიგდეს ხელში, ჯერ სწავლა-განათლებაც კი არ ჰქონდათ დამთავრებული, ბუნებრივია, უჩნდებოდათ სურვილი და როგორც ჩანს, დღესაც აქვთ, უცხოელებს თავი მოაწონონ მათი ენის ცოდნით და საერთაშორისო ღონისძიებებზე „მოდური“ გახდა ინგლისურად საუბარი, უფრო ამერიკული - სლენგი. ამერიკელების დამოკიდებულება თავიანთი ენისადმი გარკვეულწილად ჩვენთანაც რაღაც ასახვას ჰპოვებს. ამერიკელს აქვს სახელმწიფო, აქვს ტერიტორია, კარგად მოწყობილი ქვეყანა, მაგრამ სხვა ქვეყნის ენაზე ლაპარაკობს და, ბუნებრივია, უჩნდება სურვილი, ჰქონდეს თავისი, ანუ „ამერიკული ენა“, რომელიც ჩამოყალიბდება მაშინ, როდესაც მაქსიმალურად დაშორდება ბრიტანულ ინგლისურს. ამერიკელებმა ამას მიაღწიეს ენისადმი მიშვებული, თავისუფალი დამოკიდებულებით. ამიტომაც წარმოუდგენელია, იქ ვინმემ დაიწყოს ინგლისური (ბრიტანული) სალიტერატურო ენის, შექსპირის ენის სიწმინდის დაცვა, ნორმების ჩამოყალიბება და შემდეგ ამ ნორმების დამკვიდრებაზე ზრუნვა...



**ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი გიორგი ახვლედიანი იტყოდა ხოლმე, არ შეიძლება, ადამიანმა მშობლიურ ენაზე უკეთესად იცოდეს უცხო ენა**

**– ღიმილს იწვევს, იმდენად არაბუნებრივი იქნება.**

– დიახ, ვიღაცას ეს შეიძლება, სასაცილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ ენისადმი ამგვარი დამოკიდებულების გადმოტანას საქართველოში, როდესაც შენი ენისადმი გაქვს ერთგვარად აგდებული დამოკიდებულება, ნორმების დაცვას ყურადღებას არ აქცევ, ტერმინოლოგიურ საქმიანობას არ ეწევი და ქართული ტერმინების დამკვიდრებაზე არც კი ზრუნავ, როგორც გინდა, ისე ლაპარაკობ, ოღონდაც გააგებინო, შედეგად მოსდევს ის ვითარება, რაც გვაქვს დღეს.

**– თუმცა სულ სხვანაირია ევროპელების დამოკიდებულება თავიანთი ენებისადმი.**

– ამერიკულის შემთხვევა იმიტომ მოვიყვანე, რომ თვალსაჩინო მაგალითია. როდესაც ერთი და იგივე ენა სხვადასხვა ტერიტორიაზე ვრცელდება იზოლირებულად, ეს იწვევს ხოლმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ფორმებისა და გამოთქმების გავრცელებას, რის შედეგადაც მივდივართ ენობრივ თავისებურებათა დაშორიშორებამდე (შდრ. ფერეიდნული დიალექტის შემთხვევა, რომელიც ოდესღაც კახური იყო), მაგრამ, თუ ამერიკელისთვის ეს არის გზა სხვა („ამერიკული“) ენის ჩამოყალიბებისა, ჩვენთვის, ქართველთათვის ეს დამღუპველია, რამდენადაც ქართული ენა არის დედაენა ქართველი ერისათვის. „დედაენა“ მხოლოდ „მთავარს“ და „უმთავრეს ენას“ არ ნიშნავს, ის აყალიბებს ერს ერად. რომ არა ქართული ენა, ისტორიული ქართველური ტომები ერთ ქართველ ერად ვერ ჩამოყალიბდებოდა. მეგრელ-ლაზებს, სვანებსა და ქართებს, კიდევ სხვა ენათა წარმომადგენელ ჩვენი ერის შექმნაში მონაწილე ტომებს ქართულმა ენამ მისცა ეს პერსპექტივა და ქართული ენით მოხერხდა ის, რომ დღეს ქართველ ერში მოიაზრება არამხოლოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველური ტომები, არამედ ის ეთნოსებიც, რომლებიც მხოლოდ საქართველოში ცხოვრობენ, სხვა სამშობლო არსად აქვთ და ამ დროს ქართველურ ენათა ჯგუფს არ მიეკუთვნებიან. მხედველობაში მყავს წოვა-თუშები. წოვათუშური ანუ ბაცბური არის ჩაჩნურისა და ინგუშურის მონათესავე ენა, მაგრამ წოვა-თუშები დღეს, აგრეთვე, ქართველები არიან, ისეთივე ორენოვნები, როგორც მეგრელ-ჭანები (ლაზები) და სვანები და მათი დედაენა, მშობლიურ ბაცბურთან ერთად, არის - ქართული.

ამავე გზას ადგას პანკისის ხეობის კიდევ ერთი მოსახლეობა ქისტების სახით. ასევე, არიან შემოსული ქართულ ენობრივ-სახელმწიფოებრივ სხეულში უდიები, ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანის მცხოვრებლები. ეს არის ისტორიული ალბანეთის გადარჩენილი მოსახლეობა, ჩამოსახლებული მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. ისინიც უკვე საკუთარ თავს, სავსებით სამართლიანად, აიგივებენ ქართველებთან.

**– ოსების შემთხვევაშიც ასე არ არის?**

– ჩვენში მცხოვრები ოსები უკვე ლინგვისტურად ქართველი ერის ნაწილად იყო ქცეული, რა გზასაც უნდა დავდგომოდით აფხაზების შემთხვევაშიც. ეს ერთიანობა მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ენის მეშვეობით და ამიტომაც ამბობდა ფარნავაზზე მეისტორიე: „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. თუ სახელმწიფოს გათვალისწინებული არა აქვს ენის შემაკავშირებელი ფუნქცია, მაშინ ეს ფუნქცია ნელ-ნელა მოირყევა და თვითნებობას ეძლევა გასაქანი. საქართველოში არსებობდა სალიტერატურო ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია; მას „მუდმივი“ კი ერქვა, მაგრამ სააკაშვილსითვის სხვა რა იყო „მუდმივი“, ეს რომ ყოფილიყო და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმა იმიტომ, რომ „მათ“ იციან, როგორ უყურებენ თავიანთ ენას ამერიკელები, ენაზე ზრუნვა სასაცილოა ამერიკელისთვის, მაგრამ საქართველოში ეს საკითხი სხვანაირად დგას. ქართველისთვის ენა არის თავისთავადობის, თვითმყოფადობის, გადარჩენის ერთადერთი საშუალება. თითოეული ერი, ამ სიტყვის ეთნიკური და არა „ამერიკული“ მნიშვნელობით, არის კაცობრიობის სახეობა და ეს სახეობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, რომ განსხვავებულად აღიქვამენ სამყაროს. სხვადასხვანაირად უყურებენ სამყაროს: სომეხი, რუსი, ბერძენი, ჩინელი... შესაბამისად, განსხვავებულად აზროვნებენ და განსხვავებულად ქმნიან. ქართველი, თავისი ენის კვალობაზე, ქმნის „ვეფხისტყაოსანს“, „ჩაკრულოს“, ვაზისა და ხორბლის სხვადასხვანაირი ჯიშები გამოჰყავს. ვიღაცამ, შეიძლება იკითხოს: რა კავშირშია ენა ვაზთანო? სწორედაც რომ უშუალო კავშირშია, რადგანაც ეს არის ქართული აზროვნების, სამყაროს ქართველისეული ხედვის, მის განსხვავებულ აზროვნებაზე დამყარებული ქმნადობის შედეგი და ეს ასევე ძალიან კარგად ჩანს ქართულ პოლიფონიაში, რომელიც უბადლო და უანალოგოა მთელ მსოფლიოში და იმდენად განსხვავებულია, რომ ამერიკელებმა, როდესაც სხვა პლანეტელების გასაოცებლად დედამიწიდან კოსმოსში რაღაც ატრიბუტები გააგზავნეს, მათ შორის ერთ-ერთი იყო ქართული ხალხური სიმღერა. ქართველებისთვის არც უკითხავთ, ისე გააგზავნეს, როგორც დედამიწაზე არსებული კაცობრიობის ერთ-ერთი სახეობის მიერ შექმნილი უნიკალური შემოქმედებითი ნიმუში. არადა, „ჩაკრულოსნაირი“ რამდენი გვაქვს ქართველებს აქ? ეს არის ქართულ ენაზე მოაზროვნე ადამიანის მიერ შექმნილი კულტურის ნიმუში. კულტურული ქმნადობა ენობრივ შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. ქართველს მხოლოდ მისი ენა აქცევს ქართველად.

**– ჩვენი მეტყველების დამახინჯება ხომ მიანიშნებს აზროვნების დამახინჯებაზეც?**

– ეს არის ამის სიგნალი, ოღონდ პირიქით, ეს იმის გამოვლინებაა, რომ ადამიანს შიგნით, სააზროვნო აპარატში აქვს რაღაცა მოუწესრიგებელი. მეტყველების თავისებურებასა და ენის გამართულობას რომ არ აქცევენ ყურადღებას, ამას ემატება ისიც, რომ მახინჯდება წარმოთქმული ტექსტის შინაარსიც.

**– ჩვენ გვყავდა განათლების ერთი მინისტრი, რომელიც გამართულად ვერ წერდა მარტივ სიტყვას და კიდევ ერთი მინისტრი, რომელიც მეტყველებისას ქვემდებარესა და შემასმენელს პირში ვერ უთანხმებდა ერთმანეთს.**

# კოლხი წინასწარმეტყველი – მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი პარაფსიქოლოგი

*უძლიერესი პარაფსიქოლოგი და წინასწარმეტყველი – კოლხი ნათია ბავშვობიდან უფლის უსაზღვრო სიყვარულით კურნავს ხალხს. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით – კურნავს შიშებს, ნევროზს, უძილობას, უშვილობას, უბარაქობას. ბევრ პრობლემას ლოცვით შველის. მან უამრავ ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი.*



**– ქალბატონო ნათია, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი ბედნიერი და სრულიად ჯანმრთელი იყოს?**

– უპირველესად, საჭიროა, მოეხსნას ყველა ნეგატიური ძალა: ჯადო, თვალი, ბედის ჩაკეტილობა, უბარაქობა. ამისთვის 2-3 ვიზიტიც საკმარისია.

***აი, რას ყვებიან ნათიას შესახებ მისი პაციენტები:***

**ვახტანგ კ-ძე** *(42 წლის, ბიზნესმენი):* აქ ჩემმა მეუღლემ მომიყვანა. მოგეხსენებათ, კაცებს ნაკლებად გვჯერა ასეთი რამეების, მაგრამ, ხომ გაგიგიათ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. წარმატებული ბიზნესი თითქმის დანგრევის პირას მივიდა, ოჯახშიც ამერია ყველაფერი, უკან-უკან მივდიოდით. როგორც აღმოჩნდა, ამ ყველაფრის მიზეზი ჯადო ყოფილა, რომელიც ნათიას წყალობით მოგვეხსნა... ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილას დადგა, ამოვისუნთქეთ. ულრმესი მადლობა ამ ღვთისნიერ ქალბატონს.

**ნანა მ-შვილი** *(30 წლის):* კინაღამ 10 წლის ოჯახი დამენგრა, ჩემმა მეუღლემ საყვარელი გაიჩინა და ოჯახის მიტოვება რომ გადაწყვიტა, მაშინ მივედი ქალბატონ ნათიასთან და როგორ შეიძლება, მისი მადლიერი არ ვიყო, ჯადო, რომელიც ჩემს მეუღლეს საყვარლისგან ჰქონდა გაკეთებული, ნათიას წყალობით მოგვეხსნა. ჩვენ ისევ ბედნიერი ოჯახი გვაქვს.

**თიკა ქისტაური,** *35 წლის, (ყაზბეგი):* ჩემი 5 წლის ბიჭი ჭირვეული ბავშვი იყო, უძილობა ჰქონდა. თან, ღამით გამუდმებით ტიროდა. ამდენი უძილობით, მეც ნევროზი დამემართა, ქმარს ყველაფერზე ვეჩხუბებოდი. მან კი, როგორც ხდება ხოლმე, საყვარელი გაიჩინა... ***(ტირის).*** ბავშვი ნათიას მოვუყვანე, მან შეულოცა, თილისმა გაუკეთა და მართლა სასწაული მოხდა – ეს თილისმა ჩვენი ოჯახის დამცველად იქცა. უამრავი პრობლემა მომეხსნა, ქმარიც დაშორდა საყვარელს და დღეს რომ მშვიდი ოჯახი მაქვს, მთლიანად ქალბატონი ნათიას დამსახურებაა.

**დათო გ-ძე**: ჩვენი ოჯახი ბოლო წლებია, ფინანსურად დაუძლურდა. ქალბატონ ნათიასთან ძმაკაცმა მიგვიყვანა. ამ ყველაფრის მიზეზი საგვარეულო წყევლა ყოფილა, თურმე გათვალვასაც არანაკლები უბედურების მოტანა შესძლებია. ნათიამ ლოცვა წაგვიკითხა, თილისმაც დაგვიმზადა. რამდენიმე თვეში მუშაობა დავიწყე. პრობლემები ნელ-ნელა მოგვეხსნა. ყველას ვურჩევთ, დროულად მიაკითხონ მას, რადგან ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ნამდვილად შეუძლია.

***ჩაწერა ხდება წინასწარ, ტელეფონებზე: 599-98-74-25; 514-45-18-81.***
***Skype bulvarzelioni***

– თუ შაშკინი გყავთ მხედველობაში, მას რუსულენოვანი განათლება აქვს მიღებული და ამიტომაც უჭირდა მოთხრობითი ბრუნვის სწორად გამოყენება. საერთოდ, საქართველოში მცხოვრები არაქართველურენოვანი ეთნოსების პრობლემაა მოთხრობითი ბრუნვა. ზოგჯერ მსგავსი რამ ეთნიკურ ქართველებსაც ემართებათ ხოლმე, თუ სხვა (ინდოევროპულ) ენაზე აქვთ მიღებული განათლება. მოთხრობითი ბრუნვა ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელიც მათ, ამ მხრივ, „ამხელს“. შორს რომ არ წავიდეთ, ქვეყნის ხელისუფლების ეს დამოკიდებულება თავისი ენისადმი არის ასახული იმ ვითარებაში, რაც დღეს გვაქვს, ხოლო საკუთრივ ეს ვითარება ვილაცითვის არის ქვეყნის სამომავლო გეზის შემადგენელი ნაწილი. იქეთკენ მივდივართ, რომ ეროვნული თავისებურება კი არ იყოს შენარჩუნებული და განვითარებული, პირიქით, განსხვავება იყოს ნიველირებული და მაქსიმალურად დავუახლოვოთ ერთმანეთს სხვადასხვა ეთნოსების მოქალაქეობრივი ერთიანობა. გზა არის ორნაირი: ან „სინგაპურის აშენება“, როდესაც სახელმწიფო ენა იქნება სხვა (მაგალითად, ინგლისური) ან ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელშიც სხვა ეთნოსების წარმომადგენლები, სავალდებულო წესით, ისევე, როგორც ეს არის ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში, გნებავთ, იმავე ამერიკაში, დაეუფლებიან სახელმწიფო ენას. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ბოლო ათწლეულების განმავლობაში საამისოდ მნიშვნელოვანს თითქმის არაფერს აკეთებს.

**– ძალიან დიდი ეჭვი მიჩნდება, რომ ჩვენი უცხოურ ენაზე ამეტყველებული ჩინოვნიკები ისეთივე ხარისხით მეტყველებენ, როგორც ქართულად?**

– ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი გიორგი ახვლედიანი იტყოდა ხოლმე, არ შეიძლება, ადამიანმა მშობლიურ ენაზე უკეთესად იცოდეს უცხო ენაო. არამხოლოდ ის არის მთავარი მშობლიურ ენაზე მეტყველებდე გამართულად, არამედ, ამ ენის შენარჩუნების, განვითარებისა და დაფასების მოთხოვნილება უნდა გქონდეს, რადგან ეს არის შენი ერის პერსპექტივის გამომხატველი. დღეს ჩვენს სახელმწიფოს უჭირს თავის მოქალაქეებთან ლაპარაკი, რადგან, სახელმწიფო ენაზე თუ დაელაპარაკება, მას მოსახლეობის მესამედი ვერ გაუგებს. ეს პრობლემა მოსაგვარებელია და მას ინგლისურის ინტენსიური სწავლება ვერ უშველის. ამას შემდეგ მივყავართ სეპარაციისკენ და იქითკენ, რომ ის ადამიანი გაუცხოებული ხდება. არასდროს ქისტებს, წოვა-თუშებს, უდიებსა თუ სხვებს, ვისაც ენობრივი ბარიერი დაძლეული აქვთ, თავში არ მოუვათ სეპარატიზმი. მაგრამ აგერ თითქმის ჩვენ თვალწინ, 1828 წელს, პასკევიჩის დროს სამცხე-ჯავახეთში რომ ჩამოასახლეს თურქეთის ტერიტორიიდან სომხები, თურმე, ეს ყოფილა „სომხეთის ძირძველი ტერიტორია“ და იქ ჩვენ, სამწუხაროდ, ქართული ენა ჯეროვნად ვერ გავავრცელეთ.

**– მე ვიტყოდი, არ გავავრცელეთ, რადგან ყველა ხელისუფალს აძლევს ხელს, ჰყავდეს სახელმწიფო ენის არმცოდნე მოსახლეობა, რომელიც არჩევნებისას გარანტირებულად მისცემს ხმას, მათ შორის, იმიტომაც რომ გაუცხოებულია.**

– ყოველ შემთხვევაში, ამის მცდელობა რამდენიმეგზის იყო, მაგრამ - წარუმატებელი. მათ შორის, მაშინაც, როდესაც მეც ვიყავი სახელმწიფო მოხელე და ახლა ზუსტად ვიცი, რომ ის გზები, რითაც ხელისუფლება ცდილობდა ამ ხარვეზის გამოსწორებას, იყო მცდარი.

**– მეტყველების რა სიმახინჯეებია ყველაზე ყურში მოსახვედრი?**

– მე უფრო ზოგადს მივაქცევდი ყურადღებას. ჩვენ დღეს გვაქვს კანონი რეკლამის შესახებ, რომელიც 1998 წელსაა მიღებული და, სამწუხაროდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მათ შორის - დედაქალაქის მერი და საკრებულო) აბსოლუტურად არაფერს აკეთებენ, რომ ამ კანონის მოთხოვნები დაიცვან... და დღეს რუსთაველის პროსპექტიდან, დედაქალაქის მაღლივი შენობებიდან ქართული ანბანი განდევნილია. ამ ობიექტების მეპატრონეთა უმეტესობას შენი სახელმწიფო ენა ფეხებზე ჰკიდია და ხელმძღვანელობს დედაენის ხარჯზე მეტი ფულის დაზოგვის პრინციპით. ამგვარი დამოკიდებულების მიმართ ბევრ უცხოურ ქვეყანაში იქნებოდა ძალიან მძაფრი რეაქცია ხელისუფლების მხრიდან, ჩვენში კი ამას რატომღაც ვერც კი ამჩნევენ ისინი, ვისაც კანონით ევალებათ ამაზე ყურადღების გამახვილება..

რაც შეეხება იმას, თუ რანაირად მახინჯდება ქართული ენა, ხშირად ეს არის არცოდნა სიტყვათა მნიშვნელობისა. მაგალითად, არცოდნა ისეთი სიტყვის მნიშვნელობისა, როგორიც არის „სპონსორი“. ჩვენ ყველა გადაცემაში გვესმის, რომ გადაცემის სპონსორია ესა და ეს. შესაბამისი კანონი განმარტავს, რომ „სპონსორი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი“... და ასე შემდეგ. მთავარია, რომ ის აუცილებლად „პირი“ უნდა იყოს, უნდა მოიხსენიებოდეს კითხვით - „ვინ?“... როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ გადაცემის სპონსორია „ჰიგიენური პაკეტი“, ან გაყინული „ქათმის ბარკალი“, ან „კათხა ლუდი“ და მისთანანი, უტიფრად გვატყუებენ, რადგან არ შეიძლება, გადაცემის სპონსორი იყოს „რა“ ჯგუფის სახელი. რას ნიშნავს ეს? რომ არც ერთ ტელე- თუ სარეკლამო კომპანიაში არ იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა?! ეს ხდება იმიტომ, რომ სარეკლამო და სასპონსორო თანხები განსხვავებულად იბეგრება. ერთი სიტყვის შესახებ ვმსჯელობთ და ვრცელი საუბარი კი გამოგვივიდა, მაგამ ამ ერთ მაგალითში ჩანს დამოკიდებულება შენი ენისადმი. თუ ჩვენ გვინდა, რომ ქართველი, როგორც კაცობრიობის სახეობა, მანამ სახლობდეს დედამიწაზე, სანამ საკუთრივ დედამიწა იარსებებს, ეს იქნება შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანთა ეს სახეობა ქართულ ენაზე იაზროვნებს, იმეტყველებს და კულტურულ ქმნადობას განაგრძობს, სხვანაირად ჩვენ შეიძლება, რომელიღაც ერში გავითქვიფოთ. ფიზიკურად ჩვენი „დეენემის“ მატარებელი ადამიანთა რაღაც რაოდენობა არსებობდეს, მაგრამ არ იქნება ქართული ენა, ქართულად აზროვნება. ჩვენზე ბევრად უფრო დიდი ეთნოსები გადაგვარებულან, გამქრალან დედამიწის ზურგიდან. მე-19 საუკუნის შუა წლებში თურქეთში გადასახლებული უბიხები მთლიანად გაქრნენ და დღეს უბიხური, სამწუხაროდ, მკვდარი ენაა... ეს პროცესი გრძელდება.

**ნინო ხაჩიძე**

**დარეგისტრირდით OXFORD HOUSE-ში**

**18 სექტემბრამდე ზოგადი ინგლისურის კურსზე და ისარგებლეთ 45% ფასდაკლებით, გადაიხადეთ თვეში 55 ლარი.**

სწავლება მიმდინარეობს საერთაშორისო New English File პროგრამით.

ალნიშნული კურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია 4 ძირითადი უნარის: მეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის გაუმჯობესებაზე.

OXFORD HOUSE-ში თქვენ გეძლევათ საშუალება დაესწროთ 1 საცდელ გაკვეთილს სრულიად უფასოდ.

თითოეული საფეხურის შემდეგ გაიცემა საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატი.

ასევე გთავაზობთ TOEFL, IELTS, FCE, ბიზნეს ინგლისურის და აბიტურიენტის მოსამზადებელ პროგრამას.

**იყავი წარმატებული ოქსფორდელი და გაემგზავრე ლონდონში williams college-ში.**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მის: თბილისი, რ.თაბუკაშვილის N 1**
**ტელ: 0790 115 115; (+995 32) 2 99 56 76**
**oxfordhousecentre@gmail.com www.oxford.ge**
**http://www.facebook.com/oxford.ge**

# რის გამო გაარტყა ხელი მცირეწლოვან ბავშვს რუმინეთის პრეზიდენტმა და როდის ჩააბარა მან საგზაო პოლიციაში ტესტი ორგანიზმში ალკოჰოლის შემცველობის დასადგენად

*რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბესესკუმ ბოლო პერიოდში საქართველოსთან დაკავშირებული რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი აზრით, კოსოვოს აღიარებით, დასავლეთმა გზა გაუხსნა რუსეთს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" აღიარებისკენ, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუკი ამერიკა სირიის კონფლიქტში ჩაერევა, რუსეთი „დნესტრისპირეთს" აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ბესესკუს ეს ვარაუდი, რომელიც ნამდვილად არ გახლავთ რეალობას მოკლებული, ექსპერტებს შორის უკვე იქცა განსჯის საგნად. ტრაიან ბესესკუ რუსეთში ნაკლებად უყვართ, ის მოლდავეთის მეგობრად ითვლება და, თავისთავად, რუსეთისთვის მიუღებელი პოლიტიკოსია.*

* ტრაიან ბესესკუ დაიბადა 1951 წელს რუმინეთში, ყოფილ სოფელ მურფატლარში, ამჟამად ქალაქ ბასარაბიაში. 1976 წელს ბესესკუმ დაამთავრა „მირჩა ჩელ ბატრას" საზღვაო ინსტიტუტის ნავიგაციის ფაკულტეტი და, სწავლის დასრულებისთანავე, 1976-1981 წლებში, იგი მესამე, მეორე და პირველი რანგის საზღვაო ოფიცრის თანამდებობებზე კონსტანცაში, სავაჭრო ფლოტის კოპანია „ნავრომში" მსახურობდა. 1981-1989 წლებში ბესესკუ გემების – „არჯესის", „კრიშანასა" და „ბირუინტას" კაპიტანი იყო. ცნობისთვის, „ბირუინტა" რუმინული ფლოტის ყველაზე მსხვილი სანავთობო ტანკერია. საზღვაო კარიერის პერიოდში წამოწეული იყო საკითხი ბესესკუს კავშირზე რუმინელი დიქტატორის ნიკოლაე ჩაუშესკუს რეჟიმის უშიშროების სამსახურებთან. თვითონ ბესესკუმ არაერთხელ აღნიშნა, რომ მას ჰქონდა კავშირები უშიშროების ოფიცრებთან, თუმცა, ეს მხოლოდ იმ პერიოდში ხდებოდა, როდესაც იგი კომპანია „ნავრომის" ბელგიის ბიუროში მუშაობდა.

* რუმინულმა გამოცემა „გარდიანულმა" გამოაქვეყნა ვიდეორგოლი, რომელზეც ქვეყნის პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუ მცირეწლოვან ბავშვს ხელს ურტყამდა. რგოლი 2004 წლით თარიღდება, იმ პერიოდით, როდესაც ბესესკუ რუმინეთის პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრიდა. ვიდეოჩანაწერზე მკაფიოდ ჩანს ტრაიან ბესესკუ, რომელიც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ხვდება მოსახლეობას, საუბრობს ქალბატონებთან, რომლებიც მას ქაღალდის შეკვრას აწვდიან, შემდეგ კი ხელს ართმევს. ამ დროს ერთ-ერთ ქალბატონთან მდგარი პატარა ბავშვი რაღაცას ეუბნება ბესესკუს, რაზეც პრეზდენტობის კანდიდატი ბავშვს სახეში გარტყმით პასუხობს, რის შემდეგაც ბავშვი იცინის. რგოლის გამოქვეყნების შემდეგ ჟურნალისტებმა მოძებნეს ის ბავშვი, იმ დროს 10 წლის ბოგდანი იხსენებდა, რომ მან შეურაცხმყოფელი სიტყვები უთხრა ბესესკუს, რომელმაც მას სახეზე ხელი წაუთათუნა. თვითონ ბესესკუმ კი განაცხადა, რომ მას ცხოვრებაში არ გაურტყამს ბავშვისთვის და რგოლის გამოქვეყნება კარგად დადგმულ პროვოკაციად შეაფასა.

* რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუ ავტოსაგზაო ავარიის მიზეზი გახდა. ინციდენტი 2008 წლის მარტში ბუქარესტში, საპრეზიდენტო რეზიდენციასთან მოხდა, როდესაც „ფოლკსვაგენ-გოლფი", რომელსაც ტრაიან ბესესკუ მართავდა, მსუბუქ ავტომობილ „დაჩიას" უკანა მხრიდან შეეჯახა. არც ერთი მძღოლი არ დაშავებულა, ტრაიან ბესესკუ კი, პირად დაცვასთან ერთად, პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა და ჩააბარა ტესტი ორგანიზმში ალკოჰოლის შემცველობის დასადგენად, რომელმაც უარყოფითი პასუხი აჩვენა; ასევე, მას დაეკისრა 40 დოლარის ეკვივალენტის საჯარიმო სანქცია. აღსანიშნავია, რომ ტრაიან ბესესკუმ აღიარა თავისი ბრალეულობა ავარიაში,



იმის მიუხედავად, რომ „დაჩიას" მძღოლი კატეგორიულ უარს აცხადებდა რაიმე სახის ჩივილზე.

* რუმინელი ჟურნალისტების ცნობით, პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუ თვეში 100 ევროზე ცხოვრობს; ამასთან, პრეზიდენტი არის ერთადერთი დასაქმებული პირი ოჯახში – მისი მეუღლე და ორი სრულწლოვანი ქალიშვილი, დეკლარაციის თანამხად არასად არ მუშაობენ და, ამიტომ, ბესესკუს ოჯახი ეკონომიურად ცხოვრობს, ხოლო მათ საკუთრებაში შედის: 2003 წლის გამოშვების ავტომობილი „დეუ მატიზი", 20 ათასი დოლარის ძვირფასეულობა, 35 ათასი დოლარის ღირებულების კედლის საათი, 7 ათას დოლარად შეფასებული მხატვრული ტილო; გარდა ამისა, სხვადასხვა ბანკში ტრაიან ბესესკუს 100 ათასი დოლარი და 170 ათასი რუმინული ლეი ერიცხება.

* 2006 წელს ბუქარესტის საფეხბურთო კლუბი „სტიაუა" „უეფას" თასის ნახევარფინალში გავიდა და ამ მოვლენის აღსანიშნავად რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბესესკუმ „სტიაუს" მთლიანი შემადგენლობა რესტორანში დაპატიჟა. შუა ქეიფის დროს, რესტორანში ფოტოგრაფებმა პრეზიდენტი ღვინით სავსე ჭიქით დააფიქსირეს, რომლითაც იგი „სტიაუას" პრეზიდენტს ჯიჯი ბეკალს ადღეგრძელებდა, რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ კი, პრეზიდენტი თვითონ მიუჯდა თავისი ავტომობილის საჭეს და სახლში წავიდა. რუმინულმა პრესამ პრეზიდენტი რუმინული კანონების უგულებელყოფაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ პრეზიდენტი არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა ავტომობილს, რაც დაუშვებელია. ტრაიან ბესესკუს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია ამ საკითხთან დაკავშირებით.

* რუმინეთის პრეზიდენტ ტრაიან ბესესკუს, თავისი ყოფილი ამერიკელი კოლეგის, ჯორჯ ბუშის მსგავსად, ხშირად ერევა ერთმანეთში ქალაქების სახელწოდებები. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მას მოლდოვური ქალაქი კაგული ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში აერია. ბესესკუ კაგულს რუმინული საკონსულოს გახსნის მიზნით ესტუმრა და სწორედ მაშინ დაუშვა ეს შეცდომა.

* რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბესესკუმ თავისი მკურნალი ექიმი შემდეგნაირად დაახასიათა: „ის არის ყველაზე კომპეტენტური სომეხი, რომელიც ცხოვრებაში შემხვედრია". პრეზიდენტის ამ ფრაზამ რუმინეთის ფინანსთა მინისტრის, ეთნიკური სომეხის, ვარუჟან ვოსგანიანის უკმაყოფილება გამოიწვია და მან ბესესკუ სომხების დისკრიმინაციაში დაადანაშაულა.

* რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბესესკუმ ბოდიში მოუხადა ტელეჟურნალისტს, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე მობილური ტელეფონი წაართვა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ინციდენტი 2007 წლის მაისში მოხდა. ტრაიან ბესესკუ და მისი მეუღლე ბუქარესტის ერთ-ერთ სუპერმარკეტში იყვნენ შესულები, სადაც ისინი ტელეარხ „ანტენა-1-ის" ჟურნალისტმა ანდრეა პანემ დაინახა და გადაწვიტა, მობილური ტელეფონის ვიდეოკამერით დაეფიქსირებინა ეს ფაქტი, რამაც ბესესკუს აღშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტი მიეჭრა ჟურნალისტს, ხელიდან წაართვა ტელეფონი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოგვიანებით მობილური ტელეფონი პანეს ბესესკუს დაცვის თანამშრომელმა დაუბრუნა, ხოლო მეორე დღეს პრეზიდენტმა ოფიციალურად მოიხადა ბოდიში.

* რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბესესკუმ უხერხულად მოიხმარა ყურის საწმენდად განკუთვნილი ბამბიანი ჩხირი და იძულებული გახდა, ოტოლარინგოლოგისთვის მიეკითხა. საავამდყოფოში მისულ პრეზიდენტს რამდენიმე ათეული ჟურნალისტი მიჰყვა თან. პრეზიდენტის ოპონენტების ვარაუდით, ბესესკუ საავადმყოფოში გადაღლილობამ მიიყვანა, თუმცა, მოგვიანებით, ტრაიან ბესესკუმ თვითონ გააკეთა განცხადება: „დილით, შხაპის მიღების შემდეგ, გადავწყვიტე, ყურები გამეწმინდა, მაგრამ, ბამბის ჩხირი არასწორად მოვიხმარე და ყური დავიზიანე, რამაც ჩემი სავაადმყოფოში მისვლა გამოიწვია".

* 2011 წლის ივნისში რუმინეთსა და რუსეთის შორის დიპლომატიური სკანდალი მოხდა. ოპერაცია „ბარბაროსას" დაწყებიდან 70 წლის იუბილეზე, ბესესკუმ რუმინეთის ფაშისტური ლიდერის, იონ ანტონესკუს მხარი დაიჭირა და განაცხადა, რომ ანალოგიურად მოიქცეოდა. საუბარია 1941 წლის 22 ივნისს ანტონესკუს მიერ გაცემულ ბრძანებაზე, რომლის თანახმად რუმინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარმა მდინარე პრუტზე გადმოიწია.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რა გზით მოიპოვა პირველი მილიონი დაღესტნელმა სულეიმან ქერიმოვმა და რამდენი ოფიციალური საყვარელი ჰყავდა მას

***2013 წლის 3 სექტემბერს ინტერპოლმა, რესპუბლიკა ბელარუსის მოთხოვნის საფუძველზე, საერთაშორისო ძებნილად გამოაცხადა ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ტირაჟირებული რუსი ოლიგარქი, საფეხბურთო კლუბ „ანჟის" მფლობელი სულეიმან ქერიმოვი. „ფორბსის" 2013 წლის მონაცემებით, სულეიმან ქერიმოვის კაპიტალი 7,1 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს და მას მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში 162-ე ადგილი უკავია.***

სულეიმან აბუსაიდის ძე ქერიმოვი 1966 წელს დაიბადა ქალაქ დერბენტში, დაღესტანში. მამამისი პროფესიით იურისტი, პროკურატურაში გამომძიებლად მუშაობდა, ხოლო დედა შემნახველ სალაროში მთავარი ბუღალტერი იყო. სულეიმანი უმცროსი შვილი გახლდათ ოჯახში, მისი უფროსი ძმა ექიმია, ხოლო და – რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ყმაწვილობაში სულეიმანი გატაცებული იყო ძიუდოთი და სიმძიმეების აწევით და ამ სპორტის სახეობებში მნიშვნელოვანი წარმატებებიც ჰქონდა მიღებული ახალგაზრდულ სპარტაკიადებზე. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, სულეიმანმა დაღესტნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები და პირველი კურსის დასრულების შემდეგ ჯარში წავიდა. 1984-1986 წლებში მომავალი ოლიგარქი სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო დივიზიაში მსახურობდა და 1987 წელს ინსტიტუტში უფროსი სერჟანტის წოდებით დაბრუნდა, ოღონდ, ამჯერად ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, სულეიმანმა თავის თანაკურსელ ფირუზაზე იქორწინა, რომლის მამა გავლენიანი პარტიული ჩინოვნიკი იყო და სიძე თავდაცვის სფეროსთვის განკუთვნილ ელექტროქარხანა „ელტავში" ეკონომისტის თანამდებობაზე მოაწყო. ქარხანაში ქერიმოვმა წარმატებული კარიერა გაიკეთა და რიგითი თანამშრომლიდან მთავარი დირექტორის მოადგის ადგილამდე ხუთ წელიწადში მიაღწია. საბჭოთა კავშირის დაშლის გამო, ქარხნის პროდუქციის მომხმარებელთა დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციის გარეთ დარჩა და, მომხმარებელთან ანგარიშსწორების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, 1993 წელს, „ელტავის" დირექციამ მოსკოვში ფედერალური სამრეწველო ბანკი დაარეგისტრირა, რომლის მართვა სულეიმან ქერიმოვს დაევალა. დამწყებმა ბიზნესმენმა მოსკოვში საქმიან წრეებთან ურთიერთობები ააწყო. როდესაც რუსეთის ბიუჯეტიდან 500 მილიონი დოლარი გამოიყო სახელმწიფო კვების მარაგების შესავსებად, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ ფედერალურ სავაჭრო პალატას (რომლის ხელმძღვანელი იყო ქერიმოვის ძველი ნაცნობი, კომუნისტური პარტიის დაღესტნის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, მაგომეტდაგირ აბდულბასიროვი) და სულეიმან ქერიმოვის დაქვემდებარებაში მყოფ ბანკს, დაევალათ თანხის ხარჯვის კონტროლი. დღემდე უცნობია, რამდენი მილიონი დაიხარჯა სახელმწიფოს სასარგებლოდ, ცნობილი კი ის არის, რომ არანაირი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა არც ქერიმოვის და არც აბდულბასიროვის მიმართ. ამ საქმიდან ისე გამოვიდა, რომ ქერიმოვი 1997 წლისთვის რამდენიმე მილიონდოლარიან ქონებას ფლობდა და სწორედ აქედან იწყება მისი, როგორც მილიარდერის, კარიერის აღმასვლა.

1998 წელს ქერიმოვმა ნავთობპროდუქტებით მოვაჭრე კომპანია „ნაფტა-მოსკვას" აქციათა 55 პროცენტი შეიძინა. გარდა ამისა, იგი, რომან აბრამოვიჩთან და ოლეგ დერიპასკასთან ერთად, „ავტობანკის", „როსგოსტრახის", „ინგოსტრახ-როსიასა" და კომპანია „ნოსტას" აქციების მფლობელი გახდა. იმ პერიოდში ქერიმოვი რუსეთის დუმის დეპუტატი იყო ვლადიმირ ჟირინოვსკის პარტია „ლიბერალ-დემოკრატებიდან". ცნობილია, რომ ის საკმაოდ სოლიდურ თანხებს რიცხავდა ჟირინოვსკის პარტიაში. დღეისათვის სულეიმან ქერიმოვი ვლადიმირ პუტინის „ედინაია როსიას" პარტიის წევრია. რაც შეეხება მის ბოლო დროინდელ ბიზნესაქტივებს, ქერიმოვი ფლობს: „გაზპრომის" აქციების 4,5 პროცენტს, „სბერბანკის" 2 პროცენტს, „პოლიმეტალის" 75 პროცენტს, „ნაციონალურ ტელეკომუნიკაციურ სისტემებს", „მოსსტროიეკონომბანკსა" და სავაჭრო ცენტრს „სმოლენსკი პასაჟი", ასევე, „უარლკალიუმის", „ვნეშტორგბანკისა" და „პოლის გოლდის" აქციებს. გარდა ამისა, ქერიმოვი იმ 50 რუსი მილიონერის სიაში შედის, რომლებსაც ჰყავთ საკუთარი „ბოინგ 737-700", რომლის ფასი 50 მილიონი დოლარია. ქერიმოვი, ასევე, ფლობს ძვირად ღირებულ იახტებს: Ice (91 მეტრიანი) და Millenium (36 მეტრიანი).



გარდა სამეწარმეო საქმიანობისა, სულეიმან ქერიმოვი საფეხბურთო კლუბების ყიდვითაც გახლდათ დაინტერესებული. ცნობილი იყო მისი დაინტერესება მოსკოვის „დინამოთი", რომლის ყოფილი პატრონი, ალექსეი ფედორიჩევი, მისი ბიზნესპარტნიორი იყო. 2005 წელს ინტენსიური საუბარი მიდიოდა „ნაფტა-მოსკვას" მიერ იტალიური „რომას" შეძენის შესახებ. დაღესტნელი მილიარდერი რომაულ კლუბში 400 მილიონ დოლარს იხდიდა, მაგრამ, საბოლოოდ, მოლაპარაკება არ შედგა. შემდეგ იყო რამენსკოეს „სატურნის" ყიდვის მცდელობა, თუმცა, ეს გეგმაც ჩაიშალა. საბოლოოდ 2011 წლის იანვრიდან სულეიმანმა აისრულა ოცნება – მახაჩკალის „ანჟი" იყიდა და დაიწყო სუპერკლუბის მშენებლობა. თავდაპირველად ქერიმოვმა ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რობერტო კარლოსი შეიძინა, რასაც მოჰყვა კიდევ არაერთი გახმაურებული ტრანსფერი, მათ შორის – სამუელ ეტოოს, იური ჟირკოვის, ვილიანის, ლასინა ტრაორეს, იგორ დენისოვის, ლასანა დიარას ტრანსფერები. „ანჟი", რუსული პრესის ცნობით, „ვარსკვლავებს ეთამაშებოდა": ქერიმოვი მილიონებს ახარჯავდა კლუბს, ფეხბურთელებს მოსკოვში აცხოვრებდა და მხოლოდ თამაშის დღეს ჩაჰყავდა მახაჩკალაში. სამუელ ეტოოს პირადი თვითმფრინავი ემსახურებოდა, ხოლო მწვრთნელის – გუუს ჰიდინკის ხელფასი 15 მილიონ ევროს შეადგენდა. „ანჟის ზღაპარი" 2013 წლის აგვისტოში დასრულდა, როდესაც ქერიმოვს ბიზნესპრობლემები დაეწყო და მას კლუბის დაფინანსებისთვის საკმარისი ხარჯები აღარ ჰქონდა. „ანჟიმ" გაყიდა ყველა ვარსკვლავი და კლუბის სტრატეგია სრულიად შეცვალა. ინტერპოლით ძებნილი სულეიმან ქერიმოვის კლუბის ბედი კი ჯერაც გაურკვეველია.

ბიზნესინტერესების გარდა, სულეიმან ქერიმოვს რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი დონჟუანადაც იცნობენ. 2006 წელს ნიცაში მომხდარი გახმაურებული ავარიის შემდეგ, ცნობილი გახდა მისი და თინა კანდელაკის რომანის შესახებ. მართალია, კანდელაკი თავდაპირველად უარყოფდა ყოველგვარ კავშირს ქერიმოვთან, მაგრამ, ბოლოს აღიარა, რომ „ფერარი-ენცოს" მგზავრი იყო, რომელსაც რუსი ოლიგარქი მართავდა. ავარიის შედეგად ქერიმოვმა სხეულის 70 პროცენტის დამწვრობა მიიღო, ხოლო ავტომობილი, რომლის საბაზრო ფასი 650 ათასი ევროა, სრულიად უვარგისი გახდა. გარდა ამისა, ქერიმოვს თითქმის ოთხწლიანი რომანი ჰქონდა არჩილ გომიაშვილის შვილთან, მოსკოველ დიზაინერთან, კატია გომიაშვილთან. ქერიმოვის დახმარებით კატიამ საკუთარი ბუტიკები გახსნა ლონდონსა და მოსკოვში. მისი დიზაინით შეკერილ ტანსაცმელს კი დეფილეზე, ქეთ მოსის „თამადობით" მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ტოპ-მოდელები იცვამდნენ. მას შემდეგ კი, რაც ქერიმოვი სხვა ქალბატონით დაინტერესდა, კატია გომიაშვილს ბუტიკების დახურვა მოუწია, ვინაიდან, ოლიგარქის ფინანსური დახმარების გარეშე მისი ბიზნესი სულს ღაფავდა. სხვადასხვა დროს ქერიმოვის საყვარლები იყვნენ: რუსი პოპ-მომღერლები – ნატალია ვეტლიცკაია და ჟანა ფრისკე, ბალერინა ანასტასია ვოლოჩკოვა, მსახიობი ოლესია სუძილოვსკაია და ტელეწამყვანი ქსენია სობჩაკი. სხვათა შორის, ნატალია ვეტლიცკაიასთან ქერიმოვს ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებდა. ამბობენ, რომ დაშორების შემდეგ, სულეიმანმა მომღერალს თვითმფრინავი და პარიზში ბინა აჩუქა. ოფიციალური წყაროების ცნობით სულეიმან ქერიმოვს ჰყავს მეუღლე – ფირუზა ჰანბალაევა და სამი შვილი: აბუსაიდი, ამინატი და გულნარა.

**უშანგი რუხაძე**

ჟურნალ „თბილისელების" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს

**კახა ბიწაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



# რა სიურპრიზი მოუწყო ქეთა თოფურიას მეუღლემ ქორწილში და რომელი მსოფლიო დონის ვარსკვლავი აამღერა მისთვის










უკვე დიდი ხანია, ქეთა თოფურიას ქორწილის მზადების შესახებ იწერება ქართულ და რუსულ პრესაში. მართალია ქეთა გრანდიოზული ქორწილის წინაალმდეგი იყო, მაგრამ მოვლენები რამდენიმე თვის წინ, მაქსიმ გალკინის დაბადების დღეზე შეიცვალა. მაშინ ოფიციალურად სთხოვა ხელი ქართველ მომღერალს ლევ გეიჰმანმა. სწორედ იმ დღეს, ალა პუგაჩოვასა და გალკინის რჩევით, გადაწყდა, რომ ქორწილი შედგებოდა. მას მერე, რაც ეს ინფორმაცია პრესაში გავრცელდა, ყველა დიდი მოლოდინით ელოდა ქორწილს. და აი, რამდენიმე დღის წინ ქეთა თოფურიასა და ლევ გეიჰმანის ქორწილიც შედგა. ქართველმა მომღერალმა 26 წლის იუბილე, 9 სექტემბერს, 400-კაციანი ქორწილით აღნიშნა. რაც შეეხება ხელის მოწერას, ურთიერთობა წყვილმა ქორწილამდე ორი დღით ადრე დააკანონა. რადგან ჯვარი არ დაუწერიათ, არც მეჯვარეები ჰყოლიათ. ქორწილში ქეთას ფრანგი დიზაინერის ძალიან ლამაზი, საპატარძლო კაბა ეცვა, რომელიც ასევე ულამაზესი თეთრი ფერის სალამოს კაბით ჩაანაცვლა მოგვიანებით.







მართალია, პრესასა და სოციალურ ქსელში ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ არის ისეთი დეტალები, რაც ჯერ კიდევ არ გახმაურებულა. ამ ფაქტების შესახებ ჩვენ აუცილებლად მოგითხრობთ, რომელიც სანდო წყაროსგან შევიტყვეთ. მაგალითად ის, რომ ქორწილის პირველ ნაწილს მაქსიმ გალკინი უძღვებოდა, ხოლო მეორეს – ალექსეი ჩუმაკოვი. აღსანიშნავია ისიც, რომ გალკინს სუფრა ნახევრად ქართულად მიყავდა. „ახალდაქორწინებულებს ვულოცავ ქორწინებას, შეაბერდით ერთმანეთს და რაც მთავარია, გამრავლდით," – სწორედ ამ სიტყვებით გახსნა გალკინმა სალამო, რომელიც ქართულ ენაზე წარმოთქვა. მოგვიანებით, კაბზონმა „თბილისო" ქეთასთან, ვალერი მელაძესა და ია ნინიძესთან ერთად იმღერა. მოწვეულ სტუმრებს შორის რუსული შოუ-ბიზნესის აბსოლუტურად ყველა ვარსკვლავი იმყოფებოდა, ფილიპ კირკოროვის გარდა, რომელიც იმ დროს ამერიკაში გახლდათ. მან ქეთას დაქორწინე-









ბა ქორწილის დროს, ტელეფონით მიულოცა. იგორ კრუტოი კი ცოლ-შვილთან ერთად სპეციალურად ჩამოვიდა მაიამიდან. სტუმართა შორის ბევრი ქართველი მომღერალიც იყო, და მათგან ნაწილი სპეციალურად საქართველოდან ჩავიდა მისალოცად. დანარჩენი კი რუსეთში მცხოვრები და მოღვაწე ქართველები გახლდნენ. სამწუხაროდ, რომ არა სავიზო რეჟიმი, უფრო მეტი დაპატიჟებული სტუმარი






















მოახერხებდა ქორწილში ჩასვლას.

ამ დღის მთავარი სიურპრიზი კი ლევ გეიჰმანმა მოუწყო საყვარელ მეუღლეს და ქორწილში მისი უსაყვარლესი მომღერალი – დაიანა კინგი ამერიკიდან სპეციალურად ჩამოიყვანა ქეთასთვის რომ ემღერა.

ქორწილი, რომელზეც დიდხანს ილაპარაკებენ, დილის 5 საათამდე გაგრძელდა. რაც შეეხება საქორწინო მოგზაურობას, არ შედგა, რადგან ქეთამ კუთვნილი შვებულება აგვისტოში დაასრულა და უკვე ჩვეულებრივ სამუშაო გრაფიკშია. რამდენიმე დღეში ქეთა საგასტროლოდ მიემგზავრება „ა სტუდიოსთან" ერთად.









***ჟურნალი „თბილისელები" ულოცავს წყვილს ურთიერთობის დაკანონებას და ბედნიერ მომავალს უსურვებს!***

**მარიკა ხიდურელი**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **ჩემი მშობლების სახლში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ცხოვრობდა ჩემი და. მას არასდროს ჰყოლია ქმარშვილი. იგი ორი თვის წინ გარდაიცვალა 85 წლის ასაკში. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც განაცხადა, რომ ჩემმა დამ ის 20 წლის წინ იშვილა. ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ეს პიროვნება ჩემს დას არ პატრონობდა. თუ დამტკიცდა ამ პიროვნების განაცხადის სიმართლე, მეკუთვნის თუ არა მე წილი აღნიშნული ბინიდან?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, თუ სახლი თქვენი მშობლების სახელზე ირიცხებოდა, თქვენ, როგორც მემკვიდრეს, თქვენს დასთან ერთად გეკუთვნოდათ წილი. თუ სახლი მხოლოდ თქვენი დის საკუთრებაა და დადასტურდა, რომ მას ჰყავს ნაშვილები შვილი, ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებულები არიან მშვილებლის



შვილებთან და მათ შთამომავლებთან და, შესაბამისად, სახლი ეკუთვნის თქვენი დის ნაშვილებ შვილს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, რადგან, წინა რიგის თუნდაც ერთი-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენი რიგის კანონით მემკვიდრეობა არსებობს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისიწნებს ხუთი რიგის კანონით მემკვიდრეობას.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ ითვლებიან პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებად?**

პასუხი: კანონით მემკვიდრეობის დროს, თანასწორი უფლებით, მემკვიდრეებად ითვლებიან უპირველესად – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები); ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებულები არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე, დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისთვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და, თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებულნი არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს, აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს კანონი, თუ დადასტურდა, რომ უდანაშაულო ადამიანი განზრახ დაიჭირეს გარკვეული მოტივით?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება და დანაშაულია, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 5 წლამდე; თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით 3 წლამდე ან უამისოდ. იგივე ქმედება კი, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 4-დან 7 წლამდე.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, არის თუ არა დანაშაული ყოველგვარი მუქარა და, თუ არა, მაშინ, რა შემთხვევაში ითვლება მუქარა დანაშაულად?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, ყოველგვარი მუქარა არ წარმოადგენს დანაშაულს. დანაშაულია მხოლოდ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ან ქონების განადგურების მუქარა, როდესაც, იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს პირის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ დევნად და, ზოგადად, ამგვარი დევნა არის თუ არა დანაშაული?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა, მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, არის დანაშაული. პოლიტიკურ დევნად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკური ნიშნით სამსახურში მიუღებლობა ან გათავისუფლება, დაწინაურებაზე უარის თქმა, პრემიის მიუცემლობა, ცრუ ბრალდების შეთითხვნა და ასე შემდეგ.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის დანაშაულის შეუტყობინებლობა ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით და რა სასჯელია ამისთვის გათვალისწინებული?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე, ანდა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 4-წლამდე.

კითხვა: **ქალს ორსულობის გამო გადავადებული ჰქონდა სასჯელი. გთხოვთ მაცნობოთ დაეკისრება თუ არა ამგვარი მოტივით სასჯელგადავადებულ ქალს სასჯელის მოხდა მომავალში და, თუ დაეკისრება – როგორ?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ქალს, რომელსაც ორსულობის გამო გადავადებული ჰქონდა სასჯელი, როდესაც მისი შვილი დაიბადება და 1 წლის ასაკს მიაღწევს, სასამართლო გაათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისგან, ან, სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ანდა, მიიღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

კითხვა: **შეიძლება თუ არა განქორწინებული მეუღლეები იყვნენ ერთმანეთის მემკვიდრეები გარდაცვალების შემდეგ?**

პასუხი: განქორწინებული მეუღლეები არ შეიძლება მემკვიდრეები იყვნენ ერთმანეთის გარდაცვალების შემდეგ.

Stop&Shop
STOP SHOP
ვაჟა ფშაველას №79

25 ლარად Relax & Tone არის მსუბუქი, ეფექტური და მოსახერხებელი მოწყობილობა, რომელიც კუნთებზე, მყესებზე, თეძოებზე, ბარძაყებსა და ხელის ქვედა ნაწილებზეა ორიენტირებული. მისი უნიკალური მოძრავი ფუნქცია ღრმად აღწევს კანის შიდა ფენებში არასასურველი ცხიმებისა და კალორიების დასაწვავად.



მისამართი:
ვაჟა-ფშაველას №79
ტელ 2 182-186; 598 28-34-70.

# ინტიმური საუბრები

### მშობლები მომავალს გვინგრევენ

ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრის ქორწილში ვიყავი მისი მეჯვარე. იქ გავიცანი სიძის ძმა. თავიდან ძალიან მოგვეწონა ერთმანეთი, მერე შეგვიყვარდა კიდეც. რამდენიმე თვე ვხვდებოდით ერთმანეთს, მერე კი ანდრომ სახლში წამიყვანა და მშობლები ახლოს გამაცნო. გაკითხვა-გამოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ანდრო ჩემი გარდაცვლილი ბიცოლის დის შვილიშვილი აღმოჩნდა, რის გამოც მისმა მშობლებმა უარი თქვეს ჩვენს დაქორწინებაზე. ჩემები ანდროს პირადად არ იცნობდნენ, არც მისი გვარი იცოდნენ, რადგან, მხოლოდ ის მქონდა ნათქვამი, რომ ვხვდებოდი ძალიან კარგ ბიჭს, სახელად ანდროს. გვარი რომც სცოდნოდათ, მაინც არაფერზე გაუჩნდებოდათ ეჭვი, რადგან, ისეთი გავრცელებული გვარია, საქართველოში, ლამის ყოველი მეათე ადამიანი ამ გვარს ატარებს. ანდროს მშობლების კატეგორიული უარის შემდეგ, იძულებული გავხდი, ჩემებისთვის ყველაფერი მომეყოლა, რადგან, უკვე სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, მოიყვანე შენი შეყვარებული და გაგვაცანიო. მეგონა, ჩემი მშობლები მაინც შეხედავდნენ ჩვენს სიტუაციას სალად, მაგრამ ამათ უარესი ამბავი ამიტეხეს – ნათესავს ცოლად როგორ უნდა გაჰყვე, თანაც, ხალხში თავი მოგვეჭრება, ნათესავები კი ახლოს აღარ გაგვიკარებენო. ვერ ვიგებ, რატომ არის ჩემი ნათესავი ბიცოლაჩემის დის შვილიშვილი, ან, რატომ მოგვეჭრება თავი, ჩვენ ხომ სისხლით ნათესავები არ ვართ?! მოძღვართანაც კი ვიყავი და ვკითხე, როგორ მოვიქცეთ-მეთქი. მან მითხრა, ეკლესიურად არანაირ კანონს არ არღვევთო. აბა, რა უნდათ ამ ჩვენს მშობლებს, რატომ ერევიან ჩვენს სიყვარულში და რატომ ცდილობენ, ერთმანეთს დაგვაშორონ?

**სოფო, 21 წლის.**



### და ბინაში მედავება

ბებიამ მე და ჩემს დას დაგვიტოვა სამოთახიანი ბინა. ჩვენს მშობლებს ოროთახიანი (ლოჯიით) ბინა აქვთ. ძალიან არ მინდა ქონების (თუნდაც ბინის) გამო და დავკარგო, მაგრამ, ვატყობ, დიდი უსიამოვნების გარეშე ვერ მოვრიგდებით. საქმე ისაა, რომ ჩემი და მოითხოვს, მშობლების ბინა მთლიანად გადაფორმდეს მის სახელზე, ბებიას ბინა კი ერთოთახიან და ოროთახიან ბინებზე გადავცვალოთ, საიდანაც, მე მხოლოდ ერთოთახიანი მერგება. ვერ ვიგებ, სადაური ლოგიკაა. გამოდის, რომ თვითონ ორი ოროთახიანი ბინა დარჩება, მე კი – მხოლოდ ერთოთახიანი. თანაც, ის გაუთხოვარია, მე კი ქმარი რამდენიმე წლის წინ მომიკვდა და მარტო ვზრდი ორ პატარა შვილს. ქმრის მშობლებს ბავშვებისთვის არაფერი მიუციათ – თავიანთ ქალიშვილს დაუმტკიცეს ყველაფერი და მეც აღარ დამიწყია სასამართლოებში სიარული. ვიფიქრე, ასე თუ ისე, ჩემს შვილებს ოროთახიანში მაინც ვიცხოვრებ-მეთქი, მაგრამ, ჩემს დას არაფრის გაგონება არ სურს. მამა ჩემს მხარეზეა და ყველანაირად ცდილობს, თავის უფროს ქალიშვილს გააგებინოს, რომ არც იურიდიულად და არც მორალურად, მართალი არ არის; მაგრამ, დედა მეუბნება, დაანებე თავი, ნერვიული გოგოა, რამე არ დაემართოს, მოიქცეს, როგორც უნდაო. ანუ, რადგან ჩემი და ნერვიულია, მე ჩემი შვილები ქუჩაში დავტოვო?! სინამდვილეში, ნერვიული კი არა, შურით და ბოღმით არის გამსკდარი, რომ ჩემზე ხუთი წლით არის უფროსი და, გათხოვება კი არა, ფლირტიც კი არავისთან ჰქონია (ისეთი ხასიათი აქვს, ყველა გაურბის), მე კი, მართალია, დავქვრივდი, მაგრამ ორი შვილი მყავს და დედა მქვია. ისეთი გაგიჟებულია, ჩემს პატარა შვილებსაც სულ ლანძღავს და ეჩხუბება, ბავშვებს უკვე ეშინიათ მისი დანახვის. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. მაგრამ, ჩემს დაზე მეტად დედაჩემის საქციელი მაღიზიანებს – ნუთუ შეიძლება შვილების ასეთი განსხვავება?!

**თეონა, 31 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

### როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

***მკითხველის დიდ ინტერესის გათვალისწინებით ჩვენ კვლავ გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ნინო ვარსიმაშვილთან, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ცნობილი ნათელმხილველია. ის ამარცხებს ბოროტი ძალების, ჯადოსა და ავი თვალის ზემოქმედებას, ეხმარება ადამიანებს გაუმკლავდნენ იმ პრობლემებს, რაც მათ აწუხებთ. ბოლო პერიოდში ადამიანთა უმეტესობა ნევროზს, უბარაქობას, წარუმატებლობასა და ოჯახურ პრობლემებს უჩივის. როგორც ნათელმხილველი ნინო ვარსიმაშვილი ამბობს, ამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, რადგან ჩვენ ბოროტი ძალების გააქტიურების ხანაში ვცხოვრობთ.***

**– ქალბატონო ნინო, რა სახის ხილვები გაქვთ?**

– ხილვებით ყველა იმ პრობლემას ვაგვარებ, რაც აწუხებთ ადამიანებს. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, რაც განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. გახსნის პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ წასვლა მომიწია საბერძნეთსა და რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში. მე იქ იმ ადამიანების თხოვნით და მიწვევით ჩავედი, ვინც ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ და მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს ამ ადამიანებთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ.

**– ძალიან ბევრ ადამიანს არ სჯერა ჯადოს არსებობის.**

– ძალიანაც ცდებიან, რადგან ეშმაკი სწორედ ასეთების დამორჩილებას იწყებს. ჯადოს აქვს კონკრეტული ვადები – სამი თვე, ექვსი თვე... ყველაზე საშინელი შთამომავლობითი ჯადოა, რომლის მოხსნაც ძალიან ძლიერი ლოცვებითა და სხვა საშუალებებით შეიძლება. მე ამ პრობლემას იოლად და სწრაფად ვაგვარებ. ჩემთან მოდიან ქალბატონები, რომლებმაც დაკარგეს ქმრები იმის გამო, რომ მათ ჯადო გაუკეთეს. მე ვიცი, რა თილისმებით შეიძლება გაქცეული ადამიანის უკან დაბრუნება, მინდა ვურჩიო ყველას, რომ არავინ არ გაწირონ ბოროტი რიტუალებით მარტოობისა და ბედის ჩაკეტილობისთვის, რადგან, ადრე თუ გვიან, ყველაფერი უკან დაუბრუნდებათ. ასეთ ხალხს ბოროტი ძალა, ეშმაკი ამოძრავებს, რომელიც ბოლოს აუცილებლად მარცხდება. როცა ადამიანი „ჩაკეტილია”, ის ფიზიკურადაც ცუდად გრძნობს თავს, აქვს გულისრევა, თავბრუხვევა. ასეთ ადამიანებს ვაძლევ თილისმას, რომელიც ძალიან ეფექტურია.

***ქალბატონ ნინოს ყოველთვის უამრავი ადამიანი აკითხავს. ბევრი მათგანი აქ მეორედ მადლიერების გამოსახატავად მოდის, ზოგიერთმა ჩვენთანაც ვერ დამალა თავისი ემოციები, გვიამბეს რაშიც ნინო ვარსიმაშვილი დაეხმარათ და საკუთარი საიდუმლოებების გამხელაც გაბედეს.***

**ლალი კ-შვილი** *(37 წლის, თბილისი):* ქალბატონი ნინოს შესახებ ერთ-ერთი ტელეშოუდან შევიტყვე. შემდეგ თანამშრომელმა მიამბო, როგორ დაეხმარა მის მეზობელს, რომელსაც სახლში 40 წელს გადაცილებული გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. ჩვენს ოჯახს ძალიან მძიმე პერიოდი დაუდგა. ჩემს მეუღლეს წარმატებული ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი თავზე დაგვენგრა. თითქოს ჯადო გაგვიკეთა ვინმემ, უცებ გავკოტრდით. მაშინ მივედი ქალბატონ ნინოსთან. სულ რამდენიმე ვიზიტი დაგვჭირდა – მან მოგვცა სპეციალური თილისმები, შელოცვები. ჩემმა ქმარმა ისევ ააწყო თავისი საქმე. მას შემდეგ ნინოზე ძვირფასი და ახლობელი ჩვენს ოჯახს არავინ ჰყავს.

**მაკა კ-ძე** *(29 წლის, გორი):* ხუთი წლის გათხოვილი ვიყავი, როცა ჩემსა და ჩემს ქმარს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ჩვენი ოჯახი თითქმის დანგრევის პირას იყო მისული. მაშინ მითხრა მეზობელმა ქალბატონი ნინოს შესახებ. მაშინვე აქეთ გამოვეშურე. პირველივე შეხვედრისას მითხრა: შენი ოჯახის დანგრევას შენი მული ცდილობსო. შევეწინააღმდეგე, ამას ჩემი მული როგორ იკადრებს-მეთქი, თუმცა ძალიან მალე დავრწმუნდი, რომ მისი ნათქვამი სიმართლე იყო. ერთი თვის განმავლობაში დავდიოდი ნინოსთან. შემილოცა, თილისმები მომახმარა. მალე ჩემსა და ჩემს ქმარს შორის ურთიერთობა გამოსწორდა. ჩემი ოჯახი დანგრევას გადაურჩა. სამი თვე იყო გასული, მული ფეხებში ჩამივარდა და პატიება მთხოვა.

**ნუნუ ყურაშვილი** *(58 წლის, ბათუმი):* ჩემმა შვილმა ვაჟამ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და ასპირანტურა. სად აღარ სცადა დასაქმება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ნათესავმა გვირჩია აქ მოსვლა. ნათელმხილველთან 40 წლის კაცის მოყვანა გამიჭირდა. ხომ იცით კაცების ამბავი. ბოლოს მაინც დავიყოლიე. სპეციალური შელოცვების შემდეგ ჩემმა შვილმა სამსახური იშოვა. უფრო მეტსაც გეტყვით – ერთ დღეს სამსახურიდან მომავალმა, ქუჩაში სიმპათიური გოგონა გაიცნო, რომელიც დღეს უკვე ჩემი რძალია. სასწაულია ეს, აბა რა არის? ჩვენი ოჯახის ბედნიერება ნინოს დამსახურებაა.

***უბარაქობა გაწუხებთ? დათარსული ხართ? პირადი ცხოვრება ვერ აგეწყოთ? – დაუკავშირდით ნინო ვარსიმაშვილს. ის თქვენი პრობლემების დადგენასა და მათ გადაჭრაში დაგეხმარებათ.***

***ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონზე: 599 003-006, 571 04-62-41.***

***მისამართი: თბილისი, წითელწყაროს ქუჩა.***

**თამარ ჩხენკელი**

**თაკო ჩხეიძის ცხოვრებაში ბევრი საინტერესო, წარმატებული ეტაპი იყო და ეს ეტაპები ახლაც გრძელდება. მისი სამოდელო კარიერა პატარა ასაკში დაიწყო, ძალიან ახალგაზრდა გათხოვდა და ფიქრობს, ამ კუთხით ძალიან გაუმართლა. დღეს თაკო მოდის სფეროში კვლავ წარმატებულად საქმიანობს და საქართველოში მოდის განვითარებას ყველანაირად უწყობს ხელს. ამის პარალელურად, ის არც მეუღლეს და სამ შვილს აკლებს ყურადღებას და დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებს მათთან ერთად ყოფნას.**

# როგორ „გაზარდა“ მეუღლემ თაკო ჩხეიძე და რაში არიან ისინი ერთმანეთის აყოლილები

**თაკო ჩხეიძე**: „ჯეო მოდელსში“ წელს საერთოდ ვცვლით პროგრამას. ანუ, მთელი წლის განმავლობაში ვინც ჩვენთან მოვა, ვასწავლით: პოდიუმზე სიარულს, ლათინო-ამერიკულ ცეკვებს, პოზირებას, მაკიაჟის გაკეთებას, ფსიქოლოგიას, მეტყველებას, სამსახიობო ოსტატობას, სთაილინგს, თმის ვარცხნილობებს, გვექნება მასტერკლასები. ამიტომაც, ვიღებთ ნებისმიერ მსურველს, არ აქვს მნიშვნელობა ის მოდელი გახდება თუ არა. მიღება უკვე დაწყებულია და გრძელდება. გარდა ამისა, ვეძებთ ახალ სახეებს, რომლებსაც შემდეგ „ფეშენ-ვიქზე“ გამოვიყვანთ.

**– როდის იგეგმება წელს „თბილისი ფეშენ-ვიქი“?**

– 13-17 ნოემბერს არის დაგეგმილი. მოხარულები ვართ, რომ „ფეშენ-ვიქი“ მოხვდა საერთაშორისო კალენდარში, ბევრი სტუმარი გამოგვეხმაურა, ბევრ ადამიანს სურს ჩამოსვლა. ახლა მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სპონსორებთან. ძალიან მწყდება გული, რომ არც თბილისის მერია და არც კულტურის სამინისტრო არ უდგას ამ ღონისძიებას გვერდში. „თბილისის მოდის კვირეული“ არ არის ჩემი ღონისძიება ან ჩემი სააგენტოსი, ეს არის ქალაქის სავიზიტო ბარათი. მოდის სფეროს განვითარება, თავის მხრივ, მიბმულია ეკონომიკაზე, ტურიზმზე. ჩამოდის არაერთი პოპულარული ჟურნალისტი და წერენ არა მხოლოდ მოდის კვირეულზე, არამედ ქალაქზე. რაც მთავარია, ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი მასტერ-კლასები და ხელს ვუწყობთ ქართველი დიზაინერების პოპულარიზაციას უცხოეთში. ასეთი პროექტი მარტო, ანუ სპონსორებისა და შენი ძალებით გაკეთება, ძალიან რთულია. ქვეყანა აუცილებლად უნდა გედგას გვერდში.



**კულტურის სამინისტრო წინა „ფეშენ-ვიქზე“ მასტერკლასებით შემოიფარგლა, დააფინანსეს და მართლაც ძალიან საინტერესო მასტერკლასები ჩატარდა. მაგრამ, წელს გვითხრეს, რომ მოდა არ ზის მათ პრიორიტეტში**

**– ანუ, კულტურის სამინისტროს, ქალაქის მერიას მიმართეთ დახმარების თხოვნით, მაგრამ მათგან უარი მიიღეთ?**

– კულტურის სამინისტრო წინა „ფეშენ-ვიქზე“ მასტერკლასებით შემოიფარგლა, დააფინანსეს და მართლაც ძალიან საინტერესო მასტერკლასები ჩატარდა. მაგრამ, წელს გვითხრეს, რომ მოდა არ ზის მათ პრიორიტეტში. მე და ძალიან ბევრ ადამიანს გვაინტერესებს და გვსურს, იქნებ კულტურის სამინისტრომ გაგვაცნოს, რა არის მათი პრიორიტეტი. კარგი, მოდა არ არის მათი პრიორიტეტი, გავიგე, რომ კიდევ სხვა რამ არ არის მათი პრიორიტეტი და საინტერესოა, აბა, რა არის მათი პრიორიტეტი?! მადლობელი ვარ, აქამდე რაც გაგვიკეთეს და ეს ყველგან ითქვა, დიდ მადლობას ვუხდიდი. იგივე პრეტენზია მინდა, გამოვთქვა ქალაქის მერიის მიმართ. ეს ღონისძიება ქალაქის სახელია, ქალაქს ეკუთვნის. ადრე განათებას გვაძლევდნენ, გახმოვანებას. წელსაც გახმოვანების მოცემას შეგვპირდნენ, ამისთვის მადლობლები ვართ, მაგრამ, ასეთი მასშტაბური ღონისძიების ჩასატარებლად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. ისეთი დონის სტუმრები ჩამოდიან, ისეთებს წერენ ჩვენზე, დასანანია, რომ კიდევ უფრო მეტად არ განვითარდეს ეს სფერო. გვყავს ფრანგი პარტნიორები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ჩვენს საერთაშორისო პიარზე, „ვოგის“, „ელის“ რედაქტორებს აქვთ სურვილი, ჩამოვიდნენ, დაესწრონ „თბილისის მოდის კვირეულს“ და ამ დროს ჩვენ არავინ გვიდგას მხარში, გარდა სპონსორებისა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ფარ-ხმალს არ ვყრით. მადლობა ღმერთს, რომ არიან სპონსორები, რომლებსაც ამ სფეროს განვითარება აინტერესებთ.

**– ახლა მომიყევი, ამ ზაფხულს თუ მოახერხე დასვენება?**

– ბავშვები ქალაქგარეთ მყავდა, აგარაკზე, მეც სულ გზაში ვიყავი: მივდიოდი, მოვდიოდი. თუმცა, ეს ჩემთვის უფრო პრაქტიკული იყო, რადგან ასე, ბავშვებთანაც ვიყავი და თან, საქმეებსაც ვაგვარებდი. მივლინებით ვიყავი, ასევე, რამდენიმე ქვეყანაში. შემდეგ ოჯახთან, მეგობრებთან ერთად, მოვახერხე ზღვაზე დასასვენებლად წასვლა და ახალი ენერგიით სავსე დავბრუნდი თბილისში. თუმცა, ახლა იმდენი საქმე მაქვს, არ ვიცი, საიდან დავიწყო. თან, დასვენების შემდეგ ცოტა გიჭირს საქმეზე გადართვა, მაგრამ მე საქმის გარეშე არ შემიძლია. მინდა, უფრო მეტი გავაკეთო ამ სფეროში.

**– ბავშვებთან ერთად დასვენება მოახერხე?**

– უფროსი უკვე დიდია და სკოლიდან წაიყვანეს შვეიცარიაში, საზაფხულო სკოლაში. ძალიან ვღელავდი. როგორ ჩავიდოდა. პირველად იყო ასე მარტო და ძალიან კმაყოფილია ისიც და ჩვენც. კიდევ გავუშვებ.

**– მახსოვს, შენს მეუღლეს მაისში ელჩობის ვადა ამოეწურა.**

– მაისში ამოეწურა ვადა და ახლა საქართველოში ვართ. თავის საქმე აქვს, კარგად არის. ჯერჯერობით მე არსად წასვლა არ მინდა, ბევრი საქმე მაქვს წამოწყებული და მინდა, რაღაც წერტილამდე მივიყვანო. ბოლო რამდენიმე წელი განსაკუთრებულად დამღლელი იყო, რთული წლები მქონდა. დავფრინავდი ხან ორსული,

**ჯერჯერობით, მე არსად წასვლა არ მინდა, ბევრი საქმე მაქვს წამოწყებული და მინდა, რაღაც წერტილამდე მივიყვანო**

ხან პატარა ბავშვით საქმეებზე, ძალიან დავიღალე, მაგრამ კარგად მახსენდება. ახლა მინდა, აქ ვიყო და ჩემმა უფროსმა შვილმა საქართველოში დაამთავროს სკოლა.

**– შენ გგავს გარეგნობით ძალიან.**

– რაც უფრო წამოიზარდა, უფრო მეტად დამემსგავსა, ადრე უფრო მამას ჰგავდა. კარგი ხასიათის ბიჭია, სამივესთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. სამივეს დედა აკერია პირზე. ჩემი სახლიდან გასვლა იწყება მათი ტირილით... დედა მოვა, კანფეტებს მოგიტანს, გაგასეირნებთ. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მომიწევს საქმეებზე მოგზაურობა და არ ვიცი, როგორ უნდა წავიდე. ერთი ერთ ფეხზე მეკიდება, მეორე – მეორეზე. ეს უფროსიც, რომელიც შვეიცარიაშია, ყოველდღე მწერს, ვენატრები. სულ ვამბობ: რომ არ გამეჩინა ეს ბავშვები, რა უნდა მეკეთებინა. ხან იმასაც ვფიქრობ: მე გავაჩინე ეს ბავშვები?! წლები ისე მალე გადის... მერე ვფიქრობ: ვაუ, რა მაგარია!

**– ადამიანების დიდი ნაწილი ხშირად ამბობს, რომ ვერ ახერხებს ერთდროულად წარმატებას მიაღწიოს კარიერასა და პირად ცხოვრებაში – ან ერთში უმართლებს, ან მეორეში. თუმცა, შენ ძალიან წარმატებულად ახორციელებ არაერთ საქმეს და ასეთივე წარმატებით ზრუნავ ოჯახზე. როგორ ახერხებ ამას?**

– ვაბალანსებ ყველაფერს. უპირველეს ყოვლისა, მეხმარება ის, რომ ირგვლივ მყოფებისგან – ქმრისგან მშობლებისგან დიდი ხელშეწყობა მაქვს. ზაფხულში სულ ვცდილობ, ბავშვებთან ერთად ვიყო. როცა თავისუფალი დრო მაქვს, ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა, გართობა. მაგრამ, რაც ბავშვები წამოიზარდნენ, მირჩევნია, მათთან გავატარო მეტი დრო. ამიტომ ისინი ვერ გრძნობენ, რომ დედას არ სცალია.

**– კლუბური გართობა გიყვარს?**

– რომ გითხრა, ღამის ცხოვრება ძალიან მიყვარს-მეთქი, მოგატყუებ. ამას მირჩევნია, მეგობრებთან ერთად კარგ რესტორანში წავიდე, ვივახშმოთ, ვისაუბროთ. თუმცა, კლუბში გართობაც მიყვარს, ოღონდ, საქართველოში სად არის კლუბები, არ ვიცი. როცა უცხოეთში მივდივარ, ამასაც ვაბალანსებ, მეგობრებთან ერთად კარგად ვერთობი. ჩემი მეუღლეც ძალიან მხიარულია, ერთმანეთს ვართ აყოლილები.

**– შენი ახალი ფოტოები ვნახე. რა გადაღება გქონდა?**

– „მაესტროს“ პროექტია, სადაც ბევრი ცნობილი სახე მონაწილეობს და ამის გადაღება მქონდა ბასასთან, რომელთან მუშაობაც ძალიან მიყვარს. პროფესიონალია და თავის საქმეს აკეთებს. ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოს, უფრო კარგად იქნება ყველაფერი. ზედმეტად გვიყვარს სხვის ცხოვრებაში, საქმეებში ქექვა. ალბათ, იმიტომ, რომ თბილისი პატარაა და ყველა ყველას ნაცნობია. მახსოვს, ძალიან ადრე, მე და ჩემი მეუღლე რომ ვხვდებოდით, სადმე რომ მივდიოდით, ყოველთვის ვიღაც გვხვდებოდა და ეუბნებოდნენ ჩემს მეუღლეს: თაკო ჩემს ხელშია გაზრდილიო. ბოლოს მკითხა: მითხარი, ვინ გაგზარდაო, რადგან ყველა ამბობდა, რომ მისი გაზრდილი ვიყავი. ახლა მეუბნება: მგონი, მე გაგზარდე ყველაზე მეტადო. 15 წლიდან ვარ ჩემს ქმართან, ანუ 15 წლისამ გავიცანი, 17 წლის გავთხოვდი. ეს პერიოდი თან ძალიან კარგად მახსოვს, თან არ მახსოვს, რადგან ბევრი წლის წინ იყო. შეყვარებულობის პერიოდი ძალიან ლამაზი იყო, ჩემი თავი კი ისეთი დიდი მეგონა. მაგრამ, მე გამიმართლა. თუმცა 15 წლის გოგო ამაზე კი არა, საერთოდ არაფერზე ფიქრობ – ყველაფერი ვარდისფერია შენთვის. იმ დღეს გოგონები ვსაუბრობდით: ახლა რომ ვთხოვდებოდეთ, რამდენ რამეზე ვიფიქრებდითო. პატარა რომ ხარ, გიქრის, არაფერზე ფიქრობ. მერე, ასაკი რომ გემატება, გადაწყვეტილების მიღებაც გიჭირს.

**ნათია უტიაშვილი**

**ცოტა ხნის წინ, 25 წლის მესაყვირე, პაატა ბერიძე, ცნობილი გერმანული კომპანია „შილერის“ (რომლის ისტორია ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ დაიწყო) სახე გახდა. ამ კომპანიის ინსტრუმენტებზე მთელ მსოფლიოში ძალიან ბევრი მუსიკოსი უკრავს. „შილერის“ ოფიციალური საიტის პირველ გვერდზე შესვლისთანავე ნახავთ პაატა ბერიძის რამდენიმე ვიდეოს, სადაც ის საყვირზე ჩაბერვით საოცარ ბგერებს აჟღერებს, რითაც მან ცნობილი გერმანული კომპანია მოხიბლა და სერიოზულად დააინტერესა.**

# რატომ დაინტერესდა ცნობილი კომპანია „შილერი“ ქართველი მესაყვირით და რის გამო გახდა პაატა ბერიძე მათი სახე



„შილერის“ ფირმამ არ იცის, რომ მე მათ მეორე ინსტრუმენტზე ოპერის ორკესტრთან ერთად დავუკარი ჰაიდნის კონცერტი. როდესაც ფილმს ნახავენ, შეიძლება, კიდევ უფრო სერიოზულ ურთიერთობაზე წამოვიდნენ

**პაატა ბერიძე**: ბავშვობიდან მიყვარდა მუსიკა, მაგრამ, რადგან არ მქონდა მუსიკალური განათლება, ნიჭიერთა ათწლედში ჩაბარებისას მითხრეს: წლოვანებით დიდი ხარ, ამიტომ, ისეთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა უნდა სცადო, რომელზეც დიდი კონკურენცია არ არისო. ასეთი ინსტრუმენტი კი იყო საყვირი, რომელიც, საბოლოოდ, ძალიან შემიყვარდა. როგორც კი შევეჭიდე და მივხვდი ამ ინსტრუმენტის ფასს, ველარ დავთმე, თან, ამ ყველაფერში ძალიან დიდი ენერგია ჩავაქსოვე – საყვირზე თითო ბგერის მიღებაც ძალიან რთულია. თან, ეს ხომ არ არის ჩვენი ინსტრუმენტი... სალამური, ჩონგური – ჩვენია, სისხლში გვიზის, დედის მუცელში ესმის ბავშვს მათი ხმა, ეს ინსტრუმენტი კი სტუმარია, ცოტა ხნის წინ შემოვიდა და მას საქართველოში დიდი ყურადღება, პიარი სჭირდება. საყვირის ისეთი სკოლა, რომ ქუხდეს, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არ არის, ამიტომ, მესაყვირეები „იუთუბიზე“ ვუსმენთ და სხვადასხვა გაკვეთილებით ვცდილობთ, საკუთარ თავზე ვიმუშაოთ, ჩვენით ვაკეთებთ ყველაფერს. ჩემი მიზანი ზუსტად ის იყო, რომ ხალხს გაეგო: საყვირი – ეს არის ჯაზური ინსტრუმენტი, რომელსაც კლასიკაშიც სერიოზული ადგილი უჭირავს. რაც შეეხება სირთულეს, ფორტეპიანოზე ბგერის მისაღებად ერთ კლავიშზე ხელის დაჭერაა საკმარისი, საყვირზე ბგერის ჩამოყალიბება კი ტუჩის საშუალებით ხდება. იმისთვის, რომ ტუჩის კუნთი ისე ჩამოყალიბდეს, როგორც საჭიროა, წლები სჭირდება.

– **როგორ განვითარდა შემდეგში შენი კარიერა?**

– ნიჭიერთა ათწლედის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე კონსერვატორიაში. მერე გავაკეთე სოლო კონცერტი, რომელიც უფრო აკადემიური იყო, თუმცა, მრავალფეროვანი. ასეთი ფორმით კონცერტები ხშირად არ ტარდება, ამიტომ, ფანტასტიკურად ჩაიარა, ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩა. მთელი წლის განმავლობაში მწერდნენ, როდის გააკეთებ შემდეგ სოლო კონცერტსო. თან, იმ დღეს ხალხს დავპირდი, რომ კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვან კონცერტს შევთავაზებდი. მივხვდი, ინსტრუმეტებიც მჭირდებოდა. ძალიან ბევრი ვიქექე ინტერნეტში და ბოლოს ვიყიდე „შილერის“ საყვირი. ასეთი ინსტრუმენტი საქართველოში ბევრი არ არის, ძირითადად, ორკესტრებს აქვთ ხოლმე. ზომით საყვირზე დიდია, „ფლუგენ ჰორნის“ სტილია, თბილი ტემბრი აქვს. იმდენად მომეწონა მისი ხარისხი, რომ, მოვაგროვე ფული და შევიძინე იმავე ფირმის სხვა საყვირი, რომელიც კლასიკაში გამოიყენება. ჩემმა მეორე კონცერტმაც წარმატებით ჩაიარა, უფრო მრავალფეროვანი იყო. თან, გავაკეთე ბენდი და, მასთან ერთად, ჩემი სოლო კონცერტი სასიამოვნო ჯაზური მუსიკით დავამთავრეთ. ამის შემდეგ დამიკავშირდა ნიჭიერი რეჟისორი, ოპერატორი მიხეილ ჭიჭიბოშვილი, რომელმაც, ჩემი მრავალფეროვნი კონცერტის მოსმენის შემდეგ, გადაწყვიტა, რომ საინტერესო პიროვნება ვიყავი და ჩემზე მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი უნდა გადაეღო. მხოლოდ და მხოლოდ ამ ინსტრუმენტის გამო დავთანხმდი გადაღებაზე. ჩემს კონცერტებზე მოდიოდა, წერდა, შემდეგ ინტერვიუებს იღებდა. ფილმში ძალიან ბევრი ჟანრი, ასევე, სხვა საინტერესო ნიუანსები შევიდა. გარდა ამისა, შემომთავაზა: რადგან შენ ეს ინსტრუმენტი კარგად მოირგე, თან, ამ ინსტრუმენტზე ძალიან ცოტა ადამიანი უკრავს, იქნებ, მივწეროთ „შილერის“ ფირმას, შენი კონცერტის ლინკებიც გავუგზავნოთ, ვუთხრათ, რომ ფილმს ვიღებთ და, იქნებ, იმის უფლება მოგვცენ, ჩავიდეთ და ქარხანაში გადავიღოთ, როგორ იწყობა ეს ინსტრუმენტი ნულიდანო. მათ თანხმობა გვითხრეს. მაგრამ, ჩვენი წასვლის თარიღი ჩემს კონცერტს დაემთხვა და, ამიტომ, კარგა ხნით გადაიდო, რადგან, ახლა სხვა რაღაცეებია დაგეგმილი. სამაგიეროდ, მათ ჩემი ვიდეოჩანაწერები იმდენად მოეწონათ, რომ მომწერეს: „ძალიან გვიხარია, რომ საქართველოში ჟღერს „შილერის“ ფირმა,“ რომელიც მე შემოვიტანე პირველმა.

– **როგორ გახდი ამ ცნობილი და საკმაოდ დიდი ისტორიის მქონე კომპანიის სახე? როგორც კი შედიხარ მათ საიტზე, პირველივე გვერდზე შენი ორი ვიდეოს ლინკი და ფოტო დევს.**

– ცოტა ხანში მომწერეს: ძალიან გვსურს, ჩვენს საიტზე განვათავსოთ თქვენ მიერ „შილერის“ საყვირზე დაკვრის ამსახველი ვიდეოო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან, გახდე ასეთი კომპანიის სახე – ძალიან მნიშვნელოვანი და პრესტიჟულია. არ ველოდი, ასე უცებ თუ გააკეთებდნენ ყველაფერს: მაშინვე დადეს ვიდეორგოლი. ეს არა მხოლოდ ჩემი ბედნიერება და წარმატებაა, არამედ, მთელი ქვეყნის. მათ ჩემი შემოქმედება, ის სტილი, ჟანრი, რაც მე დავუკარი, იმდენად მოეწონათ, რომ ინსტრუმენტში თავადაც სხვა „ფერები“ დაინახეს. რა თქმა უნდა, მე არ მაქვს ისეთი კონტრაქტი, როგორსაც ძალიან ცნობილ და წარმატებულ მესაყვირეებს უდებენ, მაგრამ, ის, რომ მათ გადაწყვიტეს, გავმხდარიყავი მათი კომპანიის სახე, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯია. მათ ოფიციალურ საიტზე დადებულ ვიდეოში ასეთი სიტყვებია: „მოუსმინეთ, საქართველოში უკვე ჟღერს ჩვენი ინსტრუმენტის რბილი და თბილი ბგერები!“ – და შემდეგ შემოდის ჩემი კომპოზიცია. ის ვიდეოები, რომლებიც მათ გავუგზავნე იმისთვის, რომ ამეხსნა, რატომ მინდოდა ქარხანაში ფილმის გადაღება, მათ იმდენად მოეწონათ, რომ დაამონტაჟეს და თავისი კომპანიის სახედ მაქციეს.

– **ცნობილ მესაყვირეებთან თუ გქონია როდისმე ურთიერთობა?**

– ცოტა ხნის წინ საქართველოში არტურო სანდოვალი იყო ჩამოსული, რომელსაც შევხვდი, ვაჩვენე ჩემი ინსტრუმენტი და არჩევანი მომიწონა. შემდეგ რამდენიმე კითხვა დავუსვი: „როგორ მოხდა თქვენი კონფრონტაცია ჯაზში კლასიკურის მუსიკის შემდეგ?“ მან მიპასუხა: მე ერთი წუთით არ მიმიტოვებია კლასიკური მუსიკა, ყოველ დილით ვიღებ კლარკის სავარჯიშოებს (ეს აკადემიური გამებია), ვხურდები, ვმეცადინეობ და მერე ვიწყებ ჯაზის დაკვრასო. ეს იმხელა სიხარულის მომტანი იყო ჩემთვის... არტურო სანდოვალი ღვთისგან ნაბოძები ნიჭის მქონე მუსიკოსია და, როცა ასეთი ადამიანი იმ სავარჯიშოებზე მეცადინეობს, რომლებსაც ჩვენ ყოველდღე ვაკლავთ თავს, ეს ძალიან დიდი სტიმულია – თითქოს არც შენ ხარ შორს. გარდა ამისა შევხვდი იტალიელ მესაყვირეს – მაურო მაუერს, რომელთანაც სერიოზული მასტერკლასები მივიღე. მაურომ მითხრა: „არასდროს იქექო ძველში, ყოველთვის ეცადე, ახალი შექმნა.“ მაშინვე გამახსენდა ჩემი სოლო კონცერტები, სადაც დავუკარი ის ნაწარმოებები, რაც საქართველოში აქამდე არ შესრულებულა. ბატონ გია ყანჩელთანაც მქონდა შეხვედრა, რის შემდეგაც გადავწყვიტე, შემესრულებინა მისი ერთი ნაწარმოები – „ყარაჩოღელის ანდერძი“. ეს ნაწარმოები ერთხელ იყო ჩაწერილი რადიოკონკურსისთვის, სცენაზე არასდროს შესრულებულა. ამიტომაც, ჩემს სოლო კონცერტზე დავუკარი და შემდეგ მიხეილ ჭიჭიბოშვილმა ამაზე ფილმისთვის კლიპი გადაიღო. ეს კადრები გამოიყენეს სწორედ „შილერის“ კომპანიაში თავიანთი კლიპისთვის.

– **მგონია, ასე ხშირად არ უნდა ხდებოდეს – ვგულისხმობ მათთვის უცნობი მესაყვირის ვიდეოების, ფოტოების საკუთარ საიტზე განთავსებას.**

– ამ ფირმასთან დაკავშირებით ასეთი რამ არასდროს მინახავს. უბრალოდ, სხვადასხვა ინსტრუმენტზე აქვთ ტესტები – როგორ ჟღერს. მაგრამ, ის, რომ პირველივე გვერდზე წერია: „ეს საქართველოში ჟღერს,“ – შემდეგ აწვები ღილაკს და გადადიხარ პაატა ბერიძის „იუთუბის“ გვერდზე, სადაც ჩემი ყველა მონაცემი კონკრეტულად წერია, ასეთი რამ ადრე ნამდვილად არ მინახავს. მათ, ასევე, უდევთ ლინკები, სადაც მე სტუმრად ვარ „რუსთავი 2-ში“ და „იმედში“, იქ ვსაუბრობ ჩემს ბენდზე და ვუკრავ სწორედ ამ ინსტრუმენტზე. გარდა ამისა, მთხოვეს, გამეგზავნა საყვირთან ერთად გადაღებული ფოტო – გვინდა, ჩვენს კომპანიაში ჩამოვკიდოთო. რა თქმა უნდა, გადავიღე და გავუგზავნე. სხვათა შორის, „შილერის“ ფირმამ არ იცის, რომ მე მათ მეორე ინსტრუმენტზე ოპერის ორკესტრთან ერთად დავუკარი ჰაიდნის კონცერტი. როდესაც ფილმს ნახავენ, შეიძლება, კიდევ უფრო სერიოზულ ურთიერთობაზე წამოვიდნენ.

– **როდის დაასრულებთ ფილმზე მუშაობას?**

– ორ თვეში დავამთავრებთ, ახლა მონტაჟზე ვართ. მე დავწერე ამ ფილმისთვის კომპოზიცია, რომელიც ტიტრებზე დაედება. ფილმი საფესტივალოა, გადაღებულია იმისთვის, რომ მთელი მსოფლიო მოიაროს. ამ დღეს, ასევე, იქნება ჩემი წიგნის პრეზენტაცია. საყვირის სავარჯიშოები ქართულ ენაზე მე ვთარგმნე, აქამდე არ იყო ქართულად. მოსწავლეები მყავს და ეს ყველაფერი მათთვის გავაკეთე.

**ნათია უტიაშვილი**

# რა პრობლემები ექმნება მამაკაცს, რომელიც ცოლში მეტოქესა და დაპირისპირებულ ქალს ხედავს

**პრობლემები ჩნდება მაშინ, როცა ველარ ვუმკლავდებით საკუთარ კომპლექსებს. ხან ვამჩნევთ მათ, ხანაც, მიგვაჩნია, რომ კომპლექსიანები ისინი არიან, ვინც ამ კომპლექსებისკენ მიგვითითებენ. ფსიქოლოგიისთვის საკითხი გაცილებით მარტივ-ია და განსაზღვრული: ადამიანს, რომელიც ვერ აცნობიერებს, რა უშლის ხელს, რომ იყოს შინაგანად თავისუფალი, უჭირს ცხოვრებაში ადაპტირება. ვერ აღწევს მიზანს, არ გამოსდის ურთიერთობები და რაც ყველაზე ცუდია, ამ ყველაფერში ვერ ხედავს საკუთარ ბრალეულობას. ამას კი ის ზოგჯერ დეპრესიამდე, ზოგჯერ კი მარტოობამდე მიჰყავს.**



**ზაზა** *(39 წლის):* საკმაოდ ბევრი ქალი მყავდა – პარტნიორსაც ვგულისხმობ და ჩვე-ულებრივ მეგობრებსაც. ამას ტრაბახით არ ვამბობ, არ ვარ საკუთარ თავზე დიდი წარმ-ოდგენის, უბრალოდ, მინდა, კარგად გაგარკვ-იოთ იმ საკითხში, რაზეც ვლაპარაკობ. ანუ, იმისი თქმა მინდა, რომ, დღესაც კი, ძალიან მიჭირს ქალის გაგება. განსაკუთრებულს და გამაოგნებელს არ ვეძებდი და არც მქონდა იმის ილუზია, რომ ციდან ჩამოფრენილ ანგე-ლოზს შევხვდებოდი. 35 წლის ასაკში შევხვდი იმას, ვისაც ჩემი ცხოვრება დავუკავშირე. წე-სით, რაღაც გამოცდილება უნდა დამეგროვე-ბინა ამ პერიოდისთვის, მაგრამ, ეტყობა, კაც-ისთვის ქალი ყოველთვის დარჩება ასუცნობ-იან განტოლებად, როგორი სიახლოვეც უნდა ჰქონდეს მასთან.

**– იქნებ, პრობლემა თქვენშია?**

– შეიძლება, ჩემშიც არის, მაგრამ, ფაქტია, რომ მაქსიმალურად ვცდილობ ურთიერთობ-ის გადარჩენას. არ მინდა, დაინგრეს ის, რაც ოთხი წლის განმავლობაში ვაშენეთ. ჩვეულე-ბრივ, კაცები ასე არ იქცევიან.

**– საინტერესო რაღაც თქვით. აბა, როგ-ორ იქცევიან კაცები?**

– ახალ გასართობს პოულობენ და არ და-რდობენ იმას, რომ ერთმა ქალმა მისი ღირს-ებები არ დააფასა. დიახ, სწორედ რომ, არ აფასებს ჩემს თავგანწირვასა და ერთგულებ-ას. სხვათა შორის, თავიდანვე შევთანხმდით იმაზე, რომ ერთმანეთთან ბოლომდე გულახ-დილები ვყოფილიყავით, სკანდალებისა და ის-ტერიკების გარეშე დაგველაგებინა ურთიერ-თობა. ძალიან არ მიყვარს სკანდალები და ისტერიკები. მაშინებს და ყველაფრის ხალისს მიკარგავს. მიკვირდა იმ ცოლ-ქმრის, დილით რომ ხოცავენ ერთმანეთს, უკანასკნელი სიტ-ყვებით ლანძღავენ, ღამით კი ერთ ლოგინში წვებიან. ასეთი ოჯახი ნამდვილად არ მინდო-და.

**– სიყვარულზე ერთი სიტყვაც არ გითქ-ვამთ...**

– ანუ, მიყვარდა თუ არა ჩემი ცოლი? რა თქმა უნდა, ეს რა სალაპარაკოა? რადგან მა-სთან ერთად გადავწყვიტე ცხოვრება, რადგან სხვაზე უკვე აღარ ვფიქრობდი, ესე იგი, მიყ-ვარდა. ჩვენი სურვილები და მისწრაფებები ერთმანეთს ემთხვეოდა. საკმაოდ დიდხანს ვი-ყავი თავისუფალი მამაკაცი და ამ თავისუფ-ლებას არ შეველეოდი, სიყვარული რომ არ მქონოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა „პერეხვ-ატი" იქნებოდა ჩემზე. იმიტომ არ ვამბობ ამ-ას, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს. არანაირად. ზოგადად, ქალების სიჭარ-ბეა; ჭკვიანების, ლამაზებისა და პერსპექტიუ-ლი საპატარძლოების სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივით. თუმცა, ამით არაფერს ვამტკიც-ებ. ჩემს ცოლსაც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ, იმისთვისაც მე აღმოვჩნდი განსაკუთრებული. მერე რაღა დაგვემართა, არ ვიცი. რაშია პრობლემა, რატომ აღარ გვე-სმის ერთმანეთის? რატომ აღარ ვიცინით ხუ-მრობებზე და ერთმანეთზე დაბოლმილები სულ ვკინკლაობთ, უმნიშვნელო წვრილმანებზეც კი? ადამიანები ხომ არ იცვლებიან, ჩვენ რატომ-ღა შევიცვალეთ უარესობისკენ?! ის მე მტრად აღმიქვამს და მეც რაღაცნაირი, უცნაური გრძნობა მაქვს – თითქოს მეტოქესთან ერთ-ად ვცხოვრობ.

**– როგორ გგონიათ, რა ხდება?**

– ჩვენ შორის მისი სამსახური დგას. მე ვეჭვიანობ იმაზე, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე ძალიან უყვარს, ჩემზე და ოჯახზეც კი.

**– შვილზეც?**

– შვილზე მეტად, ალბათ, არ ეყვარება, მაგრამ... ყველაფერი კარგად იყო, სანამ სა-მსახურში დააწინაურებდნენ. დღეს ის ჩემზე წარმატებულიც არის და მაღალანაზღაურებ-ადიც. მძღოლიც კი ემსახურება, არადა, ერთი პროფესიის ვართ.

**– ანუ, გშურთ და იბოღმებით?**

– ეგ რა შუაშია, საკუთარი ცოლის როგორ უნდა შემშურდეს?! ეჭვიანობით კი ნამდვილ-ად ვეჭვიანობ. ერთ დღესაც რომ გადაწყვიტ-ოს, მე მისი შესაფერისი არ ვარ, მერე რა ვქნა?! არ იცით ქალების ამბავი? საკმარისია, რაღაცას მიაღწიონ, რომ მაშინვე კაცებთან თანასწორობის იდეა შეიპყრობთ ხოლმე. ჩემი ცოლის ლექსიკონში გაჩნდა ფრაზა: „ყველა-ფერს მე ვაკეთებ, შენ რიღასთვის ხარ?!", „მთე-ლი პასუხისმგებლობა ჩემზეა, შენ რა გენაღ-ვლება?!", „იმდენს ვმუშაობ, შენ კი ჩვეულებ-რივი დიასახლისივით მექცევი"... – რომელი კაცი მოითმენს დიდხანს ამას?! მე არც აზია-ტი ვარ და არც მონსტრი. ერთი წლის იყო ბავშვი, სამსახურში რომ გავუშვი და ხმაც არ ამომიღია.

**– „გავუშვი" ნიშნავს იმას, რომ, თქვენს ნებაზე იყო დამოკიდებული, მეუღლე იმუ-შავებდა თუ არა?**

– პირობები რომ არ შემექმნა მისთვის და ხელი არ შემეწყო, ვერ იმუშავებდა. არ ვარ პრეტენზიული ქმარი, მაგრამ, როცა ცოლი დიდკაცობს და მბრძანებლური ტონი აქვს, საშინელებაა.

**– თუ, არასრულფასოვნების კომპლექსი გაგიჩნდათ?**

– არა. თქვენ ჩემი არ გესმით – ჩვენთვის საერთოდ აღარ სცალია. ხშირად ვფიქრობ, რომ მე მისთვის აღარაფერს წარმოვადგენ.

**– გაგრძნობინათ რამე?**

– ყოველდღიურობა მთრგუნავს. ერთად ისე კარგად ვიყავით, გადაწყვეტილებებსაც ერთ-ად ვიღებდით. ის ჩემს აზრს პატივს სცემდა, მეკითხებოდა, კონკრეტულ სიტუაციაში როგ-ორ უნდა მოქცეულიყო. ახლა მე მისთვის ავ-ტორიტეტი აღარ ვარ – თანამდებობაც და შემოსავალიც ჩემზე მეტი აქვს.

**– მერე, ეს რატომ არის პრობლემა?**

– მეტისმეტად თავდაჯერებული გახდა ფუ-ლმა – კაცს ხომ გაცილებით მეტი ხელფასი უნდა ჰქონდეს ცოლზე?

**– ეს სტერეოტიპია, რატომ იჯერებთ?**

– სტერეოტიპი რა შუაშია? თავიდან მეც არ ვაქცევდი ყურადღებას და მეღიმებოდა კი-დეც, როცა სხვა კაცები მიმტკიცებდნენ, თუ ქალს ქმარზე მეტი აქვს ხელფასი, ენაც უგრ-ძელდება, პრეტენზიებიც უჩნდება და ამბიცი-ებიცო. უძახეთ ახლა სტერეოტიპი – სიტყ-ვასიტყვით ახდა ყველაფერი. მისი ტელეფონი სულ რეკავს – დღისითაც და ღამითაც, ადამ-იანები მოწიწებით ელაპარაკებიან, ზოგი დახ-მარებას სთხოვს... მე კი დროს ბავშვთან ვატ-არებ და ვჭამ მისი ძიძის მიერ მომზადებულ საჭმელს. საერთოდ დამავიწყდა, ჩემი ცოლი სამზარეულოში, კერძის მომზადების პროცეს-ში, ბოლოს როდის ვნახე. ოღონდ, არ მითხრ-ათ ახლა, რომ აზიატი და ჩამორჩენილი ვარ. უბრალოდ, თავს ძალიან დაჩაგრულად ვგრძნობ. ის დრო მენატრება, როცა ჩემი ცო-ლი მხოლოდ ჩემით იყო დაკავებული. ეგოის-ტობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, ეჭვიანი გამხადა მისმა გაუთავებელმა მივლინებებმა. ვიცი, რომ არ მღალატებს, მაგრამ, მაინც ვეჭვიანობ. ყველაზე მეტად ის მაგიჟებს, რომ ჩემზე ორჯერ მეტი ხელფასი აქვს.

**ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ცოლში ძალიან გაგიმართლა. გაპრიალებული ლითონის ოქროსავით ბრწყინავს შორიდან**

**– ამას ჩვეულებრივი შური ჰქვია.**

– არა, ასე მარტივად არ არის საქმე. მე მამაკაცი ვარ და ოჯახში მთავარი შემომტანი მე უნდა ვიყო.

**– ცოლი გიშლით ხელს იმაში, რომ ოჯ-ახში მთავარი შემომტანი იყოთ? თუ, თავის შემოსავალს საკუთარ სიამოვნებაში ხარჯ-ავს და ეს გაღიზიანებთ? იქნებ გაყვედრ-ით?**

# როგორ ეხმარება ცოლი ქმარს შვილის მოძებნაში და ვის ეძებს 40 წლის ქალბატონი მანავიდან მურმანსკის მხარეში

***40 წლის თინიკო ავსაჯანიშვილი და 47 წლის აკაკი მაზიაშვილი ეძებენ 25 წლის ირინა პუზანეცსა და 8 წლის ნინა პუზანეცს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემი მეუღლის შვილს – 8 წლის ნინა პუზანეცს და მის დედას – 25 წლის ირინა პუზანეცს. მათ შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ისინი ცხოვრობდნენ მურმანსკის მხარის ქალაქ კოლგორში. აკაკიმ ნინას დედა კოლგორში გაიცნო, რუსეთში ყოფნის დროს, დაახლოებით 2004-2005 წლებში. მათ შეეძინათ გოგონა – ნინა. მალე აკაკი საქართველოში დეპორტით გამოუშვეს და ასე დაკარგა მან ირინასთან და ნინასთან კავშირი, შემდგომ კი მე შემირთო ცოლად. ყოველთვის ვატყობდი ქმარს სევდიანობას და, ვიცოდი, რომ ეს ბავშვის გამო იყო. აკაკი ძალიან განიცდის, რომ შვილს ვერ ნახულობს. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ ბავშვის მოძებნაში.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: თინიკო ტელეფონით დამიკავშირდა და დახმარება მთხოვა ირინასა და ნინას მოძებნასთან დაკავშირებით. შემდგომ კი, ჩემი თხოვნით, დამიკავშირდა თავად აკაკიც და დამიდასტურა, რომ შვილი ჰყავს რუსეთში, რომელთანაც კავშირი არ აქვს. რესპონდენტების თხოვნით, მათი გვარები შეცვლილია.

**– თინიკო, მოგვიყევით, რატომ ეძებთ მეუღლის შვილს? ჩემს პრაქტიკაში ეს სულ მეორედ ხდება.**

– მე და აკაკის გვიყვარს ერთმანეთი და, მე, ბუნებრივია, რომ მინდა მისი გახარება, ამიტომაც მსურს, შვილის პოვნაში დახმარება გავუწიო. დაახლოებით 7 წლის წინ ჩემი მეუღლე დეპორტით ჩამოვიდა საქართველოში. ის რუსეთში არალეგალურად იმყოფებოდა და იქ ყოფნის დროს გაუცნია ირინა პუზანეცი, რომელიც იმ დროს 16-17 წლის თუ იქნებოდა. ირინასგან მას შეეძინა გოგონა – ნინა. მე და აკაკის შვილები არ გვყავს. ზუსტად ვიცი, რომ ის ძალიან დარდობს ნინასთან კავშირის არქონას. ნინა დაახლოებით წლინახევრის იყო, როდესაც კაკომ ის ბოლოს ნახა. დამოუკიდებლად ჩვენ ისინი ვერ ვიპოვეთ და ამიტომ დახმარებისთვის თქვენ მოგმართეთ. მინდა, გავაბედნიერო ჩემი მეორე ნახევარი და შვილი ვაპოვნინო.

**– მაშინ, როდესაც ეს ამბავი მოხდა, თქვენ უკვე იყავით ცოლ-ქმარი?**

– არა, მაშინ მე არც კი ვიცნობდი აკაკის, ყველაფერი ჩემამდე მოხდა. ამჟამად ჩვენ გვაქვს ოჯახი და გვიყვარს ერთმანეთი. ირინასაც იმიტომ ვეძებთ, რომ ნინას ამბავი გავიგოთ. მე, როგორც ქალს, მესმის ირინასი. წარმომიდგენია, როგორ გაუჭირდებოდა მას შვილის მარტო გაზრდა, მაგრამ, იმედი მაქვს, მისი პოვნის შემთხვევაში, ის მამა-შვილის დაკავშირებაზე უარს არ იტყვის. ყოველ შემთხვევაში, მის ადგილზე, მე დავთანხმდებოდი. ჩემი და ჩემი მეუღლის გვარის გამოაშკარავება იმიტომ არ მინდა, რომ თავიდან ნინა უნდა ვაპოვნინო და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მამა-შვილს შორის კავშირი აღდგება, ამ ინფორმაციას საჯაროს გავხდი. მინდა, თავიდან ავიცილო მეუღლის ნათესავების ამ საკითხში ჩარევა, რადგან, თავიდან საჭირო იქნება ნინასა და კაკოს შორის ურთიერთობის დალაგება. ამდენი წელია, იმ გოგონას არაფერი გაუგია მამაზე და, აჯობებს, რომ მათ თვითონ მოაგვარონ ურთიერთობა.

**– ნინა ჯერჯერობით არასრულწლოვანია და მისი მოძებნა რთულიცაა და არასწორიც. ამიტომ, უმჯობესია, ჯერ ირინა ვიპოვოთ და მას ვთხოვოთ აკაკისთან შვილის დაკავშირების ნებართვა.**

– უკვე ამდენი წელია გასული, რაც ნინა აკაკიმ ბოლოს ნახა. მეცოდება, ჩემს ქმარს რომ ვუყურებ. მას შემონახული აქვს შვილის ერთადერთი ფოტო, რომელზეც ნინა სულ პატარაა – დაახლოებით წლინახევრის და ხშირად დასცქერის ამ სურათს. იმედია, ირინას პოვნის შემთხვევაში, თქვენ აუხსნით მას ჩვენს სიტუაციას. მე პირადად მხოლოდ და მხოლოდ მეუღლის კარგად ყოფნა და მისი გახარება მსურს.

**– ამდენი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც თუ უცდია აკაკის შვილის ან იმ ქალის მოძებნა?**

– საქმე ისაა, რომ ის ვერანაირად ვერ უკავშირდება ირინას. თითქმის ყველა გზა და ხერხი მოსინჯა, მაგრამ, უშედეგოდ. მე სრულიად შემთხვევით გადავაწყდი თქვენს რუბრიკას და თქვენთან დაკავშირება ვცადე. სამწუხაროდ, ჩვენ მანავში ვართ, აქ ვცხოვრობთ, უახლოეს ხანში ვერ ჩამოვალთ თბილისში და ამის გამო ვერ გაწვდით ნინასა და ჩვენს ფოტოებს.

**– ირინას და ნინას პოვნის შემთხვევაში, ხომ არ შეიცვლება თქვენი ურთიერთობა მეუღლესთან და თქვენს ოჯახს დანგრევის საფრთხე ხომ არ დაემუქრება?**

– მე ჩემს მეუღლეში დარწმუნებული ვარ, ისევე, როგორც ჩემს გრძნობებში. ზუსტად ვიცი, რას შეიძლება მისგან ველოდო და რას არ გააკეთებს ის არასდროს. მე აკაკისთვის ნათქვამიც კი მაქვს, რომ მას შვილის პოვნაში დავეხმარები და ის ამითაც ბედნიერია. არც მე და არც მას არ გვსურს იმ ქალის ცხოვრების არევა, ჩვენ, უბრალოდ, გვინდა გავიგოთ, როგორ არიან და როგორ არის ნინა. ძალიან გთხოვთ, გვაპოვნინეთ ისინი.

**– აგვიწერეთ ირინა.**

– აკაკის თქმით, ირინა არის ცისფერთვალება, პუტკუნა, საშუალო სიმაღლის გოგონა. ამჟამად ის 25 წლის უნდა იყოს. როგორც გითხარით, ბოლოს ის მურმანსკის მხარის ქალაქ კოლგორში ცხოვრობდა. მეტი ინფორმაცია მის შესახებ ჩვენ არ გაგვაჩნია. ნინას პოვნის შემთხვევაში, მისი საქართველოში დაპატიჟებაც მინდა; არც იმის წინააღმდეგი ვარ, რომ ირინაც ჩამოვიდეს – ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. შვილები არასდროს არ უნდა აგებდნენ პასუხს მშობლების შეცდომებზე.

***თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

## მიკვირდა იმ ცოლ-ქმრის, დილით რომ ერთმანეთს ხოცავენ და კლავენ, ღამით კი ერთ ლოგინში წვებიან

– თქვენ გინდათ, ყველაფერში მე გამომიყვანოთ დამნაშავედ? არ გამოვა. ძალიან კარგი ქმარი ვარ, მაგრამ, ვატყობ, თუ ახლა არ „დავიჭირე“ სიტუაცია, მერე უარესი იქნება.

**– სიტუაცია უნდა დაიჭიროთ თუ ცოლი? ხომ შეიძლება, ის ტოტი მოიჭრათ, რომელზეც ზიხართ?**

– თქვენ ასე ფიქრობთ? მე კი ძალიან დავითრგუნე და ძალიან ვებრძვი საკუთარ თავს, რომ ცოლს ულტიმატუმი არ წავუყენო. მაგალითად, მოვთხოვო, მეტი დრო დაუთმოს ოჯახს – შვილს და მე; შეზღუდოს შეხვედრები უცხო ხალხთან, მიღებებზე და მივლინებებში სიარული. სწორად გამიგეთ, ყოველთვის მჯეროდა, რომ ცოლი კაცს წარმატებული უნდა ჰყავდეს. არანაირად არ მხიბლავს წინსაფარაფარებული, მხოლოდ კერძების მომზადებაზე და სახლის დაგვა-დასუფთავებაზე გადართული ქალები, სხვა რომ არაფერი აინტერესებთ და ვერაფერზე დაელაპარაკები. მაგრამ, ის, რაც ახლა ჩემს ოჯახში ხდება, მეტისმეტია. არ მეჩვენება, მართლა ასეა, რომ ჩემი ადგილი უკვე აღარ არის ასეთი წარმატებული ქალის გვერდით.

**– ამის შესახებ ცოლს არ ელაპარაკეთ?**

– ვცადე. გაიცინა და მითხრა, როგორი უმადური და დაუნახავი ხარ, ვერც კი ხვდები, რომ მე საერთო საქმისთვის ვწვალობ და ვშრომობ; შენ მაგივრადაც მე ვაგვარებ უამრავ პრობლემას და კიდევ აქეთ გაქვს პრეტენზიებიო?! უკვე ვნანობ, რომ ცოლად ჩვეულებრივი ქალი არ შევირთე, ნაკლები ამბიციებითა და მეტი სურვილით, რომ საკუთარი თავი ოჯახს მიუძღვნას. გაცილებით მშვიდად და კომფორტულად ვიქნებოდი. ზოგჯერ იმაშიც აღარ ვარ დარწმუნებული, რომ რაღაც მომენტში არ მიღალატებს.

**– მგონი, თავს ტყუილუბრალოდ იტანჯავთ.**

– ვითომ? იცით, რა საშინელებაა კაცისთვის საკუთარი ცოლის ჩრდილის ქვეშ ყოფნა?! დავითრგუნე და ნელ-ნელა საკუთარი თავის რწმენასაც ვკარგავ. მაგიჟებს იმაზე ფიქრი, რომ ცოლზე ნაკლები ვარ. ვილაცეებს ჰგონიათ, რომ ძალიან გამიმართლა. გაპრიალებული ლითონიც ოქროსავით ბრწყინავს შორიდან. ვხვდები, თქვენც არ მეთანხმებით, მაგრამ, მუდმივად იმაზე ფიქრმა, რომ საკუთარ ცოლზე დაბლა ვდგავარ, გამაწამა. რამდენიმე დღის წინ მითხრა, სუსტი და ლაჩარი ხარო. ვატყობ, ჩემი დამცირება ჩვევაში გადასდის და ამას დიდხანს ველარ გავუძლებ.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**დაქორწინების დღიდან ჩემი ცოლი მუდმივად ეჭვიანობდა ჩემზე, ერთი დღეც არ „ჩაუგდია“. შეეძლო, უბრალო მესიჯზეც კი საშინელი სკანდალი მოეწყო. ძალიან მაწუხებდა ეს ამბავი და ხშირადაც გვიჩხუბია. სერიოზული საბაბი ეჭვიანობისთვის თითქმის არასდროს მიმიცია. ახლა კი, უკვე რამდენიმე თვეა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა – საერთოდ აღარ ეჭვიანობს. თითქოს ცოლი შემიცვალეს: ძირითადად, კარგ გუნებაზეა, ღიღინებს, უმიზეზოდ ილიმება... მგონი, იქით მაქვს საქმე საეჭვიანოდ. რა ვქნა, არ ვიცი. მართლა დავიბენი.**

**გამოხმაურება:** უნდა დაელაპარაკოთ ცოლს – ეს აუცილებელია, მაგრამ, ჩხუბის, ნერვიულობისა და ზედმეტი ემოციების გარეშე. შეეცადეთ, სიტუაცია „აფეთქებამდე“ არ მივიდეს... ნუ იფიქრებთ იმას, რომ აუცილებლად ვიღაც გაიჩინა. შეიძლება, უბრალოდ, ასეთი ტაქტიკა აქვს, რომ გაეჭვიანოთ და თქვენი ყურადღების ცენტრში მოექცეს. ასე რომ, კონსტრუქციული დიალოგი ღიმილის თანხლებით და... პრობლემა მოგვარდება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**გვანცა დარასელია ბათუმიდან დაბრუნდა და „სხვა შუადღის“ ახალი სეზონისთვის აქტიურად ემზადება – ამბობს, რომ გადაცემაში სიახლეები იგეგმება და მაყურებლისთვის „რუსთავი 2-ის“ ახალი, „მეგრული შუადღე“ უფრო საინტერესო იქნება.**

# სად დადის გვანცა დარასელია „ტვინის გასანიავებლად“ და რატომ არ არის ის „რქებით მიმწოლი“

**– გვანცა, ძალიან ლამაზად გამოიყურები, გარუჯვაც მოგისწრია ბათუმში – როგორც ჩანს, ამინდში გაგიმართლა. რას შვრები, როგორ ხარ, როგორ ემზადები ახალი სეზონისთვის?**

– წელს ძალიან სტანდარტული დასვენება გამომივიდა – ბათუმში ვიყავი მეუღლესთან და ერეკლესთან ერთად, ერთი თვით. კარგი ამინდი იყო, თან, მონატრებული მქონდა ზღვა – შარშანწინ ორსულად ვიყავი, შარშან კი ბავშვი პატარა იყო და ვერ მოვახერხე წასვლა. წელს გული ვიჯერე ცურვით. შორს გავდივარ ხოლმე და ჩემი ქმარი სულ ნერვიულობს ამის გამო, ნაპირზე დგას და მიყურებს. თვითონ ძალიან სპორტულია, მორაგბეა, მაგრამ, მაინცდამაინც არ უყვარს წყალი, მე კი ბავშვობიდან ვგიჟდები. ცურვა ბიძაჩემმა მასწავლა და სულ შორს გავდიოდი. ერთხელ კინაღამ ცუდადაც დამთავრდა ეს ამბავი – დიდმა ტალღამ დამარტყა და სერიოზულად დავზარალდი. ერეკლესაც ძალიან მოეწონა ზღვა, მაგრამ, შეეშინდა და წყალში არ შევიდა. რომ ჩამოვიდა, ყვებოდა – „დიდი ტალა იყოო“ *(იცინის).* კარგად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ, ჩვენ გვაგებინებს. გარუჯვას რაც შეეხება, დიდად არ ვგიჟდები, არც მჭირდება. სოლარიუმში არასდროს წავსულვარ. ცოტა არ იყოს, გავზარმაცდი და ამოვვარდი ფორმიდან. ძალიან გამიჭირდება ისევ სამსახურის რეჟიმზე გადაწყობა – რომ ვისვენებ, საერთოდ არაფერზე ვფიქრობ, მეილსაც კი არ ვამოწმებ ხოლმე. გადაცემა ახალი სეზონიდან კიდევ უფრო საინტერესო იქნება, დაემატება ახალი რაღაცეები, მაგრამ, წამყვანები არ შეიცვლებიან. თან, ძალიან მიხარია, „იმედზე“ რომ იწყება შუადღის გადაცემა – ცოტა მოგვბეზრდა უკონკურენტო რეჟიმში მუშაობა *(იცინის),* მაინც აზარტულია უფრო.

**– „მეგრული შუადღე“ გაქვთ, მოკლედ.**

– *(იცინის)* ეგრეა და... დიმა ობოლაძე სულ მაგაზე ლადაობს ხოლმე – დასხდებიან ეს მეგრელი ქალები, დაიწყებენ ქაქანს და რა გაუძლებს მაგათო... ძალიან მიყვარს თიკაც და ნინოც, ძალიან სასიამოვნოა მათთან მუშაობა. სამივე ძალიან განსხვავებულები ვართ და ერთნაირი კითხვები თითქმის არ გვიჩნდება ხოლმე. მანამდეც ვიცნობდი თიკას და ნინოს, კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს. დიმა ზის და გვისმენს, ჩვენ რომ სტრიებზე და ეგეთ თემებზე ვლაპარაკობთ ხოლმე.

**– განათლებით ჟურნალისტი ხარ. არ გიფიქრია პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში მუშაობაზე?**

– პრინციპში, არა. თან, ალბათ, ცოტა დაგვიანებულიც არის ჩემთვის, გამიჭირდება გადაცემის წამყვანის ამპლუიდან იქით გადაწყობა. მყავს მეგობრები, რომლებიც გიჟდებიან ამ საქმეზე, მაგრამ, პოლიტიკური ჟურნალისტიკა უფრო მეტ შრომასა და დროს მოითხოვს, თანაც, არა მგონია, ჩემს ქმარს ეგ მოეწონოს – ნამდვილად არ დათანხმდება, ურჩევნია, ცოლი თბილად იჯდეს სტუდიაში, არ სციოდეს, არ შიოდეს... თუმცა, ცვლილებებს, სიახლეებს ძნელად ვეგუები, ჩემი მეუღლე ძალიან სპონტანურია, მე – არა. მაგრამ, ავღანეთში რომ მომიხდეს წასვლა, ნამდვილად არ ვიტყვი უარს – დავთანხმდები.

**– მეგრული ხასიათი გაქვს, ფეთქებადი?**

– არა, არ მაქვს მეგრული ხასიათი, საკმაოდ მშვიდი და რბილი ვარ, არ შემიძლია მაინცდამაინც გამომჟღავნება და გამოხატვა. რამე რომ მეწყინება ვინმესგან და მინდა, ვუთხრა, ორი-სამი დღე ტექსტებს ვალაგებ – ასე ვეტყვი, ისე ვეტყვი-მეთქი. მაგრამ, რომ მივდივარ, მაინც ვერ ვეუბნები ისე მკაცრად, არ ვარ „რქებით მიმწოლი“ და, რა ვქნა. არადა, რასაც ვხედავ, ჩემ ირგვლივ სულ მებრძოლი და გამტანი ადამიანები არიან და, ვფიქრობ, რომ ძნელია, როცა რბილი ხასიათი გაქვს, თუმცა, თავს დაჩაგრულად არ ვგრძნობ. ნამდვილად არ შემიძლია, სხვას ცუდი გავუკეთო, სხვისი ჩარჩოების ხარჯზე მივაღწიო რამეს. სხვათა შორის, შეყვარებულიც ძალიან ვთოკავდი თავს; ვცდილობდი, ბევრი მეფიქრა. საერთოდ, მიყვარს ბევრი ფიქრი და გადაწყვეტილებებს რთულად ვიღებ, თამამი ნაბიჯების ცოტა მეშინია... თუმცა, მერე, რომ შემიყვარდა, ველარ შევიკავე თავი *(იცინის).*



თამამი ნაბიჯების ცოტა მეშინია

**– იცი მეგრული?**

– არა, არ ვიცი, მაგრამ, ძალიან მიყვარს სამეგრელო და ვგიჟდები მეგრულ სამზარეულოზე. მიმაჩნია, რომ მსოფლიოს სამზარეულოებში ჩემპიონია. საჭმლის მომზადება დიდად არ მიყვარს, სამაგიეროდ, ძალიან მიყვარს ჭამა. სამზარეულოში ტრიალი კი მომწონს, მაგრამ დიდხანს ვუნდები და მეზარება – მირჩევნია, ის დრო ოჯახს დავუთმო.

**– რას ამბობ? ვერ წარმომიდგენია, რომ შენ ბევრს მიირთმევ...**

– ვგიჟდები ჭამაზე და, რა ვქნა. განსაკუთრებით – საღამოს და ღამით! არადა, არ მერგება თუ, რა ხდება, არ ვიცი. მინდა, ერთი 3-4 კილო მოვიმატო. ეკრანზე უფრო სრული ვჩანვარ და მიხარია. ჩემი ქმარი სულ ამბობს, ჩემზე მეტს ჭამს და მე ასი კილო ვარ, ეს კი – ორმოცდაათიო. ჩემი ქმრის წონის ზუსტად ნახევარი ვარ.

> **დედა სულ მეუბნება, შენს ასაკში შენნაირი მონაცემები რომ მქონოდა, უფრო მეტს მივაღწევდიო**

**– ესე იგი, რბილი ხასიათი გაქვს და გჭირდება ბიძგები...**

– კი, ასეა. დედაჩემი ძალიან აქტიური ქალია. წყნარი არც მე ვარ, მაგრამ, ზედმეტი ამბიციებიც არ მაწუხებს. დედა სულ მეუბნება, შენს ასაკში შენნაირი მონაცემები რომ მქონოდა, უფრო მეტს მივაღწევდიო. მე კი კმაყოფილი ვარ იმით, რაც 24 წლის ასაკში მაქვს.

**– ჰო, მაგრამ, ახლაც ძალიან ლამაზი ხარ და ალბათ, ბავშვობაშიც ასეთი იყავი, არ გქონდა გამორჩეულობის გამძაფრებული შეგრძნება?**

– ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ლამაზი ვიყავი... მორცხვი და ჩუმი ბავშვი არ ვყოფილვარ, მაგრამ, ზედმეტი ყურადღების მიპყრობაც არ მიყვარს. ისედაც ყურადღების ცენტრში ვარ ყველგან და, აღარ მინდა. არც გამომწვევად ჩაცმა მიყვარს – არაა ჩემი სტილი. უფრო სპორტულად ვიცვამ, ამიტომ, ჩემს ქმარსაც არაფერი აქვს ასაკრძალი და სათქმელი.

**– ანუ, არც გარეგნობა დაგხმარებია ცხოვრებაში და არც პროტექცია?**

– თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნინო შუბლაძე ჩემი ლექტორი იყო და მითხრა, „რუსთავი 2-ში“ ქასთინგზე მოდიო. პროტექცია არასდროს დამჭირვებია. რა თქმა უნდა, გარეგნობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ, არა გადამწყვეტი. „მის საქართველოდან“ ერთ-ერთ კომპანიაში სტაჟირებაზე გამგზავნეს სამი თვით და იქ ყველას სახეზე ეწერა, რასაც ჩემზე ფიქრობდნენ: მოვიდა აქ სილამაზის კონკურსიდან და, რა იცის, რა უნდა გააკეთოსო. არადა, „მის ინტელექტის“ ტიტული მივიღე. არ არის ეგრე, არაფერი შეგეძლოს და კონკურსზე მარტო ლამაზი ფეხების გამოსაჩენად მიხვიდე.

**– ექსტრემალი რომ ხარ, ვიცი...**

– საშინელი. ყველაფერს მივდევ, რაც დაფრინავს და დაცურავს... სულ მინდა პარაშუტით გადმოხტომა, მაგრამ, ჩემი ქმარი მეხვეწება, არ ქნაო და აქამდე ვერ მოვახერხე. ზღვაზე, ჩვენ თვალწინ ერთ გოგოს ტროსები გაუწყდა და მას მერე ეშინია. არადა, მაინც ვაპირებ ოდესმე... სკუტერზეც მიყვარს ჯდომა. ავსტრიაში ვიჯექი მაგარ ატრაქციონზე – მეგობართან ერთად წავედი ვენაში ატრაქციონების პარკში. მე ყველაფერზე დავჯექი, ის – საერთოდ არა! იჯდა და მიყურებდა. ბოლოს ერთ ატრაქციონზე ვიჯექი – შურდულის პრინციპითაა, გჭიმავს მაქსიმალურად და 250 მეტრზე გისვრის 130 კილომეტრი სიჩქარით! შოკია! ქვევით იდგნენ და მიყურებდნენ, როგორ ვწიოდი და ვკიოდი. რომ ჩამოვედი, ფეხები მიკანკალებდა. თან, ქვევით კამერაა დამონტაჟებული და გიღებს. რომ ჩამოვედი, ჩემი ქმარი მეუბნება, გიჟი ხარო. ძალიან მინდა, გავიმეოროო. რომ მომენატრება, ჩანაწერს ვრთავ და ვუყურებ ხოლმე – მოგვცეს ის დისკი. უცხოეთში წასვლა ძალიან მიყვარს, „ტვინის განიავებას“ ვეძახი.

**– შენზე ბევრი ჭორი გსმენია?**

– ამას წინათ უთქვამთ, რომ ქმარს დავშორდი. ჩემს დაქალს უმტკიცებდა ვიღაც ქალი თავგამოდებით ერთი სალონში – გინდა თუ არა, დაშორდნენო. იმასაც ამბობენ, რომ ცხვირის ოპერაცია მაქვს გაკეთებული... არ ვნერვიულობ ეგეთ რაღაცეებზე.

**– ერეკლე ვის ჰგავს?**

– სულ მგონია, იმისთვის დავიბადე, რომ ერეკლე მყოლოდა. ფერებით მამას ჰგავს, თუმცა, ამბობენ, რომ თანდათან მე მემსგავსება, ძალიან საყვარელია. დავიწყო და ვაქო ახლა საკუთარი შვილი?! *( იცინის)* სიარულის მანერითაც მამას ჰგავს, ლაპარაკობს ცოტ-ცოტას. კიდევ, არ არსებობს, რამის გაკეთება აიძულო. ჩუმია, არაა გიჟი ბავშვი. მარტო მაშინ ხდება ნადირი, როცა თვითონ უნდა და ტირის, როცა თვითონ აწყობს!

**ქეთი დიდებულიძე**

# საიდან წარმოიშვა და რას ნიშნავს სიტყვა „ყარაჩოხელი“ და რა ტრადიციები ჰქონდათ მათ

*სიტყვა „ყარაჩოხელი“ თბილისური, ქალაქური, ქართული წარმოშობისაა და მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდა. სახელწოდება „ყარაჩოღელი“ ან „ყარაჩოხელი“ ჩაცმულობიდანაა მიღებული და „შავჩოხიანს“ ნიშნავს. ძველ თბილისში ყარაჩოხელი დარბაისელი, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი და რაინდი ადამიანის სახელით სარგებლობდა. ყარაჩოხელების შესახებ გვექნება საუბარი „თბილისელების” ამ ტრადიციულ რუბრიკაში.*

## ყარაჩოხელი

ყარაჩოხელები ქალაქის დაბალ ფენას ეკუთვნოდნენ. ისინი ჩვეულებრივი, რიგითი თბილისელი მუშები და ხელოსნები იყვნენ, რომლებსაც სინდისის საკუთარი კოდექსი ჰქონდათ. ეს ყველაფერი ძალიან მოგვაგონებს ევროპაში შუა საუკუნეებში შექმნილ ამქარგაერთიანებებს, რომლებშიც ასევე ქალაქის წვრილი ხელოსნები შედიოდნენ, თუმცა, ყარაჩოხელის ცხოვრების წესი მათგან მაინც განსხვავდებოდა. ყარაჩოხელები, პრაქტიკულად, კანონგარეშე ცხოვრობდნენ; ისინი მხოლოდ იმ წესებით ხელმძღვანელობდნენ, რომლებსაც მათი წინამძღოლი, უსტაბაში ამკვიდრებდა. ამ წესების მიხედვით, თითოეულ ყარაჩოხელს ევალებოდა: 1) ყოველი ოსტატი ვალდებულია, გაჭირვებაში მეორეს დაეხმაროს. 2) ოსტატებმა ერთმანეთს შეგირდები არ უნდა წაართვან. 3) რომელიმე ყარაჩოხელის სიკვდილის შემთხვევაში, მისი დამარხვისა და სხვა ხარჯები ყველა იმ ადამიანმა უნდა გაიღოს, რომელიც ამქარში ირიცხება. 4) შეგირდი ოსტატად მთელმა ამქარმა უნდა აკურთხოს. 5) ახალი უსტაბაშის არჩევის დროს ამქრიდან ერთი წევრიც რომ იყოს ამ კანდიდატურის წინააღმდეგი, მას არ აირჩევენ.


თბილისელი ყარაჩოხელები (ა. როინაშვილის ფოტო)


ძველი თბილისის ყარაჩოხელები

ისტორიკოს თამაზ ბერაძის აზრით, „ყარაჩოხელს, როგორც ქალაქის სოციალური ფენის წარმომადგენელს, დაახლოებით რვაასი-ცხრაასი წლის ისტორია აქვს. მისი წინაპარია რინდი, ჯევანმარდი. რინდი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მოქეიფეს, ზარხოშს. „რინდი“ ეწოდებოდა, აგრეთვე, აჯანყების მონაწილეს, არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ მებრძოლს. „ჯევანმარდიც“ სპარსული სიტყვაა: „ჯევან“ – ახალგაზრდას ნიშნავს, „მარდ“ კაცს. ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები ქართული – „ჯომარდი“. ჯევანმარდის (ჯომარდის) საპირისპირო სიტყვაა „ნემარდი“-„ნამარდი“, რაც არაკაცურ კაცს, მოღალატეს ნიშნავს. ჯომარდსაც და ნამარდსაც მხოლოდ თბილისში გაიგონებდით, ის ქალაქური ტერმინია. ძველ უბნებში, ავლაბარში, ჩუღურეთში, ხარფუხში შესაძლოა, დღესაც მოჰკრათ ყური ამ სიტყვებს. ჯევანმარდს უყვარდა სპორტი. ის ქალაქის მოსახლეობის საყვარელი ფალავნი იყო, უსამართლობის მოძულე, სუსტების მფარველი და თბილისელმა ყარაჩოხელმა ჯომარდმაც მემკვიდრეობით მიიღო ეს კარგი თვისება. თბილისელი ყარაჩოხელი ქალაქის მოსახლეობის საყვარელი ფალავანი, უსამართლობისა და ძალმომრეობის მოძულე, სუსტების, დაჩაგრულებისა და ქვრივ-ობლების ქომაგი იყო.


ყარაჩოხელები (ა. როინაშვილის ფოტო)

## ყარაჩოხელის ჩაცმულობა

შავი შალის ჩოხა, გრძელკალთებიანი, მოკლენაოჭიანი და ორჩაქიანი. ჩოხის ნაპირებზე მოვლებულია ბუზმენტის ბრტყელი ჩაფარიში, შიგნიდან აცვიათ წითელი აბრეშუმის დოშლუღგაკეთებული და გულამოჭრილი პერანგი, ზედ – შავი ატლასის ან სატინის წვრილნაოჭიანი ახალუხი. მათი განიერი შარვალი, განსაკუთრებით – ქობაჩი, შავი შალისაგან იკერებოდა, თავებში აბრეშუმის ფოჩებიანი ხონჯარი ჰქონდა გაყრილი. ამ შარვლის ფართო ტოტები შიგნიდან ჰქონდათ ჩამაგრებული საცვეთების ჩარჩუბალებში. საშინაოდ იცვამდნენ ქოშებს, საგარეოდ ხმარობდნენ ყაფალიან წაღებს. მათი სამკაული იყო: ვერცხლისგობაკებიანი ქამარი, ქამარში – მწვანე ბაღდადი, „გალიბანდის” ქუდი, წელში – ვერცხლის ჩიბუხი და ჩიბუხისთვის – ქისა წეკოთი.

## ყარაჩოხელთა ჩვეულებები

ყარაჩოხელი ძველი თბილისის ძველი თაობაა. ის იმდროინდელი მოქალაქეა, როცა, „ქართლის ცხოვრების” სიტყვით: „ქალაქი ტფილისი ჯერეთ არა სრულიად შემოყვანებულიყო უღელსა ქვეშე მორჩილებისასა”. ყარაჩოხელი სინთეზია ქართულ-სპარსული ურთიერთობისა და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონაღობისა. წარმოუდგენელია ძველი თბილისი ყარაჩოხელთა ქეიფებისა და დროსტარების გარეშე. მათ ნახავდით თბილისის დუქნებსა და სამიკიტნოებში, ორთაჭალისა და კრწანისის ბაღებში, მტკვრის ტალღებზე მოქანავე ტივსა თუ ნავზე. ყარაჩოხელები შრომით მოპოვებულ ფულს არასდროს ინახავდნენ და უზრუნველად ხარჯავდნენ ღვინოში. ძველ თბილისში ლეგენდაც კი არსებობდა ყარაჩოღელი ალექსას შესახებ, რომელმაც ორთაჭალის ბაღში ძალიან დიდი ფული – 100 თუმანი იპოვა და, იმის ნაცვლად, რომ ეს თანხა შეენახა, ადგა და მთელი ამქარი ერთი კვირის განმავლობაში აქეიფა. ყარაჩოხელის ხმა ტკბილი იყო და შთამბეჭდავი. ყარაჩოხელის საყვარელი საკრავები იყო ზურნა, დუდუკი, საზანდარი და ქამანჩა. ყარაჩოხელის მუსიკა – დუდუკია. შრომით დაღლილი, დუდუკის დარბაისლურსა და ნაღვლიან კვნესაში ახშობდა სიყვარულის კაეშანსა და ცხოვრებისეულ ჭირ-ვარამს. მათ მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოში ჩაქსოვილი იყო კაცთმოყვარული, ჰუმანური აზრები; ადამიანის ყოველდღიური, ცხოვრებისეული ფიქრი და ტკივილი. ყოველ სადღეგრძელოს მოჰყვებოდა დუდუკის ტკბილი ჰანგი, რომელიც, ღვინისგან შეზარხოშებულთ, ეშხში შესულებს, ცხოვრების სითბოსა და სილამაზეს აგრძნობინებდა. ქეიფში, პურ-მარილში ღამენათევი მეინახენი გათენებისას, დილის საარზე, ქეიფს თბილისის გოგირდის აბანოებში განაგრძობდნენ. ცხელი აბაზანისა და ლაზათიანი ქისის შემდეგ სუფრა ზედ აუზის თავზე იშლებოდა და კვლავ ისმოდა ყარაჩოხელთა სადღეგრძელოები. ყარაჩოხელის სასმისი იყო ჩინური ჯამი, თიხის ფიალა, აზარფეშა და ვერცხლით შეჭედილი ხის კულა.


მოქეიფე ყარაჩოხელი

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**როგორც სახარებიდან არის ცნობილი, მაცხოვარი არავის შეგაქებთ იმის გამო, რომ აღსარებას ამბობდით, ეზიარებოდით, ეკლესიას აშენებდით; არა, ის გეტყვით: „მშიოდა და არ მაჭმევდით, მწყუროდა და არ მასვით, შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ, პატიმრობაში ვიყავი და არ მინახულეთ“. უპირველეს ყოვლისა, ღმერთი ჩვენს მოწყალებას გადახედავს, ჩვენს დამოკიდებულებას მოყვასისადმი, რომლებსაც, თურმე, ძალიან ხშირად განვიკითხავდით და ამით კიდევ უფრო მეტ ცოდვებს ჩავდიოდით. ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ შეიძლება გახდეს ერთი ადამიანის ცოდვა მეორე ადამიანის სასჯელი და როდის მოსდის ქრისტიანს ყველაზე ხშირად ცოდვილი აზრები



**არ არის სასურველი გამოუცდელ ადამიანებთან გულახდილი საუბარი; არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ ვინმე უცხოსავით დაგიწყებთ ყურებას, როდესაც მათ რაღაცას ვერ ეუბნებით, რადგან ისინი სხვანაირად აზროვნებენ**

– ღმერთმა მოგვცა გონება, ჯანმრთელობა, აზროვნება, გარკვეული ნიჭები და, თუ ჩვენ ამ ნიჭებს, იმას რაც უფალმა მოგვცა და ჩვენ არ გვეკუთვნის, არ გავცემთ გულითა და სულით, სხვას არ დავეხმარებით, მაშინ, საერთოდ არ გავცემთ იმას, რაც ჩვენია, ჩვენით გვაქვს ნაშოვნი. ამიტომაც, უნდა ვიყოთ უდარდელად, უყვედრელად ხელგაშლილი და, ღმერთი ამ ყველაფერს შეიწყნარებს და გარკვეულ წყალობას მოგცემთ.

**– და მაინც, რა არის ყველაზე დიდი ცოდვა?**

– ყველაზე დიდი ცოდვა – შიშია, ყველაზე დიდი შეცდომა – უიმედობა, ყველაზე დიდი სისუსტე – სიძულვილი, ყველაზე დიდი სიმდიდრე – ჯანმრთელობა, ყველაზე დიდი ჯილდო – სიყვარული, ყველაზე საშიში კაცი კი – მატყუარა. არ არის სასურველი გამოუცდელ ადამიანებთან გულახდილი საუბარი; არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ ვინმე უცხოსავით დაგიწყებთ ყურებას, როდესაც მათ რაღაცას ვერ ეუბნებით, რადგან, ისინი სხვანაირად აზროვნებენ. ცოდვა ხშირად სწორედ ფიქრის დროს იბადება, ეს კი განსაკუთრებით ლოცვის დროს ხდება. ხშირად ადამიანს სწორედ ასეთ დროს მოსდის მაცდური ფიქრები, რომელთაგან გაშორებაც ძალიან უჭირს და შემდეგ მათ ხშირად ქმედებაში ახორციელებს. როგორც ანტონი დიდი ამბობს: შეიძლება, შენ გქონდეს სარწმუნოება, მაგრამ, სულიერად თუ კარგად არ გაიაზრებ, შეიძლება, შენი სარწმუნოება არ იყოს ისეთი, როგორიც უფალს სურს; შეიძლება, გქონდეს სიყვარული, მაგრამ, ეს სიყვარული იყოს მშვინვიერი, დროებითი, ადამიანური, საეშმაკო და არ იყოს მაცხონებელი... როცა უკმაყოფილო ხარ ყველაფრით, ყველასი: ცოლის, შვილის, მეზობლის, მეგობრის – აი, ეს არის უკმაყოფილების განცდა. ამას კი ხშირად იმით ნიღბავენ, რომ – „მე ვარ ძალიან წმიდა, პატიოსანი; არ შემიძლია, ეს მოვითმინო“... აღშფოთებულები, გაკვირვებულები არიან და თავიანთ გარშემო არაფერი არ მოსწონთ, არიან მუდმივად განკითხვაში. აი, აქედან მოდის მუდმივად განკითხვა: როცა არავინ და არაფერი მოგწონს. უკმაყოფილო ხარ შენ და ნიღბავ იმით, თითქოსდა იმხელა სულიერების მქონე ხარ, რომ გარშემო არაფერი აღარ მოგწონს, სანამ საუბარს დაიწყებთ, ან რამის აღსრულებას დააპირებთ, დაფიქრდით, სულიერი განსჯით მოიფიქრეთ, რადგან, შეიძლება, თქვენი განსჯით, სიტყვით, უკმაყოფილებით სხვა ადამიანი დაიღუპოს. ნურასდროს იკამათებთ და ნუ მოჰყვებით თავის დაცვასა და მართლებას. უნდა იყოთ გულწრფელნი და გულით, სიყვარულით მიიღეთ დარიგება, შენიშვნები და მხილება სხვათაგან, თუნდაც ძალიან ჭკვიანი იყოთ. არ უნდა იყოთ მოძულეები, შურიანები და ზედმეტად მკაცრები სიტყვასა და საქმეში. რაც თქვენთვის არ გსურთ, იმას სხვას ნუ გაუკეთებთ და, რაც გინდათ, რომ სხვებისგან მიიღოთ: ის თავად გაეცით.

**– წმიდა იოანე კიბისაღმწერელი ამბობს: სიამაყის ეშმაკი ხარობს ჩვენში, როდესაც ჩვენი სათნოებების სიმრავლეს ვხედავთ. რაც უფრო მეტი წარმატება გვაქვს, რაც უფრო კარგად გვაცვია; როდესაც ვმსჯელობთ, პატივმოყვარეობით ვივსებით, თუ საუბარს ვიწყებთ – მაშინაც სიამაყით ვივსებითო.**

– სიამაყე უკიდურესი თავდაჯერებულობაა, რომელიც უარყოფს ყველაფერს, რაც მისი არ არის, ის რისხვის, სისასტიკისა და ბოროტების წყაროა, ხშირად კი – ღმერთის შეწევნის უარყოფაც. ის თითოეული ცოდვის შემადგენელი ნაწილია. ამაყი ადამიანი, ჩვეულებრივ, ვერ ხედავს საკუთარ ცოდვას. თუკი ადამიანს უჭირს პატიების თხოვნა, თუ ადვილად სწყინს, ეჭვიანია, თუ ბოროტება ახსოვს, სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობს, სხვებს განსჯის, საკუთარ თავში კი დირესაც ვერ ხედავს, ეს ყველაფერი უკვე სიამაყის უტყუარი ნიშანია. ამ დროს ადამიანში ჩნდება საკუთარი უპირატესობის გულწრფელი რწმენა. საკუთარ თავში ზედმეტად თავდაჯერებულობა ხშირად მკაცრი, სხვისთვის დამამცირებელი განკარგულებების გაცემაში ვლინდება – ამით ის სხვების თავისუფალ ნებას ესხმის თავს, თუმცა, ვერ იტანს, როდესაც ოდნავ მაინც ეხებიან მისას. განაგებს სხვის ყურადღებას, დროს, ძალებს, ენერგიას; ხდება კადნიერი და თავხედი; მისი საქმე მნიშვნელოვანია, სხვისი – უმნიშვნელო; ის ყველაფერს ჰკიდებს ხელს და ყველაფერში ერევა. როცა წინააღმდეგობას აწყდება, უკუქმედებებს იწვევს, ღიზიანდება, ჭირვეულობს, ჯიუტდება. დარწმუნებულია, რომ მისი არავის ესმის, ახლობლებსაც – კი. ხარბად ცდილობს, გახდეს ცნობილი, თუნდაც სკანდალურად და ამისთვის ყველანაირ გზას მიმართავს. „სიამაყე სულის უკიდურესი სიღატაკეა“, – ბრძანებს წმიდა იოანე სინელი. ამაყი ადამიანი საბოლოოდ მარცხდება ფსიქოლოგიურად: მას იპყრობს სევდა, სიბნელე, უარყოფა, სიბრაზე, მორალური მარტოობა, სულიერი სიკვდილი, რომელიც ხორციელ სიკვდილს უტოლდება. ამიტომ, საჭიროა, მას დავუპირისპიროთ თავმდაბლობა, ადამიანებისადმი უანგარო სიყვარული, სამართლიანობა, წყენის დათმენა, საკუთარი თავის უკანასკნელ ადგილზე დაყენება, სხვისი მდგომარეობის გათვალისწინება და მის ადგილას საკუთარი თავის დაყენება, ზნეობრივი კანონების დაცვა ისევე, როგორც უფლის მცნებების. ზნეობრივი კანონები ითვალისწინებს ადამიანის ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიას – ის ხომ ადამიანისთვის არის ფარი და ჯავშანი; განამტკიცებს ადამიანებს შორის სიყვარულს, პატივისცემას და იცავს მათ ღირსებას. ზნეობრივ ქცევას ალტერნატივა არ აქვს, ის ყოველთვის თანამედროვეა, მოდაშია, რადგან, ადამიანის სასარგებლოდ არის მიმართული.

**როცა უკმაყოფილო ხარ ყველაფრით, ყველასი: ცოლის, შვილის, მეზობლის, მეგობრის – აი, ეს არის უკმაყოფილების განცდა. ამას კი ხშირად იმით ნიღბავენ, რომ – „მე ვარ ძალიან წმინდა, პატიოსანი; არ შემიძლია, ეს მოვითმინო“... – აღშფოთებულები, გაკვირვებულები არიან**

**– ამაყ ადამიანებს კიდევ ერთი თვისება ახასიათებთ: ისინი საკუთარ შეცდომებს იშვიათად ხედავენ, სამაგიეროდ, შეუძლიათ, სხვის შეცდომებზე ხმამაღლა სხვებთან ისაუბრონ, განიხილონ და, გარკვეულწილად, დაამცირონ კიდეც.**

– როდესაც ადამიანი საკუთარ უსჯულოებას უყურადღებოდ ტოვებს, ის მაშინვე იწყებს მოყვასის ცოდვების თვალთვალს, რასაც კი შედეგად ის მოჰყვება, რომ მას განიკითხავს, ამცირებს, ბოლოს კი თვითონაც იმავე ან უარეს ცოდვებში ვარდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სხვა რამაა ადამიანზე ძვირის თქმა და სხვა – განკითხვა. ძვირის თქმა ის არის, როცა ვინმეზე იტყვიან: მან იცრუა, იმრუშა ან სხვა ცუდი რამ გააკეთა. მაგრამ, ადამიანს მაშინ განიკითხავს, როდესაც სხვაზე იტყვის: მატყუარაა, მრისხანე, მრუში. ამ დროს იგმობა ადამიანის სულის წყობა და განაჩენი ეცხადება მთელ მის ცხოვრებას, რაც გაცილებით მძიმე ცოდვაა. ასევე, სხვადასხვა რამ არის განკითხვა და დამცირება. დამცირება ის მდგომარეობაა, როდესაც, არა მარტო განიკითხავ მოყვასს, არამედ, კიდეც გძულს და ზიზღით აქცევ მას ზურგს, ამცირებ ყველგან. ეს განკითხვაზე კიდევ უფრო დამღუპველია. სულის ცხონების მსურველებმა ასეთ დროს უნდა გაიფიქრონ: „ვაიმე, დღეს ის სცოდავს, ხვალ კი მე შევცოდავ“, – რადგან, არ არის გასაკვირი, რომ მეორე დღესვე ზუსტად იმავე ცოდვაში ჩავცვივდეთ, რომელშიც ჩვენი მეგობარი, ახლობელი ჩავარდა და რომელსაც ამის გამო ხმამაღლა განვიკითხავდით ან დავცინოდით. ამიტომ, ადამიანმა საკუთარ თავს უნდა ჩაუნერგოს იმის შიში, რომ ხვალ, შეიძლება, თვითონ შესცოდოს და ამით მოყვასის განკითხვას განერიდება. ჩვენ რომ სიყვარული გაგვაჩნდეს, თანაგრძნობით მოვეკიდებოდით მოყვასის ნაკლს, ცოდვას და მის ნაკლოვანებებსაც არ მივაქცევდით ყურადღებას. პირიქით, უნდა შევინარჩუნოთ ადამიანებთან ახლო ურთიერთობა, სიყვარული, რადგან, როცა მოყვასთან, მსგავსთან ახლოს ვართ, კიდევ უფრო მეტად ვუახლოვდებით უფალს, მასთან ერთობაში ვიმყოფებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვიღაც, შეიძლება, უცოდინრობის გამო სცოდავდეს, მაგრამ, ისეთი კეთილი საქმეები ჰქონდეს გაკეთებული, რომ ღვთისთვის მთელ შენს ცხოვრებაზე უფრო მეტად სათნო იქნება. შენ კი ზიხარ და მას განკითხავ, განსჯი და, ამით მას კი არ ვნებ არაფერს, არამედ, საკუთარ სულს იმძიმებ, ცოდვებს იმატებ; ან, შეიძლება, დაეცა ადამიანი, მაგრამ, მან ამის შემდეგ ბევრი იტირა, შეინანია, ცრემლი დაღვარა... ღმერთი მის შრომას, ღვაწლს ხედავს, შეიწყალებს, შენ კი მხოლოდ ცოდვას ხედავ და განიკითხავ, სულს ილუპავ და მასაც ცოდვაში აგდებ... ასე რომ, სანამ სხვის განკითხვას დავიწყებდეთ, სანამ სიამაყით ზემოდან გადმოვხედავთ სხვებს, დავამცირებთ, უმჯობესი იქნება, მანამდე საკუთარ სულში, გულში, უფრო ღრმად ჩავიხედოთ, ბევრი ვიფიქროთ – იქ აუცილებლად დავინახავთ ჩვენს ცოდვებს და ამით სხვების განკითხვაზე ნელ-ნელა ვიტყვით უარს.

**ნათია უტიაშვილი**

### წმიდა, მართალი, ნეტარი მატრონა მოსკოველის სასწაულები

ანა ფილიპეს ასული ვიბორნოვა, რომლის დედაც სებინოში იყო გათხოვილი, ყვებოდა: „დედაჩემი წარმოშობით სოფელ უსტიედან იყო, მისი ძმაც იქ ცხოვრობდა. ერთ დღესაც, ბიძაჩემმა გაიღვიძა და ნახა, რომ აღარც ხელები ემორჩილებოდა, აღარც ფეხები. მას მატრონას სასწაულმოქმედების უნარის არ სჯეროდა, მაგრამ, მისი ქალიშვილი მაინც ჩამოვიდა სებინოში და დედაჩემს უთხრა: ჩქარა, წამოდი, მამაჩემი ძალიან ცუდადაა, გამოყეყეჩდა, ხელ-ფეხი აღარ ემორჩილება, მხედველობა დაკარგა და ენასაც ძლივს აბრუნებსო. ჩემმა მშობლებმა მაშინვე ცხენი შეკაზმეს და უსტიეში წავიდნენ. დედაჩემის დანახვაზე ავადმყოფმა ძლივს ამოილუღლუღა: „და!" დედამ ჩასთვლისთანავე გაამზადა ბიძაჩემი და ჩვენთან – სებინოში წამოიყვანა. ავადმყოფი შინ დატოვა, თვითონ კი მატრონასთან წავიდა და ჰკითხა, შეძლებდა თუ არა დახმარებას. მატრონამ უთხრა: „რაო? როგორ ამბობდა შენი ძმა ჩემზე, არაფერი შეუძლიაო?! ხომ ექცა ხელები მათრახებად... მომიყვანე, მომიყვანე და ვუშველი!"

ავადმყოფი მიიყვანეს. მატრონამ ლოცვა წაუკითხა და ნაკურთხი წყალი ასხურა. ამის შემდეგ ბიძაჩემს ღრმად ჩაეძინა, დილით კი სავსებით განკურნებული ადგა. „შენს დას უმადლოდე, მისმა რწმენამ განგკურნა", – უთხრა მატრონამ".

მატრონა სასწაულებრივად კურნავდა, მაგრამ, მის მოქმედებას არაფერი ჰქონდა საერთო მკითხაობასთან, ჯადოქრობასთან, ეგრეთ წოდებულ ხალხურ მკურნალობასთან, ექსტრასენსობასთან და გრძნეულ მოქმედებებთან, რომელთა შესრულების დროსაც „მკურნალი" კავშირში შედის უწმიდურ ძალებთან. მატრონას მოქმედება მხოლოდ ქრისტიანული იყო, ამიტომაც სძულდათ ეს წმიდანი ჯადოქრებსა და ოკულტისტებს. ამის შესახებ გვიყვებიან ადამიანები, რომლებიც ახლოს იცნობდნენ მას.

1925 წელს მატრონა საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ის ხშირ-ხშირად იცვლიდა საცხოვრებელს, რადგან, ჩაუწერლად ცხოვრობდა მოსკოვში. მას მილიცია დაეძებდა, მაგრამ, მატრონა სულით გრძნობდა მილიციის მიახლოებას და დროულად უჩინარდებოდა.

ანა ფილიპეს ასული ვიბორნოვა იხსენებს ასეთ შემთხვევას: „ერთხელ, როგორც იქნა, მიაგნო მილიციელმა მატრონას და წაყვანა დაუპირა, წმიდანმა კი უთხრა: „წადი, წადი ჩქარა, შენს სახლში დიდი უბედურებაა! უსინათლო ვერსად წაგივალ. აი, ვზივარ საწოლზე და არსად მივდივარ". მილიციელმა დაუჯერა მატრონას და შინ წავიდა, სადაც ცეცხლმოდებული მეუღლე დახვდა. ქმარმა მოახერხა ცეცხლის ჩაქრობა და ქალი საავადმყოფოში წაიყვანა. მეორე დღეს, როცა სამსახურში ჰკითხეს: „აბა, რა ქენი, მოიყვანე უსინათლო"? – მილიციელმა უპასუხა: „მას არასოდეს დავაპატიმრებ, რადგან ცოლი გადამირჩინა!"

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### არ უნდა მოვისმინოთ მღვდლის განკითხვა

უდაბნოში განმარტოებით მოღვაწე ერთ ბერს დროდადრო მღვდელი აკითხავდა ხოლმე, რათა სამეუფეო მსხვერპლი შეეწირა. ერთხელ ამ ბერთან ეშმაკის მიერ შეპყრობილი კაცი მივიდა და მღვდელი განიკითხა. ბერმა მოუსმინა მას და დაბრკოლდა. როცა მას, ჩვეულებისამებრ, მღვდელმა მიაკითხა, რომ წირვა ჩაეტარებინა, ბერმა კარი არ გაუღო. მღვდელი დამწუხრებული დაბრუნდა შინ.

ბერი სალოცავად, რომ დადგა, ზეციდან ხმა შემოესმა: დაკარგეს ადამიანებმა ჩემი სიმართლე და მსჯავრში მეცილებიანო. ეს რომ გაიგონა, დაყუდებული შიშმა შეიპყრო და შეძრწუნდა. ამ დროს დაინახა ოქროს ჭა, ოქროსავე თოკი და ჭურჭელი. წყალი გასაოცრად წმინდა იყო, მაგრამ, წყლის ამომღები ჩანდა არაწმინდა. მივიდა მასთან უფლის ანგელოზი და უთხრა: ჰოი, კაცო, რას ავნებს ამ წმინდა წყალს უწმინდური ამომღები, ან რას მოაკლებს ყოვლადწმიდა მსხვერპლს ულირსი შემწირველი? ის მხოლოდ თავს დაისჯის, მაგრამ სხვებს ვერარას ავნებსო.

ბერი გონს მოეგო, შეძრწუნდა, ცრემლით შეინანა დანაშაული, მოუხმო იმ მღვდელს, დაუჩოქა, შენდობა სთხოვა და ვედრებით დაითანხმა, რომ ძველებურად ეწირა ხოლმე. მას შემდეგ ეს ბერი სხვებსაც ასწავლიდა, არავინ განეკითხათ, რადგან, მხოლოდ ღმერთია ყოველთა განმკითხველი. მით უფრო, არ უნდა განვიკითხოთ მღვდლები, რომლებიც ანგელოზების გვერდით დგანან, წმიდა ძღვენს შესწირავენ უფალს და გარდმოიწვევენ სულიწმიდას, რომელსაც შვენის დიდება უკუნითი უკუნისამდე.

### გლახაკის, უძლურის მოწყალეს უფალი შეიწყალებს

ბერი მარტირი მონასტრიდან სხვა სავანეში მიდიოდა სულიერი მამის სანახავად. გზად ავადმყოფი, ფუფქით დაფარული მათხოვარი შეხვდა, რომელსაც იმავე სავანისკენ ედო გზა, მაგრამ, უძლურების გამო ადგილიდან ვერ იძვროდა. თანაგრძნობით აღვსილმა მარტირმა გლახაკს თავისი მოსასხამი შემოახვია, წამოაყენა, მხარში შეუდგა და მასთან ერთად განაგრძო გზა. სავანეს რომ მიუახლოვდნენ, მოძღვარმა, რომელსაც განჭვრეტის ნიჭი ჰქონდა, ძმებს მიმართა: სასწრაფოდ წადით, მონასტრის კარი გააღეთ, ძმა მარტირს ჩვენთან უფალი მოჰყავსო. ეს იყო და, მარტირის მხარს მინდობილი გლახაკი წელში გაიმართა, წამოდგა და მაცხოვრის სახით წარმოუდგა ბერს, ისეთად, როგორსაც მას ხატებზე გამოსახავდნენ ხოლმე და ცად ამაღლდა. „შენ მე არ შემიზიზღე მიწაზე და არც მე შეგიზიზღებ ცათა შინა. შენ მცირე ხნით მომაპყარი მოწყალების თვალი, მე კი ნეტარგყოფ უკუნითი უკუნისამდე", – თქვა ეს და უხილავი გახდა.

„სად არის იგი, ვინც მოგყავდა?" – ჰკითხა მოძღვარმა მარტირს.

„რომ მცოდნოდა, მამაო, ვისი ტარების ღირსი გავხდი, მაგრად ჩავეჭიდებოდი ფეხებზე", – უპასუხა მან.

„გიჭირდა მისი ტარება?" – კვლავ ჰკითხა ბერმა.

„არა, მამაო, მიუგო მარტირმა, – მას, ვინც მომყავდა, სიმძიმე არ ჰქონდა, რამეთუ, იგი იყო ის, ვინც თავად გვზიდავს მე და მთელ ქვეყანას და თავისი სიტყვით გვიფარავს."

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: თუ სახლში ინახება საეკლესიო ინვენტარი, მაგალითად, ბარძიმი, აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს თუ არა ეკლესიას?**

**პასუხი**: საეკლესიო სიწმიდის, მით უმეტეს ბარძიმის, სახლში გაჩერება არ შეიძლება. ის განკუთვნილია საღმრთო მსახურებისთვის და მისი შეხების უფლება ყველა საეკლესიო პირსაც კი არ აქვს, არათუ საეროს. მხოლოდ მღვდელმსახურს აქვს ნება, გამოიყენოს ის საღმრთო საიდუმლოს შესასრულებლად – მორწმუნე მრევლის საზიარებლად. ასე რომ, საეკლესიო სიწმიდე დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს ეკლესიას, რათა იქ მან თავისი წმიდა დანიშნულება შეასრულოს.

**კითხვა: აქვს თუ არა ქალს უფლება, იქადაგოს ეკლესიაში?**

**პასუხი**: ქალს არ აქვს ეკლესიაში ქადაგების უფლება. პავლე მოციქულის განმარტებით, ეკლესიაში ქალები არ ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, ქალს შეუძლია, ქრისტიანობის ქადაგება ეკლესიის გარეთ. ქალს საკურთხეველში შესვლაც ეკრძალება, მაგრამ არსებობს გამონაკლისი, როდესაც ქალი მონასტრის მსახურია – იმისთვის, რათა მონასტერში არ იყოს გარეშე მამაკაცი, მღვდლის დამხმარედ საკურთხეველში შეუძლია შესვლა ხნიერ ქალწულ მონაზონს.

**კითხვა: კეთილი საქმეა თუ არა დონორობა?**

**პასუხი**: არსებობს სხვადასხვა სექტა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სისხლის გადასხმას. სინამდვილეში კი დონორობა კეთილი საქმეა, როდესაც ამას მოყვასის სიყვარულით ვაკეთებთ.

**კითხვა: ცნობილია, რომ ჯვარცმასთან მხოლოდ მიცვალებულებისთვის ანთებენ სანთელს. ეს რამდენად გამართლებულია?**



**პასუხი**: ჯვარცმის წინაშე ნებისმიერ დროს შეიძლება სანთლის დანთება. რატომღაც მიაჩნიათ, რომ ჯვარცმა მხოლოდ მიცვალებულის ხსოვნას ეკუთვნის. ეს არასწორია, რადგან ჯვარცმით არა მხოლოდ მიცვალებულთა სულები იქნენ დახსნილი ჯოჯოხეთიდან, არამედ ცოცხლებიც სასოებენ ხსნას უფლისგან.

# რომელ ფეხბურთელში გადაიხადა მადრიდის „რეალმა" 100 მილიონი ევრო და ვინ შეიძინა ლონდონის „არსენალმა" თავისთვის სარეკორდო თანხად

***2013 წლის 1 სექტემბერს ოფიციალურად დასრულდა სატრანსფერო ფანჯარა მსოფლიო ფეხბურთის წამყვან ლიგებში და მისი მსვლელობის დროს არაერთი საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა, რომელთა შესახებ ამ ნომერში მოგახსენებთ.***

## ინგლისის პრემიერლიგა

***ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი: მესუთ ოზილი „რეალიდან" – „არსენალში" (50 მილიონი ევრო)***

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღის მთავარი მოულოდნელობა და ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი ლონდონის „არსენალის" ისტორიაში.



ზაფხულის დასაწყისში „არსენალის" გენერალური დირექტორი ივან გაზიდისი ირწმუნებოდა, რომ გუნდი აუცილებლად გაძლიერდებოდა და ამაზე რამდენიმე ათეული მილიონი იყო გამოყოფილი, თუმცა, ზაფხული ისე მიიწურა, რომ „არსენალმა" ვერც ერთი ღირებული შენაძენი ვერ გააკეთა. ლუის სუარესის, გონსალო იგუაინისა და უეინ რუნის ტრანსფერები არ შედგა და ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ „მეთოფეები" არავის შეიძენდნენ, რაც ქომაგებში სამართლიან აღშფოთებას იწვევდა; მაგრამ, ბოლო დღეს არსენ ვენგერმა „გაისროლა" და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი, გერმანელი მესუთ ოზილი, „რეალისგან" იყიდა.

***ყველაზე სარფიანი გარიგება: რომელუ ლუკაკუ „ჩელსიდან" – „ევერტონში" (1 წლით განათხოვრება)***

სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში" წარმატებული სეზონის შემდეგ, ბელგიელი რომელუ ლუკაკუ ფეხს მოიკიდებდა ლონდონურ „ჩელსიში", თუმცა, მას შემდეგ, რაც რომან აბრამოვიჩმა მახაჩკალის „ანჟიდან" კამერუნელი სამუელ ეტოო გადაიბირა, „არისტოკრატებში" ლუკაკუს ადგილი აღარ დარჩა, მაგრამ „ევერტონმა" გამოიყენა სატრანსფერო ფანჯარა და უმაღლესი დონის თავდამსხმელი ერთი წლით უფასოდ ჩაიგდო ხელში.

***უცუდესი შენაძენი: ვიქტორ ანიჩებე „ევერტონიდან" – „ვეს ბრომვიჩში" (5,9 მილიონი ევრო)***

ხშირმა ტრავმებმა ვიქტორ ანიჩებეს კარიერა, ფაქტობრივად, გაანადგურა. ნიგერიელმა რვა წელი გაატარა „ევერტონში" და მხოლოდ რამდენიმე მატჩში მოახერხა თავისი პოტენციალის სრული გამოვლენა. მასში გადახდილი 5,9 მილიონი ევრო დღემდე ყველაზე უცნაურ ტრანსფერად ითვლება პრემიერლიგაში.

## ესპანეთის „პრიმერადივიზიონი"

***ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი: გარეთ ბეილი „ტოტენჰემიდან" – „რეალში" (100 მილიონი ევრო)***

უელსელი ვინგერის ყიდვა მადრიდის „რეალის" მიერ უკვე დასახელდა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებულ ტრანსფერად.



აქამდე სამნიშნა ციფრი არც ერთ ფეხბურთელში არ გადახდილა. სკეპტიკოსების თქმით, ბეილის ფასი ხელოვნურად არის გაზრდილი და ფეხბურთელი ამდენი არ ღირს; იმავეს იმეორებენ მოქმედი და ვეტერანი ფეხბურთელებიც. უცნობია, გაამართლებს თუ არა ბეილი მადრიდელი ქომაგების იმედებს – ამას მომავალი სეზონი გვაჩვენებს.

***ყველაზე სარფიანი გარიგება: ნეიმარი „სანტოსიდან" – „ბარსელონაში" (57 მილიონი ევრო)***

გარეთ ბეილის ტრანსფერმა ერთგვარად დაჩრდილა სუპერტალანტად წოდებული ბრაზილიელი ნეიმარის გადასვლა „ბარსელონაში". სეზონის პირველმა მატჩებმა დაგვანახვა, რომ ლიონელ მესის შესანიშნავი მეწყვილე გამოუჩნდა და კატალონიელების შეტევა კიდევ უფრო მძაფრი და დაუნდობელი გახდა. ნეიმარის ყიდვით „ბარსამ" კარგი დაბანდება გააკეთა, რადგან შესაძლოა, სწორედ ის გახდეს ახალი სატრანსფერო რეკორდის მფლობელი მომავალში.

***უცუდესი შენაძენი: ასიერ ილიარამენდი „რეალ სოსიედადიდან" – „რეალ მადრიდში" (39 მილიონი ევრო)***

ბეილის ტრანსფერის პარალელურად, ფლორენტინო პერესმა 39 მილიონი ევრო გადაიხადა უცნობ, არცთუ ახალგაზრდა ფეხბურთელში, რომლის ტრანსფერს არავინ ელოდა მადრიდში. ილიარამენდი წინა სეზონის აღმოჩენად ითვლება, თუმცა, კონკურენციის გაწევა ისეთი ფეხბურთელებისთვის, როგორებიც არიან ჩაბი ალონსო, სამი ხედირა, ლუკა მოდრიჩი და სხვები, მას ნამდვილად გაუჭირდება.

## იტალიის სერია A

***ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი: გონსალო იგუაინი „რეალიდან" – „ნაპოლიში" (37 მილიონი ევრო)***

„ნაპოლის" პრეზიდენტმა აუერლიო დე ლაურენტისმა 64 მილიონ ევროდ გაყიდა „პარი სენ-ჟერმენში" ურუგვაელი ედინსონ კავანი და ამ თანხით რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი



შეიძინა, მათ შორის – ხოსე კალიეხონი, რაულ ალბიოლი და გონსალო იგუაინი, რომლის ტრანსფერი ამ ზაფხულის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერია იტალიაში. არგენტინელი შემტევი მალე იქცა ნეაპოლელი ქომაგების საყვარელ ფეხბურთელად, რადგან იქ ტკბილადახსენდებათ ყველაზე ცნობილი არგენტინელის – დიეგო მარადონას გატარებული წლები „ნაპოლიში".

***ყველაზე სარფიანი გარიგება: კარლოს ტევესი „მანჩესტერ სიტიდან" – „იუვენტუსში" (9 მილიონი ევრო)***

არგენტინელი კარლოს ტევესი კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა, როდესაც მას ტურინული გრანდი დაუკავშირდა. მანამდე „იუვენტუსი" უშედეგოდ ცდილობდა რობინ ვან პერსის გადაბირებას, თუმცა, ტრანსფერი არ შედგა და საბოლოოდ მათ 9 მილიონად იყიდეს ტევესი, რომელმაც „ბებერი სენიორას" ისედაც ძლიერი შეტევის ხაზი კიდევ უფრო მძლავრი გახადა.

***უცუდესი შენაძენი: ისკახ ბელფოდილი „პარმადან" – „ინტერში" (7,5 მილიონი ევრო)***

ისკახ ბელფოდილში „ინტერმა" ანტონიო კასანო და 7,5 მილიონი ევრო გადაიხადა, თუმცა გაუგებარია რაში დასჭირდა მილანურ კლუბს ეს ფეხბურთელი, რომელიც მკაცრად იცავს მუსლიმანურ წესებს, ინახავს მარხვას და ამის გამო სეზონისწინა პერიოდი, პრაქტიკულად, გააცდინა.

## საფრანგეთის ლიგა 1

***ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი: ედინსონ კავანი „ნაპოლიდან" „პსჟში" (64,5 მილიონი ევრო)***

კავანის გადასვლით ვარაუდობდნენ, რომ პარიზელების კიდევ ერთი ლიდერი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ახალი კლუბის მოძებნაზე დაფიქრდებოდა, თუმცა, ზლატანი დარჩა და ამჟამად „პარი სენ-ჟერმენს" ყველაზე სოლიდური თავდასხმის ხაზი ჰყავს საფრანგეთის ჩემპიონატში.

***ყველაზე სარფიანი გარიგება: ჟოაო მოუტინიო „პორტუდან" – „მონაკოში" (25 მილიონი ევრო)***

ევროპის რამდენიმე სუპერგრანდს სურდა პორტუგალიელი ნახევარმცველის შეძენა, მაგრამ, ყველას დაასწრო რუსმა ოლიგარქმა დმიტრი რიბოლოვლიევმა, რომელმაც „მონაკოსგან" სუპერკლუბის შექმნა გადაწყვიტა. მოუტინიოში გადახდილი 25 მილიონი ევრო კარგად დაბანდებული კაპიტალია.

***უცუდესი შენაძენი: მარკინიოსი „რომადან" – „პსჟში" (35 მილიონი ევრო)***

ბრაზილიელი მარკინიოსი ნამდვილად არ ღირს 35 მილიონი ევრო და, უცნობია, თუ რის გამო გადაიხადეს პარიზული კლუბის არაბმა მეპატრონეებმა ამხელა თანხა ფეხბურთელში, რომელიც, შესაძლოა, ტიაგო სილვას ჩრდილიდან ვერადროს გამოვიდეს.

## გერმანიის ბუნდესლიგა

***ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი: პიერ-ემერიკ ობამეიანგი და გენრიხ მხითარიანი „სენტ ეტიენიდან" და „შახტარიდან" – დორტმუნდის „ბორუსიაში" (40,4 მილიონი ევრო)***

დორტმუნდის მწვრთნელს, იურგენ კლოპს, ბევრი დასცინოდა იმის გამო, რომ მან დიდძალი თანხა გადაიხადა უცნობ ფეხბურთელებში, თუმცა, ორივემ გაუმართლა იმედები და, ამჟამინდელი ფორმაციით, დორტმუნდის ნამდვილი ლიდერები გახდნენ.

***ყველაზე სარფიანი გარიგება: კევინ პრინც ბოატენგი „მილანიდან" „შალკეში" (12 მილიონი ევრო)***

„შალკეს" ესაჭიროებოდა ქარიზმატული ლიდერი და ასეთი გამოდგა განელი ბოატენგი, რომელიც სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს გადავიდა ბუნდესლიგაში. პრინცს სულ რაღაც ორი ვარჯიშის ჩატარება დასჭირდა კლუბში, რომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გამხდარიყო.

***უცუდესი შენაძენი: მარიო გიოტცე „დორტმუნდიდან" – „ბაიერნში" (37 მილიონი ევრო)***

გერმანიაში სკეპტიკურად უყურებენ მარიო გიოტცეს ტრანსფერს მიუნჰენურ კლუბში. გიოტცეს ძალზე გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ ის ნამდვილად ღირდა იმ საფასურად, რაც მასში გადაიხადეს. სულ სამი თვეა, რაც მარიო „ბაიერნშია" და მან უკვე ხუთჯერ მოასწრო ტრავმის მიღება.

## უსაინ ბოლტი კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა

მძლეოსნობის ცოცხალი ლეგენდა, მსოფლიოსა და ოლიმპიური მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, იამაიკელი მორბენალი უსაინ ბოლტი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა და განაცხადა, რომ, შესაძლოა, 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები მის კარიერაში უკანასკნელი შეჯიბრება აღმოჩნდეს. „იმედი მაქვს, გავიმარჯვებ რიოში და ამის შემდეგ უკვე მშვიდად დავფიქრდები კარიერის დასრულებაზე," – განაცხადა ბოლტმა და დაამატა, რომ, სურს, ისტორიაში შევიდეს როგორც დიადი სპორტსმენი, მაგალითად კი მან მუჰამედ ალი და პელე მოიყვანა.

## რონალდო პოკერს მიეძალა



ფეხბურთის ბრაზილიელი ლეგენდა რონალდო „პოკერსტარსის" ახალი ბრენდ-ამბასადორი გახდა. რონალდომ ბარსელონაში მიმდინარე პოკერის ტურნირში მიიღო მონაწილეობა „პოკერსტარსპროს" გუნდის შემადგენლობაში, მისი პროფესიული დებიუტი კი აპრილში შედგა, ლათინოამერიკული პოკერის ტურნირის ბრაზილიურ ეტაპზე. „პოკერსტარსში" რონალდოსთან ერთად რამდენიმე ცნობილი სპორტსმენია ჩართული, მათ შორის – ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი, ოლიმპიური ჩემპიონი ბალახის ჰოკეიში ფატიმა მორეირო და მოთხილამურე მარკუს ჰელნერი.

## კრიშტიანუ რონალდუს შესაძლო ღალატის ქრონიკა

27 წლის ბრაზილიელმა მოდელმა ანდრესა ურიკამ განაცხადა, რომ მადრიდის „რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავთან, კრიშტიანუ რონალდუსთან ღამე გაატარა. „ის დიდებული საყვარელია, მაგრამ, მე ძალიან ცუდად მომექცა, რადგან, ვფიქრობ, რომ, უბრალოდ, გამომიყენეს. არადა, მთელი ღამე ჩემს უკანალზე მესაუბრებოდა და მატყუებდა, რომ ვუყვარვარ," – განაცხადა ჟურნალისტებთან ურიკამ, რომელმაც 2013 წელს ბრაზილიაში „მის ბუმბუბმის" კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა. აღნიშნული კონკურსის მიზანი ბრაზილიის ულამაზესი უკანალის მფლობელის დადგენაა.





## მოურინიო - მულტსერიალის გმირი



კომპანია „სპორტს სტარ მედიამ" გადაიღო ანიმაციური მულტსერიალი, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირი ლონდონის „ჩელსის" ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიოა. ანიმაციური ფილმი „პოკემონებისა" და „კაპიტან ცუბასას" სტილშია გადაღებული და მისი სახელწოდებაა – „მოურინიო და განსაკუთრებულები". ფილმის პრემიერა ერთ-ერთ პორტუგალიურ არხზე შედგა და, სცენარის თანახმად, მწვრთნელი ჟოზე ქუჩის ბავშვებს ეხმარება, გახდნენ ფეხბურთის ვარსკვლავები.

## შეიხები ინგლისურ კლუბებს ყიდულობენ

ინგლისური საფეხბურთო კლუბი „შეფილდ იუნაიტედი" ამიერიდან სანახევროდ ეკუთვნის საუდელ პრინცს – აბდულა ბინ მოსაად ბინ აბდულაზიზ ალ საუდს. ინგლისური პრესის თანახმად, კლუბის მეპატრონემ, კევინ მაკკეიბმა, კლუბის წილის 50 პროცენტი საუდის არაბეთის სახელმწიფოს დამაარსებლის შვილიშვილს, 47 წლის პრინცს მიჰყიდა. „ახლო მომავალში კლუბში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას ვაპირებ. ვიცი, რომ „შეფილდ იუნაიტედი" ინგლისის ერთ-ერთი უძველესი კლუბია და მალე კლუბის დაარსების 125 წლის იუბილე უნდა აღინიშნოს. პირობას ვდებ, რომ ფული გონივრულად იქნება დახარჯული და მხოლოდ კლუბის კეთილდღეობას მოხმარდება," – განაცხადა „შეფილდის" ახალმა მეპატრონემ ჟურნალისტებთან.

## უეინ რუნის საზარელი ტრავმა



ინგლისელმა ვარსკვლავმა უეინ რუნიმ თავის ტრავმა მიიღო და ამის გამო ხანგრძლივი ვადით გამოეთიშა კლუბსა და ინგლისის ნაკრებს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარჯიშზე, „ლივერპულთან" მატჩის დაწყებამდე, რუნის მისმა თანაგუნდელმა, ფილ ჯონსმა, შემთხვევით თავში მიაყენა დარტყმა, რასაც თავის გატეხა მოჰყვა. ინტერნეტში მალევე გავრცელდა თავგატეხილი რუნის ფოტო, რამაც ინგლისელები შოკში ჩაყარა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი კვირის გამოტოვება მოუწევს რუნის, თუმცა, „მანჩესტერისა" და ინგლისის ნაკრების მოახლოებულ მატჩებში რომ ვერ დაეხმარება გუნდს, ფაქტია.

## არშავინის ოჯახის დამანგრეველი

ექს „მის ინგლისმა" და რუსი ფეხბურთელის, ანდრეი არშავინის ამჟამინდელმა გერლფრენდმა, ლეილანი დაუდინგმა, ახალ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ლამაზმანი გულახდილი საცურაო კოსტიუმების სარეკლამო კამპანიაში ჩაერთო – მან კალიფორნიული ბრენდისთვის – „სვიმსვეარ მალიბუსთვის" გაიხადა. ლეილანი 1998 წელს გახდა „მის ინგლისი" და მას შემდეგ სამშობლოში „საბედისწერო ქალი" შეარქვეს, რადგან, ჯერჯერობით რამდენიმე ოჯახი დაანგრია. მისი ბოლო მსხვერპლი რუსი ანდრეი არშავინი აღმოჩნდა, რომელიც ლონდონის „არსენალში" თამაშის დროს გაიცნო და მალევე გააბა რომანი. არშავინი ლეილანის გამო მეუღლეს დაშორდა, ხოლო მისი კარიერა ლონდონში არ აეწყო და ამჟამად იგი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" ღირსებას იცავს.



გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ატამი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ქლიავი კი კუჭ-ნაწლავის უებარი წამალია

ატმის ნაყოფს სასწაულმოქმედი თვისებები აქვს. ეს წვნიანი, არომატული და გემრიელი ხილი აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას; აჩერებს უჯრედებში სითხეს, რითაც ხელს უშლის მათ დაბერებას; ასევე, ანელებს მავნე მიკროორგანიზმების აქტიურობას.

ატამი შეიცავს A და B ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს: ნიაცინს, მაგნიუმს, სელენსა და თუთიას, რომლებიც დადებითად მოქმედებს ადამიანის გუნება-განწყობაზე, ხსნის ნევროზსა და შიშის შეგრძნებას, არეგულირებს ძილს, კანს კი არაჩვეულებრივ ელფერს აძლევს.

ქლიავი გემრიელი და ძალიან სასარგებლო ხილია. მისი მთავარი ღირებულება რბილობში შემავალი პექტინია. ის ნაწლავში აბრკოლებს ლპობის პროცესს, ასევე, უვნებელყოფს სამრეწველო საწარმოების გამონაბოლქვების გზით ჩვენს ორგანიზმში მოხვედრილ სიცოცხლისთვის საშიშ ლითონებს: ვერცხლისწყალს, ტყვიას, სტრონციუმს. ასე რომ, დიდ ქალაქებში მცხოვრებმა ადამიანებმა, ანუ, მათ, ვინც გამონაბოლქვს ისუნთქავს, ქლიავი ხშირად უნდა ჭამონ.

ქლიავის ნაყოფის უჯრედისი ნაწლავების პერისტალტიკას აძლიერებს. ის სასარგებლოა მათთვის, ვისაც ნაკლებად მოძრავი და მჯდომარე ცხოვრების წესი აქვს. ამ შემთხვევაში მათ ყველაზე უკეთ შავქლიავა ეხმარება. ის აღიარებულია არა მხოლოდ ხალხური, არამედ, კლასიკური მედიცინის მიერაც.

კუჭ-ნაწლავის მუშაობის უწამლოდ აღსადგენად, სრულიად საკმარისია დღეში დაახლოვებით 15-20 ცალი ტკბილი ქლიავის ჭამა.

## რა იწვევს წონაში სწრაფ მომატებას

უამრავი მოდური დიეტა არსებობს, ეფექტური და გამართლებული კი მხოლოდ სამკურნალო, სპეციალისტის მიერ ზუსტად შერჩეული და სამედიცინო პრაქტიკაში მიღებული დიეტებია. მოდურ დიეტებთან კი, რომლებითაც მაქსიმუმ ოთხ კვირაში უნდა შევძლოთ სხეულის სრული კორექცია, სიფრთხილე გმართებთ. ასეთი დიეტების მთავარი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ პრაქტიკულ შედეგს არ იძლევა, უპირველესად, იმის გამო, რომ ის აგებულია გარკვეული პროდუქტების მკაცრ შეზღუდვაზე.

ბევრს მიაჩნია, რომ ყველაზე ეფექტურია მკაცრი დიეტის დაცვა. ისეთი დიეტა, რომელიც ნახშირწყლებს გამორიცხავს, მხოლოდ წყალს გამოდევნის ორგანიზმიდან. ადამიანი, რომელიც ამ დიეტას იცავს, წონას სწრაფად კარგავს. მას უხარია, რადგან, ფიქრობს, რომ ცხიმებისგან თავისუფლდება. ცხიმები ძალიან ძნელად იწვება, მაგრამ, ძალიან სწრაფად აღიდგენს თავს – დიეტის შეწყვეტისთანავე. ასეთი მკაცრი დიეტის დასრულების შემდეგ წონას არათუ იბრუნებენ, უფრო მეტადაც კი სუქდებიან, ეს კი იმის გამო ხდება, რომ, თუ ყოველდღიურად 1 300 კალორიაზე მეტი არ მივიღეთ, ორგანიზმი თავისით გადაეწყობა კვების მკაცრ რეჟიმზე. ნივთიერებათა ცვლის პროცესი 10-30 პროცენტით ნელდება, ანუ, კალორიები ნელა იწვება. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა დიეტა მთავრდება, ადამიანი ისევ ჩვეულ კვების რეჟიმს უბრუნდება, ორგანიზმს კი ახალ რეჟიმზე სწრაფად გადაწყობა უჭირს და კალორიებს ისევ ნელა წვავს, რაც წონაში სწრაფი მატების მიზეზი ხდება.

არასწორი დიეტის დასრულების შემდეგ გასუქებას ისიც იწვევს, რომ ორგანიზმი შეზღუდულია კვების რეჟიმში, წვავს კალორიების მხოლოდ ნახევარს, დანარჩენს კი მარაგად ინახავს და, რაც უფრო ნაკლებ კალორიას იღებს, მით უფრო ეკონომიურად ხარჯავს მას. როგორც კი ადამიანი შიმშილს შეწყვეტს და ჭამას დაიწყებს, ჭარბად მიღებულ კალორიებს ორგანიზმის მიერ მომარაგებულიც დაემატება და, ეს, თავისთავად, ორმაგი წონის საწინდარია.

გახდომისთვის საუკეთესო გამოსავალია ჯანსაღი ცხოვრების წესი, სწორი კვება და ბევრი მოძრაობა. მიირთვით ბევრი ხილი, ბოსტნეული და მარცვლეული და აქტიურად ივარჯიშეთ.

## საუზმეზე აუცილებლად მიირთვით ფაფები და რძის პროდუქტი

ადამიანების უმრავლესობა დილას ჭიქა ყავით იწყებს. ამას იმით ამართლებენ, რომ ფხიზლდებიან და ენერგიაზე მოდიან. არადა, თუ დილით მაგარ ყავას დასჯერდებით, სისხლში ქოლესტერინის დონე მკვეთრად აიწევს, გლუკოზა კი შემცირდება, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნეა.

გამოკვლევების მიხედვით, ისინი, ვინც დილაობით რეგულარულად საუზმობენ, მთელი დღის განმავლობაში კარგად გრძნობენ თავს, არც სტრესი ემუქრებათ და არც დეპრესია, ასევე, სწრაფად ითვისებენ ახალ ინფორმაციას და შრომის უნარიც ემატებათ.

გირჩევთ, საუზმეზე მიირთვით ფაფები და პური. ეს პროდუქტები მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით, რკინით, რძის პროდუქტი კი – კალციუმით.

ასე რომ, დილით ფინჯანი ყავის ნაცვლად, უმჯობესია, უპირატესობა ფაფეულსა და რძის პროდუქტებს მიანიჭოთ.

## რევმატიული ადამიანისთვის ფუტკრის კბენა წამალია

ფუტკრის ნესტარი რთული აგებულების დაცვითი აპარატია, რომელიც წარმოადგენს შხამის რეზერვუარს. კანში ჩარჭობილ ნესტარს, მახვილწვერიანი პატარა კბილანების გამო, ორგანიზმიდან გარეთ გამოსვლა არ შეუძლია. დაზარალებულს ნაკბენი ადგილი უწითლდება, უსივდება, ექავება და სტკივა; ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანებს კი ტემპერატურის მომატება და მწვავე ალერგიული რეაქცია ეწყებათ. სასიკვდილო ფაზაა ერთდროულად დაახლოებით 500-1 000 ფუტკრის ნაკბენი.

მრავალწლიანმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ფუტკრის შხამი რევმატიზმს კურნავს. ასევე, დადგინდა, რომ შხამი სისხლში ქოლესტერინის დონეზეც ახდენს გავლენას. ზოგიერთი დაავადების დროს მას ზევით სწევს, სხვა შემთხვევაში კი – პირიქით.

ფუტკრის შხამი, ანუ აპიტოქსინი, ბუნებრივი, ბიოლოგიურად აქტიური შენაერთების რთული კომპლექსია. მისი შემადგენლობა სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, მაგრამ, დადგენილია, რომ ის დაახლოებით ათ ცილოვან ნივთიერებას შეიცავს, კერძოდ: სხვადასხვა პეპტიდს, 20 სახის ამინომჟავას, ჰისტამინს, ცხიმოვან ნივთიერებებს, სტარონებსა და ნახშირწყლებს. გარდა ამისა, მასში შედის წყალბადი, ნახშირბადი, ჟანგბადი, აზოტი, კალიუმი, კალციუმი, რკინა, მაგნიუმი, ფოსფორი, სპილენძი, თუთია, გოგირდი, მანგანუმი, იოდი და ქლორი.

პეპტიდი ადოლჰანი ფუტკრის შხამის მრავალრიცხოვანი კომპონენტებიდან ერთადერთია, რომელსაც ტკივილგამაყუჩებელი ზემოქმედება აქვს. ის სისხლში ერითროციტების შეწებებას აბრკოლებს და, შესაბამისად, სისხლძარღვების თრომბოზის პროფილაქტიკასა და მკურნალობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ფუტკრის შხამი უძლიერესი იმუნოსტიმულატორი და იმუნომოდულატორია. მისი მინიმალური კონცენტრაცია ადამიანის ორგანიზმზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. ფარმაცევტული ფირმები ფუტკრის შხამისგან ბევრ გამწმენდ პრეპარატს ამზ-

ადებენ ინიექციის, დასაზელი მალამოს, საინჰალაციო საშუალებების სახით, მაგრამ, ცნობილია, რომ საუკეთესო სამკურნალო ეფექტს მხოლოდ ახლად გამოღებული შხამი იძლევა.

იმის გამო, რომ აპიტოქსინს უკუჩვენება აქვს სისხლის, ღვიძლის, თირკმელების, კუჭქვეშა ჯირკვლის, დიაბეტის, სიმსივნის დროს, ფუტკრის შხამით თვითმკურნალობა ყოვლად დაუშვებელია.

### უძილობასა და გულის დაავადებებს თაფლი შველის

გულის ნებისმიერი დაავადების დროს, როდესაც კუნთები საგრძნობლად დასუსტებულია, შესამჩნევ შედეგს იძლევა ერთი ან ორი თვის განმავლობაში დღე-ღამეში 50 გრამი თაფლის მიღება. ასეთი მკურნალობით უმჯობესდება სისხლის შემადგენლობა, გულ-სისხლძარღვთა ტონუსი და ჰემოგლობინის ბალანსი.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს თაფლი გამოიყენება სხვა კომპონენტებთან ერთადაც და ამ შემთხვევაში მკურნალობის ეფექტი ერთიორად იზრდება. 2 ჩაის ჭიქა ასკილის ნახარშს შეურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ნახევარ-ნახევარი ჭიქა. კურსის ხანგრძლივობა ხუთი-ექვსი დღეა. შემდეგ რამდენიმე დღე შეისვენეთ და კვლავ გაიმეორეთ.

გულის, ჰიპერტონიული დაავადებისა და უძილობის დროს, 1 ჩაის ჭიქა „ბორჯომში“ გახსენით 1 ჩაის კოვზი თაფლი, დაუმატეთ ნახევარი ლიმონის წვენი და მიიღეთ დილას უზმოზე და საღამოს – ძილის წინ.

კარგ შედეგს იძლევა ჰიპერტონიული დაავადების დროს შემდეგი ნარევიც:

1 ჩაის ჭიქა წითელი ჭარხლის წვენს, 1 ჭიქა სტაფილოს წვენს, 1 ჭიქა წყალს და 1 ცალ ლიმონის წვენს დაუმატეთ ერთი ჩაის ჭიქა თაფლი, კარგად აურიეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე. მკურნალობის კურსი ერთი თვეა.

### სანელებლებს უნიკალური სამკურნალო თვისებები გააჩნია

სამკურნალო მიზნით სანელებლებს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ, კერძოდ:

***ვანილი*** აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს, აქვს მასტიმულირებელი თვისებები. მას ინტენსიურად იყენებენ ჰომეოპათიაში.

***ანისული*** აძლიერებს მადას, კარგია გინეკოლოგიური დაავადებებისა და გაციების დროს.

***მიხაკი*** ძლიერი ანტიბაქტერიული და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა ინფექციური დაავადებების დროს.

***დარიჩინი*** გამოიყენება გაციების დროს, ინჰალაციისთვის; ასევე, კარგია კუჭის დაავადებების შემთხვევაშიც.

***ილი*** ააქტიურებს საჭმლის მომნელებელ სისტემას, კვებავს სისხლის პლაზმას, ძვლის ტვინს, ნერვულ უჯრედებს. აუმჯობესებს მადას.

***ქინძი*** ამაგრებს გულს, ორგანიზმს ჰმატებს ენერგიას.

***კოჭა*** აძლიერებს მადას, ათბობს სისხლსა და კუჭს. ამცირებს ცუდი ქოლესტერინის დონეს და აუმჯობესებს მეხსიერებას.

***დაფნა*** ამაღლებს იმუნიტეტს. მისი ნაყენი აუმჯობესებს სუნთქვას და ხსნის დაღლილობას.

***წიწაკას*** აქვს გამაჯანსაღებელი თვისება, წმენდს სისხლს, აუმჯობესებს მის მიმოქცევას, აჩერებს შიდა სისხლდენას.

***კვლიავი*** ამშვიდებს ნერვებს, ააქტიურებს ტვინის მუშაობას, აუმჯობესებს დაქვეითებულ მეხსიერებას.

ასე რომ, სისტემატურად გამოიყენეთ სანელებლები კერძებში და იცხოვრეთ ჯანმრთელად.



გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ხშირად მექავება თვალები. რა უნდა იყოს ამის მიზეზი და რა უნდა ვქნა ამ დროს?**

**პასუხი:** ყველაზე ხშირი მიზეზი ალერგიული ანთებაა. ბოლო პერიოდში გავრცელებულია მშრალი თვალის სინდრომი (კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა თვალის ლორწოვანს აშრობს და ქავილს იწვევს). მკურნალობა ინიშნება ოფთალმოლოგის მიერ, გამომწვევი მიზეზიდან გამომდინარე.

**კითხვა: როგორ მოვამზადოთ გვირილის აბაზანები 10 დღის ჩვილისთვის?**

**პასუხი:** 50 გრამი გვირილას დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი და თავდახურული დადგით 1 საათის განმავლობაში (შეგიძლიათ, 15-20 წუთი ადუღოთ და შემდეგ 1 საათი გააჩეროთ), გადაწურეთ და ჩაამატეთ ბავშვის აბაზანის წყალს.

**კითხვა: იოდინოლს, იოდომარინსა და იოდბალანსს აქვს ერთნაირი შემადგენლობა: კალიუმის იოდიდი. შეიძლება თუ არა, იოდომარინის ნაცვლად იოდინოლის მიღება (ფასში დიდი განსხვავებაა და იმიტომ)?**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ, შეიძინოთ იოდბალანსი ან კალიუმის იოდიდი (ყურადღება მიაქციეთ დანიშნულ დოზას). რაც შეეხება იოდინოლს, ეს სხვა დანიშნულების პრეპარატია.

**კითხვა: ჩემს მეუღლეს აღმოაჩნდა ჭიები. მირჩიეს სახლის პირობებში დამზადებული წამალი. რამდენად ეფექტური იქნება 25 წლის მამაკაცისთვის გოგრის თესლი და თაფლი?**

**პასუხი:** გოგრის თესლს ხალხური მედიცინა უძველესი დროიდან იყენებს როგორც ჭიების საწინააღმდეგო საშუალებას. პარაზიტების საწინააღმდეგოდ ეფექტურია ასეთი ნარევი: აურიეთ ერთმანეთში 1 ჩაის ჭიქა გოგრის უმი თესლი, 2 უმი კვერცხის გული, 1 სადილის კოვზი თაფლი და 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. მიიღეთ უზმოზე. შემდეგ დაიდეთ მარჯვენა გვერდზე ცხელი სათბური და ასე იწექით 2 საათი. გაიმეორეთ კიდევ ორჯერ, ათ-ათდღიანი ინტერვალებით.

**კითხვა: რა დაავადებაა აუტიზმი? საიდან ჩნდება და როგორ უნდა ვუმკურნალოთ მას? რას ურჩევთ ამ დაავადების მქონე ადამიანს?**

**პასუხი:** აუტიზმი ნერვული სისტემის განვითარების შეფერხებაა, რომლის წარმოშობაზეც ერთიანი აზრი არ არსებობს. ძირითადათ გამოიხატება დამახასიათებელი ტრიადით: სოციალური ურთიერთობის პრობლემა; დარღვეული ურთიერთკომუნიკაცია; შეზღუდული ინტერესები და ქცევითი განმეორებადი რეპერტუარი. აუტიზმის „წამალი“ არ არსებობს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აუტიზმით დაავადებულს არაფერი ეშველება. არსებობს ინტერვენციათა მთელი რიგი და სწავლა-განვითარების ხელშემწყობი მეთოდები. მათი საშუალებით დახმარება შეიძლება. იმის საპირისპიროდ, რაც ბევრს ვერ წარმოუდგენია, ზოგიერთ აუტიზმით დაავადებულ ბავშვსა და მოზარდს შეუძლია თვალით კონტაქტის დამყარება, გაღიმება, სიცილი, მოწონებისა და სხვა ემოციის გამოხატვა. ზოგიერთი მუშაობს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ურთიერთობს სხვებთან, ქორწინდება და ზრდის ბავშვებს. ბევრი ცნობილი გენიოსი აუტიზმით იყო დაავადებული.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# ვის გამო დატოვა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა გოგი ხოშტარიამ და საიდან მოტანილ სისხლიან ფეხსაცმელებს ინახავდა ის სახლში

*„ვწერ ანალიტიკური ხასიათის ნაშრომს ფიროსმანაშვილზე. მინდა, კიდევ ორი-სამი ნაშრომი მოვასწრო. არ ვიცი, რამდენი დღე დამრჩენია ამქვეყანაზე. არადა, ცხოვრება არ გასვენებს... აგერ, 45 წელია, ვასწავლი, სულ მაქვს კონტაქტი ახალგაზრდებთან. საერთოდ, მიყვარს ჩემი საქმე, როდესაც დიდი დაძაბულობის, შრომის შედეგად, ახალგაზრდაში უცებ დაინახავ, რომ თვალებში რაღაც აენთო, რაღაც ინტერესი გაუჩნდა".*



*ხელოვნებათმცოდნე, საგარეო საქმეთა მინისტრს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში – გოგი ხოშტარიას დიდი წარდგენა არ სჭირდება ქართული საზოგადოების წინაშე. ბატონ გოგის და მისი თაობის განათლებულ და ინტელექტუალურ ადამიანებს, რომლებმაც უაღრესად საინტერესო, შინაარსიანი ცხოვრება გამოიარეს და ბევრი რამ შემოინახეს მეხსიერებაში, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ყოველთვის საპატიო ადგილი უკავიათ. დღეს სწორედ ბატონი*



მეუღლესთან ერთად

*გოგის დღიურებს შემოგთავაზებთ, საიდანაც ბევრ რამეს გაიგებთ და დარწმუნებული ვარ, მერე თქვენს ახლობლებს, ბავშვებსაც სიამოვნებით უამბობთ მასზე და დანარჩენ ცნობილ პიროვნებებზეც.*

## სოლიკო ვირსალაძის სამყარო

მამა – მეთოდე ხოშტარია საგზაო ინჟინერი იყო. ძირითადად, გაგრასა და სოხუმში მუშაობდა, სამთავრობო გზების გაყვანაზე. 1938 წლის 26 მაისს 27 წლის ასაკში დახვრიტეს. ამ დროს, დედა ჩემზე იყო ფეხმძიმედ. დედა, თინათინ ვირსალაძე ხელოვნებათმცოდნე, მსოფლიო დონის მეცნიერ-მკვლევარი გახლდათ – ჩუბინაშვილის მოსწავლე, შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაზე მუშაობდა. როდესაც გარდაიცვალა, ამერიკულ პრესაში მასზე ყველგან დიაწერა. დედაჩემის ძმა, სოლიკო ვირსალაძე ასევე, სახელგანთქმული სცენოგრაფი გახლდათ. არ არსებობდა მსოფლიოს დიდი საოპერო საბალეტო სცენები, წამყვანი ოპერები, სადაც მას დადგმები არ განეხორციელებინა.



დედა

როგორც დედა და ბებია ამბობდნენ: შეიძლებოდა, სახლში პური არ ყოფილიყო, მაგრამ წიგნები, ჟურნალ-გაზეთები აუცილებლად იყო. სწორედ, ოჯახმა გაუკვლია გზა ხელოვნებისკენ ბიძაჩემს, რომელმაც ძალიან ადრეეულ ასაკში დაიწყო ხატვა. როდესაც პირველად სულ პატარა ოპერას სტუმრებია, ჩაფიქრებულს უთქვამს: „მე აქ დავრჩებიო" და მართლაც, მთელი ცხოვრება ამ ლამაზ სამყაროში გაატარა. ძალიან სალი ტვინის პატრონი იყო ცხოვრებაში. არ უყვარდა ოდნავი სიყალბეც. ზედმეტი პათოსი, გადამეტებული სადღეგრძელოები ძალიან აღიზიანებდა. როგორც ყველა ქართველს, ენის ზედმეტად ტარტარი მიყვარდა, ერთხელ შემომხედა და მითხრა: რამე რეალურად შეგიძლია გააკეთო? თუ რამის გაკეთების თავი გაქვს, გააკეთე, თუ არა და ნუ „პაკაზუხობო". რამდენადაც სცენის დიდოსტატი იყო, ცხოვრებაში სცენას ვერ იტანდა. ძალიან კარგი ენის პატრონი იყო, ძალიან კარგი მოყოლა იცოდა, სევდიანი და მოწყენილი არასოდეს ყოფილა. ეს ჩვენი ოჯახისთვის უცხო იყო. ფანატიკურად პატრიოტი სულის პატრონი გახლდათ. თბილისის „დინამო" თუ აგებდა, უმჯობესი იყო, არ გაკარებოდი, გაგიჟებული იყო ხოლმე. ულტრაპროფესიონალი და უკეთილესი ადამიანი იყო, ცოლად ბაგრატიონის ქალი ჰყავდა. უცხოეთში დიდი ჰონორარი ჰქონდა და ყველას შეძლებისდაგვარად, გვინაწილებდა. ლონდონში, პარიზში, ტოკიოში და კიდევ მრავალ ქვეყანაში უწევდა მოღვაწეობა. არაჩვეულებრივი რეცენზიები ჩამოჰქონდა უცხოეთიდან, მაგრამ არავის აძლევდა უფლებას, გამოექვეყნებინა. მისთვის იყო მხოლოდ მისი საქმე და არაჩვეულებრივად მომთხოვნი გახლდათ. მის სახელოსნოში იატაკზე ადგილს ვერ ნახავდით, სულ მისი ესკიზები ეფინა და ყველა ესკიზი ერთმანეთთან იყო შეხამებული. მაღალი გემოვნების ადამიანი იყო სოლიკო. მისი ყველა ნაბიჯი აისახა მის პროფესიაზე. პეტერბურგის თეატრში სოლიკომ 25 წელი გაატარა. დიდი პენსია დაენიშნა იმ დღიდანვე, რაც საპენსიო ასაკი შეუსრულდა. თვალებში შესცქეროდნენ და ეკითხებოდნენ, რა გინდაო?! მისი პასუხი მხოლოდ ერთი იყო – მე ჩემს სამშობლოში, საქართველოში მინდაო...

## „უგვირგვინო მეფე"

რაც შეეხება ისევ ხოშტარიებს, იმ დროს ძალიან ცნობილები იყვნენ მთელ საქართველოში და არამხოლოდ. ბაბუაჩემის ძმა – აკაკი ხოშტარია ცნობილი მილიონერი იყო. დიდ ბაბუას, გიორგი ხოშტარიას პეტერბურგში ჰქონდა მიღებული განათლება და შვილსაც რუსეთში ასწავლა. აკაკი ხოშტარია საკმაოდ ხელგაშლილი ადამიანი გახლდათ, თუმცა ახლობლებს ფულით არ ეხმარებოდა, მათ უკეთებდა უამრავ საჩუქარს. მაგალითად, მამაჩემის ძმა გერმანიაში გაუშვა სასწავლებლად. სხვა მხრივ, ბაბუა თვითონ ინახავდა თავის ოჯახს. გიმნაზიის მასწავლებლობა მაშინ დაფასებული იყო. სამასი მანეთი ანაზღაურება ჰქონდა ოქროთი. მოახლეც ჰყავდა და მზარეულიც. აკაკი ხოშტარიას ირანში დიდი გავლენა ჰქონდა. ირანის პრემიერ-მინისტრმა დიდი, ულამაზესი ხალიჩა აჩუქა. ბაბუა ამბობდა – ამ ხალიჩაში ორსართულიან სახლს მაძლევდნენო. მერე გაყიდა და იმ ფულით ორი წელიწადი ვცხოვრობდით. ალბათ, მკითხველი დაინტერსდება, თუ საიდან ჰქონდა აკაკი ხოშტარიას დიდი ფული. მამამისი, ჩემი დიდი ბაბუა – მეთოდე ხოშტარია სამეგრელოს თავადაზნაურთა ფენის წარმომადგენელი გახლდათ – სამეგრელოს საეკლესიო მიწების მოურავი. ამდენად, ეკონომიურად ძლიერი ოჯახი ჰქონდა. შვილს რუსეთში, ოდესაში დაამთვარებინა უმაღლესი სასწავლებელი მებაღე-დეკორატორის სპეციალობით. დამთავრების შემდეგ, აკაკი კარგა ხანს მსახურობდა ოდენბურგის პრინცთან, რომელსაც არნახული ბაღი გაუშენა. ამით მან პირველი კაპიტალი დააგროვა. მისი პირველი ფინანსური



გოგი ხოშტარია (მარცხნიდან პირველი) მეგობრებთან

ოპერაცია იყო, როცა ნავთობი წაიღო ფოთიდან სტამბულში. მერე ძირითადად ირანთან ჰქონდა კავშირები და მაშინ შეარქვეს – „ირანის უგვირგვინო მეფე". უკვე ემიგრაციაში მყოფი, მაინც ეხმარებოდა საქართველოს, საბჭოთა კავშირს – პური შემოჰქონდა, რომელსაც „ხოშტარიას პურს" ეძახდნენ. სტალინთანაც იყო მიღებაზე. 1914 წელს დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა. ამ დროს აკაკი აზერბაიჯანში იმყოფებოდა, ქალაქ ეზელში. სარაჯიშვილის ცოლისძმამ გვარად ფორაქიშვილმა აკაკის მისწერა – სოლოლაკში ყველაზე კარგი სახლია, არ გვინდა, სომხებს ჩაუვარდეთ ხელში (იმ პერიოდში სოლოლაკში უმეტესად სომხები ცხოვრობდნენ) და ხომ არ იყიდდითო. აკაკი ხოშტარიამ მოსწერა: რაც უნდა ღირდეს აუცილებლად ვიყიდიო. მოგვიანებით, მან სტალინის ნებართვით დაწერა ანდერძი: „მინდა, ჩემი სახელით, ეს სახლი ქართველ ხელოვან ხალხს გადავცე!" თვითონ ამ სახლში, რაღაც პერიოდი ცხოვრობდა. დიზაინერობის ნიჭი ჰქონდა და ყველაფერი თავისი ხელით მოაწყო. შემდგომ ამ სახლში მწერალთა კავშირმა დაიდო ბინა. აკაკიმ პირველ მსოფლიო ომამდე ბაქოში მსხვილი სამრეწველო კომპანია ჩამოაყალიბა და სავაჭრო ოპერაციებს წარმართავდა სამხრეთ კავკასიასა და ირანში. მან დააარსა და სათავეში ჩაუდგა ფირმა „რუპენტოს", ყველაზე დიდსა და ფინანსურად ძლიერ ორგანიზაციას, რაც კი ოდესმე შეექმნათ ქართველებს. აღსანიშნავია, რომ ფირმა „რუპენტო" და თურქულ-სპარსული „ხოშტარიას ბანკი" მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან აწარმოებდნენ ფინანსურ კომბინაციებს. თბილისში აკაკი ხოშტარიას ეკუთვნოდა მექანიკური ქარხანა, საპნის ქარხანა, სამიწათმოქმედო იარაღების ფაბრიკა და სხვა. ის აქტიურ საქველმოქმედო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, თბილისში ახლადშექმნილ „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას" ბაქოდან 8



მამა

ათასი მანეთი გამოუგზავნა. 1920 წელს მანვე უცხოეთში შეიძინა 4 სამხედრო გემი და საქართველოს გადასცა საჩუქრად. მისი ხარჯით უცხოეთში განათლება მიიღო უამრავმა ნიჭიერმა ქართველმა სტუდენტმა, რომელთაგან ბევრი, შემდგომში ცნობილი მეცნიერი გახდა. მან საკუთარი სახსრებით დააფინანსა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი რიგი ღონისძიებები. აკაკი ხოშტარიას საკუთარი შვილი არ ჰყავდა, მან ქალიშვილი აიყვანა და გაზარდა, რომელიც მერე ბაგრატიონზე გა-





დედასთან ერთად

თხოვდა. მისი შთამომავლები ახლა პარიზში ცხოვრობენ. ქონების დიდი ნაწილი სწორედ მათ დარჩათ. აკაკის მეუღლე იყო მინადორა თურქია, რომელიც გარდაიცვალა. შემდეგ ცოლად ირანის პრემიერ-მინისტრის დისშვილი მოიყვანა. აქ უკვე ეტყობოდა, რომ ანგარების მომენტი იყო

**თავდასხმა ლენინზე**

პირველი პროკლამაციები მე და ჩემმა მეგობრებმა 1956 წელს გავაკარით კონგრესის ამბებთან დაკავშირებით. 1957 წელს კი, რუსთაველის თეატრის წინა ფასადზე ლენინის გამოსახულება ჩავამტვრიეთ. ღამის ორი საათი იყო, დაგვიჭირეს. მილიციის უფროსი, გვარად თიკანაძე, გურამ თიკანაძის ბიძა აღმოჩნდა. ძალიან გულისხმიერად მოგვექცა. მახსოვს, როგორ უყვიროდა მორიგე თანამშრომელს: რას აკეთებ, შენი დედა... ქართველ სტუდენტებს ციხეში უშვებო. ჩვენი ჩვენება დახია და თვითონ დაწერა, რომ ვითომ ნასვამები ვიყავით, მეგობრები წავკინკლავდით და ლენინის გამოსახულებაზე ხელი შემთხვევით მოგვიხვდა. ასე გადაგვარჩინა, მაგრამ ორკვირიანი პატიმრობა მაინც გავატარეთ წინასწარი დაკავების საკანში.



დედასთან ერთად

***

საგარეო საქმეთა მინისტრი შემთხვევით არ გავხლდით. მე ვიყავი მერაბისა და ზვიადის მეგობარი. ჩვენ, სტუდენტობის პერიოდიდან მოვდიოდით ერთად. მე ისტორიულზე ვსწავლობდი ზვიადი – უცხო ენებზე. მანამადე ჩვენი ოჯახები – ბაბუაჩემი და კონია გამსახურდია მეგობრობდნენ. ზვიადი დაბადების დღეებზე ყველგან იხსენებდა – გოგის გაბრაზება რომ გვინდოდა, „კრასნი ყორას" ვეძახდით, წითელი ფერი არ უყვარდაო. მინისტრის თანამდებობაზე სულ რამდენიმე თვე ვიყავი. მერე კონფლიქტი მომივიდა მანანასთან. ჩემი ბოლო სიტყვები ზვიადისთან იყო: გამაგებინე, ჩემი პრეზიდენტი შენ ხარ თუ შენი ცოლი-მეთქი. არ დატოვა ზვიადის საახლობლოდან კაცი, რომელზეც დარტყმა არ განეხორციელებინა. მთელი გუნდი დაუშალა. ერთხელ ვუთხარი კიდეც ზვიადს: ზვიად, ჩემო ძმაო, იცოდე, მარტო დარჩები-მეთქი. ამ ქალმა ძალიან დიდი უარყოფითი როლი ითამაშა ზვიადის ცხოვრებაში. ერთხელ ზვიადთან რაღაცაზე წაპაექრება მომივიდა. არა, ეს ჭორიაო, – მითხრა. მე ვუთხარი: ჩემ თვალწინ ათ წუთში გადაათქმევინა მანანამ კაცს მინისტრობა-მეთქი. მკითხა: კულტურის მინისტრად რომელი კანდიდატურა შეიძლება, დასახელდესო. გოგი ოჩიაური-მეთქი და ამაზე ატეხა ამბები. არ მოსწონდა ეს კაცი. საქმეები გამირჩია. მე ვუთხარი: რა უნდა გელაპარაკო, შენ საერთოდ რა გაგეგება საგარეო საქმეების, რას ვაკეთბდი რას – არა. მე მუდმივი კავშირი მქონდა ამერიკის სამხედრო დაზვერვასთან, პენტაგონთან. ვიზიტები იყო დაგეგმილი საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში... ყველა ვიზიტი ჩაშალა.



ცნობილი ბისნესმენი აკაკი ხოშტარია

**სისხლიანი ფეხსაცმელი**

9 აპრილს, როცა რუსთაველის გამზირზე რუსის ჯარი ფარებითა და ხელკეტებით გამოჩნდა, ვფიქრობდი – ოდესღაც, ალბათ, ჩემი წინაპრებიც ასე უდრეკად იდგნენ მტრის წინაშე-მეთქი. უკან არც ერთი ნაბიჯით არ დაგვიხევია. მე, მერე ფეხსაცმელები წამოვიღე სახლში, სისხლის შხეფები ჰქონდა ზედ. ცოტა დახეული იყო და მოახლეს გადაეყარა. ამის გამო კინაღამ მოვკალი.

**ეკა პატარაია**

# საიდან წარმოიშვა და რას ნიშნავს სიტყვა „ყარაჩოხელი" და რა ტრადიციები ჰქონდათ მათ

(23-ე გვერდიდან)

თბილისში ყოფნის დროს, ლევ ტოლსტოი, თავის მეგობარს სწერდა: თბილისს ემჩნევა ცივილიზაცია, თბილისი ჰბაძავს პეტერბურგსო. მართლაც, თბილისში ნელ-ნელა იჭრებოდა ცივილიზაცია, თბილისი ევროპელდებოდა.



ყარაჩოხელების ქეიფი (ა. როინაშვილის ფოტო)



„დასალოცად გამზადებული დერციკები" – ყარაჩოხელები (ი. გრიშაშვილის არქივიდან)

იცვლებოდა თბილისი და, ამასთანავე, რასაკვირველია, ისპობოდა და ითქვიფებოდა ყარაჩოხელთა ჯილაგიც. აი, რას სწერდა ილია იმდროინდელ „გადაგვარებულ ტფილისზე": „ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ, იქ გული არ მიდგება, თითქოს ჩვენები აბარგებულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულანო; გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსა. ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც კი ველარსად დაგვინახავს, თითქოს ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო".

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ნაწყვეტები წიგნებიდან: ი. გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა" (გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", ბათუმი, 1986); თ. ბერაძე „ძველი თბილისის სურათები" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1980).**



**ბევრმა არც კი იცის, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობასა და მცენარეებთან კონტაქტს შორის პირდაპირი კავშირია. სწორედ მათთან ურთიერთობისას შეუძლია ადამიანს, გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, თავი აარიდოს პრობლემებს, გამორიცხოს უდროოდ სიკვდილის ალბათობა და, უბრალოდ, მოიპოვოს ჰარმონიული ცხოვრება ამქვეყნად. როგორც ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნათელა ამბობს, ხეებთან ურთიერთობით ადამიანი ბევრ რამეს სწავლობს. ზოგ ხესთან კონტაქტი სასარგებლოა, ზოგთან კი – მომაკვდინებელი.**

# როგორ გავარკვიოთ, რომელი მცენარეა ჩვენთვის სიკეთის მომტანი, რომელი სახიფათო და რა უნდა გავითვალისწინოთ მათი დარგვის დროს

**ნათელა**: ადამიანსა და მცენარეებს შორის უჩინარი კონტაქტი არსებობს და ისინი, ფაქტობრივად, ერთმანეთთან უხილავი მაგიური ძაფებით არიან დაკავშირებული.

**– როგორ გავარკვიოთ, რომელი მცენარეა ჩვენთვის სიკეთის მომტანი და რომელი – სახიფათო; რა უნდა გავითვალისწინოთ მათი დარგვის დროს და რაში გვეხმარებიან ისინი?**

– შევეცდები, ამ თემებზე ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდოთ. დამიჯერეთ, ეს ნამდვილად წაგადგებათ და უფრო გაგიხანგრძლივებთ სიცოცხლის ხაზს. ალბათ, დამეთანხმებით, ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა დღეს თვალშისაცემად შემცირებულია. არადა, ჩვენი წინაპრები ღრმა მოხუცებულობამდე ჯანმრთელად და შრომისუნარიანად გამოიყურებოდნენ. ასე რომ, რეალურად, წინათ დღეგრძელები მეტნი იყვნენ, ახლა კი – ნაკლებად. ამ თემაზე მეცნიერები, ეზოთერიკოსები და პარაფსიქოლოგები ბევრს ფიქრობენ, იკვლევენ და სათანადო დასკვნებს დებენ. ბევრი მეუბნება, ალბათ, ძალიან გიყვარს სიცოცხლე, რომ მის გახანგრძლივებაზე ასე ბევრს ფიქრობო. რატომაცა არ უნდა მიყვარდეს და რატომაც არ უნდა ვფიქრობდე მის გახანგრძლივებაზე? დიახ, სიცოცხლე მიყვარს, მაგრამ, სიკვდილისაც არ მეშინია. უბრალოდ, ძალიან მაინტერესებს, როგორ გადავალ ამ ცხოვრებიდან იმ ცხოვრებაში, ანუ, სხვა, ჩვენთვის წარმოუდგენელ სამყაროში.

**– გეთანხმებით, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ზოგადად, ბოლო წლებში საკმაოდ შემცირდა. და მაინც, რა შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლის ხანგრძლივობის შემამცირებელ ფაქტორად?**

– დღეს ჩაკეტილები ვართ საკუთარ ბინებში, დილიდან საღამომდე ვმუშაობთ უჰაერო სივრცეში, ოფისებში გამოკეტილები და, ვერც კი ვამჩნევთ, ამით როგორ ვიმოკლებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას. მესმის, რომ, თუ არ იმუშავე, არავინ არაფერს მოგცემს, მაგრამ, ისე უნდა გადაანაწილოთ დრო, რომ ორგანიზმი არ გადაძაბოთ და საფრთხე არ შეუქმნათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ძველად ხალხი გარკვეულ დროს ატარებდა ბუნების წიაღში, რადგან, იცოდა, რომ მისგან სასიკეთო ენერგიებს იღებდა, იმუხტებოდა დადებითი ემოციებით და ასე შემდეგ. ჩვენი სიცოცხლის გენის გახანგრძლივება, სწორედ ბუნებასთან, კერძოდ კი, კონკრეტულ ხეებთანაა კავშირში. დაავადებულ ადამიანს ექიმბაშები სწორედ, ათასგვარი მცენარეების ნაყენებით მკურნალობდნენ, რასაც უფრო მეტი ეფექტი ჰქონდა, ვიდრე დღევანდელ ქიმიურ აბებსა თუ მიქსტურებს. დამიჯერეთ, ნებისმიერმა ადამიანმა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად საჭირო ენერგია ხეებისგან უნდა მიიღოს. ხეებს მართლაც გააჩნიათ სხვადასხვა სიდიდისა და ნიშნის ბიოენერგეტიკული ველები. სხვათა შორის, ექსტრასენსები საჭირო ბიოენერგიას ხეებისგან იღებენ, იმუხტებიან მათი ძალით და შემდეგ კურნავენ ადამიანებს. ანუ, იმუხტებიან ხის ენერგიით და ავადმყოფთა გამოსაჯანმრთელებლად, მათ სამკურნალოდ, არა საკუთარ, არამედ, ხის ენერგიას ხარჯავენ. მაგალითად, თუ ადამიანს ენერგიის გადაჭარბებით ხარჯვა უწევს, აუცილებელია, ის შეივსოს, რათა თავადაც არ დაუძლურდეს. ამისთვის კი აუცილებელია მუხის ხესთან კონტაქტი და მისი ენერგიით დამუხტვა. მუხის დადებითი ენერგეტიკული ველი ორ მეტრზე მეტი რადიუსით ვრცელდება.

**– სხვა ხეებსაც ასეთი ენერგეტიკული ველი აქვთ?**

– არა. ყველა ხეს განსხვავებული ენერგეტიკული ველი გააჩნია. მაგალითად, კაკლის ხის ენერგეტიკული ველის გავრცელების არეალი ერთი მეტრია; წიწვოვანი ხეების – მეტრ-ნახევარი, არყის ხის – სამოცდაათი სანტიმეტრი და ასე შემდეგ. თუ ემოციით დაღლილი ხართ, შინაგანად აფორიაქებული და რაღაც არ გასვენებთ, ჩაეხუტეთ ცაცხვის ხეს და მალევე იგრძნობთ, როგორეუფლება

**კარგია იასამნის დარგვა ყველა ეზოსა და ბაღში, რადგან ეს მცენარე ადამიანებისთვის სიკეთის მომტანია**

თქვენს ორგანიზმს სიმშვიდე და თანდათან წყნარდებით. სხვათა შორის, ენერგეტიკული თვალსაზრისით, ყველაზე გამოუსადეგარი და ადამიანისთვის საშიში ხე ალვაა და მისი ეზოში ან სახლის მახლობლად დარგვა-გახარება არ არის რეკომენდებული. საქმე ისაა, რომ ალვის ხეს უარყოფითი ენერგია აქვს, ანუ, ის, ფაქტობრივად, ხე-ვამპირია, რომელიც შთანთქავს მის ახლომახლო მყოფ ადამიანთა ენერგიას. ალვა ჩვენგან იმ ბიოენერგიის ნაწილს ითვისებს და გვართმევს, რაც წარმატებებისა და წინსვლის გარანტიაა. თუ არ გსურთ, უარყოფითი ენერგიით აავსოთ ორგანიზმი, ამ ხესთან კონტაქტი მინიმუმამდე შეამცირეთ. იმისთვის კი, რომ მუხისგან დადებითი ენერგიებით დაიმუხტოთ, მას ზურგით უნდა მიეყრდნოთ დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, თვალები დახუჭოთ და არაფერზე იფიქროთ. ამ დროს არ შეიძლება კითხვა, ლაპარაკი ან რამე ნეგატიურზე ფიქრი, რადგან, ამას ხე გრძნობს და თქვენ მიმართაც ასევე უარყოფითად განეწყობა. მუხას დახმარება უნდა სთხოვოთ და საამისოდ განაწყოთ, სხვაგვარად ის თქვენს დახმარებაზე უარს იტყვის. ვცდილობ, ყოველ შაბათ-კვირას გავიდე ბუნებაში და ამ ხესთან მქონდეს კონტაქტი. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ენერგიას ვიძენ წიწვოვანებთან და მუხასთან კონტაქტით. მათგან მიღებული ენერგია მთელი კვირის განმავლობაში მეხმარება, მეტად შრომისუნარიანს მხდის და დადებითი ემოციებით მავსებს. თქვენ, ალბათ, არ გემახსოვრებათ, რომ კომუნისტების დროს ბევრი ალვის ხე დარგეს მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. მიაჩნდათ, რომ ისინი ქარისგან იცავდა გაშენებულ ვენახებს და ხეხილის ბაღებს. დღეს, იმ ადგილებში, რომლებიც ალვის ხეების გარემოცვაშია, ვერც ერთ ოჯახში ვერ ნახავთ ბარაქასა და კეთილდღეობას. ეს ნამდვილად იმის შედეგია, რომ მათ ვამპირი ხეები აცლიან ძალას და უარყოფითი ენერგიით მუხტავენ, რაც, საბოლოო ჯამში, მათი წარუმატებლობის, უბარაქობისა და ხელმოცარულობის მიზეზია. წიწვოვანი მცენარეები კი ამ მხრივ ნამდვილად სასარგებლოა და, გირჩევთ, მეტი იაროთ ტყეში, ისუნთქოთ წიწვოვანისა და მუხნარის არომატი. ეს ყოველივე ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლო და აუცილებელია.

**– იქნებ, ასეთი ხეების ეზოებში დარგვა ჯობია?**

– ამას არ გირჩევთ, რადგან, წიწვოვანი და კაკლის ხის დარგვა საკუთარ ეზოში უბედურების მომტანია. მაგრამ, თუ მეზობელი, ნათესავი ან უცხო დარგავს მას თქვენს ეზოში, მაშინ საშიში აღარ არის. ასევე, არაფრისდიდებით არ შეიძლება საკუთარ ეზოში კაკლის ხის მოჭრა – ასე სიცოცხლის წლებს მოიკლებთ. მართალია, გამხმარი ხის ეზოში გაჩერება არ ვარგა, მაგრამ, თქვენ ნუ მოჭრით მას, ჯობია, ეს საქმე სხვას დაავალოთ, ანუ, ოჯახის წევრს არა. საერთოდ კი, თუ ხეებთან კონტაქტის დროს ზემოთქმულს გაითვალისწინებთ, საკუთარ თავსა და ჯანმრთელობას ძალიან დაეხმარებით.

**– გამოდის, რომ, ენერგეტიკული თვალსაზრისით, კარგია ეზოში იასამნის გახარება. ეს ასეა?**

– დიახ, უდიდესი სამკურნალო თვისებებით და ენერგეტიკული ბალანსით გამოირჩევა იასამანი. ხშირად მას სასაფლაოზე რგავენ და, მოხუცები ამბობენ, ეს იმის სიმბოლოა, რომ ცხოვრება გრძელდებაო. კარგია მისი დარგვა ყველა ეზოსა და ბაღში, რადგან, ეს მცენარე ადამიანებისთვის სიკეთის მომტანია. სასაფლაოზე კი, უბრალოდ, აუცილებელია – ამით ცოცხალი ადამიანი გარდაცვლილი ახლობლის მიმართ პატივისცემას გამოხატავს და მას იმქვეყნად სიმშვიდეს უმკვიდრებს.

**ნონა დათეშიძე**

## მაღალი ხუთოსანი

ქალების პრობლემები ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა აქვთ – ისე არ აფასებენ, როგორც საჭიროა. მერე კი წუწუნებენ, არავის მოვეწონვართო. ვის მოეწონები, როცა საკუთარი თავი თავადვე არ მოგწონს?!

იცით თუ არა, რომ საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა პროგრესირებადია, მით უმეტეს, თუ ჩვენ ძალიან მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ საკუთარ პერსონას. ყველაზე ცუდია, როცა არ იცი, რა შეგიძლია და სად გადის შენი შესაძლებლობების ზღვარი. შეეცადეთ, მყარად დადგეთ მიწაზე. სრულყოფილი არავინ არის და ყველას იმდენი ჭკუა მისცა ღმერთმა, რამდენის გამოყენების რესურსიც აქვს. ისე ნუ იზამთ, არასრულფასოვნების კომპლექსი აიკიდოთ, თორემ, „ხუთოსნობიდან“ „ოროსნობამდე“ ჩამოქვეითდებით.

თვითკრიტიკა ნამდვილად საჭიროა, თუმცა, გააჩნია მასშტაბებს. ზომიერების ფარგლებში თვითკრიტიკა სარგებლის მომტანია, მაგრამ, გადაჭარბებული... შეცდომებზე მუშაობა ისე უნდა მოახერხოთ, რომ საკუთარ თავს ყური არ აუწიოთ, მით უმეტეს, არ დააყენოთ კუთხეში. წახალისების შემდეგ უკეთესად მუშაობენ. ამიტომ, თუ ხვდებით, რომ რაღაც კარგად გამოგივიდათ, ნუ დაელოდებით ქებას სხვისგან, წაახალისეთ საკუთარი თავი, აღმოაჩინეთ თქვენში ძლიერი მხარეები და გათავისუფლდით კომპლექსებისგან. პატივი ეცით საკუთარ თავს და მაშინ სხვებიც დაგაფასებენ...

## ეჭვიანის გვერდით

ბედმა ეჭვიანი პარტნიორი გარგუნათ? ასეთი შეგიყვარდათ და ახლა პრობლემები გაქვთ?! – ეჭვიანი ადამიანის გვერდით ცხოვრება ადვილი ნამდვილად არ არის. სიმშვიდის შენარჩუნება, როცა ერთ ჭერქვეშ ხართ, დიდ ძალისხმევას და მოთმინებას მოითხოვს, ძირითადად კი რამდენიმე მიმართულებით მოგიწევთ „ბრძოლა:“

1. ხშირად უნდა უთხრათ, რომ ძალიან აფასებთ; გიხარიათ, რომ ერთად ხართ, მაგრამ, მეტისმეტი არ მოგივიდეთ და უკიდეურესობაში არ გადავარდეთ. მით უმეტეს, თუ ადრე გრძნობებს ძუნწად იჩენდით.

2. დროდადრო საკუთარ თავთან აღიარეთ, რომ თავადაც არაერთხელ გიეჭვიანიათ, მაგრამ, თუ „აფეთქებები“ არ გქონიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ გეშინიათ მისი დაკარგვის. როცა ამ ყველაფერს კარგად, გააზრებულად ჩამოაყალიბებთ, უთხარით ეს თქვენს მეორე ნახევარს, ოღონდ მშვიდად და ღიმილით.

3. არასდროს გააკეთოთ ხმამაღალი განცხადებები საკუთარი მაღალი მორალური სტანდარტების შესახებ. აპელირება იმაზე, რაც პარტნიორისთვის ძალიან გამაღიზიანებელია, საერთოდ არ არის საჭირო.

გასაგებია, რომ ოჯახი თქვენთვის მთავარი ფასეულობაა – ეს ყველა ნორმალური ადამიანისთვის ასეა, მაგრამ, ხმამაღლა მაინც ნუ იყვირებთ. ერთგულები არიან სიყვარულის გავლენით და არა – პრინციპების.

4. როცა ეჭვიანის გვერდით ცხოვრობთ, უნდა გახსოვდეთ, რომ ეჭვის პროვოცირება, ხუმრობითაც კი, კატეგორიულად არ შეიძლება!

## მეტი ეგოიზმი?!

აქსიომაა ის, რომ, თუ არ იზრუნებ საკუთარ თავზე, შენზე ზრუნვით თავს არავინ მოიკლავს. გაიხსენეთ, როდის იყავით კაფეში დაქალთან ერთად ფინჯან ყავაზე, მშვიდ გარემოში, უბრალოდ, საჭორაოდ... ან, როდის გაისეირნეთ პარკში ან ესტუმრეთ სალონს? ხშირად ისეც ხდება, რომ თავდაუზოგავად შრომობ საყვარელი შვილის მომავლისთვის, მაგრამ საერთოდ ვერ ხედავ მის აწმყოს. ეს ძალიან ცუდია. იდეალურ დიასახლისობაზე პრეტენზია ნუ გექნებათ – ეს არაფერში გჭირდებათ, თანაც, უპირველესად, თავადვე შეგიქმნით დისკომფორტს. ეს ქმარს და შვილს კი არა, ჯერ თქვენ უნდა გინდოდეთ. თუ თქვენი პიროვნების რეალიზებას სამზარეულოში შეძლებთ, მაშინ ამზადეთ კერძები და ხეხეთ ტაფები; ხოლო, თუ რაღაც მეტის გაკეთება გინდოდათ, გქონდათ საინტერესო პროექტები და მათზე ოჯახის გამო თქვით უარი, ეს ამბავი აუცილებლად ცუდად შეგახსენებთ თავს. დაფიქრდით და ჰკითხეთ საკუთარ თავს, რისი გაკეთება გინდათ და მერე თამამად შეუდექით საქმეს. დრო ოჯახისთვისაც დაგრჩებათ და ამისთვის არავინ გაგკიცხავთ. წარმატებულ ადამიანებს მხოლოდ აქებენ და არ ასამართლებენ. გამოარჩიეთ გადაუდებელი და სასწრაფოდ გასაკეთებელი საქმეები ისეთი საქმეებისგან, რომლებიც ცოტა მოიცდის. გადაანაწილეთ დრო გონივრულად. ყველა საშუალებით გაიადვილეთ შრომა, შეიქმენით პირადი კომფორტი... პრობლემები გაუზიარეთ ოჯახის წევრებს და ისინიც ჩართეთ ყოველდღიურ პერიპეტიებში. თქვენ ამის უფლება გაქვთ და თქვენ ეს უნდა გააკეთოთ.

## ყველაზე უკეთ

არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქციელითა თუ სიტყვით ცდილობენ, ყველას დაუმტკიცონ, რომ მათ ყოველთვის ყველაფერი კარგად აქვთ. პრობლემები? როგორ გეკადრებათ, ჩვენ ყოველთვის გვიმართლებს! – გეტყვიან ღიმილით და არავითარ შემთხვევაში არ დაგანახვებენ, რომ უჭირთ. „ძალიან კარგად!“ – ეს არის მათი პასუხი; ან შეკითხვაზე: „როგორ ხარ?!“ – გიპასუხებენ: „ყველაზე უკეთ!“ უცნაური ფაქტია, მაგრამ, ასეთი რამ ძირითადად სუსტი სქესის წარმომადგენლებს ახასიათებთ. მამაკაცებს – ძალიან ნაკლებად. ყველაზე საინტერესო კი არის ის, რომ, თითქმის ყველა ქალი, რომელიც გიმტკიცებთ, ყველაზე უკეთ ვარო, იტყუება... შეიძლება, მას ძალიან უნდა, რასაც ამბობს, სიმართლე იყოს და თავადვე სჯერა საკუთარი ტყუილის, მაგრამ, რეალობა სხვაა. რატომ ხდება ისე, რომ ლამაზ და ჭკვიან ქალებს ყოველთვის ერთნაირად არ უმართლებთ?! ზოგიერთს სილამაზე და ჭკუა პრობლემებს უქმნის, ზოგიერთისთვის კი სიბრიყვე ბედნიერების ოქროს გასაღებად გადაიქცევა. ალბათ, მეტისმეტად ოპტიმისტი ან სრულიად უიმედო უნდა იყო, რომ იძახო, კარგად ვარ, კარგად ვარო. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავის მოტყუებას სიკეთე არ მოაქვს. ადრე თუ გვიან, ის სხვა მიხვდება, რომ ატყუებ და, ალბათ, შეგიცოდებს. ისე ნუ გაიგებთ, რომ წუწუნი უკეთესია, მაგრამ, არც ძალიან გაზვიადებული ოპტიმიზმივარგა!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# ჰოლივუდის რომელ ვარსკვლავთან ჰქონდა რომანი ედვარდ ნორტონს და ვის დაუთმო მან მთავარი როლი სტივენ სპილბერგის ფილმში „რიგითი რაიანის გადასარჩენად“

***ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი და „ოსკარის” ორგზის ნომინანტი ედვარდ ნორტონი თანამედროვე ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ მსახიობად ითვლება, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში კომედიებში, დრამებში თუ ფანტასტიკური ჟანრის ფილმებში. რამდენიმე დღის წინ ნორტონი იუბილარი იყო, მას 44 წელი შეუსრულდა.***

* ედვარდ ჯეიმს ნორტონ-უმცროსი დაიბადა 1969 წლის 18 აგვისტოს ბოსტონში, თუმცა კოლამბიაში, მერილენდის შტატში იზრდებოდა იურისტისა და მასწავლებლის ოჯახში. მამა, ედვარდ უფროსი, სახელმწიფო ბრალმდებელი იყო, რომელიც ამჟამად ისტორიული ფასეულობების დამცველ ორგანიზაციაში მუშაობს; დედა – რობინი კი ინგლისური ენის მასწავლებელი გახლდათ. ის 1997 წელს სიმსივნით გარდაიცვალა. ედვარდის ბაბუა, ჯეიმს როუზი, იმით არის ცნობილი, რომ ქალაქი კოლამბია (მერილენდის შტატი) მისი ხელით არის აშენებული; იგი, ასევე, მონაწილეობას იღებდა ბალტიმორის პორტისა და ბოსტონში ცნობილი ქუინსის ბაზრის მშენებლობაში.



* 5 წლის ასაკში ედვარდ ნორტონმა გამოაცხადა, რომ მსახიობობა სურდა და ორენსტეინის კოლუმბიის ხელოვნების სკოლაში თეატრალურ წრეზე დაიწყო სიარული, 8 წლის ასაკში კი მისი დებიუტი შედგა სპექტაკლში.

* 1985 წელს ედვარდ ნორტონმა უაილდ ლეიკის უმაღლესი სკოლა დაამთავრა, მალევე მოეწყო იელის უნივერსიტეტში, სადაც ასტრონომიის ფაკულტეტზე ჰქონდა სწავლის გაგრძელების სურვილი, თუმცა, საბოლოოდ, ისტორიკოსის დიპლომი მიიღო. უნივერსიტეტში სწავლის დროს ედვარდი იაპონურმა ენამ გაიტაცა და სწავლის დასრულების შემდეგ ის იაპონიაში გაემგზავრა, სადაც კომპანია „ენთერფრაიზ ფაუნდეიშენში” დაიწყო მუშაობა, რომელიც უპოვარ მოსახლეობას უწევდა დახმარებას. იაპონიაში ცხოვრების პერიოდში ედვარდმა სრულყოფილად შეისწავლა იაპონური ენა.

* 1994 წელს ედვარდ ნორტონი ნიუ-იორკში დაბრუნდა. მან, საბოლოოდ არჩევანი სამსახიობო კარიერაზე შეაჩერა და ნიუ-იორკის რამდენიმე თეატრალურ სცენაზე დაიწყო თამაში. მსახიობობის პარალელურად ნორტონი ოფიციანტად მუშაობდა რესტორნებში, თავი რომ შეენახა.

* ედვარდ ნორტონი არ განეკუთვნება ვარსკვლავების იმ კატეგორიას, რომლებსაც ბავშვობიდან ჰქონდათ შეხება კინოკამერასთან. მისი, როგორც მსახიობის დებიუტი გადასაღებ მოედანზე 20 წლის ასაკში შედგა და მაშინაც კადრს მიღმა დარჩა. ნორტონმა სერიალ „სიმფსონების” მეორეხარისხოვანი პერსონაჟი გაახმოვანა, ხოლო სრულფასოვანი დებიუტი კვლავ მეორეხარისხოვანი როლი იყო ტელესერიალში „პირველი მზერა”.

* ედვარდ ნორტონი ორჯერ იყო ნომინირებული „ოსკარზე”, თუმცა, ორივეჯერ ჯილდოს გარეშე დარჩა. პირველად ნომინაციაზე წარადგინეს თავისი პირველი მხატვრული ფილმისთვის – „პირველყოფილი შიში”, რომლისთვისაც „ოქროს გლობუსი” მიიღო; მეორე ნომინაციაზე ედვარდ ნორტონი წარდგენილი იყო სავარაუდოდ, თავისი ყველაზე ცნობილი როლისთვის ფილმში „ამერიკული ისტორია იქსი”, სადაც მან ამერიკელი სკინჰედი განასახიერა.

* ფილმში „პირველყოფილი შიში” ედვარდ ნორტონი 2 000 კანდიდატს შორის აირჩიეს. თავდაპირველად ეს როლი ლეონარდო დიკაპრიოს უნდა ეთამაშა, თუმცა, მან უარი განაცხადა.

* სხვადასხვა დროს ედვარდ ნორტონს რომანები ჰქონდა მსახიობ სელმა ჰაიეკთან და როკ-ვარსკვლავ კორტნი ლავთან. ედვარდის გამო კორტნიმ ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს დაანება თავი. ედვარდი მის ჯგუფთან ერთად დადიოდა გასტროლებზე და წყვილი დაქორწინებასაც აპირებდა, თუმცა, სამწლიანი რომანი 1999 წელს დასრულდა. ამჟამად ედვარდ ნორტონი პროდიუსერ შონა რობერტსონზეა დაქორწინებული და მათ ერთი საერთო შვილი ჰყავთ.

* „ამერიკული ისტორია იქსის“ გადაღებების დროს ედვარდ ნორტონმა 14 კილოგრამი კუნთოვანი მასა მოიმატა სამთვიანი ვარჯიშის შედეგად, რითაც გამოცდილი ბოდიბილდერებიც კი გააკვირვა.

* როგორც ედვარდ ნორტონმა აღნიშნა არაერთ ინტერვიუში, მსახიობობას, რომ არ გაჰყოლოდა, პილოტი გახდებოდა და საერთაშორისო რეისებზე იფრენდა.

* ედვარდ ნორტონს თავისი რამდენიმე ფილმის სცენარის დაწერაში აქვს მონაწილეობა მიღებული, მათ შორისაა „ფრიდა” და „ქურდები”. რეჟისორის რანგში მას გადაღებული აქვს ერთი ფილმი – „შეინარჩუნო რწმენა”, სადაც მთავარ როლს ბენ სტილერი ასრულებს.

* ედვარდ ნორტონი ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარია. ერთ-ერთი გადაღების დროს მის გმირს სიგარეტი უნდა მოეწია, მაგრამ ნორტონმა უარი განაცხადა სიგარეტზე.

* ჰოლივუდელ ვარსკვლავებს შორის ედვარდს რთული ხასიათის პატრონად იცნობენ. მას უყვარს საკუთარი ხედვის, იდეების შეთავაზება, რაც ბევრ რეჟისორს არ მოსწონს.

* ედვარდ ნორტონს ძალიან უყვარს გიტარაზე დაკვრა და სიმღერა.

* ჟურნალმა GQ-ემ ედვარდ ნორტონი 2003 წლის საერთაშორისო მამაკაცად დაასახელა.

* სტივენ სპილბერგს სურდა, რომ რიგითი რაიანის როლი, ფილმში „რიგითი რაიანის გადასარჩენად”, ედვარდ ნორტონს ეთამაშა, თუმცა, მსახიობისგან უარი მიიღო და როლზე მეთ დეიმონი დაამტკიცა.

* ედვარდ ნორტონი პანკ-ჰარდ-როკ ჯგუფის „ბლექ ფლეგის” შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია.

* ედვარდ ნორტონის ჰონორარები: „პირველყოფილი შიში” – 50 ათასი დოლარი; „წითელი დრაკონი” – 8 მილიონი დოლარი; „ძარცვა იტალიურად” – 1 მილიონი დოლარი; „მოკალი სმუჩი” – 8 მილიონი დოლარი.

* ედვარდ ნორტონი ფეხბურთის დიდი მოყვარულია და ხშირად თამაშობს სხვა ვარსკვლავებთან ერთად ამხანაგურ მატჩებში.

* ედვარდ ნორტონი პრეზიდენტ ბარაკ ობამას მხარდამჭერია და 2012 წელს, საარჩევნო კამპანიის დროს დოკუმენტური ფილმი გადაიღო.

* ედვარდ ნორტონს 2003 წელს ეკრანებზე გამოსულ ბლოკბასტერში „ჰალკი” მთავარი როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ, უარი განაცხადა და ბრიუს ბენერის როლი ერიკ ბანამ შეასრულა. სუპერგმირზე გადაღებულ სიკველში, რომელიც 2008 წელს გამოვიდა კინოეკრანებზე ნორტონმა მაინც ითამაშა ჰალკის როლი და, კონტრაქტის თანახმად, იგივე გმირი მასვე უნდა ეთამაშა 2012 წელს გადაღებულ ბლოკბასტერში „შურისმაძიებლები”, მაგრამ, კვლავ უარი თქვა და როლი მარკ რუფალოს ხვდა წილად.

* ედვარდ ნორტონის საყვარელი კინორეჟისორი ფრანსუა ტრიუფოა, რომელთან მუშაობის საშუალებაც მას არ მიეცა.

* „მებრძოლთა კლუბში” გადაღების დროს ედვარდ ნორტონმა 15 კილოგრამამდე დაიკლო წონაში და დიეტას გადაღებების დასრულების შემდეგაც განაგრძობდა.

* ედვარდ ნორტონი ვარსკვლავების იმ ვიწრო წრეში მოხვდა, რომლებიც ბრედ პიტმა და ჯენიფერ ანისტონმა თავიანთ ქორწილში დაპატიჟეს 2000 წელს.

* ფილმ „შულერების” გადაღებების დასრულების შემდეგ ედვარდ ნორტონმა და მეთ დეიმონმა ლას-ვეგასში პოკერის ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და პროფესიონალი მოთამაშეების ფონზე საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეს.

**უშანგი რუხაძე**


ერდო ჯგუფი
როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო..................................
მარიკა 599 24 28 31

# ვის შეატანინა ტროცკიმ შხამი ლენინის მოსაწამლავად და როგორ დააჭერინა სტალინმა მკვლელები ძერჟინსკის

1923 წელი. გარდაცვალებამდე ბოლო ექვსი თვე ლენინი საშინლად იტანჯებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ოფიციალურად არავინ ლაპარაკობდა, ეს ამბავი ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრმა მშვენივრად უწყოდა. ამ პერიოდში ლენინი, ძირითადად, უმოძრაო და ცნობიერებადაკარგული იყო, მაგრამ, ხანგამოშვებით, ექიმთა დიდი ძალისხმევის შედეგად, მას უბრუნდებოდა ხოლმე ცნობიერება და მოძრაობის უნარიც, თუმცა, ეს ყოველივე უდიდეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტანჯვასთან იყო დაკავშირებული. გორკიში ლენინს აბსოლუტურად ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი მკურნალობისა და დასვენებისთვის. ყველაფერს პირადად სტალინი აკონტროლებდა და, კვირა არ გაივლიდა, რომ პირადად არ სწვეოდა მას. როდესაც ჩვენ იქ ჩავდიოდით, უმეტესწილად ლენინი ქმედითუუნარო მდგომარეობაში გვხვდებოდა და უკან დაბრუნებისას სტალინს აშკარად ეტყობოდა, რომ მტკივნეულად განიცდიდა ამ ამბავს. პროფესორი ფერსტერი, რომელიც გორკიში ლენინთან ცხოვრობდა და თითქმის მუდმივად თავზე ადგა, ვერანაირ გარანტიებს ვერ იძლეოდა, თუმცა, კრიტიკულ მომენტებში მაინც ახერხებდა ხოლმე მისი სიცოცხლის გადარჩენას, რაც ლენინს უდიდესი ტანჯვა-წამების ფასად უჯდებოდა. ერთხელ, როდესაც მორიგი შეტევის შემდეგ ფერსტერმა და მისმა კოლეგებმა ლენინის მობრუნება მოახერხეს, პროფესორმა ასეთი რამ უთხრა სტალინს: „თუ გავითვალისწინებთ ავადმყოფობის მდგომარეობას, მისთვის სიკვდილი, შესაძლოა, დიდი შვებაც კი იყოს. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა, რადგან, ასეთი ტკივილების გაძლება შეუძლებელია. მას მართლაც რომ ძალიან ძლიერი ორგანიზმი აქვს და ჯერჯერობით ამის ხარჯზე ცოცხლობს, თუმცა, ეს ყოველივე დიდხანს მაინც ველარ გაგრძელდება და საბოლოოდ მაინც სიკვდილი გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში“. სტალინს ერთხანს ხმა არ ამოუღია, შემდეგ კი უპასუხია: „მან რაც შეიძლება დიდხანს უნდა იცოცხლოს. ახლა მისი სიკვდილი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან, შესაძლოა, ეს ზღვა სისხლით მოპოვებული გამარჯვება თვალსა და ხელს შუა გაქრეს“. ამის შემდეგ ლენინმა კიდევ ოთხი თვე იცოცხლა. თუმცა, ამ ხნის განმავლობაში იგი შვებას ეძებდა და, ამ შვებას, პროფესორის თქმისა არ იყოს, სიკვდილში ხედავდა.

7 ნოემბერს ჩვენ გორკიში გავემგზავრეთ, რათა ილიჩისთვის რევოლუციის 6 წლისთავი მიგველოცა. ჩვენდა სასიხარულოდ, ლენინი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და ფერსტერიც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. სტალინი სულ ათი წუთის განმავლობაში პირისპირ ესაუბრა ლენინს და შემდეგ, ჯერ ფერსტერის ოთახში დაჰყო კარგა ხანი, შემდეგ კი ვლასიკი იხმო, მასთან ერთად ლენინის დაცვას დაუძახა და მათ მთელი ერთი საათი ესაუბრა. ბოლოს, სტალინმა კრუპსკაიასა და ლენინის დასაც მოუხმო და მათაც დაახლოებით 40 წუთი ელაპარაკა. გორკიდან რომ გამოვემგზავრეთ, შუაღამე გადასული იყო და მას უკვე აღარაფერი უთქვამს მანქანაში. თუმცა, შემდეგ შევიტყვე, რომ ილიჩს სტალინისთვის შხამი მოუთხოვია და სიტყვასიტყვით ასეთი რამ უთქვამს: „შენ, როგორც გამოცდილ, ჭეშმარიტ რევოლუციონერსა და ერთგულ ამხანაგს, შემიძლია, დაგეყრდნო და ჩემი ერთი თხოვნა გაგანდო, რომლის შესრულებაზეც, იმედია, არ მეტყვი უარს. მე უკვე აბსოლუტურად გაცნობიერებული მაქვს ჩემი კრიზისული მდგომარეობა და, ვიცი, რომ გადარჩენის შანსი არ გამაჩნია. გარდა ამისა, სასტიკი შეტევები და საშინელი ტკივილები მაქვს, რომლის დროსაც სიკვდილს ვნატრობ და არ კი ვკვდები. უმორჩილესად გთხოვ, შხამი მიშოვო და მომიტანო, მეტის გაძლება აღარ ძალმიძს“. ამ სიტყვებს სტალინი შეუძრწუნებია და ილიჩის ნუგეში უცდია, თუმცა, მას ყური აღარ დაუგდია და საუბარიც ამით ამოწურულა. სწორედ ამის გამო ელაპარაკა სტალინი ჯერ პროფესორს, შემდეგ კი დაცვას, მის ცოლსა და დას. იმ დღიდან სტალინმა ლენინთან მიმსვლელი პირების კონტროლი გაამკაცრა და ნებისმიერ დამრღვევს სიკვდილის დასჯით დაემუქრა. მეორე დღესვე მან პოლიტბიუროს საგანგებო სხდომა მოიწვია, სადაც ეს საკითხი ღიად, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე დასვა. მან კატეგორიულად მოითხოვა იქ დამსწრეთაგან, რომ თითოეულ ბოლშევიკს პირად კონტროლზე აეყვანა ეს საკითხი და ნებისმიერი ინფორმაცია ამის თაობაზე ცენტრალური კომიტეტისთვის ეცნობებინა.

ჰენრიხ იაგოდამ, რომელიც ლენინის დაცვაში სტალინის კაცი იყო, ასი თვალი და ასი ყური გამოისხა და ცდილობდა, ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამოჰპარვოდა მხედველობიდან. სტალინმა ასეთი განსაკუთრებული ზომები იმიტომ მიიღო, რომ ლენინს შეეძლო, ანალოგიური თხოვნით სხვისთვისაც მიემართა და ამ გზით სასურველი შხამი მიეღო. სტალინს, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ, ლენინის სიკვდილის შემთხვევაში, გარკვეულ ძალებს სავსებით ხელეწიფებოდათ ხალხის გარკვეული მასის პროვოცირება და ამ გზით არეულობის გამოწვევა, რაც მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ და თოთო სახელმწიფოს. სანამ ლენინი ცოცხალი იყო, სტალინის მოწინააღმდეგეებს ასეთი რამის გაკეთება არ შეეძლოთ, რადგან, ფორმალურად, სახელმწიფოს მეთაური ლენინი იყო და ამას ხალხი ვერ გაიგებდა... ამიტომაც, სტალინმა ფორსირებულად დაიწყო მმართველი აპარატის გამაგრება და მოდერნიზება, რათა უახლოეს მომავალში მოსალოდნელი თავდასხმები და პროვოკაციები აეცილებინა თავიდან. ამ პერიოდშივე განაახლა ტროცკიმ თავისი ოპოზიციური მუშაობა და მისთვის ხელმისაწვდომი ყველა ხერხით ცდილობდა სტალინის რეიტინგის დაგდებას. მან მშვენივრად იცოდა, რომ, სანამ ლენინი ცოცხალი იყო, ის ვერ შესძლებდა პროვოკაციების განხორციელებას და, როგორც ჩანს, ჭკუაში დაუჯდა ლენინის სურვილი, რაც პოლიტბიუროზე სტალინისგან შეიტყო და მის განხორციელებას შეეცადა. იაგოდამ, რომელიც უკვე ლენინის მთელ დაცვას აკონტროლებდა, სტალინს შეატყობინა: „თქვენ მიერ მოცემული დირექტივების საფუძველზე, ჩვენი ძალისხმევა გაათმაგდა და ყოველივე ამან შედეგებიც გამოიღო. კერძოდ, 30 ნოემბერს, ჩვენი უწყების თანამშრომლებმა მძიმედ დაჭრეს ჩვენივე უწყების წევრი, ვინმე ვალერი სტრელნიკოვი, რომელიც საეჭვოდ იქცეოდა – ცდილობდა ზონაში შეღწევას და ილიჩის ოთახში შესვლას. ჩვენ მისი დაკავება ვცადეთ, მაგრამ მან შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვიწია და საპასუხო სროლისას მძიმედ დაიჭრა მუცელში. საავადმყოფოში მიყვანამდე ის გარდაიცვალა და მხოლოდ ერთადერთი გვარი – ბროვერმანი ახსენა. გვარის გარდა, მას არაფერი დაუკონკრეტებია და, ამრიგად, ჩემთვის გაუგებარია, რისი თქმა უნდოდა. ჩხრეკის შედეგად, სტრელნიკოვს თან აღმოაჩნდა კალიუმციანიდიანი კაფსულა, ბინაში კი – 8 ათასი მანეთი“. ბროვერმანი ტროცკის ერთ-ერთი უახლოესი ადამიანი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო. თუმცა, ჩვენ ვერ შევძელით მისი არათუ დაპატიმრება, არამედ, დაკითხვაც კი, რადგან, არანაირი სამხილი არ გაგვაჩნდა მის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებულები ვიყავით, რომ სწორედ ბროვერმანმა გადასცა სტერლნიკოვს საწამლავი და ფული, ხოლო ყოველივე ამის უკან ტროცკი იდგა.



ბროვერმანი ტროცკის სამდივნოში საგანგებო დავალებებს ასრულებდა, მისი დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა და ხელწამოსაკრავი პირი არ იყო, მაგრამ, როდესაც საქმე ვერაგობასა და ღალატს ეხებოდა, იქ სტალინი შეუვალი, დაუნდობელი და სასტიკი ხდებოდა. როდესაც ბელადმა ბროვერმანის ამბავი შეიტყო და გააანალიზა, ძერჟინსკი დაიბარა და დაავალა, რომ ეს საქმე „ჩეკას“ მოეგვარებინა. ამ ოპერაციაში მონაწილეობა ვლასიკსაც დაავალა. სტალინის დირექტივა მოკლე და კონკრეტული იყო: „ყოველგვარი ხმაურის გარეშე ზუსტად დაადგინეთ ბროვერმანის და აქედან გამომდინარე, ტროცკის მონაწილეობის ამბავი შხამთან დაკავშირებულ ისტორიაში“. სათქმელად ადვილი იყო ამ დავალების უხმაუროდ შესრულება, რადგან, ბროვერმანის მოხელთება, არც ისე ადვილი საქმე იყო – ის შეიარაღებულ დაცვასთან ერთად დადიოდა და წინააღმდეგობის გაწევაზეც არ დაიხევდა უკან. ერთი სიტყვით, გადაწყდა, რომ ბროვერმანი მოგვეტაცებინა და ეს უნდა გაგვეკეთებინა სწრაფად, უხმაუროდ და უჩინრად. ამის გამო, ჩეკისტთა ერთ-ერთი ჯგუფი ბროვერმანის ბინაში ჩასაფრდა, საიდანაც მათ მისი ცოლშვილი მოტყუებით გამოიხმეს. ბროვერმანი გვიან ღამით დაბრუნდა სახლში, მას კარი „ჩეკას“ ერთ-ერთმა ოპერმა გაუღო, დანარჩენებმა კი გააჩუმეს და გაკოჭეს. ამის შემდეგ, მეორე ჯგუფმა მისი თანმხლები პირები განაიარაღა. 2 დეკემბერს ბროვერმანი და მისი დაცვის ოთხივე წევრი „ჩეკაში“ იყვნენ და ჩვენებებს იძლეოდნენ. ტროცკიმ კი, რომელიც, როგორც ჩანს, მიხვდა, რაშიც იყო საქმე, სტალინისა და ძერჟინსკისგან განმარტებები მოითხოვა, თუმცა, ზუსტად ვერაფერს ამტკიცებდა და მხოლოდ ვარაუდობდა ყოველივეს. ძერჟინსკიმ უარყო ბროვერმანისა და მისი დაცვის შეპყრობის ფაქტი, ხოლო სტალინმა პოლიტბიუროს სხდომაზე აღელვებულ ტროცკის მოკლედ მოუჭრა: „ჩეკა ისეთი ორგანოა, რომლის საქმიანობაში ჩარევის უფლებაც არავის აქვს. თუკი ისინი საჭიროდ ჩათვლიან, როგორც ჩემი, ასევე თქვენი დაპატიმრებაც კი შეუძლიათ. რაც შეეხება ვიღაც ბროვერმანს, იმედია, სულ მალე სიმართლე გაირკვევა და ყველა შევიტყობთ ამის შესახებ“. ბროვერმანმა „ჩეკაში“ დაწვრილებითი ჩვენებები მისცა ტროცკის წინააღმდეგ, თუმცა, თავად იქიდან გამოსვლა ვერ მოახერხა და გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი დაცვის წევრები ერთი თვის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ, ოთხივე მალევე დაიღუპა ბანდიტებთან შეტაკებაში. ბროვერმანის ჩვენებები სტალინს გადაეცა, თუმცა, მან იმ პერიოდში საჭიროდ არ ჩათვალა მათი გამომზეურება და მხოლოდ და მხოლოდ მეტი ყურადღებისკენ მოუწოდა ყველას. ეს დოკუმენტები მხოლოდ 14 წლის შემდეგ, 1938 წელს გამოჩნდა ტროცკისტების პროცესზე და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მათი მხილების საქმეში.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# როგორ მოვხიბლოთ და დავიყოლიოთ ამა თუ იმ სტიქიის ქვეშ დაბადებული ადამიანები

*სხვადასხვა სტიქიის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები განსხვავებულად კამათობენ. თუ გეცოდინებათ თქვენი საყვარელი ადამიანის ტაქტიკა, მაშინ მასთან კონფლიქტის მართვასაც შეძლებთ. ასე რომ, დაადგინეთ მისი დაბადების სტიქია და შემდეგ შეარჩიეთ მასთან საუბრის ტონი.*

***მიწის სტიქია***: ამ სტიქიას განეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ კუროს, ქალწულისა და თხის რქის ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ. მათთან ურთიერთობაში გაითვალისწინეთ, რომ უყვართ პირდაპირობა, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, სტაბილურობა და საიმედოობა. უნდა მოუყვეთ ყველაფერი გულწრფელად და ბოლომდე. არ უყვართ სიურპრიზები. იყავით რაც შეიძლება ბუნებრივი, რომ მათი გულის მონადირება ადვილად შეძლოთ. ნუ იქნებით მათ წინაშე ყალბი.

***ჰაერის სტიქია***: ამ სტიქიის ქვეშ დაიბადნენ ის ადამიანები, რომელთა ზოდიაქოებია: სასწორი, ტყუპები და მერწყული. ისინი მუდამ მოქმედების პროცესში არიან, უყვართ ცვლილებები და ექსპერიმენტები. ადვილად ეწყობიან გარშემო მყოფებს. მათთან ურთიერთობის წამოწყება ადვილია, მაგრამ, ამ ურთიერთობის შენარჩუნებაა რთული. მოთმინების დიდი უნარი უნდა გქონდეთ, თუკი მათ გვერდით აპირებთ ყოფნას. არ უყვართ, როცა მაღალი ტონით ესაუბრებით – ასე, მხოლოდ ურთიერთობას გაიფუჭებთ. ამას ჰაერის სტიქიის ქვეშ დაბადებულ ადამიანებთან არ გირჩევთ, რადგან, შემდეგ მათი გულის მოლბობა და შემორიგება ძალიან გაგიჭირდებათ.

***წყლის სტიქია***: თევზების, მორიელისა და კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებულები წყლის სტიქიის წარმომადგენლები არიან. გამოირჩევიან ოცნებებისა და ფანტაზიის სიყვარულით. გახსოვდეთ, რომ ყოველი თქვენი სიტყვა მათი ოცნების საკვებად გამოიყენება, ფანტაზიების კი მტკიცედ სჯერათ. მათი გახარება და გაბედნიერება ადვილია ლამაზი და თბილი სიტყვებით. მათთვის არარეალური დაპირებებიც კი საკმარისია ნდობის მოსაპოვებლად. თუმცა, მათი გაღიზიანება ნამდვილად არ ღირს! იშვიათად კამათობენ და გამოდიან წყობიდან, მაგრამ, ნამდვილად არ გირჩევთ ამ იშვიათობის მომსწრე გახდეთ.

***ცეცხლის სტიქია***: ვერძის, ლომისა და მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებული ადამიანები ცეცხლის სტიქიას განეკუთვნებიან. ისინი ბუნებით ლიდერები არიან და მუდამ საკუთარი თავის წარმოჩენისკენ ისწრაფვიან. ამასთან, მუდამ სურთ მხარდაჭერა. არ შეეკამათოთ, რადგან, ძალიან ჯიუტები არიან და ვერ ხედავენ საკუთარ შეცდომებს. უთხარით ის, რისი მოსმენაც მათ სურთ – სხვაგვარად მათი დაყოლიება გაგიჭირდებათ. მთავარია, მიეცით თქვენს რჩეულს დრო, მიხვდეს, თუ რამდენად ღირებული ადამიანი ხართ მისთვის და რომ თქვენთან კამათი მას კარგს არაფერს მოუტანს. მთავარია, მას არ აჰყვეთ და აცადოთ, ყოველი თავისი სიტყვა და მოქმედება გაიაზროს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა**: **ჩემი შვილი დაიბადა 1996 წლის 1 ივლისს, საღამოს 4-დან 5 საათამდე. მაინტერესებს, სასურველია თუ არა მისთვის საინჟინრო და ენერგეტიკის დარგის პროფესიები და კიდევ რომელი პროფესიაა ამ ზოდიაქოს ნიშნისთვის მისაღები.**

**პასუხი**: მისთვის კარგია საინჟინრო საქმიანობა, ენერგეტიკის დარგის პროფესიები – საშუალოა. ამას გარდა, მისაღები და წარმატების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო ფართო სპექტრი; პოლიტიკა, პედაგოგიური მოღვაწეობა ან ბიზნესი; საათების ბიზნესი, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, დიზაინი, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი; იურისპრუდენცია, სოციოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, კვების მრეწველობის ინდუსტრია.

**კითხვა**: **დავიბადე 1986 წლის 23 ნოემბერს. რა არის ჩემი კარმული მისია და რომელ სფეროში მელის მეტი წარმატება?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისია უკავშირდება საუკეთესო თვისებების გამოვლენას: აუცილებლად უნდა იყოთ აქტიური, ინიციატივიანი, ენერგიული; შეძლოთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების წარმოჩენა. უნდა დაეყრდნოთ ოპტიმიზმს, კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას; გამოიჩინეთ მიზანსწრაფულობა, მოთმინება, შრომისუნარიანობა, ნებისყოფა; ისწავლეთ ფულის ყაირათიანი ხარჯვა-გადანაწილება. იყავით ფრთხილი, წინდახედული, ერთგული და გარშემოც ასეთი ადამიანები შემოიკრიბეთ. მაქსიმალურად მოაწესრიგეთ ურთიერთობები როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში. თქვენთვის წარმატებების მომტან პროფესიებს კი განეკუთვნება: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, ხელოვნების ფართო სპექტრი, საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, დეკორატიული მებაღეობა, მშენებლობის ფართო სპექტრი, სოციოლოგია, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, საკონსტრუქტორო, საგამომცემლო საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, ავიაციის ბიზნესი ან შემოქმედება, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ვიდეო, მობილური სისტემები, საინჟინრო საქმე, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა და ქორეოგრაფია.

**კითხვა**: **დავიბადე 1994 წლის 29 აპრილს, დილის საათებში. რომელ პროფესიებში მელის წარმატებები?**

**პასუხი**: გირჩევთ, ნუ გექნებათ ცხოვრებაში სხვისი იმედი, საკუთარი შრომით უნდა შეძლოთ სახელის დამკვიდრება და წარმატების მიღწევა კარიერაში. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა; მედიცინის ფართო სპექტრი, პედაგოგიური მოღვაწეობა, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, სამართლებრივი ორგანოები, სამხედრო სტრუქტურები, უშიშროების სფერო, მშენებლობა, არქიტექტურა. ყველა ამ სფეროში წარმატების შანსები ნამდვილად გაქვთ.

**კითხვა**: **დავიბადე 1981 წლის 14 თებერვალს, დილის 5 საათსა და 30 წუთზე. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია?**

**პასუხი**: თქვენი კარმული მისიაა, იყოთ სამშობლოს პატრიოტი, დაიცვათ ადათ-წესები და პატივი სცეთ ტრადიციებს. ასევე, თქვენს კოსმიურ მისიაში შედის სტაბილური საოჯახო და სანათესაო კავშირების ჩამოყალიბება. დაეყრდენით ინტუიციას. დაიცავით საიდუმლო. ამ თვისებებთან ერთად, რაც უფრო მეტად გამოიმუშავებთ რწმენას საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, მით უკეთ შეძლებთ ორგანიზატორული ნიჭის გამოვლენას; იყავით უშიშარი და მებრძოლი სულისკვეთების, ასევე, ფულის ყაირათიანად მხარჯველი, მიზანსწრაფული, შრომისუნარიანი და მომთმენი, – ასეთ შემთხვევაში, მეტად წარმატებით შეასრულებთ თქვენს კარმულ-კოსმიურ მისიას დედამიწაზე.

**კითხვა**: **დავიბადე 1985 წლის 2 ოქტომბერს, ღამის საათებში. მინდა უცხოეთში წასვლა (კერძოდ, საბერძნეთში). რას მირჩევთ, ღირს ჩემი იქ გამგზავრება და ძალების მოსინჯვა? თქვენ რომელ ქვეყანას მირჩევთ?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენი გამარჯვების ფაქტორია. ამიტომ, სამშობლოდან გამგზავრება თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანიც კია. ქვეყნებიდან კი კარგია: ავსტრალია, საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, სერბეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – აღმოსავლეთი მხარე, ინგლისის დასავლეთი, ბელგია, კანადა, კუნძული სარდინია, ჩრდილოეთის ქვეყნები. საბერძნეთი თქვენთვის დიდი წარმატებების მომტანი ქვეყანა არ არის, თუმცა, არც ცუდია და, ამიტომ, ძალების მოსინჯვა ღირს.

# კალეიდოსკოპი

## მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნები

„გეროფ“ გამოაქვეყნა მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი. რეიტინგის ზედა სტრიქონები დაიკავეს: დანიამ, ნორვეგიამ, შვეიცარიამ, ნიდერლანდებმა და შვედეთმა.

რეიტინგში სულ 150 ქვეყანაა. მის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომისტებმა, ფსიქოლოგებმა, სტატისტიკოსებმა და სხვა დარგის მეცნიერებმა. შესაფასებელ კრიტერიუმებად ექსპერტებმა აირჩიეს ექვსი ფაქტორი: 1) რეალური მთლიანი შინაგანი პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე; 2) ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა; 3) უახლოეს გარემოცვაზე დაყრდნობის შესაძლებლობა სასიცოცხლო გადაწყვეტილების მიღებისას; 4) თავისუფლების სუბიექტური ხარისხი; 5) კორუფციისაგან თავდაცულობა და გულუხვობა.

ბედნიერ ქვეყანათა ათეულში მოხვდნენ, ასევე: კანადა, ფინეთი, ავსტრია, ისლანდია და ავსტრალია. ისრაელს მეთერთმეტე ადგილი უკავია. მეორე ათეულში არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ახალი ზელანდია, ხოლო მეოცე ადგილს ვენესუელა იკავებს.

რუსეთი რეიტინგში 68-ე ადგილზე აღმოჩნდა. დსთ-ს ქვეყნებიდან მას გაუსწრეს: მოლდავეთმა, ყაზახეთმა, თურქმენეთმა, უზბეკეთმა და ბელორუსიამ. დანარჩენი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, საქართველოსა და ბალტიის ქვეყნების ჩათვლით, ნაკლებად „ბედნიერები“ აღმოჩნდნენ. რეიტინგში რუსეთის მეზობლებლად აღმოჩნდნენ მავრიტანია და ჩრდილო კვიპროსის თურქული რესპუბლიკა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, მაგალითად, სერბია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, უნგრეთი, მაკედონია რეიტინგის მეორე ასეულში მოხვდნენ.

როგორც შარშან, წელსაც, რეიტინგში ბოლო ადგილზე გავიდნენ აფრიკის ქვეყნები: გვინეა, ტანზანია, რუანდა, ბურუნდი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ბუნინი და ტოგო.

## ყოფილი ჯარისკაცი პირველი მუსლიმანი-ტრანსსექსუალი გახდა

ბრიტანეთის არმიის ყოფილი ჯარისკაცი, ლოურენს ვალენდერი, შეეცადა, „ეპოვა საკუთარი თავი“ და ამ მიზნისთვის გადაწყვიტა, შეეცვალა აღმსარებლობა და, მასთან ერთად – სქესიც. ყველა გარდაქმნის შემდეგ, ლოურენსი გახდა პირველი მუსლიმანი-ტრანსსექსუალი, სახელად ლუსი.

თავდაპირველად ვალენდერს სურდა, თავი ბრუტალურ მამაკაცად ეჩვენებინა – ბევრს სვამდა, დადიოდა ღამის კლუბებში და ხვდებოდა გოგონებს... შეიარაღებული ძალების რიგებშიც კი შევიდა, თუმცა, ეს ხანგრძლივი დეპრესიით დამთავრდა და ლოურენსმა გადაწყვიტა, კარდინალურად შეეცვალა თავისი ცხოვრება: ყოფილმა ჯარისკაცმა გაიზარდა თმა, გაიარა ჰორმონული თერაპიის კურსი, გაიკეთა სქესის შეცვლის ოპერაცია და მიიღო ისლამი... მალე მას ბედმა გაუღიმა და ნაცნობობის საიტზე საქმროც იშოვა – მურადი. იგი აცხადებს, რომ მუსლიმანთა შორის საკმაოდ ბევრი ტრანსსექსუალია, უბრალოდ, მათ ეშინიათ, გამოტყდნენ.

ამას წინათ კი, უფრო ცნობილმა ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ, „ვიკილიქსის“ გასამართლებულმა ინფორმატორმა ბრედლი მენინგმა განაცხადა, რომ, გადაწყვიტა, მკერდი გაიზარდოს და მოითხოვა, მიმართონ სახელით „ჩელსის“.

## „ნასა“ მთვარეზე ახალ სამეცნიერო აპარატს გზავნის

ამერიკელმა სპეციალისტებმა წარმატებით დაასრულეს მოსამზადებელი სამუშაოები კოსმოსში ახალი სამეცნიერო აპარატის, LADEE-ს გასაშვებად.

როგორც ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, მომავალი მისიის მთავარი მიზანია მთვარის ატმოსფეროსა და მის ზედაპირზე არსებული მტვრის შესწავლა. პროექტის უნიკალურობა კი ისაა, რომ პირველად ორბიტულ ობსერვატორიასთან კავშირი ლაზერული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით განხორციელდება, რაც მკვლევრებს საშუალებას მისცემს, დროის ერთეულში გაცილებით მეტი მოცულობის მონაცემები მიიღონ

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

20-21 სექტემბერი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„მთვარის შორი მხარე“** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 10, 20, 25, 30, 40, 55 ლარი), კომპანია Ex Machina, კანადა. რეჟისორი: რობერტ ლეპაჟი. მონაწილეობს: ივ ჟაკი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

22 სექტემბერი, **კვირა** 20.00 - „Derdiedans“ - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 10, 12, 15 ლარი), ტიმიშოარას გერმანული სახელმწიფო თეატრი, რუმინეთი. რეჟისორი: ფლორინ ფიეროიუ. მონაწილეობენ: იოანა იაკობი, დანიელა ტოროკი, ოლგა ტოროკი, სილვია ტოროკი, ან-მარი ვალდეკი, ფრანს კატეში. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

17 სექტემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა“** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

18 სექტემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი“** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

19 სექტემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„თოჯინების სახლი“** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, ბაჩო ჩაჩიბაია, მაია ხორნაული, ნინო ფილფანი, დევი ბიბილეიშვილი; *ხანგრძლივობა: 3სთ. 10 წუთი;*

20 სექტემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი“** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

21 სექტემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ჩემი საუკეთესო მეგობარი“** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: ნუცა სულაბერიძე, შაკო მირიანაშვილი, ილია ქორქაშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22 სექტემბერი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი“** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი),**
**298-65-90**

19, 22 სექტემბერი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„რამონა“** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

20 სექტემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

21 სექტემბერი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა“** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

## ორშაბათი 16 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ღვინო" **09.00"10.00"12.00"16.00"19.00"20.00** "მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ **"თაღლითი სამოთხეში"** **14.30** დ/ფ "წიგნების მშვენება" **15.00**ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **16.20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **18.20** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05**ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **01.40** დ/ფ "კატასტროფა ანდებში".

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.10, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **1** სერ. **20.50** სერ. ,,**სილა**'' **1** სერია **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) **22.00** იურმალა (გ/ჩ) **23.30** მხ/ფ ,,**სასაცილო ფული**''.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო - დაწყება **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **17.00** სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ. **"ტიტების დრო"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 2.00, 4.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **8.30, 9.15** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **10.15, 16.00** **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.50, 15.00, 17.30, 1.15, 3.30, 6.15** ფარული კამერა **17.45 21.30, 0.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 1.30, 4.00** "კინო მაესტროზე".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ **"მეტიჩარა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"გიორგობის თვე"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.35** ფოტოგალერეა **13.40** დოკ/ფ "გზა" I სერ. **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - **"ბედი ქართლისა"** **16.15** კონცერტი - ჯანო ბაგრატიონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.45** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"განაჩენი"** **20.40** ძილი ნებისა **21.25** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"ბაკულას ღორები"** **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** მხ/ფ **"ოქროს ოზოზა"** I ნაწ. **02.00** ირაო.

## სამშაბათი 17 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ღვინო" **09.00"10.00"12.00"16.00"20.00** "მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ **"მე და კატერინა"** (ალბერტო სორდი) **14.30** დ/ფ "წიგნების მშვენება" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **18.00** **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: **"ტორპედო"** – **"დილა"**(პ/ტრ) **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **00.40** დ/ფ "კატასტროფა ანდებში".

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25** სერ. **"ცივი გული"** **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40, 15.05** კონცერტი: "სუხიშვილები" **2** ნაწილი **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **1** სერ. **20.50** სერ. ,,**სილა**'' **2** სერია **21.50** ახალი ქართული ხმა – I სეზონის საუკეთესო ნომრები **23.30, 00.40** მხ/ფ ,,**უკვდავები: ღმერთების ომი**'' ( მ. რურკი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ. **"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 0.45, 3.00, 4.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **8.30, 9.15** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **9.00, 10,00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **9.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.15** სერიალი **"ღრუბლებს მიღმა"**(გამ.) **11.00, 12.50, 17.30, 1.15, 3.30, 6.15** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **16.00** სერიალი **"ღრუბლებს მიღმა"** **17.45, 21.30, 0.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" **19.00** სერიალი **"ასი"** **21.45** სერიალი **"დიდებული საუკუნე"** **23.00, 1.30, 4.00** "კინო მაესტროზე".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ **"ოქროს ოზოზა"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **10.55** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. **11.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"განაჩენი"** **13.30** ქართული მულტფილმი **13.40** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.45, 23.40** ფოტოგალერეა **13.50** დოკ/ფ "გზა" II სერ. **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - გიგო გელოვანის სახ. ხალხური მუსიკის ფესტივალი **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** მოკ/ფ **"მოდის მატარებელი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II ნაწ. **23.45** ჩვენი ფონდი **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ **"ოქროს ოზოზა"** II ნაწ. **02.00** ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**16 – 22 სექტემბერი**

*დარბაზი 1*

12.30, 14.45, 17.30 - **„საზიზღარი მე 2”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

20.00, 22.30 - **„რიდიკი”**, *ხანგრძლივობა 2სთ.;*

*დარბაზი 2*

14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„რა მოხდა კიევში”**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 3*

12.15, 14.45 - **„თანაკლასელები 2”**, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

17.15, 19.45, - **„2 იარაღი”**, *ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.00, 16.00, 20.00 - **„1დ: ეს ჩვენ ვართ”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

22.30 - **„თანაკლასელები 2”**, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.30, 17.30 - **„რიდიკი”**, *ხანგრძლივობა 2სთ.;*

20.00, 22.30 - **„საზიზღარი მე 2”** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.45, 17.45 - **„საზიზღარი მე 2”** 3D , *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

19.45, 22.30 - **„რიდიკი”**, *ხანგრძლივობა 2სთ.;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30 - **„რიდიკი”**, *ხანგრძლივობა 2სთ.;*

17.15, 20.00, 22.30 - **„Kick-Ass 2”**, *ხანგრძლივობა 1სთ. 45წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# რულეტი ტომატში











**საჭირო ინგრედიენტები:** 450-500 გრამი ფქვილი (ცომში), 1 ცალი კვერცხი (ცომში), 600 მილილიტრი წყალი (200 მილილიტრი – ცომში, 400 მილილიტრი – მოსასხმელად), 3 სადილის კოვზი ტომატ-პასტა (2 სადილის კოვზი – ცომში, 1 სადილის კოვზი – სოუსში), 300 გრამი საქონლის ხორცის ფარში, 2 ცალი სტაფილო (1 ცალი – ფარშში, 1 ცალი – სოუსში), 2 კბილი ნიორი – ფარშში, 1,4 ჩაის კოვზი მუსკატის კაკალი, 1 თავი ხახვი, 3 სადილის კოვზი არაჟანი (სოუსში), ხმელი კამა, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** კვერცხი ათქვიფეთ, შეურიეთ წყალი, ტომატ-პასტა და მარილი. ნელ-ნელა დაუმატეთ ფქვილი და მოზილეთ მკვრივი ცომი. ფარშში ჩაამატეთ გახეხილი სტაფილო და დანაყილი ნიორი, მარილი, პილპილი, მუსკატის კაკალი და კარგად ამოურიეთ. ცომი გაყავით ორ ნაწილად, გააბრტყელეთ ცალ-ცალკე და თითოეულ ნაჭერს მიეცით მართკუთხა ფორმა. თითოეულზე თანაბრად წაუსვით ფარში და გადაახვიეთ რულეტივით. გაუკეთეთ ნაწიბური და ამ ნაწიბურით ქვემოთ მოათავსეთ გამოსაცხობ ტაფაზე. ჩაჭერით 5 სანტიმეტრი სიგანის ნაჭრებად (თითო რულეტიდან 6 ასეთი ნაჭერი უნდა გამოვიდეს) და გამოაცხვეთ.

ზეთში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, დაუმატეთ მსხვილად დაჭრილი სტაფილო და ხრაკეთ კიდევ 5 წუთის განმავლობაში. მერე დაუმატეთ წყალი, ტომატ-პასტა, არაჟანი, ხმელი კამა, მარილი და შავი პილპილი, კარგად ამოურიეთ და მიიყვანეთ ადუღებამდე. როცა სოუსი ადუღდება, ჩააწყვეთ მასში რულეტები, დაახურეთ თავსახური და დაბალ ცეცხლზე შუშეთ 30 წუთის განმავლობაში. მიაქციეთ ყურადღება, რომ ტაფამ რულეტები არ მიიკრას. ქვაბიც შეიძლება გამოიყენოთ, მაგრამ, უფრო მოსახერხებელია ღრმა ტაფა. ძალიან მოგეწონებათ.

# ქათამი ფარშით








**საჭირო ინგრედიენტები:** ქათმის 2 ცალი ბარკალი ბარკლის ძირით, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 4-5 ცალი მოზრდილი კარტოფილი, უცხო სუნელი, 2 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი მაიონეზი, მარილი, 2 სადილის კოვზი ნაღები, 2 სადილის კოვზი ნაღები, 2 სადილის კოვზი სქელი არაჟანი ან გამდნარი კარაქი, 10 ცალი უკურკო შავი ქლიავი, ცოტა მდოგვი და ლიმონის წვენი.

**მომზადების წესი:** ქათმის ნაჭრებს გააცალეთ კანი და ცალკე გადადეთ – დაგჭირდებათ. ხორცის ნაჭრები ღრმად ჩაჭერით სახსართან (თუ გნებავთ, ძვალიც გაჭერით). ხორცი დაჭერით კუბიკებად და მოაყარეთ დაჭრილი შავი ქლიავი. ოდნავ მოშუშეთ ხახვი, სტაფილო და სუნელი. ჩაუმატეთ არაჟანი, ნაღები, მდოგვი, მარილი, ნახევარი ლიმონის წვენი, მაიონეზი (უამისოდაც შეიძლება), ნიორი, კოვზით კარგად ამოურიეთ და ცალკე დადგით.

ძალიან თხლად დაჭრილი კარტოფილი დააწყვეთ ცხიმწასმულ ფოლგაზე ან გამოსაცხობ ქაღალდზე ნახევარი საათით მაინც. ქათმის კანი გამოტენეთ ამ ფარშით, შეკარით ხის ჩხირით და კარტოფილზე ზემოდან დააწყვეთ, თუ კანის გამოყენება არ გინდათ, პირდაპირ მოაყარეთ კარტოფილს ხორცი თავისი ინგრედიენტებით და მოასხით არაჟანი. ტაფა ფოლგაში გადაახვიეთ და ცხელ აირღუმელში მოათავსეთ. 40 წუთის შემდეგ ფოლგა მოაშორეთ და აცალეთ, ხორცი კარგად დაიბრაწოს. შემდეგ გამოიღეთ ღუმელიდან და შეაგრილეთ. გარნირად ძალიან უხდება მოშუშული ბროკოლი ან დაკონსერვებული მწვანე ბარდა.

# „ლაზანია“










**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი კომბოსტო, 150 გრამი ნიგოზი, 4 კბილი ნიორი, 3 სადილის კოვზი საფანელი (დაფხვნილი ორცხობილა), 150 მილილიტრი 10-პროცენტიანი ნაღები, 1 ცალი კვერცხი, 150 გრამი ყველი, ზეთი, შავი პილპილი, მარილი, უცხო სუნელი (სურვილისამებრ) – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კომბოსტოს ფოთლები ჩაუშვით მდუღარე მარილწყალში 3-4 წუთის განმავლობაში, რომ დარბილდეს (არ ჩაგეხარშოთ) და შემდეგ დაწურეთ. ცალკე მოამზადეთ შიგთავსი: ბლენდერში დააქუცმაცეთ ნიგოზი, ჩაუმატეთ ნიორი, საფანელი, ერთი სადილის კოვზი ზეთი, მარილი, პილპილი, სუნელი ან ორეგანო და ისევ დააბლენდერეთ.

სოუსისთვის ცალკე გათქვიფეთ ნაღები, კვერცხი და ყველის ნახევარი, რომელსაც წვრილკბილა სახეხზე გახეხავთ. ფორმას წაუსვით ზეთი და დააწყვეთ მასზე კომბოსტოს ფოთლების თითქმის მესამედი, ზემოდან წაუსვით ნიგვზიანი მასის ნახევარი და მოასხით ცოტა სოუსი. შემდეგ დააფინეთ კომბოსტოს დანარჩენი ფოთლები, მერე ისევ ნიგვზიანი მასა და სოუსი. დააფარეთ ფოლგა და გამოაცხვეთ 180 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში. 10-15 წუთის მერე გამოიღეთ, მოხსენით ფოლგა, მოაყარეთ გახეხილი ყველი და კიდევ 5 წუთით მოათავსეთ აირღუმელში. უცხოა და ძალიან გემრიელი. თბილი დაჭერით და მიირთვით.




# თევზი ქოთანში

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი თევზის ფილე, 200 გრამი სოკო, 100 გრამი ფქვილი, 100 გრამი ზეთი, 8 ცალი კარტოფილი, 3 ცალი ხახვი, 4 კბილი ნიორი, თითო კონა კამა და ოხრახუში, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თევზი დაჭერით პატარა ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი, პილპილი და ამოავლეთ ფქვილში. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი და თევზის ნაჭრები მაღალ ცეცხლზე ყველა მხრიდან შეწვით. ხახვი დაჭერით და წვრილად დაჭრილ სოკოსთან ერთად ზეთში მოშუშეთ. კარტოფილი გათალეთ, პატარა ნაჭრებად დაჭერით და პატარა ქოთნებში მოათავსეთ. დაუმატეთ მოშუშული ხახვი და სოკო, თევზის ნაჭრები და მწვანილი. ერთად დანაყეთ ნიორი, მარილი და პილპილი და დაუმატეთ დანარჩენ ინგრედიენტებს; დაასხით წყალი, დარჩენილი ზეთი და შედგით ღუმელში. შიგადაშიგ ქოთნები გამოიღეთ და ამოურიეთ.



# ღვეზელი გოგრითა და ცხვრის ხორცით



**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი ფენოვანი ცომი, 400 გრამი ცხვრის ხორცის ფარში, 1 კილოგრამი გოგრა, 2 თავი ხახვი, 1 სადილის კოვზი კარაქი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, სეზამის მარცვლები – მოსაყრელად.

**მომზადების წესი:** გოგრას მოაცალეთ ქერქი და ხახვთან ერთად წვრილად დაჭერით. ხორცის ფარში მოშუშეთ. გოგრა და ხახვი ცალკე მოშუშეთ კარაქში და შეურიეთ ხორცის ფარშს. შეანელეთ მარილითა და პილპილით. ფარში ჩადეთ კვადრატულად დაჭრილ ცომში და სამკუთხედებად გადაკეცეთ. ზემოდან მოაყარეთ სეზამის მარცვლები და გამოაცხვეთ 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში.

# ორაგული ფენოვან ცომში

**საჭირო ინგრედიენტები:** 450 გრამი ფენოვანი ცომი, 1 კვერცხის გული, 1 სადილის კოვზი რძე, 0,5 ლიმონის წვენი, 800 გრამი ორაგულის ფილე, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 200 გრამი სქელი ნაღები, 2 სადილის კოვზი კარაქი, 1 სადილის კოვზი ბოსტნეულის ბულიონი, 300 მილილიტრი წყალი, 1 კონა კამა, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თევზის ფილე გაასუფთავეთ, გარეცხეთ და შეამშრალეთ. მოასხით ლიმონის წვენი. ფენოვანი ცომი მართკუთხედად გააბრტყელეთ ისე, რომ მასში შეიძლებოდეს თევზის გახვევა. ცომზე მოათავსეთ თევზის ნაჭერი, გადაახვიეთ და კარგად შეკარით. ზემოდან წაუსვით გათქვეფილ კვერცხში არეული რძე. ღვეზელი გამოაცხვეთ 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში, 25-30 წუთის განმავლობაში.

**მოამზადეთ სოუსი:** ტაფაზე გააცხელეთ კარაქი, დაუმატეთ 2 სადილის კოვზი ფქვილი და 1 წუთი შუშეთ, სანამ ოქროსფერს არ მიიღებს. დაასხით 300 მილილიტრი წყალი, ნაღები და ბოსტნეულის ბულიონი და 5 წუთი ადუღეთ. ბოლოს წვრილად დაჭერით კამა და შეურიეთ სოუსს. შეაგემეთ პილპილითა და მარილით. გამომცხვარი ღვეზელი დაჭერით და მოასხით სოუსი.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 18 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ღვინო" **09.00"10.00"12.00"16.00"19.00"**მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** **14.30** დ/ფ "წიგნების მშვენება" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** მხ/ფ **"მის კონგენიალურობა"** (ს. ბალოკი) **19.20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. (პ/რ) **21.30** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. (პ/რ) **00.50** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები".

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **9** სერ. **20.50** სერ. ,,**სილა**" **3** სერია **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **23.30, 00.40** მხ/ფ ,,**მებრძოლი**''.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) **17.00** სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **0.30** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ).

**7.00, 0.30, 2.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **8.30, 9.15** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **9.00, 10,00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ.) **12.50, 6.00** ფარული კამერა **16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **17.45, 21.30, 1.15, 4.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "ასი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** "კინო მაესტროზე" **1.30, 5.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ.).

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ **"ოქროს ობობა"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II ნაწ. **11.05** ჩვენი ფონდი **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია **12.55** ქართული მულტფილმი **13.30** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.35** ფოტოგალერეა **13.40** დოკ/ფ "გზა" III სერ. **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.50** კონცერტი - ეკა მამალაძე **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ჩიორა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" III-IV ნაწ. **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ **"ოქროს ობობა"** III ნაწ. **02.00** ირაო.

## ხუთშაბათი 19 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "სონია რაკელი" **09.00"10.00"12.00"16.00"19.00"**მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** **14.30** დ/ფ "წიგნების მშვენება" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** მხ/ფ **"დაჯავშნას არ საჭიროებს"** **19.35** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. (პ/რ) **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი პირდაპირი სლოვენიიდან. **23.50** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები".

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **10** სერ. **20.50** სერ. **"სილა"** **4** სერია **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები I-II სეზონის – საუკეთესო ნომრები **23.30, 00.40** მხ/ფ **"ბანქო, ფული და ორი ლულა"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე"**15.30** გააცინე და მოიგე გ/ჩ **17.00** სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** პროფილი - დაწყება **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ).

**7.00, 0.30, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმები **8.30, 9.15** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50, 6.45** ფარული კამერა **16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **17.45, 21.30, 1.15, 4.45** "ყოველდღიური აბები" **18.05, 1.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "ასი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15, 5.45** თოქ-შოუ "არგუმენტები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ **"ოქროს ობობა"** III ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" III-IV ნაწ. **11.20** "ჩვენი ფონდი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჩიორა"** **13.30** ქართული მულტფილმი **13.30** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.35** ფოტოგალერეა **13.40** დოკ/ფ **"გზა"** IV სერ. **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - კონსტანტინე პევზნერი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"კაცია ადამიანი?!"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.20** დოკ/ფ "შურიმშინე" **22.45** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" V-VI ნაწ. **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ **"ოქროს ობობა"** IV ნაწ. **01.00** ირაო.

## პარასკევი 20 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ჰოლივუდი" **09.00"10.00"12.00"16.00"19.00"**მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ **"მიჩივლე"** **14.30** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **17.30** მხ/ფ **"დადის ხმები"** (ენისტონი"კ. კოსტნერი) **19.35** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი. (პ/რ) **21.45** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი (პ/რ) **00.50** დ/ფ "ყურანის ისტორიის სათავეებთან" **01.30** მხ/ფ **"კიბორჩხალა სადილზე"**.

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **09.00, 12.00, 15.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **11** სერ. **20.50** სერ. **"სილა"** **5** სერია **21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.00** სერ. **"კამორას კლანი"** **1** სერია **01.10** მხ/ფ **"ძმები"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე"

15.30 ეკი ვოკი (კვირის გ/ჩ) 17.00 სერ."ნამდვილი გრძნობა" 18.50, 19.50 სერ."ტიტების დრო" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია - დაწყება 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

7.00, 0.30, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმები 8.30, 9.15 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა" 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები"(გამ) 14.30, 6.45 ფარული კამერა 17.45, 21.30, 1.15, 4.45 "ყოველდღიური ამბები" 18.05, 1.30, 5.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 სერიალი "ასი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.15 "კინო მაესტროზე".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 მხ/ფ "ოქროს ობობა" IV ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "შურიმშინე" 11.00 ჩვენი ფონდი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "კაცია ადამიანი!" 13.25 ქართული მულტფილმი 13.30 მართლმადიდებლური კატეხიზმო 13.35 ფოტოგალერეა 13.40 დოკ/ფ "გზა" V სერ. 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.40 კონცერტი - სტეფან გრაპელი 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ "ჩარირამა" 02.15 ირაო.

## შაბათი 21 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 08.30 საბ./ფილმი: "ვილის გათავისუფლება" 09.30 საბავშვო ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონი" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00"16.00"20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნის საღამო დავით ევგენიძე 2007 წლის კონცერტი. 13.30 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 14.00 ფილმი ნოსტალგია: "ფანტომასი" (ჟან მარე) 16.30 ქართული ტ/ფილმი: "მაისის თოვლი" (ზ. ინაშვილი") 18.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. (პ/ტრ) 20.35 ქართული მხ/ფილმი: "ქუჩის დღეები" 22.00 მხ/ფ "იღბლიანი" (ე. ბრანა) 00.00 მხ/ფ "გააანალიზე ეს" (რ. დე ნირო).

08.15 ან/ფ "ავატარი" 09.15 მხ/ფ "მეფე არტურის თავგადასავალი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ.მხ/ფ "ჩვენი ამბავი" 13.00 სერ. "ჰანა მონტანა" 7-8 სერ. 14.30 მხ/ფ "101 დალმატინელი" 17.50, 19.05 სერ. "უდანაშაულო" 12 სერ. 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ. "ჩვენი ამბავი" 3 სერ. 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "კამორას კლანი" 01.00 მხ/ფ "კარგ კომპანიაში" (ტიტ).

08.00, 03.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნესკურიერი 13.30 ქ.მხ/ფ18.50, 19.50 სერ."ტიტების დრო" 00.00 პოკერი 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი.

7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი 8.30 ფარული კამერა 9.00 სერიალი "1001 ღამე"(გამ.) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "ასი"(გამ.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00 სერიალი "სკანდალი" 0.30, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" 06.40 დოკ/ფ "გზა მაცხოვრისა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ჩვენი ფონდი "ღვთისმშობლის შობის იკონოგრაფიის შესახებ" თამთა ხოსროშვილი 09.05 "განთიადი"(კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 13.35 დოკ/ფ "ტრიუმფატორი ნინო რამიშვილი" 14.35 მოკ/ფ "პეპელა" 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 ოპერა - "აბესალომ და ეთერი" 17.00 დოკ/ფ "დედაო ღვთისა" 18.30 დოკ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 მოკ/ფ "ღვინის ქურდები" 22.55 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "საუფლონი" - ტაძარი პირმეტყველი 00.35 მხ/ფ "ვერის უბნის მელოდიები" 02.00 ქართული ხმები.

## კვირა 22 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 08.30 დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" 09.30 საბავშვო ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონი" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00"16.00"19.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი: "პროვინციული ამბავი" 14.30 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" 15.30 "ჩვენი ფერმა" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "I არხი წარმოგიდგენთ – სოფიკო ჭიაურელი" საქველმოქმედო კონცერტი 19.20 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მესამე ადგილი. (პ/რ) 21.20 მხ/ფ "მზის ჩასვლამდე" 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი (პ/რ) 00.50 დ/ფ "სპუტნიკის წლები".

08.00 ან/ფ "ავატარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 09.00 მხ/ფ "ყაჩაღები" 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. "ჩვენი ამბავი" 3 სერ. (შაბ. გ/ჩ) 13.00 სერ. "ჰანა მონტანა" 9-10 სერ. 14.30 ქ.მხ/ფ "ნატვრის ხე" 17.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 18.00, 19.05 სერ. "მომლაპარაკებელი" 20.55 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. "ჩვენი ამბავი" 4 სერ. 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 01.00 მხ/ფ "საშიში ბავშვები" 03.00 მხ/ფ "დაბრუნება ბრაიდსჰედში" (გ. სკაკი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ქ.მხ/ფილმი 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 23.00 კომედი შოუ 00.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 00.30 მხ/ფ.

7.00, ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი 8.30 ფარული კამერა 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "ასი" 10.30 გადაცემა "პულსი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "ასი" 18.30 "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00 სერიალი "სკანდალი" 0.30, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი"(კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "მე მოვედი" 13.15 ქრისტიანული ხელოვნება 13.55 "საუფლონი" 14.20 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ "გზა შინისაკენ" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ "შესანიშნავი შვიდეული".

### ვერძი

საქმეებში ცვლილებები სასურველ შედეგს მოგიტანთ, ბევრი შეხვედრა კი დამღლელი აღმოჩნდება. საყვარელ ადამიანთან კონტაქტი სტიმულს მოგცემთ პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად და დაიწყებთ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრს.

### კურო

კარგია დამატებითი ცოდნის მიღება და კვალიფიკაციის ამაღლება; ასევე, სამსახურის შეცვლა, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და კარიერული ზრდა. ნუ აჰყვებით ავანტიურისტებსა და პროვოკატორებს. საყვარელ ადამიანთან კი ეცადეთ, ურთიერთობის ყველა დეტალი მშვიდი საუბრით გაარკვიოთ.

### ტყუპები

სიტყვაზე ნუ ენდობით ნაცნობებსა და ახალ პარტნიორებს. ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ იქნება, თუმცა, ოჯახის წევრები გვერდით დაგიდგებიან. კარგად გადაამოწმეთ საყვარელ ადამიანთან დაკავშირებული, ყველა ჭორი და დეტალი და ნუ იეჭვიანებთ უმიზეზოდ. კარგია დიეტის დაცვა.

### კირჩხიბი

მომხიბვლელობით ბევრი ადამიანის კეთილგანწყობას მოიპოვებთ. ნებისმიერი რომანტიკული ურთიერთობა, შესაძლოა, დიდ გრძნობაში გადაიზარდოს. დაფიქრდით ცოდნის გაღრმავებასა და უცხო ენების შესწავლაზე. კარგია კონტაქტები და მოგზაურობა.

### ლომი

ადრე დაწყებული საქმეების დასრულება ფინანსურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. მეტად კომუნიკაბელური გახდებით, თავდაჯერებულობა კი დაგეხმარებათ ახალი კავშირების დამყარებასა და სასიყვარულო კავშირების უკეთ წარმართვაში. კარგია იმიჯის შეცვლა და დიეტის დაწყება.

### ქალწული

სამსახურის საქმეები და მოულოდნელობა უარყოფითად აისახება პირად ცხოვრებაზე. იმოქმედეთ დამოუკიდებლად. ეცადეთ, სასიყვარულო და საოჯახო სფეროში თავი აარიდოთ ინტრიგებს და საიდუმლო მოქმედებებს. ერიდეთ მეგობრებთან კონფლიქტს.

### სასწორი

ამ პერიოდში დამყარებული კავშირები და დაწყებული საქმეები კარგ შემოსავალს გპირდებათ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ეცადეთ, პერიოდულად დაისვენოთ. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში კი ნურავის მოატყუებთ.

### მორიელი

გაგიადვილდებათ ახალ ხალხთან ურთიერთობა. ახალი ზედაპირული სასიყვარულო ურთიერთობა კი გაუაზრებელ მოქმედებებს ჩაგადენინებთ, რაც ახლობლებთან კონფლიქტის მიზეზი გახდება. იზრუნეთ მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. შეამცირეთ გადაადგილებები.

### მშვილდოსანი

ერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. მეტი დრო დაყავით სახლში და თავი აარიდეთ კონფლიქტებს. ეცადეთ, თავიდან აიცილოთ საქმეებში გაუგებრობები. ნუ ენდობით უცხო ადამიანებს, თქვენს რჩეულს კი აპატიეთ თუ ურთიერთობებისას შეცდომას დაუშვებს.

### თხის რქა

გაგიადვილდებათ საქმეების შესრულება პარტნიორების დახმარებით. კარგია მოგზაურობა. გააკონტროლეთ ემოციები, მოერიდეთ ექსტრემალურ გართობას და ნუ გარისკავთ. სასიყვარულო ურთიერთობებში კი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

### მერწყული

საქმეში დახმარებას გაგიწევენ ოჯახის წევრები და საყვარელი ადამიანი. უსმინეთ ინტუიციას და იმოქმედეთ წინდახედულად. კარგია იურიდიული საქმეების მოგვარება, ფინანსური გარიგებები კი, ჯობია, სხვა დროისთვის გადადოთ.

### თევზები

გარშემო მყოფები დაგეხმარებიან პროფესიონალურ ზრდასა და წინსვლაში. კარგია სამსახურის გამოცვლა. გაუმჯობესებას დაიწყებს ფინანსური და სოციალური მდგომარეობა. იყავით ტაქტიანი და დიპლომატიური საყვარელი ადამიანის მიმართ.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 5 ოქტომბერი, 00 სთ: 31 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

დააკვირდით თქვენამდე მოსულ ნებისმიერ ინფორმაციას. კარგია ახალი ნაცნობობა, მოლაპარაკებები, პრეზენტაციები. ატარეთ ვერცხლისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ცირკონი, ძოწი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, კარგია ინტელექტუალური განვითარება, სახლის მშენებლობა, სარემონტო და სამღებრო სამუშაოები, დიეტის დაწყება. სუსტდება სისხლძარღვები, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### სამშაბათი

კარგია ინტელექტუალური მუშაობა, სწავლა. ატარეთ ცისფერი, წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, მწვანე, ფირუზისფერი, ლურჯი, იისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ცირკონი, მარგალიტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ელექტროტექნიკის შეძენა, სახლის მშენებლობა, სარემონტო სამუშაოები, გართობა, ადგილსამყოფლის შეცვლა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

იყავით ფრთხილი და წინდახედული. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს, ბავშვებს. მოერიდეთ ბიზნესსაქმიანობის დაწყებას, სასიყვარულო ურთიერთობებს. ატარეთ იისფერი, ფირუზისფერი, მწვანე, ლურჯი ან ვერცხლისფერი სამოსი, ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი, მარჯანი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, მცენარეების დარგვა-გადარგვა, კაპიტალდაბანდება, ახალი კონტაქტები. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა, მოჭარბებულია კოსმიური უარყოფითი ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს კონფლიქტებს, ავარიებს, დეპრესიას, ტრავმებს, ცდუნებებს, შეცდომების დაშვების ალბათობასა და ჯანმრთელობის გაუარესებას. აკონტროლეთ ემოციები. ნუ იკამათებთ. ატარეთ იისფერი, ფირუზისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – გიშერი, მარგალიტი, ამეთვისტო, მარჯანი ან წითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სასიყვარულო კავშირებს. კარგია იურისტებთან კონტაქტი. სუსტდება ტერფები, თავი, კბილები, ლიმფური სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბეისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### პარასკევი

ნუ იკამათებთ. კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, შემოქმედებითი მუშაობა. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი ან ფირუზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს. დაიცავით წესები და კანონები. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, კბილები, თვალები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ სულსწრაფ მოქმედებებს და გადაწყვეტილებების მიღებას, კამათს, უკონტროლო ემოციების გამოხატვას. მიუდექით საქმეს სერიოზულად. კარგია მოგზაურობა, ტექნიკისა და ავეჯის შეძენა. არ ვარგა ვალის აღება. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ძოწი, ტოპაზი ან საფირონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. ნუ დაარღვევთ წესებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, თმის შეჭრას. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა

კარგია ბუნებაში დასვენება, საზოგადოებრივი საქმიანობა, შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან კონტაქტი, გართობა, მასაჟის გაკეთება. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ყვითელი იასპი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებსა და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, მოგზაურობა, ვაჭრობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### უგრეხელიძე

გვარის ფუძეა **უგრეხი**, რაც პარკოსანი მცენარის სახელია.

რუსეთის მთავრობამ **უგრეხელიძეები** აზნაურებად დაამტკიცა და 1850 წელს სათავისტომო „ხავერდოვან წიგნში" შეიტანა.

საქართველოში 2 151 **უგრეხელიძე** ცხოვრობს: თბილისში – 479, ქუთაისში – 328, წყალტუბოში – 234. არიან სხვაგანაც.

### იმედაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **იმედა.**

ამავე ძირისაა გვარები **იმედიშვილი, იმედიძე, იმედაძე.**

„კოდელმა ივანე **იმედაშვილმა** 1826 წელს ამავე სოფლის წმიდა გიორგის ეკლესიაში მონათლა ქალიშვილი – თინათინი. მიმრქმელი იყო თანასოფლელი ლაზარეშვილი."

1860 წელს, თავად ლუარსაბ ორბელიანის ყმად მოიხსენიება სოსია **იმედაშვილი.**

საქართველოში 1 177 **იმედაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 380, ახმეტაში – 165, გურჯაანში – 124. არიან სხვაგანაც.

### ვარდიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ვარდია**. ეს სახელი ერქვა როგორც ქალს, ასევე მამაკაცს. ქართულში ამ სახელის რამდენიმე ფორმა გვხვდება: **ვარდო, ვარდიკო, ვარდენი, ვარდიგულა, ვარდენია.**

გრიგოლა **ვარდიაშვილი** მოიხსენიება 1509 წელს, სუმბაძეების მიერ მარკოზ დედაბრიშვილის სახელზე გაცემულ ნასყიდობის წიგნში.

ნინია სოლოღოვის გლეხად, 1823 წელს, სოფელ ბორბალოში მოიხსენიება ვანო **ვარდიაშვილი.**

ქართველების მიერ გრიგორიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ ამ გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი სომხად ჩაწერეს და სახელი **ვარდუა ვართანად** გადააკეთეს, ხოლო ამ ძირიდან ნაწარმოები გვარი ვართანაშვილად შეცვალეს.

ამავე ძირისაა გვარები: **ვარდანისძე, ვარდიძე, ვარდოშვილი, ვარდანაშვილი, ვარდუაშვილი.**

საქართველოში 1 475 **ვარდიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 552, სიღნაღში – 208, რუსთავში – 165. არიან სხვაგანაც.

### დიხამინჯია

**დიხა** მეგრულად მიწას ნიშნავს, **მინჯე** კი – პატრონს; **დიხამინჯია** – მიწის მეპატრონე, ანუ, კაცი, რომელიც მიწას ფლობს. სავარაუდოდ, მაღალი სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელ გვართან




უნდა გვქონდეს საქმე. თუმცა, წყაროებში მოძიებული ინფორმაციით, ისინი გლეხებად არიან მოხსენიებულნი.

**„დიხამინჯია** თამაზა, ხობს მცხოვრები, საეკლესიო გლეხი, ევალებოდა ხუთი ლოღარიკი სანთელი" (მეჩვიდმეტე საუკუნე).

1888 წლის მონაცემებით, **დიხამინჯიების** რამდენიმე ოჯახი სამეგრელოდან სოჭში გადასულა. ვიქტორ **დიხამინჯიას** და სხვათა ინიციატივით, 1921-1922 წლებში, სოჭში გაიხსნა ქართული სკოლა.

საქართველოში 711 **დიხამინჯია** ცხოვრობს: თბილისში – 171, მარტვილში – 146, სენაკში – 90. არიან სხვაგანაც.

### უძილაური

**უძილაური** სათემო გვარია ფშავში, მომდინარეობს მამაკაცის სახელიდან – **უძილაი**.

ფშავში თერთმეტი თემი არსებულა, გვარი კი შედარებით მეტი იყო. „ფშავში გვქონდა გოგოჭურთ, გაბიდაურთ, გოგოლაურთ, ქისტაურთ, ჭოჩოელთ, გოდერძაულთ, მათურელთ (ზურაბაულთ), წოწკოლაურთ, უძილაურთ, წითელაურთ და უკანა-ფშაველთ თემები".

საქართველოში 506 **უძილაური** ცხოვრობს: ახმეტაში – 234, დედოფლისწყაროში – 84, დუშეთში – 45. არიან სხვაგანაც.

### გასიტაშვილი-ვარძიელაშვილი

გვარი მომდინარეობს და სათავეს იღებს **ვარძიელაშვილების** გვარიდან. ისტორიული დოკუმენტები ასეთ სანდო და საინტერესო მასალას გვაწვდის: „ვარ **ვარძიელასშვილი**, იგივე **გასიტასშვილი** გიორგი, მყავს მამა **გასიტა**, ძმები ზაქარია, ხოსიტა" (1690 წელი).

„დათუნა **ვარძიელასშვილმა** მიჰყიდა შოშიტა მიქელასშვილს ნაახოები მიწა გოჩა იჩითიძის, ბერიკა იაველასშვილის და სავარძელოსშვილის მიწებამდე" (1690 წელი).

საქართველოში 497 **ვარძიელაშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 226, თბილისში – 157, გორში – 77. არიან სხვაგანაც.

455 **გასიტაშვილი**: თბილისში – 121, გორში – 112, ქარელში – 72. არიან სხვაგანაც.

### ჩადუნაშვილი

**ჩადუნაშვილისა** და **ჩადუნელის** გვართან დაკავშირებით მკვლევარი მაისურაძე წერდა: „სავარაუდოა, მომდინარეობდეს დასახლებული პუნქტის სახელიდან და სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვიდან იყოს გვარად ქცეული. სადუნა მცენარეა, ის გვიმრის ერთ-ერთი სახეობაა, თუმცა, ამას ეწინააღმდეგება **ჩადუნაშვილის** ეტიმოლოგიის კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, **ჩადუნა** საკუთარი სახელი უნდა იყოს."

1823 წელს, კაპიტან გიორგი ბარათოვის გლეხებად დიდ ენაგეთში მოიხსენიებიან ბეჟანა და გიგა **ჩადუნაშვილები**.

1873 წლის აღწერაში მოიხსენიებიან იაკობ და ივანე **ჩადუნაშვილები.**

საქართველოში 56 **ჩადუნაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 34, რუსთავში – 15, თბილისში – 7.

3 578 **ჩადუნელი**: ბორჯომში – 898, ხაშურში – 767, თბილისში – 672. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**




## მობრძანდით ჩვენთან, არ ინანებთ!

თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტთან იქმნება საჯარო სკოლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი (როგორც თბილისის, ისე რაიონების) კურსები. კურსების ხანგრძლივობა 3 თვეა, მაგრამ, ფიზიკა-მათემატიკაში, შესაძლოა, გახანგრძლივდეს მსმენელთა მოთხოვნით. კურსების გავლის შემდეგ მასწავლებლები გარანტირებული იქნებიან, წარმატებით გადალახონ სასერტიფიკაციო გამოცდები. პირველ ყოვლისა, იხსნება ფიზიკა–მათემატიკის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, რომელთა გავლა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე. სწავლება ჩატარდება პედაგოგისთვის მოსახერხებელ დროს, სკოლაში სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ, საღამოს საათებში. აღნიშნულ კურსებზე სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია. სწავლა დაიწყება ამა წლის 1 ნოემბრიდან.

ამასთან, უნივერსიტეტში გრძელდება დამამთავრებელ (III, IV) კურსებზე სტუდენტთა მიღება გადმოყვანის წესით, ხოლო, ტურიზმის აკადემიაში – აბიტურიენტთა ჩარიცხვა.

უნივერსიტეტთან, აგრეთვე, იხსნება მოსამზადებელი კურსები (სხვადასხვა საგანში) საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად.

**ჩვენი მისამართია: თბილისი, კოსტავას ქუჩა №47.**

**ტელეფონები: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24; 2-98-86-82; მობ: 599-18-89-24.**

**რექტორატი**

# დიეტა მთვარის კალენდრის მიხედვით

*დაიკლოთ წონაში 2-3 კილოგრამით, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში, თანაც, ისე, რომ არ დაიღალოთ გაზქურასთან დგომით – სწორედ ამას გთავაზობთ დიეტა მთვარის კალენდრის მიხედვით. არავითარი მისტიკა! კვების ეს სისტემა ღრმა მეცნიერულ საფუძვლებზეა შემუშავებული და, კიდევ: გარდა იმისა, რომ წონაში დაიკლებთ, საგრძნობლად გაუმჯობესდება თქვენი ჯანმრთელობა და, შესაბამისად, ორმაგად მომხიბვლელი გახდებით.*

## ახალმთვარეობა

ახალი მთვარე ყველაზე მეტად ზემოქმედებს ადამიანზე. ამ დღეებში გაცილებით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ორგანიზმში დეტოქსიკაცია. ამიტომ, აუცილებლად უნდა სვათ მეტი წყალი, რომ ორგანიზმიდან „გამოირეცხოს“ ყველაფერი ზედმეტი, ტოქსინების ჩათვლით, რომლებიც წარმოიქმნება სტრესების, არასწორი კვების, ეკოლოგიისა თუ საჭმლის გადამმუშავებელი სისტემის „გაუმართაობის“ გამო. ყველაზე იღბლიანები ამ პერიოდში დღეში 3 კილოგრამამდე დაიკლებენ.

***რჩევა:*** უპირატესობა მიანიჭეთ თხევად საკვებს, კერძოდ: ბოსტნეულის სუპებს, სუპ-პიურეს, წყალს, წვენებს, მწვანე (ან-სალბის) ჩაის – უშაქროდ (შეგიძლიათ, ჭიქაში 1/2 კოვზი თაფლი ჩაუმატოთ).

## აღმავალი მთვარე

მთვარის გამოსახულების ზრდასთან ერთად იზრდება მადაც. ამიტომ, ეცადეთ, მიირთვათ ნაკლები და თავი შეიკავოთ ტკბილეულისგან. ამით თავს დაიზღვევთ იმისგან, რომ ახალმთვარეობის დღეებში დაკლებული წონა არ აღიდგინოთ.




***რჩევა:*** უარი თქვით მძიმე საკვებზე: ცხიმიან, მწარე-ცხარე, ტკბილ კერძებზე და საღამოს 6 საათის შემდეგ ჭამაზე. მეტი სითხე მიიღეთ 15-სა და 17 საათს შორის, რომ თავიდან აიცილოთ საღამოს მოშიება.

## სავსემთვარეობა

მთვარის დიეტის „შებრუნებული“ მომენტი და განსაკუთრებით კრიტიკული პერიოდია: შინაგანი პროცესები, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, მიმდინარეობს არასტაბილურად. ამ პერიოდში ძალიან სასარგებლოა განტვირთვის დღის მოწყობა – ამით ხელს შეუწყობთ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, რაც გაზრდის გახდომის ეფექტს.

***რჩევა:*** უპირატესობა ისევ თხევად საკვებს მიანიჭეთ: თხელ ფაფებს, კისელს, ბოსტნეულის თხელ სუპებს, წვნიან ხილს, ბალახის ჩაის.

## დაღმავალი მთვარე

ეს ფაზა სასურველია ნებისმიერი დიეტის დასაწყებად. მთვარის კლებასთან ერთად იკლებს მადა და ტკბილეულისადმი ლტოლვა. კილოგრამები თითქმის თავისით „დნებიან“, მიღწეული შედეგის სტაბილურად შენარჩუნების შანსი კი გაცილებით სტაბილური ხდება. ოღონდ, აუცილებელია, დაასტაბილუროთ სითხის რაოდენობა: დღე-ღამეში 8 ჩაის ჭიქა წყალი – ნორმაა.

***რჩევა***: არჩევანი შეაჩერეთ დაბალკალორიულ მენიუზე: ნაკლები პური; მეტი ბოსტნეული და თევზი.

**გთავაზობთ 3-დღიანი დიეტის ნიმუშს მთვარის კალენდრის მიხედვით.**

## ახალმთვარეობის ერთ-ერთი დღე:

1,5 კილოგრამი ნებისმიერი ბოსტნეული (კარტოფილის გარდა) გაყავით 5-6 ნაწილად. სალათების შესაკაზმავად გამოიყენეთ ძმარი და ზეითუნის ზეთი (მარილი არ შეიძლება); სვით მწვანე და ბალახის ჩაი, ასკილის ნახარში.

ბოსტნეული შეგიძლიათ მიირთვათ უმად ან ოდნავ მოშუშოთ ძალიან ცოტა ზეთში.

## სავსემთვარეობის ერთ-ერთი დღე:

***უზმოზე (8-9 საათი)*** – 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი და ნახევარი გრეიპფრუტი.

***პირველი საუზმე (10-11 საათი)*** – 1 ჩაის ჭიქა უცხიმო მაწონი ან იოგურტი; 1 ცალი ვაშლის ან 1 ცალი ბანანის პიურე.

***მეორე საუზმე (12-13 საათი)*** – 2 ცალი ფორთოხლისა და ნახევარი ლიმონის ახალგამოწურული წვენი.

***სადილი (14-15 საათი)*** – 2 ჩამჩა ბოსტნეულის სუპ-პიურე ან ქათმის ბულიონი (უმარილოდ).

***სამხარი (16-17 საათი)*** – ბალახეულის (ან – მწვანე) ჩაი 1 ჩაის კოვზი თაფლით.

***ვახშამი (18 საათი)*** – 1 ჩაის ჭიქა ბოსტნეულის წვენი (უმარილოდ).

***დაძინებამდე 1 საათით ადრე*** – ბალახეულის (ან – მწვანე) ჩაი 1 კოვზი თაფლით.

## დაღმავალი მთვარის ერთ-ერთი დღე

ნახევარი კილოგრამი ანანასი; 1 კილოგრამი ახალი სოკო (მოამზადეთ დაბალკალორიული რეცეპტით). ეს პროდუქტები გაყავით 5-6 ულუფად. საღამოს – ბალახეულის (ან – მწვანე) ჩაი. დაძინებამდე 1 საათით ადრე – 1 ჩაის ჭიქა უცხიმო მაწონი ან კეფირი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: **ძალიან მაინტერესებს, როგორი ფერის კანი და თვალების როგორი მაკიაჟია წელს მოდაში ეგრეთ წოდებულ მაღალ წრეში?**

**პასუხი:** მსოფლიოს ყველაზე აღიარებულმა (და გავლენიანმაც) ვიზაჟისტებმა ერთხმად გამოაცხადეს, რომ წლევანდელ სეზონზე კარგ ტონად (ანუ – დონედ) ითვლება ბუნებრივი თეთრი კანი (და არა გარუჯული), რაც შეიძლება ნაკლები რუჟით ღაწვებზე. მაკიაჟი კი ისე უნდა გააკეთოთ, რომ ეგრეთ წოდებული კატისებრი მზერა შესძინოთ თქვენს თვალებს. ოღონდ, ასეთ დროს ტუჩის საცხი უნდა იყოს ნეიტრალური, ჩამქრალი ფერის – ბეჟი ან მკრთალი ვარდისფერი.

კითხვა: **მაქვს სწორი, გრძელი თმა. ხან „ცხენის კუდს“ ვიკეთებ, ხან გაშლილი თმით დავდივარ, მაგრამ, ორივე მომბეზრდა, შეჭრა კი არ მინდა. თქვენ ხომ არ მირჩევთ რამე საინტერესო ვარცხნილობას?**

**პასუხი:** შეგიძლიათ, გაიკეთოთ ვარცხნილობა რეტროს ელემენტებით: გაიყავით თმა გვერდზე. მარჯვენა მხარეს გადავარცხნილი თმის წინა ნაწილი ერთდროულად უკან და გვერდზე აიხვიეთ (ეგრეთ წოდებული „ვალიკი“ გაიკეთეთ): ცხენის კუდი“ კი ქვემოთ, კისერთან ჩამოიწიეთ და მარცხენა ყურის ქვემოთ შეიკარით ფერადი რეზინით, თმა კი ერთ სქელ ლოკონად დაიხვიეთ. ეს ვარცხნილობა თითქმის ყველანაირ სახეს უხდება.

კითხვა: **ვიცი, რომ ქაცვი („აბლეპიხა“) ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. მაინტერესებს გამოიყენება თუ არა ის კოსმეტოლოგიაში და, კერძოდ, რით რგებს ის კანს?**

**პასუხი:** ქაცვი ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში როგორც კანის, ისე თმის მოსავლელად. ამ ოქროსფერი მარცვლების ექსტრაქტი კანში ახდენს აღდგენითი პროცესების სტიმულირებას; ასევე, არის კარგი ანტიოქსიდანტი; ეფექტურად კვებავს და არბილებს კანს და ელასტიკურს ხდის მას. ძალიან სასარგებლოა კანისთვის ქაცვის ზეთი, რომელიც, შეგიძლიათ, მკვებავი კრემის ნაცვლად გამოიყენოთ.

რაც შეეხება თმას, ქაცვის ექსტრაქტი იცავს თმის ბოლქვებს დაზიანებისა და არასასურველი გარემო ფაქტორების ზემოქმედებისგან.

კითხვა: **მაინტერესებს, არის თუ არა სასარგებლო ლეღვი კოსმეტოლოგიური თვალსაზრისით?**

**პასუხი:** ლეღვი ძალიან სასარგებლო ხილია. ის კოსმეტოლოგიაში ფართოდ გამოიყენება კანისა და თმის მოსავლელად. ლეღვი ხსნის თვალების ქვეშ შეშუპებას; აღადგენს მშრალ და დამსკდარ კანს. მისი კონცენტრირებული ექსტრაქტი მდიდარია როგორც A და C ვიტამინებით, ასევე



ფერმენტებით, რომლებიც ხელს უწყობს კანის აღდგენას და აძლევს კანს ლამაზ ელფერს. ლეღვის ექსტრაქტის შემცველი ნიღაბი თმისთვის აღადგენს თმას ძირებიდან ღერის ბოლომდე; განსაკუთრებით ეფექტურია მზისგან დაზიანებული თმისთვის.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ვინ და რატომ დახოცა 17 წლის განმავლობაში 45 ადამიანი

### „ჰამლეტი“

1957 წლის 3 მარტს მოსკოვში, გენერალ საბლინის შესახვევში მშენებარე სახლის სარდაფში, 36 წლის ვერა ევგენის ასული ხარიტონოვას ცხედარი იპოვეს. ქალი გულაღმა ეგდო შიშველი და ზურგზე ლათინური ასოებით ჰქონდა ამოტვიფრული სიტყვა „ჰამლეტი“. ქალს მოკვეთილი ჰქონდა ენა და ძუძუსთავები, დათხრილი ჰქონდა თვალები, მუცელი კი – გაფატრული. იმის გამო, რომ ეს ორგანოები ახლომახლო ვერ იპოვეს, კრიმინალისტებმა ივარაუდეს, რომ ისინი მკვლელმა წაიღო. ქალის ორგანიზმში ძლიერმოქმედი შხამი აღმოჩნდა და დადგინდა, რომ ხარიტონოვა ჯერ მონამვლით გარდაიცვალა, ორგანოები კი შემდეგ მოჰკვეთეს. გარდა ამისა, ისიც დადგინდა, რომ მკვლელობამდე ქალი სქესობრივ კავშირში იმყოფებოდა, სავარაუდოდ, მკვლელთან და, თან, არა ძალადობით. შემთხვევის ადგილზე მამაკაცის სპერმაც აღმოაჩინეს, გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ მამაკაცს პირველი ჯგუფის, რეზუსდადებითი სისხლი ჰქონდა, დამატებითმა ბიოლოგიურმა კვლევამ კი ცხადყო, რომ იმ სპერმის პატრონი დიაბეტით იყო დაავადებული.

**დახოცილ ქალებს მუცლები ჰქონდათ გაფატრული, თვალები დათხრილი, მათ ზურგზე კი ამოკვეთილი იყო სიტყვა „ჰამლეტი“**

სისხლის სამართლის საქმე მოსკოვის პროკურატურაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა და გამოძიებას მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამომძიებელი, ვიქტორ გიორგაძე ჩაუდგა სათავეში. იმ პერიოდში სერიული მკვლელობის გამოძიება არ იყო აყვანილი იმ დონეზე, როგორც ეს სამოცდაათიან წლებში ხდებოდა და გიორგაძე იყო ის პირველი მერცხალი, რომელმაც დანაშაულის გასახსნელად მეცნიერული კვლევა გამოიყენა.

გიორგაძემ დაწვრილებით შეისწავლა მოკლული ხარიტონოვას ბიოგრაფია და დაადგინა, რომ მას ჰყავდა მეუღლე და ქალიშვილი, მუშაობდა გასტრონომში გამყიდველად და ცუდი რეპუტაციით არ სარგებლობდა. თუმცა, ერთი მისი მოხუცი მეზობელი ქალისგან ასეთი სიტყვები მოისმინა: „ძველი კახპა“ იყო საცოდავი ვერა. ქმარი კი ჰყავდა, მაგრამ ყოველთვის სხვა კაცებისკენ გაურბოდა თვალები, განსაკუთრებით კი ფულიანებს სწყალობდა. ის ერთი შეხედვით იყო პატიოსანი, თორემ, ფულის გამო საკუთარ მამასაც ჩაუგორდებოდა ლოგინში. ერთხელ ჩემს ქმართან შევუსწარი. ჩემი სულელი კაცი ამჩატებული აწყობდა ძვირფას სუფრას და იმ უსირცხვილოს შიშველ თეძოებზე მისჩერებოდა. მე სოფელში ვიყავი წასული, ადრე დავბრუნდი და, არ ეგონათ, თუ მოვიხელთებდი“.

გიორგაძე გაოგნებული უსმენდა ქალს და, თხრობა რომ დაასრულა, ჰკითხა:

– მათ შორის რამე მოხდა?

– მოხდებოდა, ხელი რომ არ შემეშალა. ჩემი ქმარი პერსონალური პენსიონერია, სხვა შემოსავლებიც გვაქვს და ვერას ფულის დატყუება უნდოდა. აი, როგორი იყო ის.

ვიქტორ გიორგაძეს ყველაზე მეტად მკვლელის ხელმოწერა – „ჰამლეტი“ არ აძლევდა მოსვენებას. ამ სიტყვაში რომ რაღაც დაშიფრული აზრი იმალებოდა, გიორგაძეს ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა.

მაშინ ვიქტორ გიორგაძე მხოლოდ 23 წლის იყო და, შესაბამისად, სათანადო გამოცდილება არ ჰქონდა. მოგვიანებით მან ასე გაიხსენა ის პერიოდი: „იმ დროს მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ახლა რომ ვიცი, მაშინ იმის მეათედი ცოდნა და, გამოცდილება რომ მქონოდა, სერიულ მკვლელს მალევე დავიჭერდი და ამდენ დანაშაულს ველარ ჩაიდენდა“.

ეს მან 1974 წელს თქვა, 1957 წელს კი ახალგაზრდა გიორგაძემ პირველი ჯგუფის რეზუსდადებითიანი, დიაბეტით დაავადებული მამაკაცის ძებნა დაიწყო და სერიული მკვლელის ჩვიდმეტწლიან ძებნას დაუდო სათავე.

### ყველაზე გრძელი ნადირობა

ცნობილ როსტოველ მანიაკს, ანდრეი ჩიკოტელოს 56 ადამიანი ჰყავდა მოკლული. თავისი პირველი დანაშაული მან 1982 წელს ჩაიდინა. ის 1990 წელს დააპატიმრეს და ოთხი წლის მერე დახვრიტეს ნოვოჩერკასკის ციხეში. ანუ, ჩიკოტელოზე ნადირობა სულ რაღაც 8 წელიწადი გაგრძელდა; „ჰამლეტის“, იგივე „დედის მკვლელის“ აყვანას კი 17 წელი მოანდომეს, რაც საბჭოთა კრიმინალისტიკის ისტორიაში ყველაზე გრძელი ნადირობა იყო და ამ ხნის განმავლობაში მოუხელთებელი სერიული მკვლელის მოქმედების არეალმა თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა.



ვერა ხარიტონოვას მკვლელობის შემდეგ ზუსტად 6-6-თვიანი ინტერვალით, მოსკოვში კიდევ ორი ქალი მოკლეს, ზუსტად იმავე ხელწერით და ზურგზე ამოტვიფრული სიტყვით – „ჰამლეტი“. მათაც ისევე ჰქონდა გაფატრული მუცელი და დათხრილი თვალები, როგორც ხარიტონოვას და ადგილზე აღმოჩენილი მამაკაცის სპერმაც იგივე იყო. მომდევნო ორი ქალის ბიოგრაფიის შესწავლამაც იგივე შედეგები აჩვენა: ისინიც ქმარშვილიანები იყვნენ და ქმრებს ღალატობდნენ. ამიტომ, გიორგაძემ სერიული მკვლელის „ჰამლეტის“ სტერეოტიპი შეადგინა და მოსკოვის მთავარ პროკურორს მოახსენა:

– სერიული მკვლელი თავის მსხვერპლად ღალატისკენ მიდრეკილ ქალებს არჩევს. შემდეგ მათ ბნელ ადგილებში იტყუებს, წამლავს და ასახიჩრებს, მანამდე კი მათთან სქესობრივ კავშირს ამყარებს, ოღონდ ქალის თანხმობით.

მოსკოვის პროკურორი ჩაფიქრდა და გიორგაძეს უთხრა:

– როგორი ხელიდან წასული და მოღალატეც არ უნდა იყოს ქალი, უცნობს ნებაყოფლობით ასეთ ადგილას არ გაჰყვება, გამოდის, რომ მკვლელი ჯერ ახლო ურთიერთობას ამყარებს მასთან, მის ნდობას მოიპოვებს და ბოლოს კი ბოროტმოქმედებასაც სჩადის. ამიტომ, კარგად გამოიკვლიეთ მოკლულის ახლობლების წრე და შესაძლოა, „ჰამლეტზეც“ გახვიდეთ.

გიორგაძემ ამ კუთხითაც ინტენსიურად იმუშავა, თუმცა, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, რადგან, „ჰამლეტი“ იმდენად სუფთად მოქმედებდა, რომ საგამოძიებო ორგანოებისთვის ფაქტობრივად უჩინარი იყო.

1957-1974 წლებში მოსკოვში, ლენინგრადში, ნოვოსიბირსკში, ხარკოვში, სოჭში, თბილისსა და კიდევ ათ ქალაქში „ჰამლეტმა“ 45 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ყველაზე ხანგრძლივი ნადირობა სერიოზულ მკვლელზე 1974 წლის 18 მაისს დასრულდა. იმ დღეს მოსკოვის სისხლის სამართლის საძებროს („მურის“) სპეცჯგუფმა მოსკოვში, ხარკოვის ქუჩაზე 38 წლის გენადი ციკოლსკი დააპატიმრა, რომელიც „ჰამლეტის“ ფსევდონიმით მოქმედი სერიული მკვლელი აღმოჩნდა.

„ჰამლეტს“ თბილისში ძალიან ცნობილი პიროვნების მეუღლე ჰყავდა მოკლული, რომელიც მეძავი იყო...

### უიღბლო ფოტოგრაფი

გენადი ციკოლსკი 1936 წელს იყო დაბადებული. უცოლშვილო, გაურკვეველი პროფესიის ადამიანი, რომელსაც უამრავი სამსახური ჰქონდა გამოცვლილი – ერთ ადგილზე ერთ წელიწადზე მეტს ვერ ჩერდებოდა. დაპატიმრების მომენტში ციკოლსკი მოსკოვის №19 ფოტოატელიეში მუშაობდა ფოტოგრაფად. მასზე ეჭვი კი 1974 წლის 11 თებერვალს მოსკოვში, სოკოლნიკების პარკში ნაპოვნი მოკლული ცხედრების გამოკვლევის შემდეგ აიღეს.

იმ დღეს პარკის მეეზოვემ, რომელიც ურნაში ფოთლებს ყრიდა, ბუჩქებში ქალისა და

მამაკაცის შიშველი ცხედრები აღმოაჩინა და მილიციაში დარეკა. ათიოდე წუთში იქ სამართალდამცველები მივიდნენ. როგორც დადგინდა, მოკლულები იყვნენ 56 წლის ანა კოკინსკაია და 57 წლის პავლე გონცარი. მათ მუცლები ჰქონდათ გაფატრული, თვალები – დათხრილი და ორგანიზმში შხამის დიდი დოზა აღმოაჩნდათ. ზურგზე კი ქალს სამი ასო: „ჰამ“, ჰქონდა ამოტვიფრული, კაცს კი – „ლეტ“, რაც ერთად იკითხებოდა – „ჰამლეტ“.

გიორგაძემ მოკლულების ბიოგრაფია შეისწავლა და დაადგინა, რომ კოკინსკაია და გონცარი საყვარლები იყვნენ. ქალი ქვრივი იყო, კაცს კი ცოლ-შვილი ჰყავდა და, კოკინსკაიას გარდაცვლილი მეუღლის თანაკლასელი იყო. გიორგაძემ ისიც დაადგინა,

## თბილისში მოკლული ქალი ცნობილი ადამიანის მეძავი მეუღლე იყო

რომ კოკინსკაიას 38 წლის, დიაბეტიანი შვილი ჰყავდა, რომელსაც გენადი ციკოლსკი ერქვა...

– ჰამლეტი, ჰამლეტი... ღმერთო ჩემო, ის ხომ შექსპირის გმირის ფსევდონიმით მოქმედებს! – წამოიძახა გიორგაძემ და თავში ხელი შემოირტყა.

„მურის“ ოპერჯგუფმა ოცდაოთხსაათიანი თვალთვალი დააწესა ციკოლსკიზე, რათა ის საეჭვო მოქმედებებში გამოეჭირათ, მაგრამ, ექვმიტანილი ფოტოგრაფი ნორმალურად იქცეოდა. მაშინ, გიორგაძემ სამხილის მოპოვება გადაწყვიტა, რაც უეჭველად დაადასტურებდა ციკოლსკის დანაშაულს, კერძოდ, გამოძიებელს ციკოლსკის სპერმის ნიმუში უნდოდა, რომელსაც მოკლული ქალების სხეულში აღმოჩენილ სპერმას შეადარებდა და თუ ისინი ერთმანეთს დაემთხვეოდა, ციკოლსკის დანაშაულიც დადასტურდებოდა.

„მურმა“ ციკოლსკის ფოტოლაბორატორიაში სამედიცინო შემოწმება ჩაატარა. ვითომ ვენერიული დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით, თანამშრომელთა სპერმის ნიმუშები აიღეს და ციკოლსკის სპერმა მოკლულთა სხეულში აღმოჩენილ სპერმას შეადარეს. პასუხი დადებითი აღმოჩნდა – სპერმები ერთმანეთს დაემთხვა და ციკოლსკი მეორე დღესვე დააპატიმრეს. ის ისე აიყვანეს, რომ განძრევაც ვერ მოასწრო...

**დედის მკვლელი**

ციკოლსკი იმავე დღეს მიიყვანეს მოსკოვის საქალაქო პროკურატურაში დაკითხვაზე, რომელსაც საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი გენერალური პროკურორი რუდენკო დაესწრო. დაკითხვა გიორგაძეს მიჰყავდა. მან დაპატიმრებულს ჰკითხა:

– აღიარებთ, რომ 45 ადამიანი მოკალით?

– ვაღიარებ.

– რატომ ხოცავდით უდანაშაულო ქალებს?

– ისინი უდანაშაულოები არ იყვნენ, მათ ქმრებს უღალატეს.

– რატომ მოკალით დედათქვენი და პავლე გონცარი?

– ამით მე მკვლელობების სერიას მოვუღე ბოლო, ასე ვთქვათ, წერტილი დავუსვი.

– კონკრეტულად?

ციკოლსკიმ სიგარეტი გააბოლა. ამოიოხრა და თქვა:

– მამაჩემი, ანატოლი ციკოლსკი და პავლე გონცარი მეგობრები იყვნენ, ერთ კლასში სწავლობდნენ და ომშიც ერთად იყვნენ. მამაჩემმა გონცარი სიკვდილისგანაც კი იხსნა. 10 წლის ვიყავი, მამა რომ დამეღუპა – 1946 წლის მაისში მამა და პავლე სათევზაოდ წავიდნენ და მამა დაიხრჩო. კარგად მახსოვს, ჩვენს ბინაში, შავ კუბოში ჩაწვენილ მამას საათობით ვუცქერდი და ჩუმად ვტიროდი. იქ იყო გონცარიც და დედაჩემს არ შორდებოდა, ვითომ ამხნევებდა. მე კი იმ ოთახში ყოფნას მიშლიდნენ. დასაფლავების წინა ღამეს კედლის კარადაში დამალული, ვუყურებდი მამას და ჩუმად ვტიროდი. ამ დროს ოთახში დედაჩემი და პავლე შემოვიდნენ. მათ მიიხედ-მოიხედეს, მარტო დაიგულეს თავი და მიცვალებულის წინ ერთმანეთს კოცნა დაუწყეს, შემდეგ საძინებელში განმარტოვდნენ და სიყვარულს მიეცნენ. მართალია, 10 წლის ვიყავი, მაგრამ, ყველაფერს ვხვდებოდი და დედაჩემისა და პავლეს დახოცვა გადავწყვიტე. იმ დღიდან 11 წელი რომ გავიდა, პირველი მკვლელობა მაშინ ჩავიდინე. მე გავიცანი ქალი, რომელიც ქმარს ღალატობდა. ჯერ სქესობრივი ურთიერთობა დავამყარე მასთან, შემდეგ კონიაკით მოვწამლე, ბოლოს კი დავასახიჩრე. „ჰამლეტი“ კი იმიტომ დავირქვი, რომ შექსპირის გმირის მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. ერთი სიტყვით, ყველა მოკლულ ქალში დედაჩემს ვხედავდი და, შესაბამისად, ყოველი ქალის მოკვლისას დედაჩემს ვკლავდი. დედის მკვლელი ვიყავი მაშინ, მაგრამ პირადად დედაჩემის მოკვლას მაინც ვერ ვბედავდი. ერთ ღამეს კი, ისევე, როგორც ჰამლეტს, მეც მამაჩემი გამომეცხადა, ოღონდ ძილში. მან მითხრა, რომ ის პავლე გონცარმა დაახრჩო თევზაობის დროს. როცა გამომეღვიძა, ოფლში ვცურავდი. ავდექი, დედაჩემის საძინებელს მივადე ყური და კვნესა შემომესმა. ოთახში შევვარდი და ლოგინში ჩაგორებული პავლე გონცარი და დედაჩემი შემრჩნენ ხელში. ასეთი სცენა არაერთხელ მინახავს ფარულად, მაგრამ, იმ ღამეს სულ სხვა ჭკუაზე ვიყავი და ბილწ წყვილს მამისეული რევოლვერი მივუშვირე. გონცარი გამომიტყდა, რომ მან მართლაც დაახრჩო მამაჩემი. ამის შემდეგ დედაჩემს და გონცარს მოწამლული კონიაკი დავალევინე. სული რომ ამოხდათ, ორივე დავასახიჩრე, მათ ზურგზე „ჰამლეტი“ ამოვკვეთე და ცხედრები სოკოლნიკის პარკში წავათრიე...

– ამოკვეთილ ორგანოებს რას უშვრებოდით?

– კანალიზაციის ვირთხებს ვაჭმევდი – მოღალატეები მხოლოდ ასეთ ბოლოს იმსახურებენ.

გენადი ციკოლსკის დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ, ის ბუტირკის ციხის სიკვდილმისჯილთა საკანში გულის შეტევით გარდაიცვალა...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**16 სექტემბერი**

1908 – დაარსდა კორპორაცია General Motors.

1955 – სამხედრო ბალისტიკური რაკეტის პირველი წარმატებული გამოცდა.

1983 – არნოლდ შვარცენეგერმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა.

**17 სექტემბერი**

1630 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა ქალაქი ბოსტონი.

1871 – ლონდონში დაარსდა „პირველი ინტერნაციონალი“.

1922 – ბერლინში გაიმართა პირველი ხმოვანი ფილმის ჩვენება.

1953 – ჩატარდა სიამის ტყუპების გაყოფის პირველი წარმატებული ოპერაცია.

**18 სექტემბერი**

1698 – ბასტილიაში გადაიყვანეს პატიმარი, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც „ადამიანი რკინის ნიღაბში“.

1810 – ჩილე გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1851 – გამოვიდა გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ პირველი ნომერი.

1932 – სახელმწიფო ჰიჯაზს ეწოდა საუდის არაბეთი.

**19 სექტემბერი**

1783 – ძმებმა მონგოლფიერებმა გაუშვეს პირველი საჰაერო ბურთი, რომლის მგზავრი იყო ცხვარი.

1893 – ახალი ზელანდია გახდა პირველი სახელმწიფო, სადაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ ქალებს.

**20 სექტემბერი**

622 – ჰიჯრა (წინასწარმეტყველ მუჰამედის გაქცევა მექიდან მედინაში) მუსლიმანური წელთაღრიცხვის დასაწყისი.

1519 – დაიწყო ფერნანდო მაგელანის მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

1870 – ჯუზეპე გარიბალდის ჯარებმა აიღეს რომი. დასრულდა იტალიის გაერთიანება.

1918 – დახვრიტეს 26 ბაქოელი კომისარი (მათ შორის ორი ქართველი იყო).

2002 – ჩრდილოეთ ოსეთში კარმადონის ხეობაში ჩამოწოლილმა მეწყერმა რუს კინემატოგრაფისტთა ჯგუფი შეიწირა (მათ შორის იყო მსახიობი სერგეი ბოდროვი).

**21 სექტემბერი**

1648 – დაიწყო უკრაინელთა აჯანყება პოლონელთა ბატონობის წინააღმდეგ.

1792 – საფრანგეთის კონვენტმა ოფიციალურად მეფობიდან გადააყენა მეფე ლუი მეთექვსმეტე.

1988 – დაიწყო ყარაბახის კონფლიქტი.

**22 სექტემბერი**

1499 – შვეიცარია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1692 – უკანასკნელი აუტოდაფე ჩრდილოეთ ამერიკაში, მასაჩუსეტსში ჩამოახრჩეს რვა „ალქაჯი“.

1980 – დაიწყო ირან-ერაყის ომი.

1990 – ინგლისელმა სტივ ვუდმორმა დაამყარა უჩვეულო რეკორდი სწრაფად საუბარში – მან 1 წუთში 637 სიტყვა წარმოთქვა.

**სულ რამდენიმე დღეა რთველი დაიწყო და დარჩენილი მოსავლის დაკრეფა-დაბინავებაზე ფიქრიც სულ უფრო აქტიური ხდება. ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ მოსავლის აღებისას აქცევდნენ მთვარის ფაზებს, რადგან, გარკვეულ დროს მოკრეფილ და დაწურულ მტევანს განსაკუთრებული თვისებები და ძალა ჰქონდა – ის არ ფუჭდებოდა და სამკურნალო თვისებებსაც დიდხანს ინარჩუნებდა. თუ რა პერიოდშია უმჯობესი ყურძნის მოკრეფა, დაწურვა და ჩასხმა შესაბამის ჭურჭელში, ასევე, ბოსტნეულისა და ხილის მოკრეფა და ზამთრისთვის შენახვა, ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ასტროლოგ მიხეილ ცაგარელს, რომელმაც მეტად საინტერესო და აუცილებლად გასათვალისწინებელი რჩევები მოგვაწოდა.**

# რომელ დღეებშია სასურველი ყურძნის მოსავლის აღება-დაბინავება და რატომ არ შეიძლება ახალ მთვარეზე კომპოტებისა და მურაბების მომზადება

**მიხეილ ცაგარელი**: გლეხები მთელი წლის განმავლობაში თავგამოდებით შრომობენ: თესავენ, უვლიან ვაზს, შეჰყურებენ ხილის მოსავალს, რომ გაწეული შრომისგან სარგებელი ნახონ. სამწუხაროდ, წლევანდელმა ამინდმა საქართველოს მთელი რიგი რეგიონების მოსახლეობას დიდი თავსატეხი გაუჩინა, ფაქტობრივად, გაუჩანაგა მოსავლის დიდი ნაწილი. მაგრამ, რაც გადარჩა, იმის დაბინავება მაინც უნდა მოახერხონ სწორად. მოკლედ, ყურძნის მოსავლის აღებისა და კრეფა-დაბინავების სეზონი დაიწყო და ასტროლოგიური კუთხით, ჩვენი წინაპრები ამ დროს ყურადღებას აქცევდნენ მთვარის კალენდრის კონკრეტულ დღეებს, როცა ყურძნის აღება-დაბინავება განსაკუთრებულად მისაღები და ნაყოფიერი იყო. მთვარეს აქვს ოთხი ფაზა: აღმავალი მთვარე, რომელშიც შედის 14 დღე და იწყება ახალი მთვარიდან (ეს ფაზაც ორად იყოფა): შემდეგი არის დაღმავალი მთვარის ფაზა – სავსე მთვარიდან ახალ მთვარემდე პერიოდი და ეს ფაზაც ორ ნაწილად იყოფა, ანუ, ერთ თვეში ჩვენ აღმავალი და დაღმავალი მთვარის ფაზები აუცილებლად გვაქვს. აღმავალ ფაზაში, მცენარეში არსებული წვენი, რომლითაც ის საზრდოობს, ამოდის ნაყოფში 14 დღის განმავლობაში, ანუ, ნაყოფი უფრო წვნიანი ხდება.

**– ესე იგი, ამ დროს მისი დაკრეფა კარგია?**

– დიახ, ამ დროს მისი დაკრეფა კარგია. მთვარის დაღმავალ ფაზაში კი წვენი ფესვისკენ მიდის და მისი მოკრეფა არ არის რეკომენდებული. ასე რომ, უნდა მოასწროთ და, ყურძენი და სხვა ხილი დაკრიფოთ აღმავალი მთვარიდან ორი კვირის განმავლობაში. ამ დროს ის წონითაც მეტია, უფრო წვნიანიცაა, ტკბილიც და დიდხანსაც ინახება. ორი კვირის შემდეგ კი ნაყოფი იფიტება წვენისგან და, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაკრიფოთ, თუ ზამთრისთვის შესანახად გინდათ. სხვათა შორის, მთვარის არასასურველ ფაზაში დაკრეფილი და დაწურული ყურძენი ადამიანის სიმთვრალეზეც მოქმედებს – ამ დროს ღვინო უფრო ეკიდება და, თანაც, თუ ახალი მთვარის დღეებში დალევთ, მით უფრო გაორმაგდება თქვენში ნეგატიური ენერგიის გამოვლენის სურვილი. ასე რომ, გირჩევთ, ყურძენი არ დაკრიფოთ ახალი მთვარიდან მეორე, მესამე, მეხუთე, მეცხრე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეცხრამეტე და ოცდამეცხრე დღეს, რადგან ამ დღეებში მთვარიდან ნეგატიური ენერგია მოდის. სექტემბერშიც და ოქტომბერშიც, ახალმთვარეობა გვაქვს 5 რიცხვში. აქედან გამომდინარე, ყურძნის კრეფა და დაწურვა კარგია 16 სექტემბერს და 8, 11, 12, 13, 15, 16 ოქტომბერს. აქვე გეტყვით, რომ წელს ყურძნის კრეფისთვის განსაკუთრებით კარგი პერიოდია 20-30 სექტემბრის შუალედი. ასევე, კარგია ამ პერიოდში თივის მოგროვება-შენახვა. ღვინის ბოთლებში ჩასხმა კი რეკომენდებულია დაღმავალ მთვარეზე, რათა ბოთლები არ დასკდეს და ღვინო უკეთ შეინახოს. დაღმავალი პერიოდი გრძელდება სავსე მთვარიდან ორი კვირის განმავლობაში. ამ დროს მთვარე გადის სავსემთვარეობიდან ახალმთვარეობამდე პერიოდს. ასე რომ, ღვინის დაყენება კარგია ახალ მთვარეზე, ოღონდ, პლუს-მინუს 12 საათის შუალედით. ამ მონაკვეთში ის სწრაფად დადუღდება და შეინარჩუნებს სიტკბოს. ზოგადად, ყველა მცენარეს აქვს თავისი ხასიათი და ენერგეტიკა. რთველობას საქართველოში განსაკუთრებულად უყურებენ დღესაც, მთვარის ფაზებს კი ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას: ოდითგანვე, ადამიანები მთვარის ფაზების მიხედვით არკვევდნენ, როდის ჯობდა თესვა, მოსავლის აღება, დაწურვა, დაბინავება, გადატანა სპეციალურ შესანახ ჭურჭელში და ასე შემდეგ. ხანში შესული ადამიანები მთვარის ფაზებს დღესაც აქცევენ ყურადღებას და მისი გათვალისწინებით ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

**– არასასურველ დღეებში დაწურული ღვინო ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება?**

– რასაკვირველია, მით უმეტეს, თუ მთვარის არასასურველ ფაზაში დაკრეფილ ყურძენსა და დაწურულ ღვინოს ისევ მთვარის არასასურველ დღეებში დალევთ, ანუ, მაშინ, როცა კოსმოსიდან ნეგატიური ენერგიები მოდის, ის თქვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედებს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ რთვლის სწორად დაგეგმვასა და ყურძნის დაწურვას. ასტროლოგიის ცოდნას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენმა წინაპრებმა, მთვარის ფაზების მიხედვით იცოდნენ, როდის დაეთესათ, როდის აეღოთ და დაებინავებინათ მოსავალი. მაგალითად, სასუქით ნიადაგის განოყიერება-გამდიდრება უმჯობესია დაღმავალ მთვარეზე.



**ღვინის ბოთლებში ჩასხმა რეკომენდებულია დაღმავალ მთვარეზე, რათა ბოთლები არ დასკდეს და ღვინო უკეთ შეინახოს**

**მთვარის არასასურველ ფაზაში დაკრეფილი და დაწურული ყურძენი ადამიანის სიმთვრალეზეც მოქმედებს**

**– ბატონო მიშა, იქნებ, კონკრეტული დღეები გვითხრათ, როცა ხილის დაკრეფა, თიბვა, ბოსტნეულის დაბინავება, თესვა და ასე შემდეგ, მომავალში კარგ შედეგს მოგვცემს?**

– კი ბატონო, ახლა გეტყვით კონკრეტულ დღეებს, როდის არის სასურველი ან არასასურველი მოსავლის აღება, დაბინავება, სამკურნალო მცენარეების შეგროვება, თიბვა თუ ხვნა-თესვა. აქვე გაგაფრთხილებთ, რომ ახალმთვარეობაზე არ მოამზადოთ კომპოტები და მურაბები, არც ყურძნის დაკრეფა-დაწურვა ვარგა.

***16-17 სექტემბერი***: კარგია ნიადაგის მოხვნა, სამკურნალო მცენარეების მოგროვება, ყურძნის დაკრეფა-დაწურვა-შენახვა.

***18-19 სექტემბერი***: კარგია ნიადაგის ორგანული სასუქებით განოყიერება; არ ვარგა ხილის შენახვა, მიწიდან ბოსტნეულის ამოღება, კონსერვებისა და კომპოტების მომზადება.

***20-21 სექტემბერი***: კარგია ხილის დაკრეფა-დაჩირვა.

***22-23-24 სექტემბერი:*** კარგია კომპოტების მომზადება, ყურძნის დაწურვა, ბოსტნეულის აღება, ხილის დაკრეფა.

***25-26 სექტემბერი***: კარგია ხილის დაკრეფა-დაჩირვა, ყურძნის დაკრეფა-დაწურვა, ბოსტნეულის აღება, ნიადაგის განოყიერება, ზამთრისთვის კომპოტებისა და მურაბების მომზადება.

***27-28-29 სექტემბერი***: კარგია ყურძნის დაკრეფა, შეშის დაჩეხა, კომპოტებისა და წვენების მომზადება, ყურძნის დაწურვა.

***30 სექტემბერი-1 ოქტომბერი:*** კარგია ფუტკრის ოჯახის მომზადება, ნიადაგის დამუშავება, ხილის დაკრეფა ზამთრისთვის შესანახად; არ ვარგა მცენარეების გადარგვა.

***2-3 ოქტომბერი***: კარგია ნივრის დარგვა, ხილისა და ბოსტნეულის მომზადება ზამთრისთვის.

***4-5-6 ოქტომბერი:*** კარგია ყვავილების დათესვა.

***7-8 ოქტომბერი***: კარგია ხილისა და ბოსტნეულის აღება-შენახვა.

***9-10 ოქტომბერი:*** კარგია სათბურში დათესვა, ხილისა და ბოსტნეულის დაკრეფა და დაბინავება.

***11-12 ოქტომბერი:*** კარგია ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება.

***13-14 ოქტომბერი***: კარგია მარცვლეულის აღება-დაბინავება; არ ვარგა მცენარეების დარგვა.

***15-16 ოქტომბერი***: არ ვარგა ხილისა და ბოსტნეულის ზამთრისთვის დაკონსერვება-შენახვა.

***17-18-19 ოქტომბერი***: კარგია ფუტკრის ოჯახის მკურნალობა, ხილის დაკრეფა-დაჩირვა.

***20-21 ოქტომბერი:*** კარგია ნიადაგის გადამუშავება-განოყიერება, ბოსტნეულის დაკონსერვება.

***22-23 ოქტომბერი***: კარგია ხილის დაკრეფა და შენახვა, მარცვლეულის აღება, ნიადაგიდან ბოსტნეულის ამოღება.

***24-25-26 ოქტომბერი***: კარგია წვენების მომზადება, ყურძნის დაწურვა. არ ვარგა მცენარეების გადარგვა.

***27-28 ოქტომბერი:*** კარგია ფუტკრის ოჯახის საზამთროდ მომზადება, დეკორატიული მცენარეების დარგვა, ნიადაგის განოყიერება-გაწმენდა, მარცვლეულის აღება.

***29-30-31 ოქტომბერი***: კარგია ნივრის დათესვა, კომპოტების მომზადება, ნიადაგის განოყიერება.

**ნონა დათეშიძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში ეკლიფსი”, 1998 წლის, 2.0 ძრავით, მართვის ავტომატური კოლოფით. დაახლოებით 1 200 ბრუნის ფარგლებში ძრავა არასტაბილურად მუშაობს, გაზს თითქოს თვითონ აძლევს და აკლდება, ხოლო 1 300 ბრუნის შემდეგ ბრუნვები სტაბილურდება. მაღალი სიჩქარის დროს, დაახლოებით 2 800 ბრუნიდან, გაზი თავისით იმატებს და გადადის 4 000 ბრუნზე, რჩება ამ ბრუნვებზე და, რაც მთავარია, სიჩქარე დაბალზე აღარ გადმოაქვს. ამ დროს ძრავა „ჩეკს“ ანთებს. როდესაც ძრავას გავთიშავ და ხელახლა დავქოქავ, იწყებს ჩვეულებრივ მუშაობას, არასტაბილური 1 200-იანი ბრუნით, მაგრამ, სიჩქარეებს ცვლის 2 800-მდე და ამის შემდეგ ისევ იგივე იწყება – თავისით ადის 4 000-ზე. ასევე, „ჩეკი“ ქრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკუმულატორის „კლემას“ ჩავხსნი და ისევ ჩავრთავ. „სვეჩები” და ჰაერის ფილტრი გამოცვლილია. იქნებ, ამიხსნათ, რა არის ამ ყველაფრის მიზეზი?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

**პასუხი**: ამ გაუმართაობის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს, თუმცა, პრობლემის პოვნა გაცილებით რთული იქნებოდა, და მთელი ავტომობილი დასაშლელი გახდებოდა, ძრავა „ჩეკს” რომ არ ანთებდეს. რადგან „ჩეკი“ ინთება, ეს ნიშნავს, რომ კომპიუტერი ავტომობილის გაუმართავი მუშაობის მიზეზს ხვდება და მისი დიაგნოსტიკით პრობლემას იოლად აღმოფხვრით. კომპიუტერზე შეერთების შემდეგ ის თავად დაგიწერთ, რა ხდება, კონკრეტულად რომელი სენსორის მუშაობა არ მოსწონს მას. მთავარი სწორედ მიზეზის პოვნაა და მერე მისი შეკეთება უკვე აღარ გაგიჭირდებათ.

**კითხვა: ამ ბოლო დროს, რამდენჯერმე გზაზე არსებული ორმოს გამო, ავტომობილის ძირით მიწას მოვედე. ძალიან მეშინია, „კარტერი” არ იყოს დაზიანებული. შეიძლება, ის ისე დაზიანდეს, რომ ვერ გავიგო?**

**პასუხი**: კარტერის დაზიანება არ არის კატასტროფა. თუ ის გატყდა, როდესაც ავტომობილი ზეთს დაღვრის და ძრავა საფრთხის წინაშე დადგება, ხელსაწყოების დაფაზე აინთება წითელი ნათურა, რაზეც ეხატება ფიგურა სარწყავის ფორმით, რაც ნიშნავს, რომ ძრავა უნდა ჩავაქროთ და მისი ამუშავება ამ მდგომარეობაში აღარ შეიძლება. ამ შემთხვევაში, სხვა არაფერი დაგრჩენიათ, გარდა იმისა, რომ ავტომობილი ბუქსირების გზით ან ევაკუატორით გადაიყვანოთ ხელოსანთან. მაგრამ, არსებობს მსგავსი ინციდენტების თავიდან აცილების მარტივი ხერხი: ყოველთვის უნდა შეეცადოთ გზის ამოზნექილი ზედაპირი არ მოხვდეს ავტომობილის შუაში. თუ ამის საშუალება არსებობს, უმჯობესია, ავტომობილის რომელიმე ერთი მხარე გავიმეტოთ, რადგან, საბურავები და დისკები გაცილებით ადვილი შესაკეთებელია, ვიდრე „კარტერი”. იგივე პრინციპი მოქმედებს, როდესაც ორმოს ორივე საბურავი ემიზნება, ანუ, ავტომობილი ორმოში მთლიანად ვარდება, რაც მის სერიოზულ დაზიანებას იწვევს. ამიტომ, ჯობია, ერთ-ერთი მხარე დავუმიზნოთ და მეორე გადავარჩინოთ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ჰონდა ცეერვე”, რომელსაც, როგორც ვიცი, აქვს ოთხი ღვედი. მითხრეს, რომ მას გაუფუჭდა საკისარი, ეგრეთ წოდებული „პაჩემნიკი”. ხელოსანმა მითხრა, რომ ერთ-ერთ პროფილაქტიკაში არსებობს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც სამედიცინო ფონედოსკოპს ჰგავს და რომლითაც იოლად იგებენ, კონკრეტულად რომელი „პაჩემნიკია” დაზიანებული. იქნებ, მითხრათ, რომელ პროფილაქტიკაში აქვთ ეს ხელსაწყო?**

**პასუხი**: ეს ხელსაწყო აქვთ „თეგეტა მოტორსის” სერვის-ცენტრებში. შეგიძლიათ, მიხვიდეთ, აუხსნათ თქვენი პრობლემა. კვალიფიცირებული ხელოსნები ან ამ ხელსაწყოთი, ან მის გარეშე, დაადგენენ გაუმართაობის მიზეზს და მოგიგვარებენ პრობლემას.

**კითხვა: მყავს „მიცუბიში პაჯერო”, 3.5 ძრავით, 1999 წლის. გამიფუჭდა კატალიზატორის ტემპერატურის სენსორი და ავტომობილმა მოუმატა ბენზინის წვას. სად ვიშოვო ეს ნაწილი და როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: ამ ნაწილის შოვნა სამ ადგილას შეიძლება: ქუთაისის ქუჩაზე მაღაზიებში, სადაც გამართლებაზეა, რომ კარგი ხარისხის ნაწილი იყიდოთ; მეორე – „მიცუბიშის” ცენტრში, სადაც კარგი ხარისხისას იყიდით, მაგრამ, შედარებით ძვირი დაგიჯდებათ და, მესამე – „დაშლილებში,“ სადაც, ასევე, გამართლებაზეა, იქნება თუ არა საერთოდ ეს ნაწილი და, თუ იქნება, ივარგებს თუ არა. სენსორის გამოცვლა მარტივია და მისი შეცვლა ბევრ ხელოსანს შეუძლია, მაგრამ, უმჯობესია, ისეთ ადგილას შეცვალოთ, სადაც ახლოსვე იქნება კომპიუტერული დიაგნოსტიკა, რომ შემდეგ მისი მუშაობა გადაამოწმოთ.

**კითხვა: მაინტერესებს „ნისან X ტრიალი”, 2.2 დიზელის ძრავით. როგორი ზოგადი მონაცემები აქვს ამ ავტომობილს, რას მეტყვით ძრავასთან დაკავშირებით და, ზოგადად, როგორია ის ჩვენს პირობებში?**

**პასუხი**: „ნისანის” ეს მოდელი საკმაოდ მორგებულია ჩვენს პირობებს, არ საჭიროებს ხშირ სერვისს და, თავისი კლასის სხვა მოდელებთან შედარებით კარგი მანევრი აქვს. რაც შეეხება ძრავას, ამ ტიპის ძრავით აღჭურვილი ეს მოდელები ძალიან პოპულარულია და ყველაზე კარგად იყიდება ინგლისში, სადაც მომხმარებელი ჩვენზე გაცილებით მომთხოვნია და მანქანის მიმართ მეტი პრეტენზია აქვს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეგრეთ წოდებული „გამომდგარი” ძრავაა.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს „აუდი”, 2003 წლის, 3.0 ძრავით, მექანიკა, კვადრო. შეიძლება თუ არა ამ ავტომობილზე კომპრესორის დამონტაჟება, მომიმატებს თუ არა ეს ავტომობილზე წვას და რა დაჯდება ამის გაკეთება?**

**პასუხი**: შეუძლებელი არაფერია, მაგრამ, კომპრესორის დამონტაჟება საკმაოდ რთული თემაა კონკრეტულ მოდელზე, საქართველოში. გარდა იმისა, რომ ბევრი წვრილმანი დეტალი სჭირდება (სამაგრები, გადამყვანები და სხვა), შემდგომში ის უკვე კომპიუტერულ ჩარევას საჭიროებს. ამისთვის საჭიროა ან სპეციალური კომპიუტერი, რომლითაც თქვენს კომპიუტერს ჩაანაცვლებთ, ან, მინიმუმ, ჩიპი, რომელიც წინასწარ არის მომზადებული ამ ტიპის ინსტალაციისთვის. ეს რომ იყოს რომელიმე ისეთი მოდელი, რომელიც კომპრესორით ქარხნულად არის აღჭურვილი და დაშლილებში იოლად მოიძებნება, პირდაპირ აიღებდით ყველა საჭირო დეტალს, კომპიუტერის ჩათვლით და დაამონტაჟებდით. „აუდის” შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულადაა. პირველი – გაგიჭირდებათ ისეთი ხელოსნის პოვნა, ვინც ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს და, თუკი აიღო მისი შესრულება საკუთარ თავზე, დროშიც ძალიან გაიწელება და ძალიან ძვირიც დაჯდება. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რა თქმა უნდა, გაიზრდება საწვავის ხარჯი და ამას მარტივი ახსნა აქვს: დამატებითი ჰაერი, რომელიც კომპრესორმა ჩატუმბა, საჭიროებს დამატებით საწვავს ფეთქებად მასად მისი გადაქცევისთვის. ეს იმდენად ძვირი დაგიჯდებათ, რომ, უმჯობესია, ავტომობილი შეცვალოთ და ის მოდელი შეიძინოთ, რომელსაც თქვენთვის სასურველი სიმძლავრე აქვს.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



ახმეტის რაიონის სოფელი
იძულებითი გადასახადი
ლუდი / საუნა
ასეთი წელი იქნება 2016
ასეთია მწნილი
თანხმობის სიტყვა
პოეზია ზოგადად
ცნობილი მეველე / პატარა ფრინველ
....და გოგონა
დომინოს „ჩიხი“
ქიმიური ჭურჭელი / ცეცხლი
ტბა იაპონიაში
იაპონელი რეჟისორი
თავისუფლების აღსაკვეთი ფართობი
ელექტროდი
კაციჭამია
იალქანი
ძალიან პატარა, ჩვილი
ჩვენი კურორტი
ნონას ტიტული ჩამოართვა
მეფის თავსაბურავი
(......) ზვამბაია
აშშ-ს ქალაქი
ნივრის აცმა
სანიმუშო / ხოტბის ლექსი
ხელოვნური წყალსატევი
უფროსი სამანიშვილი
სხეულის ნაწილი
ჭრელი პეპელა დაათრო
ლომისა სწორია / ტალღა
თეთრი, შავი, ლურჯი
გამოუწვავი აგური
აფრიკის ქვეყანა
პაუზა
ნინოშვილის ფირალი
საწარმო, ორგანიზაცია / ძველი
ებრაული სახელმწიფო / შუა სს სპარსელი პოეტი
გერმანელი მეზღაპრე
ინგლ. მწერალი (.....) მერდოკი
აშშ-ს ქალაქი / რუსი მწერალი
აზიის ქვეყანა
გურულ კაცებს ერქვათ
ჩვენი კინოს ქალი
Золотая (......) / ჭიდაობ. ილეთი
(.......) სხვისია
ჩამონათვალი
შიშის სიტყვა
ციყვის საკვები / შეცბუნება
პორტუგალიის ქალაქი / სარო
ჯოხზე წამოცმული კანფეტი
ბრაზილ. ფეხბურთის გუნდი
ჩვენი მოკრივე
კვერენჩხილაძე
მიხეილი
თევზის ქალი
პოლონეთის მდინარე
აზიის ქვეყანა
პიესაში არის
სვეტი ცხრილში
სოფელი მოსკოვთან, სადაც კუტუზოვი დაბანაკდა
იტალიელი ფეხბურთელი
სადინარი / იტალიის ქალაქი
სოფელი ლისის ტბასთან / სესხი
ჭადრაკის „ჩიხი“ / მოლოდინი
სუეცის, პანამის, ვოლგადონის
გაფრინდაშვილი
აშშ-ს კოსმოსური კონცხი
ბრედ (......)
ფატიმას როლშია
კაცის ესტონური სახელი
საპორტული ნავი
ვაზს აქვს, ვირს არა
პერუს დედაქალაქი
მტაცებელი / გველი
ხმას აძლიერებს
იმერეთის მხარე
დიდი ზომის ლექსი
ჭრილობა
კროსვორდის დასასრული

Column clues (top to bottom):

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | 4 | 1 | 2 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 4 | | 2 | 2 | 2 | 9 | 2 | 3 | 2 | 7 | 5 | | 2 | | | | | | |
| | | 6 | 8 | 3 | 5 | 7 | | 9 | | 1 | 12 | 8 | 2 | 10 | 6 | 3 | 5 | 11 | 9 | 1 | 1 | 8 | 2 | 5 | 3 | 1 | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 13 | 1 | 12 | 13 | 1 | 6 | 1 | 1 | 1 | 6 | 8 | 1 | 5 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

Row clues (left to right):

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 3 |
| | | | | | 4 |
| | | | | 1 | 2 |
| | | | | 5 | 1 |
| | | | | 3 | 1 |
| | | | | 3 | 1 |
| | | | | 3 | 2 |
| | | 1 | 3 | 1 | 1 |
| | | | 4 | 1 | 5 |
| | | | | 3 | 7 |
| | | | 4 | 6 | 1 |
| | | | | 1 | 13 |
| | | | 2 | 6 | 13 |
| | | 13 | 5 | 1 | 2 |
| | | | 14 | 3 | 1 |
| | | 2 | 8 | 2 | 4 |
| | | 2 | 8 | 2 | 2 |
| | | 2 | 8 | 2 | 2 |
| | | | | 2 | 14 |
| | | | 1 | 5 | 8 |
| | | | 5 | 2 | 2 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 |
| 6 | 2 | 2 | 3 | 2 | 8 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 5 | 4 | | 6 | 7 | | 3 |
| 8 | 7 | | 1 | 5 | | | 4 | |
| | 4 | | | 8 | | 2 | | 5 |
| | 6 | 4 | | | 1 | | 7 | |
| | 8 | | 5 | 3 | 4 | | 6 | 1 |
| 9 | | 1 | 6 | 7 | 8 | 4 | | 2 |
| 7 | 1 | 8 | 2 | 6 | 9 | 5 | 3 | 4 |
| | | 2 | | 1 | | 8 | | 6 |
| 3 | | 6 | | 4 | 5 | 1 | 2 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | | 6 | | 3 | | 8 |
| | | 5 | | | 9 | | 7 | |
| | 7 | | 5 | | | 4 | | 2 |
| | 2 | | | 1 | | | | 3 |
| | | | | 2 | | 9 | | |
| 4 | | | 9 | | 3 | | | 7 |
| | | 1 | | 8 | | 7 | | 9 |
| 9 | | 2 | | 7 | | | | |
| | 8 | | 4 | | | 2 | 6 | 1 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ოვალის ფორმით დაიწყეთ მზეთუნახავის თავის ხატვა



2. შტრიხებით გამოკვეთეთ თავის ნაკვთები



3. მიახატეთ თმა, ცხვირი და ბაფთა



4. გამოკვეთეთ თვალები და ტუჩები



5. დაასრულეთ ნახატი



6. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამუკაშვილის №36

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით მივა რვაფეხა ცენტრთან




## იპოვე ორი ერთნაირი სახლი



# მწყემსი

## (იგავ-არაკი)

მწყემსმა მუხნარში ცხვარი შელალა. თავად ტანსაცმელი გაიძრო, მუხის ძირში დაყარა, მუხაზე ავიდა და ნჯღრევა დაუწყო. ცხვრები რკოს გემოზე შეექცნენ და მწყემსის ტანსაცმელიც ზედ მიაყოლეს. როცა მწყემსი ხიდან ჩამოვიდა და ეს ნახა, წამოიძახა:

– აი, თქვე წყეულებო! სხვებს ტყუილუბრალოდ მატყლს აძლევთ, მე კი გაჭმევთ, გასმევთ და ტანსაცმელსაც მე მართმევთო?

ბრიყვნი ზოგჯერ მტრისთვის მეტ სიკეთეს სჩადიან, ვიდრე მოყვრისთვის.

## რიცხვრებუსი

,10, 10,, 3,,, ,,,3



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: როდიდან უნდა დავიწყოთ ძაღლის გაწვრთნა?**

**პასუხი:** პროფესიულ წვრთნასა და აღზრდას შორის დიდი სხვაობაა. ძაღლის კულტურული აღზრდა მისი დაბადებიდან უნდა დაიწყოთ, შემდგომ კი, გარკვეული ასაკიდან, ჯიშიდან გამომდინარე მისი პროფესიული აღზრდა იწყება. ქალაქში მცხოვრებმა ძაღლმა, პირველ ყოვლისა, შინაურისა და გარეულის გარჩევა უნდა იცოდეს. ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ზედმეტად აგრესიული; უნდა ჰქონდეს დაბალანსებული ფსიქოლოგია, რათა ქუჩაში სეირნობის დროს ვიღაც საფრთხედ არ მოეჩვენოს და მოულოდნელად არ დაგლიჯოს. ძაღლს ქუჩაში არავისზე არ უნდა ჰქონდეს აგრესია, რა თქმა უნდა, თუ ის ადამიანი საფრთხეს არ უქმნის მას ან მის პატრონს. რომელი ჯიშისაც არ უნდა იყოს ძაღლი, ქუჩაში მოფერების უფლება ყველას უნდა მისცეს. თუ მოფერების უფლებას არ მისცემს, თავის არიდება ჩხუბში მაინც არ უნდა გადაიზარდოს. ძაღლი გარეთ ყველასთან ურთიერთობას უნდა შეეჩვიოს, ხოლო სახლში არა. იქ მან თავის ფუნქცია უნდა შეასრულოს. არ არსებობს, კარგად აღზრდილმა ძაღლმა ზრდასრულ ასაკში შინაური და გარეული ვერ გაარჩიოს. როცა სახლში სტუმარი მოდის, ძაღლი მას გულღიად უნდა დახვდეს, ხოლო, თუ სტუმარმა ბოროტი ქმედება გამოავლინა და ოჯახის წევრებისთვის შეურაცხყოფის მიყენება დააპირა, ან, სხვა დროს სახლში, ჩუმად შეპარვა გადაწყვიტა, ამ შემთხვევაში ძაღლს აუცილებლად უნდა ჰქონდეს რეაგირება. სწორად აღზრდილი ძაღლი სწორად იმეგობრებს პატრონთან. მეორე, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს ძაღლმა, არის პატრონის გვერდით სიარული – ეს უადვილებს პატრონს ძაღლთან ერთად საავტომობილო გზის გადაკვეთას; მესამე აუცილებელი პირობაა ალიკაპის გაკეთება, რასაც ძაღლი ლეკვობიდან უნდა შეაჩვიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგიჭირდებათ მისი გარეთ გაყვანა. მაგალითად, 3 წლის ძაღლს რომ ალიკაპი გაუკეთოთ შეიძლება გაგიჟდეს და ერთი საათი იწვალოს მის მოხსნაზე. მას აუცილებლად უნდა ესმოდეს რამდენიმე ბრძანება, რაც გამოადგება ადამიანთან თანაცხოვრების პროცესში. ესენია: დაჯექი! დაწექი! დამელოდე!

**კითხვა: შემოდგომის დადგომასთან ერთად, ცხოველების პატრონებს დისკომფორტი გვექმნება ძაღლების ბეწვის ცვენასთან დაკავშირებით. რას გვირჩევთ?**

**პასუხი:** გეთანხმებით, რომ შემოდგომის პერიოდისთვის დამახასიათებელია ბეწვის ცვენა, რაც განპირობებულია შემოდგომის ,,ლინკის" პერიოდით. ამ სეზონზე აუცილებელი და მნიშვნელოვანია ცხოველის დაბალანსებული კვება, რომელიც მდიდარი იქნება მინერალებითა და ვიტამინებით. ასევე, სასურველია, თუ ცხოველს დამატებით მისცემთ ვიტამინების კომპლექსს – ვიტამინები მნიშვნელოვნად შეამცირებს აღნიშნული ,,ლინკის" პერიოდის ხანგრძლივობას. გაითვალისწინეთ ეს და, ძაღლის ბეწვის ცვენა შემოდგომის პერიოდში ნაკლებ დისკომფორტს შეგიქმნით.

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: რთული მოსავლელია თუ არა აგავა და როგორ პირობებში შეიძლება მისი გახარება?**

**პასუხი:** აგავა ძალიან გამძლე მცენარეა. ყველაზე კარგად ნათელსა და თბილ გარემოში ხარობს. მთელი წლის განმავლობაში სინათლე არ მოაკლოთ. ეს მცენარე ზამთრის დაბალ ტემპერატურას – 5-6 გრადუსსაც იტანს, მთავარია, მშრალ ადგილას იყოს. აქტიური ზრდის პერიოდში მორწყეთ რეგულარულად, ზამთარში მიწა მთლიანად არ გამოაშროთ. მას განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება და პრობლემებს არ შეგიქმნით.

**კითხვა: როგორ სინათლესა და ტემპერატურაზე დავდგათ ალოკაზია?**

**პასუხი:** ეს მცენარე მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს, მაგრამ გაბნეული შუქი არ მოაკლოთ. ზამთარში ტემპერატურა მინიმუმ 15-18 გრადუსი უნდა იყოს, ზაფხულში კი იდეალურია – 20-25 გრადუსი. მას მუდმივად ტენი და სითბო სჭირდება. მოზრდილ ალოკაზიას სიგრილეში ფოთლები სცვივა, თუმცა თუ ოთახის ტემპერატურა მოიმატებს, ფესურადან ახალი ფოთლები ამოუვა. მისთვის საუკეთესო ადგილი ნათელი სააბაზანოა.

**კითხვა: როგორ და რა პირობებში მოვუარო ქლოროფიტუმს?**

**პასუხი:** გაზაფხულიდან შემოდგომამდე, აქტიური ზრდის პერიოდში, მიწა ტენიანი უნდა იყოს. ამ დროს, ორ კვირაში ერთხელ მიწის ბალანსირებული, თხევადი სასუქით განოყიერება ქლოროფიტუმს სიჯანსაღეს შეუნარჩუნებს. ზამთარში, დასვენების პერიოდში, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. კარგია ოთახის ნორმალური ტემპერატურა 18-24 გრადუსი, ზამთარში კი – მინიმუმ 8 გრადუსი. ფოთლების სიხასხასის შესანარჩუნებლად, მცენარე დადგით ნათელ ადგილას, ოღონდ მწველ მზეს მოარიდეთ. მიწის ზედაპირზე ფესვების გამოჩენა გადარგვის აუცილებლობის ნიშანია. ფოთოლს სიმშრალისა და უჰაერობისგან გაყავისფრებული ბოლოები წააჭრით. ქლოროფიტუმი კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს.

**კითხვა: რისთვის სჭირდება ნერტერას დანამვა?**

**პასუხი:** დანამვა საჭიროა მცენარის ნაყოფის განვითარებამდე. ეს პროცესი ტენს მოუმატებს. ტენი კი ხელს შეუწყობს ნერტერას ყვავილობასა და კენკრის სწრაფად დამწიფებას. ყვავილობის პერიოდშიც და განსაკუთრებით კი ზაფხულში, მცენარის ნიადაგი ტენიანი უნდა იყოს.

**კითხვა: იოლად თუ იტანს მანდევილა სიმშრალეს?**

**პასუხი:** მანდევილას ნიადაგი მშრალი არასდროს არ უნდა იყოს. ზრდის პერიოდში რეგულარულად მორწყეთ. მიწა ყოველდღიურად უნდა შეამოწმოთ, რომ არ გამოშრეს. მართალია, ზამთარში მას იშვიათად სჭირდება მორწყვა, მაგრამ ნიადაგი ამ დროსაც არ უნდა იყოს მშრალი. ტენი მანდევილას მარადმწვანე ფოთლების შენარჩუნებაში უწყობს ხელს.

**კითხვა: ბინაში მაქვს საკმაოდ კარგად გახარებული სენეციო. მეშინია, ზამთრის სიცივემ არ დააზიანოს. ხომ ვერ მეტყვით, რა ზომები მივიღო?**

**პასუხი:** სენეციოს სითბო და მზეზე ყოფნა ნამდვილად მოსწონს. საერთოდ, მისთვის კარგია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი. ეცადეთ, ზამთარში 10 გრადუსზე ნაკლები არ იყოს ტემპერატურა. ზედმეტმა სიცივემ შეიძლება, მცენარე დააზიანოს. გრილ დღეებში ერიდეთ ხშირ მორწყვას.

მოამზადა
**თეოგა გოზალიშვილმა**

# ქმარმა ცოლის ქალიშვილობის აღიარებას 6 თვე ციხეში ჯდომა არჩია



სამკვირიანი თანაცხოვრების შემდეგ, 35 წლის რძალს ქმარმა და დედამთილმა თაღლითობისა და ქურდობისთვის უჩივლეს. ჩივილის ინიციატორი დედამთილი გახდა. მან შვილი დაარწმუნა, რომ მისმა ცოლმა „ქალწულობა გაითამაშა", რადგან წარსულში გათხოვილი იყო. საჩივარზე მოკვლევა მართლაც დაიწყო, მაგრამ სახელგამტეხი ცნობების გავრცელების ბრალდებით, განსასჯელი თავად დედამთილი გახდა.

ხმაურიანი საქმის განხილვა თითქმის სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ექსპერტების ძალისხმევით, საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. 35 წლის თამარ მ. ქალწული აღმოჩნდა და ვინაიდან მის პატიოსნებას ჩრდილი მიაყენეს, პასუხი ნამდვილ დამნაშავეს, ანუ დედამთილს აგებინეს. თუმცა, დედამთილი, ვენერა შ-ს. ნათქვამიდან ერთი დეტალი სიმართლე იყო – მისი რძალი სულ რაღაც ორი დღით, მაგრამ წარსულში მართლაც გათხოვილი იყო... მთავარი და დაუჯერებელი კი ის არის, რომ თამარ მ-ს პირველმა ქმარმაც ზუსტად იგივე ბრალდება წაუყენა, რომ ქალწული არ იყო...

დედამთილის ინიციატივის მიუხედავად, პოლიციაში შეტანილ განცხადებას ხელს თამარის მეუღლე არჩილ შ. აწერდა. მასში დაფიქსირებული იყო, რომ 35 თამარ მ-მ თაღლითური გზით ოჯახი შეურაცხყო. კერძოდ, დამალა, რომ წარსულში გათხოვილი იყო და თავი ცოლად მოტყუებით მოაყვანინა. განცხადების თანახმად, მას თანამზრახველიც ჰყავდა. თამარს მათი თანასოფლელი – ელიზა ზ. ეხმარებოდა, რომელიც წარსულში თაღლითობისთვის იყო ნასამართლევი. დედამთილის ვერსიით, აღნიშნულ პიროვნებას სურდა, თამარ მ-ს დახმარებით მათი ქონება გაეზიდა.

საქმის „განსაკუთრებულობიდან" გამომდინარე, საჩივარზე მოკვლევა მეორე დღესვე დაიწყო. შესაბამისად, დაიკითხა როგორც თამარ მ-ს ქმარი, ასევე დედამთილი. ვენერა შ-მ განმარტა, რომ მას ყველაზე მეტად ოჯახის შეურაცხყოფა მიაჩნდა დანაშაულად, რადგან უტყუარად იცოდა, რომ მათი რძალი გათხოვილი იყო და ეს დამალა, რაც მათ გვარს ღირსებას ულახავდა. დედამთილი ირწმუნებოდა, რომ მან მთელი ყურადღებით დაათვალიერა შვილის თეთრეული და აქედან გამომდინარეც, ზუსტად იცის, მისი რძალი ქალწული რომ არ იყო: ასე რომ ყოფილიყო, სამი კვირის განმავლობაში კვალს დატოვებდაო, – ამბობს დედამთილი. მისივე მტკიცებით, არჩილს თამროს სახლში წამოყვანა გაცილებით ადრეც უნდოდა, მაგრამ გოგომ თბილისში წასვლა მოიმიზეზა. დედამთილის აზრით, რძალმა „სწორედ თბილისში წაშალა პირველი ქორწინების კვალი". დედამთილისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქონებაც. მისი თქმით, თვეც არ იყო გასული, რომ რძალმა სახლიდან მაცივარი და გაზქურა ბაბუამისის სახლში წაიღო, რაც აშკარად ქონების ხელში ჩაგდებაზე მიუთითებს... (რეალურად, ვენერა შ-მ სახლში ავეჯი გამოცვალა და ძველი ნივთები რძლის ბაბუას ძალით გაატანა).

რაც შეეხება დადანაშაულებულის ქმარს, ჩვენებაში ის დედას ეთანხმება. კითხვაზე – იყო თუ არა მისი ცოლი ქალწული, არჩილ შ. პასუხობს, რომ დარწმუნებული არ არის, მაგრამ დედის ჩვენებას ეთანხმება...

არანაკლებ საინტერესოა ის გარემოება, რომ გამომძიებელმა თამარ მ. სახლში დაკითხა. გამომძიებლის დანახვაზე ქალი შოკში ჩავარდა. მან ჩივილის შესახებ არაფერი იცოდა და იმდენად ცუდად გახდა, ძლივს მოაბრუნეს. შემდეგში, როცა მან ჩვენება მისცა, განაცხადა, რომ გამომძიებლის დანახვაზე, ეგონა, მის ქმარს რამე შეემთხვა. აზრად არ მოსვლია, რომ ქმარი მას დამნაშავედ გამოაცხადებდა. თუ რატომ დაუკავშირა გამომძიებლის დანახვა ქმარს, თამარ მ-მ. ამ კითხვაზე ქალი პასუხობს, რომ ბოლო დღეები მისი ქმარი სახლიდან გაუჩინარდა და ეშინოდა, რამე ცუდი არ შემთხვეოდა. რეალურად, არჩილ შ. ღამეებს დედასთან ერთად ბებიის სახლში ათევდა. უფრო ზუსტად, დედა შვილს სახლში არ უშვებდა, რადგან, მისი თქმით, არ უნდოდა, მის შვილს უწესო ქალთან ეცხოვრა. დროთა განმავლობაში კი, მისი ცოლი სახლიდან წავიდოდა, რადგან თაღლითობისთვის პასუხსაც მოსთხოვდნენ...

## ორი უიღბლო ქორწინება

მას შემდეგ, რაც საქმეზე გამოძიება დაიწყო, შეურაცხყოფილი თამარ მ. საცხოვრებლად ელიზა ზ-სთან გადავიდა, პიროვნებასთან, რომელმაც არჩილ შ. გაურიგა. როგორც თამარი ამბობს, ის ოჯახში დაბრუნებას მოერიდა, რადგან მშობლები ამ ამბავს ველარ გადაიტანდნენ. მსგავსი სიტუაცია ხომ მათ უკვე გამოვლილი ჰქონდათ. შესაბამისად, საკითხის გარკვევამდე, მან ქმრის სოფელში დარჩენა არჩია. დარწმუნებული იყო, რომ სიმართლე გაირკვეოდა და ყველაფერი კარგად დასრულდებოდა. მით უმეტეს, საკუთარ პატიოსნებაში დარწმუნებული იყო, რადგან მისი განმარტებით, იმ მომენტისთვის მასსა და მის ქმარს შორის არაფერი მომხდარა. ის ისევ ქალწული იყო, ამის მიზეზი კი ქმარი გახლდათ...

რაც შეეხება მის პირველ ქორწინებას, ეს ფაქტი თამარ მ-მ ნამდვილად დამალა. თუმცა, როგორც ამბობს, – ეს მისი პირადი ცხოვრებაა და უიღბლო ქორიწინებაზე საუბარი აღარ სურდა. მაშინაც სწორედ იგივე დააბრალეს, თითქოს ქალწული არ იყო, მაგრამ დამტკიცდა, რომ მისი პატიოსნება ეჭვქვეშ სულ ტყუილად დააყენეს. სწორედ ამიტომ, როგორც თამარ მ. ამბობს, ამ ამბის გახმაურებისგან თავი შეიკავა. მით უმეტეს, რომ მას შემდეგ მრავალი წელი იყო გასული. თანაც, გაარკვია, რომ არჩილსაც ორი ცოლი ჰყავდა გამოცვლილი და დაქორწინებამდე ამის თქმა არც მან ისურვა. ზოგადად, თამარი დარწმუნებულია, რომ არჩილი ცოლებს დედამისის გამო სცილდებოდა, რადგან ეგოისტ ქალს არ სურდა, მის შვილს ცოლი ჰყოლოდა.

დიდი ძალისხმევის მიუხედავად, თამარ მ-მ პირველ ქორწინებაზე საუბარს თავი ვერ აარიდა. გამოძიების ხელთ აღმოჩნდა მასალები, რომლის თანახმად, მისი პირველი ქმარი ცილისწამებისთვის გაასამართლეს.

საქმის ვითარება ასეთი იყო. ახალგაზრდა კაცმა ცოლად შეირთო იმ პერიოდში 22 წლის თამარ მ., რომელსაც უზარმაზარი ქორწილიც კი გადაუხადეს, მაგრამ მეორე დღესვე ოჯახში აურზაური ატყდა. გოგოს ქმარმა უთხრა, რომ ქალწული არ ხარ და აიღე შენი ნივთები და სახლში წადიო. გოგო სახლიდან არ მიდოდა, მაგრამ ქმარმა მაინც გააგდო. ქალის უკან გაბრუნება, მით უმეტეს სოფელში, დიდი შეურაცხყოფა იყო და ქმარს გოგოს ნათესავები მიუვარდნენ. ისინი თამარის წესიერებაში დარწმუნებულნი იყვნენ და ამიტომ დახმარებისთვის ექსპერტს მიმართეს. თამარმა შელახული ღირსება აღიდგინა – ის ქალიშვილი აღმოჩნდა... ამის მიუხედავად, გოგონა სიძემ ცოლად მაინც აღარ მოიყვანა. საბუთის აღების შემდეგ კი, ოჯახმა სიძეს ცილისწამებისთვის უჩივლა. სხდომას ორივე მხარე ესწრებოდა. როგორც ყოველთვის, საზოგადოების ინტერესიც დიდი იყო. ნაწილი გოგოს გულშემატკივრობდა, ნაწილი ბიჭს. პროცესზე პოლიციაც კი იყო მობილიზებული, რომ საჭიროების შემთხვევაში, სიტუაცია განემუხტა. ცხადია, დასაკითხად ექსპერტიც იყო მოწვეული, რომელმაც დასკვნა გასცა და სასამართლოზეც დაადასტურა, რომ გოგონა ქალწული იყო. ამის მიუხედავად, სიძემ თავი დამნაშავედ არ ცნო. არ იყო ქალიშვილი და მორჩაო, – განაცხადა მან, რომელმაც თამარის ცოლად მოყვანას სასჯელი არჩია. ის დამნაშავედ სცნეს თუმცა, მხოლოდ 6 თვით ჩასვეს, დანარჩენი 6 თვე გამასწორებელი სამუშაო შეუფარდეს.

შესაბამისად, თამარ მ-მ გამოძიებას ყველა ამ მასალის შესახებ მიუთითა, რითაც დადგინდა, რომ სიმართლეს ამბობდა და ელიზა ზ-ს დახმარებით, დედამთილს პატივისა და ღირსების შელახვისთვის უჩივლა. საქმე ისაა, რომ ექსპერტიზა მეორე შემთხვევაშიც დაინიშნა და თამარ მ. კვლავ ქალწული აღმოჩნდა... საჩივარს კი ხელს თავად ელიზა ზ-ც აწერდა, რადგან თამარის დედამთილი თაღლითობაში მასაც ადანაშაულებდა.

სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ელიზა ზ-მ კოლეგიას მოუთხრო, რომ თამარი მას ნათესავად ერგებოდა. მისივე თქმით, ის არჩილის ოჯახსაც იცნობდა. ნორმალური, წესიერი ხალხი იყო და იმის მიუხედავად, რომ არჩილს ორი ცოლი ჰყავდა გამოცვლილი, მაინც ჩაერია და თამარისა და არჩილის დაოჯახებას ხელი შეუწყო. ელიზა ზ-ს. თქმითვე, მას ჭორად ჰქონდა გაგონილი, რომ არჩილს ბავშვობაში გონებრივი ჩამორჩენის თუ მსგავსი პრობლემა ჰქონდა, რის გამოც, მას მკურნალობდნენ კიდეც. სწორედ ამიტომ არჩილი სკოლაშიც ორი წლით დაგვიანებით შეიყვანეს. მისივე თქმით, ხალხი ამბობდა, ყოფილ ცოლებსაც იმიტომ გაეყარა, რომ სერიოზული პრობლემები ჰქონდაო. თუმცა, ელიზა ზ. დარწმუნებულია, რომ არჩილი ძალიან კარგია ადამიანია, მთავარია, დედამისმა თავი დაანებოსო. თუმცა, ის თავს მაინც დამნაშავედ მიიჩნევდა თამარს არჩილის ცოლების შესახებ რომ არ უთხრა. ვენერამ ის დაარწმუნა, რომ მისი ყოფილი რძლები უშვილოები და ავები იყვნენ და შვილს მათი სახლიდან წასვლაში სწორედ ამიტომ დაეხმარა.

ვინაიდან ოჯახის დანგრევის ინიციატორი მხოლოდ თამარის დედამთილი – ვენერა იყო, მიუხედავად იმისა, რომ თამარის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარს ხელს არჩილი აწერდა, სასამართლომ პასუხისმგებლობა მხოლოდ ვენერას შ-ს დააკისრა. განაჩენი ასეთი იყო: სამწლიანი პირობითი სასჯელი და 3 ათასი ლარის გადახდა რძლის პატივისა და ღირსების შელახვისთვის. გადაუხდის თუ არა, დედამთილი რძალს მორალურ ზარალს, ძნელი სათქმელია. ჩივილის მიუხედავად, თამარი ქმართან დარჩა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ დედამთილმა ცოცხალი თავით არ გაამჟღავნა, ვინ მიაწოდა ინფორმაცია რძლის პირველი ქორწინებაზე.

**ეკა ბარაბაძე**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28-37(663)

ოლგა რომ „გამემაზა", ქურდული მალინისკენ გავემართე. იქ თავშესაფარსაც მომცემდნენ, ქალითაც გავერთობოდი და ქურდული „ობშჩიაკითაც" ვისარგებლებდი. მაგრამ, ფული მქონდა და მხოლოდ „ხატა" და ქალი მჭირდებოდა. ტაქსი შეგნებულად არ ავიყვანე, რადგან, გადატვირთული ქუჩების გამო დანიშნულების ადგილამდე მისვლას ნახევარი დღე მოვანდომებდი და მეტროში ჩავედი. თბილისისგან განსხვავებით, სადაც მეტროს მგზავრთა 99 პროცენტი ღარიბი მოქალაქეები არიან, მოსკოვის მეტროთი „მაყუთიანების" დიდი ნაწილი სარგებლობს, რათა გზაში დრო არ დაკარგონ, ანუ, მოსკოვის მეტროს „კლიენტები" არიან ბიზნესმენები, თანამდებობის პირები, უცხოელი ტურისტები და თითოეულ მათგანს მსხვილი საფულე უდევთ ჯიბეებში. ამიტომ, მოსკოვში საკმაოდ გავრცელებულია ჯიბგირობა და მილიციელებიც მრავლად არიან, რომ მათ ხელი სტაცონ და გასროკონ. ამ დაპირისპირებაში კი ხან ერთ მხარეს უმართლებს, ხან – მეორეს. ხალხით სავსე ვაგონში რომ შევედი და მატარებელი დაიძრა, შარვლის ჯიბეში ხელის ფათური ვიგრძენი. სასწრაფოდ მარცხენა ხელი ჩავიყავი ჯიბეში, ჯერ ჯიბგირს ჩავავლე მარჯვენაში და მხოლოდ ამის მერე შევხედე სახეზე.

– თუ შეიძლება, ხელი გამიშვით, ნუ მიჭერთ, მტკივა, – მიჩურჩულა ჯიბგირმა, რომელიც ოცდახუთიოდე წლის, ოქროსთმიანი, ლამაზი გოგონა აღმოჩნდა.

– ალბათ, ჯიბე შეგეშალა, ხომ? – ჩურჩულითვე მივუგე გოგონას.

– დიახ.

– მაშინ, საფულეს ხელი გაუშვი.

ჯიბგირმა გოგონამ საფულეს გაუშვა ხელი, მე კი მას გავუშვი ხელი და ხმადაბლა ვუთხარი:

– გეტყობა, არსად გეჩქარება. მოდი, ჩავიდეთ და ვიბაზროთ, ვფიქრობ, კარგი საუბარი გვექნება.

– გინდა, რომ „ძაღლებს" ჩააბარო ჩემი თავი? – ეჭვის თვალით შემომხედა გოგონამ, მე კი გავუღიმე და მივუგე:

– ეგ რომ მდომოდა, ხელს არ გაგიშვებდი.

– კარგი, ჩავიდეთ, – გამიღიმა გოგონამ.

მატარებელი გაჩერდა და ვაგონიდან რომ გავდიოდით, ჯიბგირს ვუთხარი:

– გაქცევა არ გაბედო, თორემ, მეც კარგად დავრბივარ.

– სპრინტერი ხარ?

– ქურდი ვარ, – გავუღიმე გოგონას და თვალი ჩავუკარი.

– ქურდი?! – შეცბა გოგონა. მე კი მას მაჯაში ჩავავლე ხელი და ვუთხარი:

– ჰო, ქურდი. წამოდი, რესტორანში გეპატიჟები. ციხიდან ამ დილით გავთავისუფლდი და ჯერ არაფერი მიჭამია.

ჩემს სიტყვებზე ჯიბგირ გოგონას გაეცინა და მითხრა:

– ეშმაკი კაცი ჩანხარ, ბიძაჩემო. მიხვდი, რომ ქურდებს პატივს ვცემ, ჩემი დაკერვა გინდა და თავს ქურდად ასაღებ.

– რომ მითხარი, ქურდობას იბრალებო, ეს სიტყვები დიდი შეურაცხყოფაა ჩემთვის და აღარ გაიმეორო. ამ ერთხელ გაპატიებ, მაგრამ, მეტჯერ – აღარ.

– მართლა ამ დილით გათავისუფლდი?

– აი, წაიკითხე, – და გოგონას ციხიდან გათავისუფლების ფურცელი გავუწოდე, – იმედია, რომ სკოლაში დადიოდი.

ციხიდან გათავისუფლების ცნობას რომ გაეცნო, შეცბუნებულმა გოგონამ ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია და ისეთი თვალიერება დამიწყო, როგორც აკლდამიდან ამოღებულ მუმიას. მე კი გამეცინა და ვკითხე:

– აბა, რას იტყვი, ახლა გჯერა ჩემი სიტყვების?

– ბოდიშს გიხდით, ძალიან ცუდად გამომივიდა და მაპატიეთ. აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ ვლადიმირის ცენტრალში იჯექით. იქ კი უბრალო პატიმრებს არ ათავსებენ. მაპატიეთ.

– გაპატიებ, თუ, რა თქმა უნდა, კომპანიონობას გამიწევ და რესტორანში წამომყვები. რას იტყვი, მოსულა?

– მოსულა, წავედით.

გოგონას ციხიდან გათავისუფლების საბუთი გამოვართვი, ჯიბეში ჩავიდე და სადგურ „იზმაილოვოში" ამოვედით, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც უამრავი პატარ-პატარა რესტორანი იყო განთავსებული. ჩვენ ერთ-ერთში მოვჯექით, ერთი ბოთლი ღვინო და ვახშამი შევუკვეთეთ და საუბარი გავაბით. 25 წლის ჯიბგირ გოგონას ლარისა ერქვა და, აღმოჩნდა, რომ მოსკოვის ცენტრში, სამოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობდა.

– ჩემი დედ-მამა გეოლოგები იყვნენ და, თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, მაშინ დაიღუპნენ ერთ-ერთ ციმბირულ ექსპედიციაში. ბებია მზრდიდა, რომელიც ერთი წლის წინ გარდამეცვალა, – მითხრა ლარისამ და დაამატა: ბებია ფილოლოგიის დოქტორი იყო, პროფესორი და მის დაკრძალვაზე პრეზიდენტიც მოვიდა.

– ლარა, ასეთი კარგი ოჯახის შვილი ასეთ გზაზე რამ დაგაყენა? – ვკითხე ლარისას, რომელმაც თავადვე მთხოვა, ასე მომმართეო.

– გაჭირვებამ და ინტერესმა, – მომიგო გოგონამ, – ჯერ ერთი, არსებობა ხომ მინდა. განა ასე ადვილია კარგი სამსახურის შოვნა? პუტანკობას ვერ დავიწყებ, არც მაყუთიანი საყვარლები მაინტერესებს. თანაც, ქურდული ცხოვრება ბავშვობიდანვე მიზიდავდა და ამ ყველაფერმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი.

– დიდი ხანია, ჯიბგირობ?

– ერთი წელია. მას მერე, რაც ბებია გარდამეცვალა.

– არ გინდა, რომ პროფესია შეიცვალო, უფრო სწორად – სპეციალობა?

– რას გულისხმობთ?

– ჯიბგირობიდან დომუშნიკობაზე გადახვიდე. იცი, რას ნიშნავს დომუშნიკობა?

– ბინის ქურდობას.

– სწორია. რას იტყვი, გინდა?

– თქვენ დომუშნიკი ხართ?

– კი.

– მაშინ, მინდა.

– ძალიან კარგი. ესე იგი, შევთანხმდით, – ვუთხარი ლარას, მან კი გამიღიმა და მითხრა:

– შევთანხმდით, მაგრამ, იმ პირობით, რომ ამ სპეციალობას შემასწავლით, თორემ, დომუშნიკობაში არაფერი გამეგება.

იმ დღიდან ლარასთან ჩავსახლდი და ერთად ცხოვრება დავიწყეთ, პარალელურად კი დომუშნიკობას ვასწავლიდი და ჩემს მდიდარ გამოცდილებას ვუზიარებდი. გოგონა ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა, დომუშნიკობას ჯიბგირობაზე უკეთესად დაეუფ-



ლა და ერთი სული ჰქონდა, საქმეზე წასულიყო.

– ნუ ჩქარობ, ლარა. გახსოვდეს, რომ ნებისმიერი საქმე წვრილმანებამდე უნდა მოამზადო და მხოლოდ ამის მერე დაიწყო მისი კეთება, – ვმოძღვრავდი ლარას.

– ძალიან მაინტერესებს, ბაითის „დაბომბვის“ დროს რა განცდა ეუფლება ქურდს, – მკითხა ლარამ, მე კი მივუგე:

– ჯიბგირობისას რას გრძნობდი?

– ჩალიჩის დაწყებამდე სხეულში უსიამოვნო ჟრუანტელი მივლიდა. ჩალიჩის დროს მხოლოდ საქმის წარმატებულ დასრულებაზე ვიყავი კონცენტრირებული, კლიენტის წარმატებულად „გაპარსვის“ მერე კი სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელს ვგრძნობდი, დაახლოებით ისეთს, როგორც სექსის შემდეგ.

– სექსზე რა მოგახსენო, მაგრამ, ბაითის „დაბომბვის“ პროცესს საკმაოდ დიდი ფიზიკური და ფსიქიკური ენერგია მიაქვს და უფრო მეტ სიზუსტესა და მოხერხებულობას მოითხოვს, ვიდრე ჯიბგირობა.

– მინდა... ბაითის „დაბომბვა“ მინდა. მოდი, დავაჩქაროთ ეს პროცესი, – მითხრა ლარამ და კისერზე ჩამომეკიდა.

მე და ლარამ საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავეთ სამიოდე წელიწადი და არაერთი მაყუთიანი საქმე გავჩარხეთ. გოგონა ძალიან საზრიანი, მოხერხებული მომპარავი აღმოჩნდა, მაღალი კლასის პროფესიონალად ჩამოყალიბდა და სრულფასოვან პარტნიორობას მიწევდა ნებისმიერი სირთულის საქმეში. პირველ საქმეზე წასვლამდე ექვსი თვე ვემზადებოდით. ყველაფერი საგულდაგულოდ რომ დავგეგმეთ და საბოლოოდ დავაზუსტეთ, საქმეზე გავემართეთ.

შემუშავებული სქემის მიხედვით, ლარა უცხოელი ნაშის როლს თამაშობდა, რომელიც, მართალია გატეხილი რუსულით, მაგრამ, გასაგებად ლაპარაკობდა. „დაბომბვის“ პირველი ობიექტი ერთი სომეხი ეროვნების მოსკოველი ცეხავიკი იყო, რომელიც ფეშენებელურ ბინაში ცხოვრობდა და სახლი ანტიკვარიატით ჰქონდა გამოტენილი. მან ლარა სასტუმრო „როსიას“ ბარში „შეაბა“, სადაც ეს ცეხავიკი დადიოდა. ლარა მეორე დღესვე სახლში აჰყვა მას, თუმცა, სექსზე არ დათანხმდა და მისი ბინა საგულდაგულოდ დაათვალიერა, თან, საკეტების ანაბეჭდებიც აიღო. ლარა და ცეხავიკი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ნდომით შეპყრობილი მამაკაცი ბუღას ჰგავდა და ერთი სურვილი ჰქონდა, ლარა ლოგინში ჩაეწვინა. მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში ლარა ცეხავიკს არ შეხვედრია, რითაც ის უფრო მეტად აღაგზნო და ტვინი აურია. მეხუთე დღეს კი ლარა და ცეხავიკი პოდმოსკოვიეში, აგარაკზე გაემგზავრნენ. ინტიმური ვახშმის დროს ლარამ კლიენტი თორმეტი საათით დააძინა საძილე აბით, თვითონ მოსკოვში დაბრუნდა და ჩემთან ერთად „დაბომბა“ ბაითი. „ტავარი“ მშვიდობიანად რომ დავაბინავეთ, კვლავ აგარაკზე გაემგზავრა, ცეხავიკთან ერთად „გაილვიძა“ და თავის „კუროს“ დამტვრეული რუსულით უთხრა:



– რა კარგი იყავი, ძვირფასო... რა სამწუხაროა, რომ დღეს მივემგზავრები...

გაბრუებულმა ცეხავიკმა კი, რომელსაც არაფერი ახსოვდა და, ეგონა, რომ „უცხოელ ნაშას“ მართლა ძალიან მოაწონა თავი, ლარა აეროპორტში გააცილა, პირობა ჩამორთვა, რომ გოგონა მასთან კვლავ ჩამოვიდოდა და სახლში დაბრუნდა, რომელიც პირწმინდად გასუფთავებული დახვდა... ცეხავიკს აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი ბინის გაქურდვაში „უცხოელი ნაშის“ ხელი ერია. მას მილიციისთვის არც კი მიუმართავს, რადგან, იატაკქვეშა მილიონერი იყო და ამის გამჟღავნება არ აწყობდა. ერთი სიტყვით, ამ საქმიდან ასე სუფთად გამოვძვერით, თუმცა, ყოველთვის ასეთი სქემით არ ვმოქმედებდით და ვცდილობდით, ხელწერა არ გაგვემეორებინა, რომ სამძებრო „კუდზე“ არ დაგვჯდომოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლარაჩკა ქალი იყო, პრაქტიკული ქურდული საქმიანობის პარალელურად, ქურდული კანონებიც მშვენივრად ჰქონდა ათვისებული და, მამაკაცი რომ ყოფილიყო, კანონიერი ქურდობა არ ასცდებოდა. თუმცა, ქალისთვის ამ სტატუსის მინიჭება არ შეიძლება და ლარა მაღალკვალიფიციურ მომპარავად და ჩემს სრულუფლებიან პარტნიორად რჩებოდა. დიდი ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, მე და ლარა იდეალურად ვეწყობოდით ერთმანეთს საწოლშიც და ის თითქმის ისე შემიყვარდა, როგორც თათია. ლარასთან დაშორება კი მას მერე მომიწია, როდესაც მორიგი საქმის დროს გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: შუა ჩალიჩის დროს, როდესაც ბინის პატრონის საძინებელში სეიფს ვძებდი, საიდუმლო კარადის კარი გაიღო და პისტოლეტმომარჯვებულმა პატრონმა მითხრა:

– ადგილზე გაქვავდი და იარაღი ფრთხილად დადე, თორემ, გესვრი!

– უიარაღო ვარ.

– მაშინ, გაქვავდი და არ გაინძრე, – გამიმეორა ბინის პატრონმა.

შემუშავებული სქემის მიხედვით, ლარა მანქანით მელოდებოდა ქვევით, თუმცა, შეიძლებოდა, ამოსულიყო. ეს კი დაუშვებელი იყო და ბინის პატრონს ვუთხარი:

– რას აპირებთ?

– მილიციას ჩაგაბარებ.

– მერე, რას ელოდებით, მიდით...

– ჯერ ის მითხარი, აქ როგორ მოხვდი.

– პროფესიონალი ქურდი ვარ, მეტსახელად კობრა და არ გამჭირვებია, – სწრაფად მივუგე ბინის პატრონს, რათა მას მილიცია გამოეძახა და ამით ლარას „დაწვა“ ამეცილებინა თავიდან.

ბინის პატრონმა მალევე გამოიძახა მილიცია და ლარა დაპატიმრებას გადაურჩა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო ამ საქმეში, რომ ბინის პატრონს მოღალატე ცოლის საყვარელთან გამოჭერა უნდოდა, სახლში სათადარიგო, საიდუმლო შესასვლელიდან დაბრუნდა და ცოლისა და მისი საყვარლის ნაცვლად მე შევრჩი ხელში.

ლარა სასამართლოს ყველა სხდომას ესწრებოდა. საბოლოოდ, ოთხი წელი მომისაჯეს. გოგონამ ბადრაგს ფული გადაუხადა, საკანში მომინახულა და მითხრა:

– კობრა, საყვარელო, მადლობა, რომ არ გამწირე, მე შენ დაგელოდები.

– არა, ჩემო გოგონა, ამაზე არც იფიქრო, – მივუგე ლარას, – მე შენთან აღარ დავბრუნდები. გირჩევ, გათხოვდე, ბავშვი გააჩინო და წესიერ ცხოვრებას მოჰკიდო ხელი. საამისო თანხები გაქვს, მე კი შენგან მეტი არაფერი მინდა.

ლარამ ყურად იღო ჩემი თხოვნა, უცხოელზე გათხოვდა და საზღვარგარეთ გაემგზავრა. მე ორი წელი რუსეთში ვიხდიდი სასჯელს, შემდეგ კი საქართველოში გადმომგზავნეს, რადგან, რუსეთის მოქალაქეობა არ მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციით მოსული მთავრობა უკვე სულს ღაფავდა, როცა სროკიდან გამოვედი, მაინც ძველი წესები მოქმედებდა. ძალიან მალე „სოდი“ დამეცა სახლში და ამ წყეული 223-ე პრიმა მუხლით ხელახლა მომინდომეს ციხეში ჩემი შებრუნება, მაგრამ, თავს გაქცევით ვუშველე, რაც ადრე დაწვრილებით მოვყევი.

როგორც უკვე ვთქვი, ამჟამად პაბეგში ვარ და, მიუხედავად მთავრობის ცვლილებისა, ეს ეგრეთ წოდებული დრაკონული 223-ე მუხლი კვლავ ძალაშია, მის შეცვლას არ აპირებენ და, თუკი ვინმეს წამოსცდა, ქურდი ვარ ან ქურდებს თანავუგრძნობო, ყოველგვარ ფაქტზე წასწრების გარეშე, საკმაოდ დიდი ხნით სვამენ ციხეში. ამგვარად, გამოთქმა: „ქურდი ციხეში უნდა იჯდესო“, ახალი ხელისუფლების მმართველობის დროსაც ძველებურად სრულდ-



ება და ამ უსამართლობის გამოსწორებას ჯერჯერობით არავინ ფიქრობს.

მე კომუნისტური წყობის ადვოკატად ნამდვილად არ გამოვდგები, მაგრამ, ასეთი რამ მაშინაც არ ხდებოდა. რა თქმა უნდა, იყო წამება, იარაღისა და ნარკოტიკების ჩადება, საქმეების შეტენვა, მაგრამ, ქურდული სტატუსის გამო მაშინ არავის აპატიმრებდნენ. მე იურისტი არ ვარ, თუმცა, შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა, რომ იურისპრუდენციისთვის ყოვლად მიუღებელი და ალოგიკურია 223-ე პრიმა მუხლის არსებობა და ეს უფრო უკან გადადგმული ნაბიჯია, ვიდრე პროგრესისკენ და დემოკრეტიული სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა. თუ მაგრები არიან ძალოვანი სტრუქტურები, მაშინ, დანაშაულის პრევენცია თავიანთი პროფესიონალიზმით მოახდინონ და არა შანტაჟით, რომელიც კანონში შეტანილი უსამართლობითაა სანქცირებული. აბა, რომელი ქურდი მოიჭრის თავს და საჯაროდ ან პირისპირ იტყვის – ქურდი არ ვარო?! თუკი ეგრეთ წოდებული ყოველგვარი ჩამოსხმის უმცირესობებს აქვთ უფლებები, რაც, ხშირ შემთხვევაში, უზნეობაა და მათ კანონი მაინც იცავს, ქურდებს რატომ უნდა აპატიმრებდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქურდის სტატუსს ატარებს, ეს ხომ ყოველგვარი უსამართლობის ზღვარს სცილდება?! ჩემი აზრით, აქ „აკრძალული ხილის“ პრინციპი მოქმედებს. ამ კანონმა მხოლოდ ქურდების რაოდენობა გაზარდა ქურდულ ციხეებში, ქურდის ტიტულის მაძიებელთა რაოდენობა კი არ შემცირებულა და არც ქურდობის შემთხვევებია კლებისკენ წასული. მე არ ვამბობ, რომ ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდობა“ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა იყოს აყვანილი, მაგრამ, არც სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს ქურდების უკანონო შევიწროება-განადგურება, რაც უკუეფექტს გამოიწვევს და ამით მხოლოდ ქართული საზოგადოება დაზარალდება.

– ჩვენ, ძმაო, სულ მალე წითელ წიგნში შესატანები გავხდებით, – ხუმრობით მითხრა ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ, რომელიც მეშვიდე იზოლატორში იჯდა ჩემთან ერთად და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს და რვაწლიანზე გაუშვეს, რომ ერთ-ერთ წვეულებაზე თქვა, ქურდი ვარო და ქურდების სადღეგრძელო დალია. ეს ყველაფერი კი ვიდეოფირზე იყო აღბეჭდილი და სასამართლოზე მთავარ სამხილად გამოიყენეს.

– სტალინის პერიოდი გადავიტანეთ, ხრუშჩოვი მოვინელეთ და არც ამათ გავანადგურებინებთ თავს, – სერიოზულად მივუგე კოლეგას და ღიმილით დავამატე: ვერ გადაგვყლაპავენ, ყელში გავეჩხირებით და, ისე წაუვათ საქმე, რომ მათ წითელ წიგნშიც კი აღარავინ შეიტანს.

იმ დღეს, როდესაც ეს საუბარი გაიმართა, ქურდების წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია განხორციელდა და, როგორც გუბერსკში, ასევე მეშვიდეში მსხდომ ქურდებს სპეცრაზმი მოგვისიეს, რომელსაც პენიტენციალური სისტემის ნორჩი ხელმძღვანელი პირადად მეთაურობდა. ეს თვალებგაფართოებული, ნასვამი ნაბიჭვარი პირდაპირ ჩვენს საკანში შემოვიდა ოთხი „ჟლობი“ სპეცრაზმელის თანხლებით და ჩემს კოლეგას უთხრა:

– ვინ ხარ?

– ადამიანი, – მშვიდად მიუგო ჩემმა კოლეგამ და, ზოგიერთი სხვა კოლეგისგან განსხვავებით, მას თვალი თვალში გაუყარა.

– შენ ის არ ხარ, ყანწით რომ ქურდების სადღეგრძელოს სვამდი და რვა წელი მოგარჭვეს? – ცინიკურად ჰკითხა თვალებგაფართოებულმა ნაბიჭვარმა ჩემს კოლეგას და პასუხიც ცინიკური მიიღო:

– მირჭობილებისაც და დამბრალებლების დედაც!.. ქურდების სადღეგრძელოს დავლევ, აბა, ბოზებს ხომ არ ვადღეგრძელებ!

ნაბიჭვარს ველურად აენთო თვალები, მაგრამ, სიმშვიდის შენარჩუნება სცადა და ჰკითხა:

– ბოზებში ვის გულისხმობ?

– იმას, ვინც ქურდებს აგინებს, – პირში მიახალა ჩემმა კოლეგამ.

– მე რომ შევაგინო, მეც ბოზი ვიქნები?

– რომც არ შეაგინო, ისედაც ბოზი ხარ! – კვლავ პირში მიახალა სიმართლე ჩემმა კოლეგამ იმ ნაბიჭვარს, რითაც წყობიდან გამოიყვანა და მან ქურდს ხელი გაარტყა სახეში.

ჩემმა კოლეგამ პასუხი არ დააყოვნა და თვალებგაფართოებულ ნაბიჭვარს ისეთი მუშტი სთხლიშა ყბაში, რომ კამერის კედელს მიანარცხა... ამის შემდეგ „სპეცრაზმელებმა“ ჩემი კოლეგა დერეფანში გაათრიეს და დუბინკებით სასტიკად სცემეს. არც ჩვენ დაგვაკლეს – რვა სპეცრაზმელი „ჟლობი“ კამერაში შემოგვიცვივდა და ხუთ დარჩენილ ქურდს დუბინკებით დაგვცხეს. ვალში არც ჩვენ დავრჩენილვართ და მანამდე ვჩხუბობდით, სანამ ხუთივემ გონება არ დავკარგეთ... მთელი ეს აჯაფსანდალი იმით დასრულდა, რომ ეს დაგეგმილი პროვოკაცია ციხის ბუნტად მონათლეს. შედეგად, რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, ათეულობით პატიმარი კი მძიმედ დაშავდა. ჩვენ, ქურდები მკაცრ იზოლაციაში

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ | | პ | | დ | ი | ს | კ | ი | | ა | რ | შ | ი | ა |
| მ | ა | ნ | ა | მ | ა | | პ | უ | დ | ი | ნ | გ | ი | | რ |
| | ხ | | გ | ა | ნ | დ | ე | გ | ი | ლ | ი | | რ | | ი |
| დ | ა | მ | ა | ნ | ა | | ქ | უ | რ | ა | | ი | მ | ო | ლ |
| | რ | | ნ | ა | მ | ე | ტ | ა | ნ | ი | | ტ | ა | ნ | ი |
| მ | ა | რ | ი | ნ | ა | | ა | რ | ი | დ | ა | ნ | | რ | |
| ა | შ | ა | ნ | ა | | ი | კ | ი | ა | ნ | | ა | რ | ა | ფ |
| | ვ | | ი | | ბ | ა | ლ | | მ | უ | მ | ლ | ი | | |
| ა | ი | ბ | | ს | ე | რ | ი | | | მ | | ა | ლ | ი | დ |
| ი | ლ | ა | დ | | ლ |  | | | | | | ტ | ე | რ | ა |
| ნ | ი | კ | ო | რ | ა | | | | | | | | ე | | ი |
| ა | | ა | | | დ | | | | | | | ა | ვ | ხ | ს |
| ლ | ე | ნ | ი | ნ | ი | | | | | | | ლ | ი | ლ | ი |
| ა | ლ | ი | ს | ა | | | | | | | | მ | | ა | |
| | ა | | ი | მ | ა | გ | დ | | ი | ს | ნ | ა | რ | ფ | |
| ა | ვ | ი | ნ | | ი | ვ | ა | ი | ნ | | | გ | | ო | |
| ვ | | ა | რ | ო | ნ | ე | მ | | ი | ლ | უ | ე | ხ | რ | |
| ც | ი | გ | ა | | ი | რ | თ | ე | კ | | ბ | ლ | ი | თ | ი |
| ო | | უ | გ | ა | ნ | დ | ა | | ი | ნ | ო | ი | ლ | ი | მ |
| ლ | | ნ | | ც | | ი | ვ | ა | ნ | | დ | | ი | | ა |
| | ა | დ | ნ | ი | ლ | | რ | | ე | ლ | ი | ა | | | მ |
| ს | ვ | ი | ა | ნ | ი | | დ | | დ | უ | შ | მ | ა | ნ | ი |
| | ლ | | ნ | ი | ტ | რ | ა | მ | | დ | ო | ლ | ი | | |
| მ | ა | ნ | ა | ვ | ი | | | ე | ს | ი | | ა | გ | უ | ნ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 9 | 2 | 8 | 6 | 4 | 3 | 7 |
| 8 | 4 | 7 | 3 | 9 | 5 | 1 | 6 | 2 |
| 2 | 6 | 3 | 7 | 4 | 1 | 9 | 8 | 5 |
| 3 | 7 | 6 | 4 | 5 | 9 | 2 | 1 | 8 |
| 1 | 8 | 4 | 6 | 2 | 7 | 5 | 9 | 3 |
| 9 | 5 | 2 | 8 | 1 | 3 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 2 | 8 | 9 | 6 | 4 | 3 | 5 | 1 |
| 4 | 3 | 5 | 1 | 7 | 8 | 6 | 2 | 9 |
| 6 | 9 | 1 | 5 | 3 | 2 | 8 | 7 | 4 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 8 | 3 | 4 | 1 | 2 | 6 | 7 |
| 1 | 4 | 2 | 6 | 7 | 9 | 3 | 8 | 5 |
| 6 | 7 | 3 | 8 | 5 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 8 | 3 | 5 | 7 | 1 | 4 | 6 | 9 | 2 |
| 2 | 6 | 7 | 9 | 3 | 8 | 5 | 4 | 1 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 6 | 5 | 7 | 3 | 8 |
| 5 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 9 | 7 | 4 |
| 7 | 1 | 4 | 5 | 9 | 6 | 8 | 2 | 3 |
| 3 | 2 | 9 | 4 | 8 | 7 | 1 | 5 | 6 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. დიპტრიხი და ტრიპტრიხი. 2. ბრტყელი და ადვილად მალავდნენ ჯიბეში. 3. ბანკროტი – banko rotto (მაგიდის გატეხა). 4. მონობას. 5. დანტეს „ღვთაებრივი კომედიით“. 6. ნოტები. 7. თუ მოწინააღმდეგეებიც მეფეები იქნებოდნენ. 8. ადამ ალექსანდრე იშვილა. 9. გრიგოლ მერვე – შექმნეს კალენდარი. 10. წინსართი – „ახალი“.**

მოგვაქციეს და ჟურნალისტებში გამოგვკეტეს. დიდი ხნის განმავლობაში ინფორმაციის ყველა არხი გადაკეტილი გვქონდა და, არ ვიცოდით გარეთ რეალურად რა ხდებოდა.

ორი კვირის შემდეგ საკანში ოფიცერი შემოვიდა და მითხრა:

– გველესიანო, წამომყევით!

ოფიცერს პირველად ვხედავდი. ის არც ნადზორს ჰგავდა და არც სპეცნაზელს, ამიტომ, ვკითხე:

– ხომ არ მათავისუფლებთ?

– წამომყევით, – კორექტულად მითხრა ოფიცერმა და მივხვდი, რომ ჩემს თავს სხვა რამ ხდებოდა, რადგან, ოფიცერი საპრესად რომ ყოფილიყო გამოგზავნილი, უცენზუროდ მომექცეოდა.

მეშვიდე იზოლატორიდან იზოლირებულ, უფანჯრებო კაბინეტში მიმიყვანეს და ოფიცერი უკან გაბრუნდა. ოთახში მყოფი სამოქალაქოდ ჩაცმული პიროვნება კი ჩემკენ შემობრუნდა და ღიმილით მითხრა:

– როგორ ხარ, კობრა, შე ძველო?

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ჩემს წინაშე ჩემი ბავშვობის ძმაკაცი, ყველაზე უახლოესი მეგობარი, ზურიკო ყიფიანი იდგა...

– ხუჭუჭა, შენ?! – ამოვილუღლუღე მე, რადგან ეს იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ თავი სიზმარში მეგონა.

– მე ვარ, მე, შე ძველო! – მითხრა ხუჭუჭამ, მომვარდა და გადამეხვია. მერე კი გაღიმებულმა მკითხა: გაოცებული ხარ, ხომ?

– აქ საიდან, როგორ და, საერთოდ, სად ვიმყოფებით? – ვკითხე ხუჭუჭას.

– ეს ოთახი ის ერთადერთი ადგილია მთელ საქართველოში, რომელიც არ ისმინება, – მითხრა ხუჭუჭამ, – ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ: უშიშროების გენერალი, ზურაბ ვახტანგის ძე ყიფიანი!

– რას ამბობ, მართლა?! – აღმომხდა მე, რადგან ისე ვიყავი გაოგნებული, რომ სხვა ვერაფერი ვთქვი.

– აბა, შენსავით ქურდი ხომ არ გამოვიდოდი? თუმცა, თავიდან სწორედ ეგ მინდოდა.

– გენერლობას ქურდობა აღარ ჯობია?

– გენერალს გააჩნია. მე გენერლებში ვარ ქურდი, – სავსებით სერიოზულად მითხრა ხუჭუჭამ, – მთელი გულით მიხარია შენთან შეხვედრა. იმედია, ამდენწლიანი განშორების მერე ერთმანეთს აღარ დავკარგავთ.

– ხუმრობ? – ვკითხე ხუჭუჭას.

– სულაც არა. ვგავარ ხუმარას? ორმოცი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს. არ გვეყო განშორება?!

– ზუსტად ორმოცი წელია... – ვთქვი მე, ხუჭუჭამ კი ძველებური რიხით მითხრა:

– რა გჭირს, შე ჩემა, დაივიწყე, რომ ქურდი ხარ და უშიშროების გენერალს ელაპარაკები. ბავშვობის ძმაკაცები ვართ. შენ კობრა ხარ, მე კი – ხუჭუჭა.

ხუჭუჭასთან შეხვედრა მართლა ძალიან გამიხარდა, მაგრამ, მასში უშიშროების გენერალს ვხედავდი და თავშეკავებულად ვკითხე:

– სად ხარ, როგორ ხარ, სად იყავი ამდენი წელი, რომ არ ჩანდი?

– კობრა, იცოდე, ძმები ვართ და ჩემში ეჭვი ნუ გეპარება. შენთვის და ყბედალოსთვის ისევ ის ხუჭუჭა ვარ, ვინც მაშინ, ბავშვობაში, მთაწმინდაზე ვიყავი.



ხუჭუჭას სიტყვებმა გული ამიჩუყა და ცრემლი ძლივს შევიკავე. მივხვდი, რომ არ თვალთმაქცობდა, გადავეხვიე და მივუგე:

– აქ როგორ გაიჩითე?

– ასე, რა, შე დალოცვილო! – მითხრა ხუჭუჭამ და დაამატა: ერთი კვირის ჩამოსული ვარ საქართველოში. მანამდე, ჯერ რუსეთში ვმოღვაწეობდი, შემდეგ – უკრაინაში, ამერიკელების რეკომენდაციით კი სამინისტროში ერთ-ერთ უმაღლეს პოსტზე დავინიშნე.

ხუჭუჭა, ჩემი არ იყოს, დღესდღეობით გაქცეულია და მას ინტერპოლი ეძებს ახალი მთავრობის ძალისხმევით, რადგან, ზურიკო ყიფიანს ძველი რეჟიმის ერთგულებაში, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასა და საერთაშორისო მაფიასთან კავშირში დასდეს ბრალი. რამდენად რეალურია ეს ყველაფერი, არ ვიცი, მაგრამ, ხუჭუჭა რომ მხოლოდ უბრალო გენერლობას არ დასჯერდებოდა და მეტს მოინდომებდა, ამაში დარწმუნებული ვარ. მან თავისი ამბიციები ჩვენი შეხვედრის დროს დაუფარავად გამიმხილა და მითხრა:

– მართალია, დიდად არ მიცნობენ ფართო წრეებში, მაგრამ, ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები ვარ და დიდი გავლენა გამაჩნია.

– ძალიან სახიფათო გზაზე დგახარ...

– შენ რა, არა? – კითხვა შემომიბრუნა ხუჭუჭამ.

– ჩვენ სხვადასხვა განზომილებაში ვმოღვაწეობთ.

– ტყუილად ფიქრობ ასე. ქურდული სამყარო და მაფია თითქმის ერთი სფეროა და შენ ამ სამყაროში დიდი გავლენა გაქვს. შენი სამყარო და პოლიტიკა კი ერთმანეთზეა მიბმული და შეიძლება, ითქვას, რომ ერთ ულელში ვართ.

– ხუჭუჭა, რომ არ გიცნობდე, ვიფიქრებდი, მავერბოვკებს-მეთქი.

– კიდევ კარგი, რომ ასე არ ფიქრობ. მაგას არ გაკადრებ. მე შენ, როგორც ძმაკაცს, ისე გხვდები და, შემიძლია, სამ დღეში გაგიყვანო აქედან, თუმცა, კარგად ვიცი, რომ უარს იტყვი.

– სწორად გცოდნია.

– ჰოდა, ამაზე სიტყვასაც აღარ დავასველებ, მით უმეტეს, რომ სროკიც მალე დაგიმთავრდება, – მითხრა ხუჭუჭამ.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სიტყვა თქვა, ხუჭუჭას უხილავ ხელს მაინც ვგრძნობდი და დარჩენილი სროკი ისე გავატარე ციხეში, რომ არ გამჭირვებია, არავის შეუვიწროებივარ და ეს ყველაფერი ისე ხდებოდა, რომ, ვერც მე ვუსაყვედურებდი საკუთარ თავს და ვერც ჩემი კოლეგები წამომაძახებდნენ რამეს.

– ხუჭუ, შენ ისეთი ხარ, რომ ჩემ შესახებ ყველაფერი გეცოდინება და ჩემზე ლაპარაკით დროს ნუ დავკარგავთ. ჯობია, შენზე მიამბო.

– ცოლი მყავს და ორი შვილი, ქალ-ვაჟი. ისინი ახლა აქ არიან, მაგრამ, უცხოეთში დაბრუნდებიან, რადგან, იქ ცხოვრობენ, სწავლობენ და მუშაობენ, – მოკლედ და მკაფიოდ მომიგო ხუჭუჭამ.

– სულ ესაა?

– დანარჩენი – მერე, როცა გარეთ შევხვდებით ერთმანეთს და ჩემს ოჯახს გაგაცნობ.

– კარგი, ასე იყოს. კიდევ რას მეტყვი?

– შენ მართალი ხარ. მთავარი სათქმელი მაქვს შენთან, მაგრამ, სიტყვებს ვარჩევ – მეშინია, გული არ გაგისკდეს.

– მაგოიმებ? ისეთი რა უნდა მითხრა, რომ გული გამისდეს? ყბედალო ცოცხალია და ეს ზუსტად ვიცი, თუ, რა თქმა უნდა, ამ ორ კვირაში არ შეემთხვა რამე. დედ-მამა დიდი ხანია, აღარ მყავს... კიდევ რა? – უცებ თავში საზარელმა აზრმა გამიელვა და უნებურად აღმომხდა: თათია?!.

– ნუ გეშინია, თათიაც ცოცხალია, – სიტყვა შემაშველა ხუჭუჭამ.

მე შვებით ამოვისუნთქე და ვთქვი:

– მადლობა ღმერთს, მეტის არაფრის მეშინია.

– კობრა, მომისმინე, – მითხრა ხუჭუჭამ და საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ განაგრძო: თათიასგან ვაჟი გყავს, გოგია ჰქვია და ოცი წლისაა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-37(663)

## გაუმართლებელი სიჯიუტე

ქეთი ცდილობდა, საკუთარი თავი დაერწმუნებინა, არაფერი საგანგაშო არ ხდებაო. ღამე შედარებით მშვიდად გაატარა, მაგრამ, დილით სახლში გამეფებულმა უჩვეულო სიმშვიდემ დააფრთხო. ისეთი სიმარტოვე იგრძნო, ლამის ხმამაღლა ატირდა. ბავშვს ისევ ეძინა... ვახო რომ ყოფილიყო, ასეთ მშვიდ დილას აუცილებლად გამოიყენებდნენ – ცოტას „წაიცელქებდნენ"... „არა უშავს, ისევ თვითონ ინანებს, შემეხვეწება და ბოდიშსაც მოიხდის. უბრალოდ, ცოტა დრო მჭირდება, რომ ეს პერიოდი გადავიტანო. არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი... თუკი მას შეუძლია, ასე გულგრილად გაიხუროს კარი, მე რატომ უნდა ავტირდე, მით უმეტეს – გავეტირო? ვნახოთ, როდემდე გაქაჩავს ამ სიჯიუტით". – ინუგეშა თავი, მერე ყავა მოადუღა და ტელევიორი ჩართო. თან, ფიქრით სიტუაციის პოზიტიური მხარეების გაანალიზება დაიწყო, რამდენიმე პუნქტი აღმოაჩინა და გაღიმებაც კი შეძლო...

ძიძა ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა. კარი თავისი გასაღებით გააღო და, ბინაში წესიერად შემოსულიც კი არ იყო, რომ იკითხა:

– ვახო სად არის? მოაგვარეთ ურთიერთობა?

ქეთი მოიღუშა:

– ნანა, ვახო წავიდა. შენ კი, გთხოვ, ამ თემაზე მეორედ აღარ დამელაპარაკო. არ მიყვარს, როცა ჩემს პირადულში ყოფენ ცხვირს. ძალიან ახლობელ ადამიანებსაც კი არ ვაძლევ ამის უფლებას.

ძიძა დაიბნა:

– ქეთი, მაპატიე, შენი წყენინება ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ, მართლა ძალიან განვიცდი თქვენს ამბავს. ორივე მიყვარხართ... მაწუხებს ისიც, რომ, შეიძლება, ბავშვი დანგრეულ ოჯახში გაიზარდოს, მამის გარეშე...

– მამის გარეშე არ გაიზრდება, მოვა ხოლმე და ნახავს, – ჭირვეულად თქვა ქეთიმ.

ნანამ თავი გადააქნია:

– არ არის კარგი ამბავი. იქნებ, დაფიქრებულიყავი... მერე გვიან არ იყოს.

ქეთი გაღიზიანდა:

– რას დამჩხავი ყვავივით, რა უნდა იყოს გვიან? რას გულისხმობ, რომ ვახო ჩემზე უკეთესს იპოვის? თავში ქვა უხლია! თუკი ამისი იმედი აქვს, მე მწვანე შუქს ავუნთებ.

– შენ, ალბათ, მოგწონს, ასე რომ ჯიუტობ. მე მტერი გგონივარ? ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად იყოს, მე მხოლოდ გამიხარდება, – ამოიოხრა ქალმა და ოთახში გავიდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად. ქეთიმ ყავა მოსვა და თვალები მოჭუტა. „ნეტავი სად წავიდა, ვითომ, ჰყავს ვინმე? როგორ გავიგო, ღამე სად გაატარა? სამსახურში რომ დავრეკო მასთან? ის თიკო, მგონი, ასე ერქვა, ნორმალური გოგო ჩანდა. ვთხოვ, არ თქვას, რომ მე ვრეკავ, მაგრამ, ვახოს რომ მიუტანოს ენა?! როგორ მოვიქცე?" – რადგან ეჭვმა ერთხელ წამოყო თავი, აღარ მოასვენა და უფრო ფართოდ გაშალა თავისი საცეცები.

აწრიალებულმა ქალმა გაფანტულ აზრებს ძლივს მოუყარა თავი. რამდენიმე წუთი იყოყმანა, მერე კი გადაწყვიტა, აჯობებს, სამსახურში წავიდე და, თუ დარეკვას გადავწყვეტ, იქიდან დავრეკოო. სწრაფად ჩაიცვა, ძიძას რამდენიმე მითითება მისცა და კარი გაიხურა...

***

ვახო ქალის შეკივლებამ გამოაღვიძა. ძილს გაჭირვებით წაართვა თავი და შესიებული ქუთუთოები ზანტად შეარხია. ერთბაშად ვერც კი გააცნობიერა, სად იყო და თავზე წამომდგარ თიკოს დამფრთხალი სახეც ცუდ სიზმრად ჩათვალა.

– ბატონო ვახტანგ, აქ რატომ გძინავთ? რა ხდება? ღამე აქ გაათენეთ? ხომ მშვიდობაა? ოჯახში ყველაფერი წესრიგში გაქვთ? – მიაყარა თიკომ.

ვახო უხალისოდ წამოიზლაზნა და ამოიოხრა:

– თიკო, გემუდარები, ნუ ყვირი და ამდენი შეკითხვაც ნუ დამაფრქვიე თავზე. ნელ-ნელა დავაკმაყოფილებ შენს ცნობისმოყვარეობას, ოღონდ, იქნებ, ჯერ გახვიდე ჩემი კაბინეტიდან, უნდა ჩავიცვა.

დაბნეულმა თიკომ მექანიკურად დაუქნია თავი და გაუჩინარდა. ვახო ადგა. კაბინეტში უწესრიგოდ ეყარა მისი ნივთები, იქვე ეგდო ჩანთა, მის გვერდით კი – არყის რამდენიმე ცარიელი ბოთლი – თიკოს საკმაოდ შთამბეჭდავი სურათი დახვდა. ტანსაცმელი მოაგროვა, ჩანთაში ჩატენა და ფეხით შეაგდო მაგიდის ქვეშ. არყის ბოთლები ნაგვის ურნაში ჩაყარა და დერეფანში გამოვიდა. თიკო იქვე იდგა და გაფართოებული თვალებით შესცქეროდა.

– რა იყო, შეგაშინე? ჰო, საშინლად გამოვიყურები. ზოგადად, ასეთი რაღაც არ მჩვევია. იშვიათად ვთვრები გონების დაკარგვამდე. წუხელ რა დამემართა, არ ვიცი. იმდენი დავლიე, სახლში წასვლა ველარ მოვახერხე.

– ჰო? კი მაგრამ, მე რომ ოფისი დავკეტე, თქვენ აქ უკვე აღარ იყავით... თანაც... – თიკომ მრავალმნიშვნელოვნად ამოიქშინა, ანუ, ვნახე ძირს მიმოფანტული ტანსაცმელი და, არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, ასეთი იაფფასიანი ტყუილი „გადავყლაპოო"...

– მართალი ხარ. რაღაც სასწრაფო საქმე გამომიჩნდა და მოვბრუნდი. თან, მივლინებაში უნდა წავსულიყავი... რეისი გადაიდო და, მოკლედ... საშინელი ღამე მქონდა... ყავას ვერ მომიდუღებ?

– როგორ არა, ახლავე... – თიკო მხრების ჩეჩვა-ჩეჩვით, სწრაფი ნაბიჯით გაემართა ყავის მოსადუღებლად და გზად გიგის გადააწყდა.

– თუ ყავის მოსადუღებლად მიცუნცულებ, მეც გამითვალისწინე, – მიაძახა დანახვისთანავე.

– შენ უკვე მეტისმეტი მოგდის, ყოველდღე მადუღებინებ ყავას. ჩემს მოვალეობებში ეგ არ შედის.

– კარგი რა, ნუ გაახურე, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

– მეგობრები? რაღაც, არ მახსენდება, როდისმე მეც მესარგებლოს ამ მეგობრობით. ცალმხრივი კი, სიყვარულის არ იყოს, არც მეგობრობა ვარგა...

– ოო, თიკო, როდის იყავი ასეთი მეწვრილმანე?! რა მოგივა, ყავა რომ გამიკეთო, თანაც, ვხედავ, რომ ისედაც ადუღებ... იცოდე ვახოსთან გიჩივლებ.

– მიდი, მიდი, ვახო ახლა ნამდვილად შენს გუნებაზეა. ძალიან გაახარებს შენი საჩივარი, – დასცინა გოგომ.

– რა, ვახო უკვე მოვიდა? – გაუკვირდა გიგის, – ასე ადრე? ქეთიმ ხომ არ გამოაგდო სახლიდან? – იხუმრა და უშნოდ დაიჭყანა.

– მგონი, გაარტყი, – ნიშნის მოგებით მიუგო თიკომ.

– რა?! რას გულისხმობ?

– გამოგდებას. წუხელ საერთოდ აქ ეძინა დაულევია კიდეც, თან, ჩანთით ტანსაცმელიც მოუტანია...

– ეჰე, ნუ გაუბერე ახლა! – მოიღუშა გიგი, – ცოტა ენას კბილი დააჭირე. ყველაფერი კი არ უნდა თქვა, რაც მოგადგება. იცოდე, ქვეყანა არ შეყარო. იქნებ, არც არაფერი ხდება და, არ მოსდო მთელ ოფისს, ვახო ცოლმა გამოაგდოო.

– არა, რა სისულელეა... – თიკო შეყოყმანდა, – იქნებ, დალაპარაკებოდი?

– ვის, ვახოს? უხერხულია. თვითონ რა გითხრა?

– რა ვიცი, მივლინებაში მივდიოდი და რეისი გადაიდო, მერე გაბრაზებულმა დავლიე და სახლში ველარ წავედიო.

– აბსოლუტურად სარწმუნო ვერსიაა. შენ ვითომ რატომ გეპარება ეჭვი?

– რაღაც, არ მჯერა. უნდა შეგეხედა, რა სახე ჰქონდა, მე რომ დამინახა.

– აბა, რა იქნებოდა?! გაუხეთქე კაცს გული. ამ ქალებს ყველაფრის გაზვიადება და კუდების გამობმა რატომ გიყვართ?

– ჰოდა, რადგან ასეა, ყავა შენ თვითონ მოიდუღე. მე არ მცალია...

– აუ, ახლა ეხვეწე ამას... კარგი, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები.

– აი, ასე! – ნიშნისმოგებით თქვა თიკომ და ბიჭს ენა გამოუყო.

გიგიმ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და პასუხად მხოლოდ გაუღიმა...



***

ნატომ პაციენტი გააცილა და ქეთისთან შეიხედა კაბინეტში. ქალი ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა.

– როგორ ხარ? ცოტა არ გაგიარა?

– გამიარა კი არა, ნელ-ნელა უფრო ვმწარდები. რომელი საათია და ჯერაც არ დაურეკავს.

– აბა, რა გეგონა, დილითვე მოგადგებოდა თაიგულით ხელში, დაგიჩოქებდა და პატიებას გთხოვდა?! ამას ელოდი?

– დიახ. რაც მოხდა, ყველაფერი მისი ბრალია.

– რას ამბობ? ეგ შენ ფიქრობ ასე, აბა, თავად ჰკითხე! ეგ ახლა ისე იქნება გაბრაზებული... იმავეს ელოდება შენგან, დარწმუნებული ვარ.

– ჰოდა, ელოდოს, სანამ არ მოეწყინება, – ჯიუტად ჩაილაპარაკა ქეთიმ.

– შენი ეს სიჯიუტე წლის ნაყვაა და მეტი არაფერი.

– იმის სიჯიუტე კი გამართლებულია, ხომ?

– არა, მე მაგას არ ვამბობ, მაგრამ, მაინც შენ უნდა დათმო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ოჯახი არ დაგენგრას. გაუგებარია?

– რა ფასი აქვს ასეთ ოჯახს? – თვალზე ცრემლი მოადგა ქეთის.

– აქვს, დამიჯერე. შენ გიყვარს ქმარი, იმასაც უყვარხარ... შანსი გაქვთ და უნდა გამოიყენოთ.

– რა შანსზე ლაპარაკობ?! ახლა რომ ვნახო, ზუსტად ვიცი, ძალიან მაგრად ვიჩხუბებთ.

– გოგო, კაცებს არ უყვართ, როცა სახლში არეული სიტუაციაა. ქმარი შენ გყავდა და, მასთან როგორ უნდა მოიქცე, მე გასწავლო?

– ოჰ, კარგი ერთი... ქალებს, რა, გვიყვარს არეული სიტუაციები?! კაცებს, უბრალოდ, პოზა უჭირავთ, რომ სიმშვიდე მოსწონთ, მაგრამ, რას აკეთებენ, ამ სიმშვიდისთვის? არაფერს! ჩემს ქმარს მარტო ამბიცია აქვს მასშტაბური, პასუხისმგებლობის არაადეკვატური.

– მაინც დათმობას გირჩევ. სხვა ღირსებები ხომ აქვს? სასწორს ორი პინა, იცი, რატომ აქვს? პლუსები და მინუსები კარგად რომ აწონო.

– ჰო, მესმის, შენ ჩემთვის კარგი გინდა... – ამოიოხრა ქეთიმ, – მაგრამ, რა ვქნა, საშინლად ვარ გაბრაზებული.

– არ მიკვირს. იფიქრე. ეგ გაბრაზებაც გაგივლის და... მოკლედ, აიღე ტელეფონი და დაურეკე!

– ტელეფონს კი ავიღებ, მაგრამ, მე ვიცი, სადაც დავრეკავ... – დაიქადნა ქეთიმ.

– რას აპირებ?

– უნდა გავიგო, ღამე სად გაათია.

– აჰ, ეგ არ გააკეთო! ნუ გაქექავ, რა, შეეშვი. სად წავიდოდა?! რომელიმე მეგობართან დარჩებოდა ან დედამისთან...

– გამორიცხულია. ანუ, დედამთილის ვარიანტს ვგულისხმობ. ეგრევე დამირეკავდა. ძმაკაცთანაც – არა მგონია, მაშინ, უნდა ეთქვა, რომ სახლიდან წამოვიდა. მეეჭვება, ვახოს ვინმესთვის ეს ამბავი ასე სწრაფად გაემხილა.

– ხედავ, იმედი გაქვს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, – თვალები აუციმციმდა ნატოს, – დარწმუნებული ვარ, ეგ ახლა იქით ელოდება, როდის დაურეკავ. მიდი, რა...

კაბინეტში ლელა შემოვიდა და ქეთის საყვედურით შეხედა:

– პრობლემები, პრობლემები... ქეთი, რა ხდება?

– ისეთი არაფერია, უბრალოდ, ვახოსთან წაკინკლავდა, – პასუხის გაცემა დაასწრო ქეთის ნატომ, – ახლა ვუკითხავდი მორალს.

– მოეშვი, ჭკუა თვითონაც აქვს და მიხვდება, როგორ უნდა მოიქცეს. ნატო, ჩემს პაციენტს სურათი გადაუღე, გელოდება.

გასვლისას ნატომ ქეთის გამაფრთხილებლად შეხედა და ანიშნა, ზედმეტი არაფერი თქვაო. ლელას გაეღიმა. ქეთისთან მივიდა და მხარზე დაადო ხელი.

– პრინციპულობა კარგია, მაგრამ, გაუმართლებელ სიჯიუტეს არაფერი მოაქვს. არაფერი მითხრა, ისედაც ვხედავ, რომ რაღაც სერიოზული მოხდა. დილიდან არეული ხარ. დღეს ხომ არ გაგიცანი...

– ჰო, რაღაც მართლა ვერ ვარ. მოვაგვარებ პრობლემებს. ჩემს საქმიანობაზე ეს არ აისახება.

– კარგი იქნება. თუ რამე შემიძლია, არ მოგერიდოს.

– გმადლობ... კიდევ კარგი, აქ მაინც მყავხართ გულშემატკივრები, – გული აუჩუყდა ქეთის.

– აბა, აბა, ცრემლების გარეშე, სატრილად ღმერთმა არ გაგიჩინოს საქმე!

ქეთიმ ნაძალადევად გაიღიმა:

– მელოდება ვინმე? ორ წუთში მივიღებ, კარგი?

– კარგი. აბა, შენ იცი, იმედი არ გამიცრუო.

ლელა გავიდა. ქეთიმ თმა შეისწორა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა...

– ალო, გამარჯობა... თიკო ხარ? ხომ არ მეშლება? უი, როგორ მიცანი? ჰო, ქეთი ვარ, ვახოს მეუღლე... – ქეთი წამით გაჩუმდა და დაელოდა, რას ეტყოდა გოგო.

– ქალბატონო ქეთი, თქვენი მეუღლე სამსახურშია... რეისი გადაიდო და აქ დარჩა. გნებავთ, დაგალაპარაკოთ?

– არა, არა... ოღონდ, ქალბატონის ნუ მეძახი, თავი ბებერი მგონია... ესე იგი, რეისი გადაიდოო? კარგი, გმადლობ, თიკო. კარგი გოგო ხარ. რაღაც მინდა გთხოვო... შეიძლება, შენი იმედი მქონდეს?

– რა თქმა უნდა, მთხოვეთ, რაც გნებავთ.

– ვახოს არ უთხრა, რომ დავრეკე.

– რადგან ასე გინდათ, პრობლემა არ არის. შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, სიტყვას არ დავძრავ.

– გმადლობ, თიკო. ვალში ვარ შენთან, – ქეთიმ ყურმილი დაკიდა და შვებით ამოისუნთქა...

***

ვახომ სიგარეტს მოუკიდა და პასუხის მოლოდინში გარინდულ გოგოს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ჩემთან რატომ არ ამოხვედი?

ვახომ ხელი ჩაიქნია:

– რა აზრი ჰქონდა, ღამე აქაც მშვენივრად გავათენე... თიკოს კი გავუხეთქე გული, მაგრამ, იმედი მაქვს, ჩემი ვერსია დაიჯერა.

– კი, როგორ არა, დაიჯერა... ქალს რომ ეჭვი არ ჩარჩეს, როგორ შეიძლება, – გაიღიმა გოგომ და უცებ დასერიოზულდა, – გინდა, ქეთის დაველაპარაკო?

– რაზე? ეს მარტო ჩვენი საქმეა, ჩვენ ორის. თანაც, ერთი სიტყვითაც არ უთქვამს, არ წახვიდეო.

– ნერვიულობ?

– ძალიან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვი მეცოდება.

– მარტო ბავშვში არ არის საქმე. შენ ქეთის გამოც განიცდი. გიყვარს?

– ალბათ. ჩემი ოცნების ქალი იყო. ყოველ შემთხვევაში, გუშინ საღამომდე ასე მეგონა. სპეციალურად, მის ცხვირწინ დავიწყე ჩანთის ჩალაგება. ველოდი, რომ... – ვახომ ხელი ჩაიქნია, – ეჰ, ეტყობა, რაღაცაში შევცდი.

– მდაა... ამ ქალებს რას გაუგებ? ახლა რას აპირებ, აქ ხომ არ იცხოვრებ?!

– არ ვიცი, ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. მართლა არ ვაპირებდი წამოსვლას, მისი შეშინება მინდოდა...

– არ უნდა გექნა, ქალებთან ფრთხილად უნდა იყო. ხან უზარმაზარ შეცდომას გაპატიებენ, ხან უმნიშვნელო წვრილმანსაც – არა. მე მგონი, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვი ჩემს შეყვარებულთან და უკვე შემცვლელი იპოვა.

ვახო შესამჩნევად გაფითრდა:

– რისი თქმა გინდა ამით? არა, ვერ დავიჯერებ, რომ ქეთი ასე მომექცევა, წარმოუდგენელია. ბიჭო, მართლა ხომ არ ავჩქარდი, ჰა?! ახლა როგორ მოვიქცე?

გოგომ მხრები აიჩეჩა:

– რა გითხრა. ერთადერთი, რაც შემიძლია, ის არის, რომ ჩემთან წამოსვლა შემოგთავაზო. ჩემი და, თავისი ბავშვიანად, ქმართან გადაბარგდა და მე და დედაჩემი ვართ იმხელა სახლში. დავეტევით როგორმე, ნუ, დროებით მაინც. მერე კი რაღაცას მოიფიქრებ. ისე, ქეთისთან რომ დაბრუნდე?

– ავიღო ჩანთა და, ასე, უთავმოყვარეო კაცივით, მივადგე? არ შემიძლია... არც კი დაურეკავს, ეტყობა, არ ვჭირდები.

– როგორ არ სჭირდები, უბრალოდ, ჯიუტობს და მისიც მესმის... – თანაგრძნობით დაუქნია თავი გოგომ, – მაგრამ, შენც რომ ჯიუტობ?! იქნებ დათმო, ჰა?

– ასე მალე? არა. მაგისი სიჯიუტე უნდა გავტეხო. მე კარგი ქმარი ვარ, თუმცა, რას გიმტკიცებ, – ვახომ სიგარეტი საფერფლეზე დაასრისა, – წამოვალ შენთან. ვნახოთ, როდემდე გაძლებს ქალბატონი და არ დამირეკავს...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# როგორია დიაგნოზი



*ტესტი ორივე სქესისთვის არის განკუთვნილი. თუ კითხვებზე გულახდილად უპასუხებთ, აუცილებლად გაიგებთ, როგორი დამოკიდებულება გაქვთ პარტნიორის მიმართ. შეიძლება, მხოლოდ გგონიათ, რომ ისევ გიყვართ?! კითხვებზე უპასუხეთ „ჰო“ ან „არა“.*

**1. ეს ადამიანი ცხოვრებას მირჩევნია;**

**2. როცა ვერ ვხედავ, ძალიან მენატრება;**

**3. როცა წარმატებას ვაღწევ, პირველად მას ვახარებ ხოლმე;**

**4. მასთან ყოფნა ფიზიკურ სიამოვნებასა და სიხარულს მანიჭებს;**

**5. თუ ის ცუდად არის, მეც ცუდად ვარ;**

**6. არ მინდა, რომ რამე უჭირდეს;**

**7. მასში ბევრი რამ არის ისეთი, რაც მაღიზიანებს;**

**8. დიდი ფული რომ ვიშოვო, მხოლოდ მასზე დავხარჯავდი;**

**9. ღმერთს მის ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვეხვეწები;**

**10. მისი უარყოფითი მხარეები არ მაწუხებს;**

**11. მის გამო ნებისმიერ მსხვერპლზე წავალ;**

**12. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩვენ სიყვარული კი არა, მხოლოდ შეჩვევა გვაერთიანებს;**

**13. არ არსებობს ქვეყნად ძალა, რომელიც ჩვენ დაგვაშორებს;**

**14. ხელახლა რომ გამიჩნდეს არჩევნის გაკეთების შანსი, ისევ მას ავირჩევდი.**

**ახლა ნახეთ შედეგები:**

*თუ პასუხების უმრავლესობაა „დიახ“: თქვენი რჩეული ძალიან გიყვართ და, როგორც ჩანს, მასაც უყვარხართ. საშიში არაფერია, თქვენი დიაგნოზია – სიყვარული!*

*პასუხების უმრავლესობაა „არა“: ბევრ კითხვას უარყოფითი პასუხი გაეცით? – ყველაფერი ნათელია: სიყვარული თქვენთან აღარ „ცხოვრობს.“*

## ყველაზე ძველი

ნაპოვნია სააღდგომო კვერცხი, რომლის ასაკიც 500 წელია. კვერცხი შესანიშნავად არის მოხატული და თარიღდება მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებით. ყველაზე ძველი კვერცხი ნამდვილია და სწორედ ეს ჰმატებს მას ფასს, მით უფრო, რომ ნაჭუჭი არ დაზიანებულა. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ კვერცხი ბატისაა და ამიტომაც შემოინახა ასე კარგად.

კვერცხი ლვოვში იპოვეს, 5,5 მეტრ სიღრმეზე, შუა საუკუნეების დროინდელი წყალსატევის ფსკერზე. საქმა ისაა, რომ ამ მიდამოებში კვერცხის მოხატვის ტრადიცია ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში არსებობდა. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ კი კვერცხის მოხატვა აღდგომის დღესასწაულის განუყოფელ ნაწილად იქცა.

## ვინ იყო ის?!

ის – ანუ, მონა ლიზა! ლეონარდო და ვინჩის შედევრი დღესაც არ აძლევს მოსვენებას იტალიელ მკვლევრებს. რამდენიმე ხნის წინ მათ განაცხადეს, რომ ძალიან ახლოს არიან ჯოკონდას საიდუმლოსთან. ერთი წლის წინ, ფლორენციაში, წმიდა ურსულას მონასტერში აღმოაჩინეს ლიზა გერარდინის ნეშტი. ტრადიციულად, მიიჩნევენ, რომ სწორედ ის გამოსახა ლეონარდომ, თუმცა, საკმაოდ ბევრ მკვლევარს ამის არ სჯეროდა: მენატურე სხვა იყოო, – ამტკიცებდნენ ისინი. ისეთებიც იყვნენ, ვისაც ჯოკონდა, საერთოდაც, ლეონარდოს ავტოპორტრეტად მიაჩნდა.

ახლა არქეოლოგები მუშაობენ ლიზა გერარდინის ნეშტიდან მისი სახის აღდგენაზე. ლიზა გერარდინი ცოლად გაჰყვა მდიდარ ფლორენციელს, ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს. ოფიციალური ვერსიით, სწორედ მან შეუკვეთა მხატვარს ცოლის პორტრეტი. სახის აღდგენა თავის ქალის მიხედვით მოხდება. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ იდენტიფიკაცია წარმატებით დასრულდება და, ერთხელ და სამუდამოდ, ყველას ეცოდინება, ვინ არის გამოსახული პორტრეტზე.

## ჭურჭლის დედოფალი

ევროპელებმა თეფში მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში „გაიცნეს.“ ამ დრომდე, მეფეებიც კი, საკვებს დიდი ჯამებიდან მიირთმევდნენ. მეთხუთმეტე საუკუნეში თეფშით მიხვდებოდი, ვისთან გქონდა საქმე: თიხის თეფშები ღარიბების იყო, ფაიფურისა და ძვირფასი ლითონის – მდიდრების. პირველი თეფშები ლანგრები უფრო იყო – ბრტყელი და დიდი. ნაპირებმა ნელ-ნელა წამოიწია ზემოთ. ეს მძიმე და არაკომფორტული ჭურჭელი მაგიდაზე ერთი ცალი იდებოდა და ყველა იქიდან ჭამდა. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში გაჩნდა ფაიფურის მსუბუქი თეფში.

არსებობს ლეგენდა, რომ სუფრის ინდივიდუალური ჭურჭლის შექმნის იდეა ფრანგ კარდინალს, ჯულიო მაზარინის დაებადა, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა. მანვე გამოიგონა ღრმა თეფში წვნიანისთვის. მაზარინი იყო ის, ვინც თეფშებს სწორკუთხა ფორმები მოუმრგვალა. როცა საქსონიაში ფაიფური გამოიგონეს, სუფრის ჭურჭელი მსუბუქი და ჰაეროვანი გახდა.



რუსეთში ჭურჭელი პეტრე პირველის გამეფებამდე საერთოდ არ იყო. საკვებისთვის იყენებდნენ სათლებსა და ტოლჩებს. პეტრეს დროს რუსეთში ფაიფურის წარმოებაც დაიწყეს. თავიდან თეფშებზე ღირსშესანიშნავ მოვლენებს ხატავდნენ; მალევე დაიწყო კოლექციების შექმნა ზამთრის, ზაფხულის, გაზაფხულის თემებზე.

დადგენილია, რომ თეფშის ზომა და ფერი გავლენას ახდენს ადამიანის მადასა და განწყობაზე. მაგალითად, თუ წითელ თეფშებს შეიძენთ, თქვენი მადა ნელ-ნელა დაქვეითდება. ასეთივე ეფექტი აქვს ჭაობისფერ და ლურჯ ჭურჭელს; ყვითელი და ფორთოხლისფერი კი მადას ისე აძლიერებს, ერთი ულუფა ნამდვილად აღარ გეყოფათ. მნიშვნელობა აქვს ზომასაც: დიდ თეფშზე ნორმალური ულუფაც არასაკმარისად გეჩვენებათ, მაგრამ, თუ პატარა თეფშით მიირთმევთ, ცოტა საკვებითაც დაკმაყოფილდებით.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# მაცდუნებელი სილამაზე

## ალბერტო მორავია

ლიუნგარის ქუჩაზე საღამოობით არავინ დადის... დღისით ის ულამაზესია, დღის მეორე ნახევარში კი – უკაცრიელი... ვსეირნობდი და, უცებ, ისინი დავინახე: კაცი თითქოს ნაცნობი იყო – მისი ძალიან წვრილი და გალეული ფეხები ადრე სადღაც მენახა, მაგრამ, ვერ გავიხსენე... აი, ქალი კი... ის თოჯინა იყო, ბერძნულ სტატუეტს ჰგავდა... წელი, თეძოები, მკერდი თითქოს მარმარილოსგან იყო გამოთლილი, მაგრამ, სახეზე ბავშვს ჰგავდა, თუმცა, ისიც მარმარილოსგან გამოთლილს უგავდა... ერთი შეხედვით, 18 წელზე მეტს ვერ მისცემდი, არადა, გაცილებით მეტის იყო. თოჯინა რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდა რომში ქალაქ რიეტიდან. ერთ-ერთ ფირმაში მბეჭდავად-მემანქანედ მუშაობდა. მაშინვე შევამჩნიე, გავიცანი კიდეც, თუმცა, თბილი გრძნობები თავიდანვე არ გამჩენია. უფრო ვნებიანი და ეშხიანი ქალები მომწონდა, რაღაცნაირი იდუმალება რომ აქვთ. თოჯინა კი მეტისმეტად მარტივი და უბრალო იყო. ხომ იცით, ხდება ხოლმე ასე: გაიცნობ ქალს და – არაფერი... მერე კი, ერთ დღესაც, უცებ აღმოაჩენ, რომ გიყვარს; რომ ის ძალიან ლამაზია... ასე დამემართა იმ საღამოს და ბოლმაც მომეძალა, რომ თოჯინა ჩემ გვერდით არ მოსეირნობდა. წყვილს მექანიკურად გავყევი უკან და ერთბაშად შევნიშნე – რაღაც ისე ვერ იყო... კაცმა უცებ მაჯაში სტაცა ხელი და ნჯღრევა დაუწყო, თითქოს აპირებდა, დაერტყა. თოჯინა შემობრუნდა: „სენიორ, დამეხმარეთ... სენიორ პაოლინო, გემუდარებით...“ საკმაოდ რბილი ხასიათი მაქვს, უკონფლიქტო, ჩხუბი არც მიყვარს და არც შემიძლია. ერთი ნახტომით მათ შუა ჩავდექი. „სენიორ პაოლინო... უთხარით ამას, რომ თავი დამანებოს. მე წესიერი ქალიშვილი ვარ, არავის მივცემ ზედმეტის უფლებას!..“

შევეცადე, მრისხანე გამომეტყველება მიმეღო...

– ახლავე მოსცილდი ქალიშვილს! – ვუყვირე აბეზარ თაყვანისმცემელს.

– კი მაგრამ, მე...

– ახლავე-მეთქი! რა გინდა თოჯინასგან? პოლიციას გამოვუძახებ!

– საერთოდ, მე... – კაცი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ, ვინ დააცადა? ხელი მომუშტე და სახესთან ახლოს მივუტანე.

– კარგი, კარგი... თუმცა...

– არც ერთი სიტყვა! წადი აქედან!..

მან ცოტა უცნაურად შემომხედა, რომლის მნიშვნელობასაც მაშინ ვერ მივხვდი...

მარტონი დავრჩით. თოჯინამ შავი, დიდი თვალები ისე შემომანათა, მივხვდი, რომ აქამდე ძალიან სულელი ვიყავი... გული სიამოვნებით შემიფრთხიალდა... ჩხუბიც რომ დამჭირვებოდა, მზად ვიყავი, ოღონდ კი ჩემთვის ასე შემოეხედა... სითამამე მოვიკრიბე და კაფეში ყავაზე დავპატიჟე. ჩემთვის ასეთი დღეები უჩვეულო იყო – სეირნობა, ჩხუბი, მერე – კაფე და ყავა, თოჯინას შავი თვალების ციმციმი...

უცებ თოჯინამ მითხრა:

– ისე კარგია თქვენთან, მაგრამ, სამწუხაროდ, დედაჩემმა უნდა დამირეკოს და სახლში დაბრუნება მომიწევს...

მოვიწყინე. მასთან ერთად დილამდე ვისეირნებდი რომის ქუჩებში. თოჯინამ ხელი მომკიდა... მისი თითების სითბომ გამანადგურა... ისე ბუნებრივად იყო ყველაფერი, ამანაც შემძრა და ხელი მოვუჭირე...

„სენიორ პაოლინო, ვერც ვიფიქრებდი, თუ ასეთი თამამი იყავით, არ მეგონა...“ – ქალი რომ ამას გეტყვის, რა უნდა გააკეთო კაცმა? თვალებში ჩავხედე.

– იცით, თუ არ შეწუხდებით, ჩემთან წავიდეთ და დაველოდოთ დედაჩემის ზარს, მერე კი ვისეირნოთ. ისეთი მშვიდი და თბილი საღამოა...

ყველაფერი იყო ნათქვამი... უარს რომელი ჭკუათმყოფელი იტყოდა? ხმისამოუღებლად გავყევი უკან.

სახლის კარი შავებში ჩაცმულმა, მკაცრსახიანმა ქალმა გაგვიღო.

– სინიორა, ეს რა არის? როცა ბინას ქირაობდით, ხომ გითხარით, რომ მამაკაცების მოყვანის უფლებას არ მოგცემდით?

– ჰო, მაგრამ, ეს ჩემი ბიძაშვილია. სულ ნახევარი საათით მოვიდა, ტელეფონზე უნდა დაგვირეკონ.

– რადგან ასეა, შემოვიდეს...

ბინა პატარა იყო. მისაღებში, სკივრზე ჩამოვჯექი. თოჯინა მოწნულ სავარძელში მოკალათდა. ოთახში ცუდი განათება იყო და მე მის ჩრდილს ვხედავდი. ოთახის სიღრმეში ვიწრო და ბნელი დერეფანი ჩანდა, აქეთ-იქით ორი დახურული კარით. ტელეფონი დუმდა. თოჯინას გავუღიმე. მოწყენილი მომეჩვენა.

– ნერვიულობთ, დედათქვენი რომ არ გირეკავთ?

– ო, დიახ, ფული უნდა გამოეგზავნა. ო, რა დიდი სიამოვნებით ვიფიქრებდი მხოლოდ სიყვარულზე, მაგრამ...

– მომიყევი შენი გასაჭირის შესახებ, – წამოვიძახე გულანთებულმა.

– დიასახლისი ბინიდან მასახლებს. რამდენიმე თვის ქირას მთხოვს წინასწარ, მე კი ამის ნახევარსაც ვერ შევაგროვებ ჩემი მოკრძალებული ხელფასით.

გული დამწყდა, რომ პრობლემები ჩემზე ფიქრში უშლიდა ხელს... როგორ შეიძლებოდა, ასეთი სიფრიფანა, ნაზი და მიმნდობი არსება ბინიდან გაგეგდო?!

– თუ დედა არ დარეკავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფული ვერ იშოვა და რომიდან უნდა გავემგზავრო... შინ დავბრუნდები...

– არა, არავითარ შემთხვევაში! ამის გადატანა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება! ფული რამდენია საჭირო?

თოჯინამ ისე შემომხედა, მუხლებში სისუსტე ვიგრძენი.

– სენიორ პაოლინო, ეს მართალია? თქვენ მართლა არ გინდათ, რომ მე აქედან გავემგზავრო?

– რა თქმა უნდა! ძალიან მდიდარი არ ვარ, მაგრამ, შენთვის ყველაფერს გავაკეთებ... – ჯიბეები ამოვაცარიელე და ათი ათას ლირას მოვუყარე თავი.

მადლიერებით შემომანათა თვალები, ტუჩებზე ნაზი თითები მიიდო და ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა.

– ახლავე დავბრუნდები, ჩემო კეთილო რაინდო. დიასახლისს ფულს მივუტან, თორემ, მეშინია, არ შემოვარდეს და გუშინდელივით სკანდალი არ მომიწყოს...

წამოხტა და ბედნიერი გაიქცა... არ მახსოვს, რამდენ ხანს ველოდი. მხოლოდ მაშინ, როცა სკივრზე უხერხულად ჯდომისგან ზურგი და ფეხები მეტკინა, მივხვდი, რომ თოჯინა აღარ დაბრუნდებოდა. ჯერ ვიდარდე – ნეტავი, უნებლიეთ რამე ხომ არ ვაწყენინე-მეთქი... ისე ბუნებრივად იყო ყველაფერი – დიასახლისები ხომ მკაცრად ექცევიან პროვინციიდან ჩამოსულ ლამაზ ქალიშვილებს... არანაირი ხმაური, დერეფნიდან ჩქამიც კი არ ისმოდა. აბსოლუტურ სიჩუმეში, როგორც იქნა, გავაცნობიერე, რომ მომატყუეს. დიასახლისიც ვერსად ვიპოვე. რაღა უნდა მექნა, გარდა იმისა, რომ ჩემს გზაზე წავსულიყავი...

ფეხებგალეულს ორი კვირის შემდეგ შევხვდი, ბარში. ჯერ კიდევ ცუდად ვგრძნობდი თავს იმის გამო, რაც დამემართა. ერთმანეთს თვალებში შევხედეთ და ბოდიშივით რაღაც ვუთხარი:

– მომიტევეთ... იმ საღამოს... მე მეგონა, რომ...

– დიახ, გეგონათ. მე კი თქვენს გაფრთხილებას ვაპირებდი...

– რამდენი? ანუ, თქვენს შემთხვევაში რამდენი იყო?

– თორმეტი ათასი ლირა.

– მე ათი ათასით შემითხელდა ჯიბე... მარმარილოსსახიანი თაღლითი! ვერაფრით ვიფიქრებდი...

– ვერც მე, – თქვა მან...

– გულახდილად მითხარით, ჩემს ადგილას თქვენც ხომ ასე მოიქცეოდით? ქალიშვილი გეძახის და დახმარებას გთხოვს...

– რა თქმა უნდა! შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ – მეც ზუსტად თქვენსავით მოვიქცეოდი... – გამიღიმა მან.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# სერიული მანიაკები

მზე ახალი ამოსული იყო. ბექობი ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცმა და ოცი წლის ახალგაზრდამ გადმოკვეთეს, რომლებსაც ხელში სათევზაო მოწყობილობები ეჭირათ. მამაკაცმა აქეთ-იქით მიმოიხედა, თბილისის ზღვის ზედაპირზე შეაჩერა მზერა, რომელიც სარკესავით ირეკლავდა მზის სხივებს და თქვა:

– კარგი დილაა... გაგვიმართლა. ნიავიც არ არის.

– თუ არ დაგვასწრეს და ჩვენი ადგილი უკვე არ დაიკავეს, ნაღდად კარგი თევზაობა გამოგვივა, – უპასუხა ახალგაზრდამ და სწრაფი ნაბიჯით დაეშვა ზღვისკენ.

ის იყო, წყლის ნაპირს მიუახლოვდნენ, რომ ახალგაზრდა შედგა და მათგან ოციოდე მეტრით დაშორებული ბუჩქნარისკენ გაიშვირა თითი.

– მამა, შეხედე. რა არის იქ?

მამაკაცი მითითებულ მხარეს შებრუნდა და გაოცებული გაშეშდა. ბუჩქებიდან ადამიანის არაბუნებრივად მოხრილი შიშველი ფეხი მოჩანდა.

– ეი!.. – დაიძახა მამაკაცმა, მაგრამ ბუჩქებიდან არავინ შეხმიანებია.

– აქ დარჩი, – გადაულაპარაკა შვილს და ფრთხილად დაიძრა ადგილიდან.

ბუჩქნართან მიახლოებისას მის თვალწინ საშინელი სანახაობა გადაიშალა. მიწაზე ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის გოგონა იწვა, რომელსაც სახე ბალახში ჰქონდა ჩარგული. მას ტანსაცმელი მიწით ჰქონდა მოსვრილი. მაისური ალაგ-ალაგ გახეოდა. ფეხები შიშველი ჰქონდა. ერთი ფეხსაცმელი იქვე ეგდო, მეორე კი არსად მოჩანდა.

– მამა, რა ხდება აქ?! – ახალგაზრდას გულმა არ მოუთმინა და გაფრთხილების მიუხედავად, მაინც მოუახლოვდა ბუჩქნარს.

– კარგი არაფერი, – მამაკაცმა სწრაფად ჩაიმუხლა, გოგონა ფრთხილად გადმოაბრუნდა და სახეში ჩააცქერდა. ოდნავ შესამჩნევმა სუნთქვამ და სხეულის სითბომ მიახვედრა, რომ ის ცოცხალი იყო.

– ცოცხალია! დროზე სასწრაფოში და პოლიციაში დარეკე! – გასძახა შვილს მამაკაცმა, შემდეგ კი გოგონა ხელში აიყვანა და გზატკეცილისკენ დაიძრა.

* * *

რესპუბლიკის მთავარი პროკურორი, ვახტანგ კიკნაძე აუჩქარებლად ფურცლავდა საქაღალდეს და გამომძიებლის მოკლე დახასიათებას ეცნობოდა.

„მირიან დუმბაძე, ოცდათორმეტი წლის, განათლება – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. უცოლო. პროკურატურაში მუშაობის სტაჟი – შვიდი წელი. ხუთი წელი – გამომძიებლის, ორი წელი – განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის თანამდებობებზე. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეცნიერული წერილი კრიმინალისტიკაში თანამედროვე მეთოდების დანერგვის შესახებ. ხასიათის ნიშნები – მშვიდი, გაწონასწორებული. მუშაობისას ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონის მოთხოვნებით. მკაცრად იცავს სუბორდინაციას, ხელქვეითებთან და ხელმძღვანელ თანამდებობის პირებთან. გადაწყვეტილებებს იღებს აუჩქარებლად, ემოციის გარეშე.

ვახტანგმა თვალი მოსწყვიტა საქაღალდეს და საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელს, დავით საბანიძეს მიუბრუნდა.

– შენ რას იტყვი? ჩემის აზრით, იდეალური კანდიდატია განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

– მე თავს შევიკავებდი, – უპასუხა დავითმა.

– რატომ? – გაუკვირდა მთავარ პროკურორს, – უკეთესი კანდიდატი გვეგულება?

– სიმართლე გითხრათ – არა, მაგრამ ამჟამად მირიანის საგამოძიებო მუშაობიდან ჩამოცილება გაუმართლებლად მიმაჩნია. რას მივიღებთ ამით? დავკარგავთ კარგ გამომძიებელს, რომელიც შემდგომ საკაბინეტო მუშაობით იქნება დაკავებული. უბრალოდ რომ ვთქვა, კარგი გამომძიებლისგან მივიღებთ რიგით ჩინოვნიკს, რომლის მსგავსიც ისედაც უამრავი გვყავს.

– ლოგიკურია, მაგრამ უსამართლო, – შენიშნა მთავარმა პროკურორმა, – რა გამოდის? მონდომებულ თანამშრომელს კარიერული ზრდის შესაძლობლობას იმიტომ ვართმევთ, რომ ის კარგად ასრულებს თავის მოვალეობას!

– მირიანს ჯერ ყველაფერი წინა აქვს. კიდევ მოესწრება კაბინეტში ჯდომას და განკარგულებების გაცემას, – უპასუხა დავითმა.

– თავად მასთან თუ გისაუბრია ამის შესახებ? – განაგრძო მთავარმა პროკურორმა.

– არა, მაგრამ სამსახურში განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე მას მიიჩნევენ საუკეთესო კანდიდატად.

– ხედავ, კოლექტივიც მხარს უჭერს. ეს კი არცთუ ისე ცოტას ნიშნავს.

– მე ჩემი აზრი მოგახსენეთ. გადაწყვეტილება კი თქვენ უნდა მიიღოთ.

– რახან კოლექტივში ღიად საუბრობენ, განყოფილების ხელმძღვანელად მირიანის დანიშვნაზე, მასაც ექნება გარკვეული მოლოდინი. ნუ გავანაწყენებთ, მოამზადე ბრძანება და კანცელარიაში ჩააბარე.

– ნაწყენი არ დარჩება, – მშვიდად ჩაილაპარაკა დავითმა.

– არ დარჩება?! – სწრაფი მზერა ესროლა მთავარმა პროკურორმა, – რატომ ხარ დარწმუნებული?

– მე სხვა საქმის შეთავაზება მინდა მისთვის, მაგრამ ამას თქვენთან შეუთანხმებლად ვერ გავაკეთებ, – უპასუხა დავითმა.

– ყურადღებით გისმენ! – მთავარმა პროკურორმა გვერდზე გადადო საქაღალდე.

– ეს თავად მირიანის მოსაზრებაა. ამ საკითხზე არაერთხელ უსაუბრია ჩემთან. ის მიიჩნევს, რომ გამომძიებლის ერთ, ორ ან სამ საქმეზე ერთობლივი მუშაობა, არაეფექტურია. ასეთ შემთხვევაში, მას ურთიერთობა უწევს რაიონული სტრუქტურული ერთეულების საგამოძიებო სამსახურების წარმომადგენლებთან. ხშირ შემთხვევაში, ისინი სრულიად უცნობი ადამიანები არიან. გასათვალისწინებელია ხასიათის ნიშნები. პიროვნული შეუთავსებლობა, პროფესიონალური დონე. ყოველივე ეს ფაქტორი კი პირდაპირ აისახება საგამოძიებო მუშაობის მსვლელობასა და ხარისხზე.

– მესმის, – თავი დაუქნია მთავარმა პროკურორმა, – ეს სხვა გამომძიებლებისგანაც მსმენია.

– მირიანის აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ საგამოძიებო მოქმედებებს ერთობლივი ჯგუფი განახორციელებდა. პიროვნებები, რომლებიც გამუდმებით ერთად მუშაობენ, კარგად იცნობენ ერთმანეთს და ზუსტად იციან, თუ რის იმედი უნდა ჰქონდეთ ჯგუფის სხვა წევრისგან ამა – თუ იმ ვითარებაში, – თქვა დავითმა.

– გასაგებია, მაგრამ ამაში არაფერია ახალი. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ჩვენ თავად ვახდენთ საგამოძიებო ჯგუფების ფორმირებას.

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს ხდე-



ბა პერიოდულად. გამოძიების დასრულების შემდეგ შემადგენლობა იშლება. მომდევნო ჯგუფის ფორმირებისას კი, ჯგუფი სხვა შემადგენლობით იკრიბება.

– და, რა მოსაზრება აქვს მირიანს ამ საკითხის თაობაზე? – ჰკითხა მთავარმა პროკურორმა.

– ის მთავაზობს მუდმივმოქმედი საგამოძიებო დანაყოფის შექმნას. ეს იქნება ჯგუფი, რომლის შემადგენლობაც აღარ შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

– ესე იგი, თავისებურ ექსპერიმენტს გვთავაზობს?

– შეიძლება, ასეც ითქვას, – დაეთანხმა დავითი.

– ვთქვათ, მართლაც შევქმენით ასეთი ჯგუფი. ვინ იქნებიან მისი წევრები? ამაზე თუ უსაუბრია მირიანს შენთან?

– არა, მან მხოლოდ იდეა შემომთავაზა. ჯგუფის წევრებზე კი ჩემი მოსაზრება მაქვს, – ამ სიტყვებთან ერთად დავითმა მთავარ პროკურორს საქაღალდე გაუწოდა, რომელიც წინ ედო.

– რა არის ეს?

– კანდიდატების მონაცემებია, – უპასუხა დავითმა.

პროკურორმა საქაღალდე გახსნა და კითხვას შეუდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ისევ დავითს მიუბრუნდა და გაოცებით ჰკითხა:

– რას ნიშნავს ეს? ამ ადამიანების მოყვანას აპირებ მთავარ პროკურატურაში?

– მოკლე დახასიათებით ნუ შეაფასებთ მათ პიროვნულ თვისებებსა და პროფესიონალიზმს. გარწმუნებთ, ისინი სრულიად ღირსეული კანდიდატები არიან ასეთი სამუშაოსთვის.

– მაკვირვებ... – მთავარი პროკურორი ისევ საქაღალდეს მიუბრუნდა, – შენი აზრით, ასე უნდა გამოიყურებოდეს ღირსეული კანდიდატის პირადი საქმე?! ავალიანი გიორგი... ოცდაშვიდი წლის, დამთავრებული აქვს კიევის უშიშროების აკადემია. სპორტსმენი. გატაცებულია ტყვიის სროლით. უკრაინაში მოგებული აქვს რამდენიმე ტურნირი. არის ხელჩართული ბრძოლის სპეციალისტი. ორი წლის განმავლობაში მუშაობდა დეტექტივ-გამომძიებლად... აქამდე კიდევ არა უშავს. მთავარი ახლა იწყება... ხასიათის ნიშნები – ფიცხი, მიზანდასახული. გარკვეულ ვითარებაში შეუძლია კანონის დარღვევა. ვერ იტანს შეზღუდვებს. ხელმძღვანელობისგან მიღებული აქვს რამდენიმე გაფრთხილება. მათ შორის – პირად საქმეში შეტანითაც! როგორც ვხედავ, შენ მიერ რეკომენდებულ პიროვნებას დღეს თუ ხვალ საერთოდ დაითხოვენ ძალოვანი უწყებიდან.

– მე რამდენჯერმე შევხვედრივარ ავალიანს. გეთანხმებით, რომ ის მართლაც ახდენს თავზეხელაღებული ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ მასში არის რაღაც, ის, რაც აუცილებელია კარგი გამომძიებლისთვის. საჭიროა მხოლოდ მისი ენერგიის საჭირო მიმართულებით მიმართვა. მოკლედ რომ გითხრათ, „ფორმულა ერთის“ პრინციპით უნდა მივუდგეთ.

– „ფორმულა ერთის“ პრინციპით? რას გულისხმობ? – ჰკითხა ვახტანგმა.

– „ფორმულა ერთის“ პილოტების შესახებ ასეთი მოსაზრება არსებობს. შეიძლება აიყვანო ათასი ადამიანი და მათგან ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი აქციო თვითმფრინავის პილოტად. მაგრამ იგივე ათასიდან შეიძლება ერთიც არ გამოვიდეს „ფორმულა ერთის“ პილოტი. ამას ბუნებრივი ნიჭი სჭირდება. სწორედ ასეთი ნიჭის მქონეა ავალიანიც. ის უბრალოდ ამ საქმისთვისაა დაბადებული!



– ანუ ის ალმასია, რომელიც ჩვენ უნდა დავხვეწოთ და ძვირფას ქვად ვაქციოთ? – ირონიულად ჩაილაპარაკა მთავარმა პროკურორმა, – დავით, შენი გამოცდილების მქონე პროკურორს ამის შეხსენება არ უნდა სჭირდებოდეს. ჩვენ არ გვჭირდება ჰოლივუდური ბოევიკის პერსონაჟი-სუპერგმირი, რომელიც კარგად ისვრის, ვირტუოზულად ფლობს ხელჩართული ბრძოლის ილეთებს, ამარცხებს ყველა ბოროტმოქმედს და ფინალში დაღლილი, მაგრამ გამარჯვებული გრძელფეხება ლამაზმანთან ერთად ფიჯის კუნძულებზე მიემგზავრება! ჩვენ გვჭირდება დინჯი, გონიერი გამომძიებელი, რომელიც ისევე დაიცავს ნებისმიერი ადამიანის უფლებებს, როგორც თავისას და უცნაური გამოხდომებით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენებს პროკურატურას! შენს მეორე კანდიდატზე კი აღარაფერს ვამბობ. ჩემთვის საერთოდ გაუგებარია, რით დაიმსახურა შენი ყურადღება პიროვნებამ, რომელსაც ერთი დღეც არ უმუშავია საგამოძიებო სამსახურში და ერთი საქმეც კი არ გამოუძიებია!

– სამაგიეროდ, მან წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სტაჟებარეზეც მაღალი შეფასება დაიმსახურა! – უპასუხა დავითმა.

– არა... ამაზე ვერ დამითანხმებ! ჩვენ აქ სასწავლო დაწესებულება არ გვაქვს! – თავი გაიქნია მთავარმა პროკურორმა.

– თავად იდეა თუ მოგწონთ? – შემპარავად ჰკითხა დავითმა.

– წინააღმდეგი არ ვარ. ვცადოთ, მაგრამ მირიანის ჯგუფისთვის სხვა გამომძიებლების შერჩევა მოგიწევს.

– მოდი, ასე მოვიქცეთ... თავად მირიანს მივანდოთ ხალხის შერჩევა. მე სრულიად ვენდობი მას. თუ მან ჩემ მიერ შეთავაზებულ კანდიდატებზე შეაჩერა არჩევანი, დავუნიშნოთ გამოსაცდელი ვადა. მივცეთ საქმე და ვნახოთ, როგორ შეეწყობიან ერთმანეთს. მე პირადად გავაკონტროლებ მათ მუშაობას.

– ავანტიურაში მითრევ. ეს საექსპერიმენტო პოლიგონი კი არა, სერიოზული სახელმწიფო დაწესებულებაა, – შეყოყმანდა მთავარი პროკურორი.

– მენდეთ, ყველაფერი კარგად იქნება!

ვახტანგი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა:

– კეთილი, გამოიძახე მირიანი. თავად გავესაუბრები, მაგრამ გაფრთხილებ, დავით,


საქართველო სასწავლო ცენტრი
კომპიუტერული და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი

Sakartvelo Learning Center

15 %-იანი ფასდაკლების კუპონი

რეგისტრაცია მიმდინარეობს 16 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 25 სექტემბერს.

Computer Course:
(კომპიუტერული კურსები)
ICDL:
Windows Basic
Internet
Microsoft Office
(Word, Excel, Access, Power Point|

Language Course:
(ენის შემსწავლელი კურსი, როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის)
English
IELTS

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი, №15. +995(32) 222-22-78
Sakartvelo Learning Center



თუ მან უარი თქვა ამ ავანტიურაში მონაწილეობაზე, ძალას არ დავატანთ. განყოფილების უფროსად დავნიშნავთ და ამ საუბარს სამუდამოდ დავივიწყებთ.

– ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. ჩემ მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ მირიანს ნურაფერს ეტყვით.

– რატომ?

– ეს ყველაფერი მოულოდნელი იქნება მისთვის. მინდა, დრო მივცე ყველაფრის გასააზრებლად, – თქვა დავითმა.

– რაღაცას ბოლომდე არ ამბობ, – მზერა გაუსწორა მთავარმა პროკურორმა.

– საქმე ისაა, რომ მირიანი დაჟინებით ითხოვდა ავალიანის სამსახურიდან გათავისუფლებას. მართალია, საქმე იქამდე არ მივიდა, მაგრამ ავალიანს მკაცრი და უკანასკნელი გაფრთხილება მაინც მისცეს. ახლა სულ მცირე შენიშვნისთვისაც შეუძლიათ საგამოძიებოდან მისი გაძევება.

– კი მაგრამ, რატომ? – გაუკვირდა მთავარ პროკურორს, – რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან ავალიანსა და მირიანს.

– ეს შემთხვევით მოხდა. გახსოვთ ბიბილურის საქმე?

– ვაკეში მძევალი რომ აიყვანა? – უმალ გაიხსენა მთავარმა პროკურორმა.

– დიახ. სწორედ ავალიანი იყო, ერთი გასროლით რომ დაჭრა ბიბილური. მირიანმა კი ჩათვალა, რომ იმ ვითარებაში ამის გაკეთება დაუშვებელი იყო. მცირე შეცდომასაც მძევლის დაღუპვა შეეძლო.

– და შენ გგონია, რომ ამის შემდეგ ისინი ერთად მუშაობას შეძლებენ?!

– ავალიანს ახასიათებს თვისება, რასაც მოკლებულია მირიანი... ავანტიურიზმი! მიმაჩნია, რომ საგამოძიებო საქმეში ეს არცთუ ისე ცუდი თვისებაა!

– ჩემთვის უკვე გასაგებია, რითაც დამთავრდება ყოველივე ეს, მაგრამ გულს არ დაგწყვეტ! გამოიძახე მირიანი!

– ახლავე, – უპასუხა დავითმა და მობილური ტელეფონი მოიმარჯვა.

* * *

მირიანი სამუშაო მაგიდასთან იჯდა და წინა დღეს შემდგარი საუბრის დეტალებს იხსენებდა. მთავარ პროკურორთან გამოძახება, რასაც დავითიც ელოდა, საგამოძიებო სამსახურში სხვანაირად აღიქვეს. კოლეგები წინასწარ ულოცავდნენ განყოფილების უფროსად დანიშვნას, მაგრამ ამის ნაცვლად მთავარმა პროკურორმა სრულიად სხვა საკითხზე წამოიწყო საუბარი.

– საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელობა?! – გაოცებით ჰკითხა მირიანმა, როდესაც მისი გამოძახების მიზეზი შეიტყო.

– დავითმა მითხრა, რომ შენ თავად შესთავაზე ასეთი ჯგუფის შექმნა, – განაგრძო ვახტანგმა.

– დიახ, ამ თემაზე რამდენჯერმე ვისაუბრეთ, – დაუდასტურა მირიანმა.

– ჰოდა, ახლა გეძლევა შენი იდეის განხორციელების შესაძლებლობა.

– მესმის, მაგრამ...

– ვიცი... ვიცი... – გაეღიმა მთავარ პროკურორს, – შენ სხვა გეგმები გქონდა! განყოფილების ხელმძღვანელად დანიშვნას ელოდი?

– არ დაგიმალავთ, მართლაც ველოდი, – მშვიდად უპასუხა მირიანმა.

– მოდი, ასე მოვილაპარაკოთ: მე ორ ვარიანტს გთავაზობ. შეგიძლია, განყოფილებას ჩაუდგე სათავეში, ან კიდევ უხელმძღვანელო ჯგუფს. არჩევანი შენთვის მომინდვია.

– ესე იგი, განყოფილების უფროსის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურაც განიხილება? – ჰკითხა მირიანმა.

– განიხილება, – დაუდასტურა მთავარმა პროკურორმა, – და უფრო მეტიც, ამას არაფერი უშლის ხელს. დავითი კარგად გახასიათებს. მეც არ ვარ წინააღმდეგი. ასე რომ ყველაფერი შენი გადასაწყვეტია.

მირიანი ჩაფიქრდა.

– თუ გინდა დროს მოგცემთ მოსაფიქრებლად. ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე და შემდეგ მიიღე გადაწყვეტილება.

– საქმე ისაა, რომ სამეცნიერო ნაშრომზე ვმუშაობ. ამჟამად ჩემთვის დროს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე – თანამდებობას, – უპასუხა მირიანმა.

– ანუ...

– ჯგუფთან ვიმუშავებ.

– ასე იოლად ვერ იმეტებ საკუთარ იდეას? – ღიმილით თქვა მთავარმა პროკურორმა.

– მირჩევნია, თავად დავამტკიცო, რომ მართალი ვარ.

– კარგი... ძალიან კარგი, – ვახტანგი დავითს მიუბრუნდა, – ასე შევთანხმდეთ. ჩავთვალოთ, რომ ყველანი ერთ შიდა ექსპერიმენტში ვმონაწილეობთ. განყოფილების უფროსად ჯერჯერობით არავის დავნიშნავთ. ამ წამოწყებამ თუ არ გაამართლა, განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობას ავტომატურად დაიკავებს მირიანი. თუ გაამართლა... როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

– ისევ მირიანს მივანდოთ ამ საკითხის გადაწყვეტა, – უპასუხა დავითმა.

– რას იტყვი, თანახმა ხარ? – მირიანს გახედა მთავარმა პროკურორმა.

– თანახმა ვარ, – თავი დაუქნია მან.

– მაშინ საქმეს მიხედეთ, – დაასრულა ვახტანგმა და საგამოძიებო სამსახურის უფროსი და მისი გამომძიებელი კაბინეტიდან დაითხოვა.

ეს იყო გუშინ. ახლა კი მირიანი დავითის მიერ შერჩეულ კანდიდატებს გასაუბრებისთვის ელოდა. მან კანდიდატების შესახებ მხოლოდ ის იცოდა, აქამდე არც ერთ მათგანს პროკურატურაში რომ არ უმუშავია. დანარჩენი კი მათთან პირადი გასაუბრებისას უნდა გაერკვია.

„რისთვის დავყევი მთავარ პროკურორს? – ფიქრს მიეცა მირიანი – მით უმეტეს მაშინ, როდესაც არჩევნის შესაძლებლობა მქონდა. საკმარისი იყო მხოლოდ ჩემი თანხმობა და რამდენიმე დღეში განყოფილების ხელმძღვანელად დავინიშნებოდი. მე კი ყველაფერი სასწორზე შევაგდე. სიმარცხვინო იქნება, საკუთარ წამოწყებას რომ ვერ გავართვა თავი. მთავარმა პროკურორმა კი თქვა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დამნიშნავს განყოფილების ხელმძღვანელად, მაგრამ ჯგუფმა თუ არ გაამართლა, მე თვითონ აღარ მოვინდომებ ახალ თანამდებობაზე გადასვლას. და ეს მხოლოდ ჩემზე არ იქნება დამოკიდებული, ჯგუფის წევრებიც უნდა ამომიდგნენ მხარში. საინტერესოა, ვინ შეარჩია დავითმა. ვინც არ უნდა იყვნენ, დარწმუნებული ვარ, რომ ის მხოლოდ საუკეთესო კადრებზე შეაჩერებდა არჩევანს. უპირველესად, ხომ თავადაა დაინტერესებული ჩემს წარმატებაში."

კარის გაღების ხმამ მირიანი ფიქრს მოსწყვიტა. მან თავი ასწია და გაოცებული გაშეშდა. კარის ჭრილში გიორგი ავალიანი იდგა, პოლიციის მთავარი სამმართველოს თავზეხელაღებული გამომძიებელი.

მირიანს კარგად ახსოვდა, როგორ და რა ვითარებაში გაიცნო გამომძიებელი. საქმე ვაკეში მომხდარ დანაშაულს ეხებოდა. ყაჩაღური თავდასხმისას ბოროტმოქმედები ერთ-ერთმა მეზობელმა შენიშნა და მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა. პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს სახლს. ჩასაფრება სადარბაზოსთანაც მოეწყო. მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ ბოროტმოქმედები სახლიდან გამოსვლისას აეყვანათ, მაგრამ თავდამსხმელებმა ალყა შენიშნეს. ორმა მათგანმა ხანმოკლე მოლაპარაკებების შემდეგ ჩაბარება გადაწყვიტა. მესამე კი, გვარად ბიბილური გაჯიუტდა. მან მძევლად აიყვანა ბინის პატრონი და პირობების ჩამოყალიბებას შეუდგა. ის შემთხვევის ადგილიდან გაშვებას ითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მძევლის მოკვლით იმუქრებოდა. იმას, რომ მისი მუქარა ანგარიშგასაწევი იყო, ბიბილურის თანამზრახველებიც ადასტურებდნენ. მათი თქმით, ბიბილური მძიმე „ლომკაში" იმყოფებოდა და უკან არაფერზე დაიხევდა. საგანგებო თათბირის შემდეგ, რომელშიც მირიანიც მონაწილეობდა, ოპერაციის ხელმძღვანელებმა მოლაპარაკებების გაგრძელება გადაწყვიტეს, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ოპერაცია სრულიად სხვა შედეგით დასრულდა. ავალიანი, რომელსაც თავი მოაბეზრა ბინაში მიმალული ბიბილურის ისტერიკულმა ყვირილ-მუქარამ, ბინის უკანა მხრიდან აივანზე აძვრა და მხოლოდ ერთი გასროლით ამოწურა ინციდენტი. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა, მირიანმა მაინც დაუშვებლად მიიჩნია ავალიანის მოქმედება. მისი აზრით, ასეთ ქმედებას შესაძლოა, მძევლის დაღუპვა მოჰყოლოდა. ამ საკითხზე მათ შორის კამათიც კი მოხდა. მირიანს ახლაც კარგად ახსოვდა, ავალიანის წამონთებული მზერა, რომელიც დამცინავად უმტკიცებდა, რომ სწორედ მისნაირი ხალხით ედგათ სული ეგრეთწოდებულ „კაბინეტის გამომძიებლებს" და სუფთად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, მის

მიმართ არავის ჰქონდა საყვედურის გამოთქმის უფლება.

მირიანმა სწრაფად აღიდგინა წონასწორობა და გიორგის ჰკითხა:

– აქ რას აკეთებ?

– მე რას ვაკეთებ? – გაიკვირვა მან, – შენ თვითონ რა გინდა აქ?

– ეს ჩემი სამუშაო კაბინეტია!

– აა... გილოცავ, კარგად მოწყობილხარ. ახლა ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობდი „კაბინეტის გამომძიებელში“?! – ირონიით თქვა გიორგიმ.

– საკმარისია, შეგიძლია, წახვიდე. შენი ბრძნული აზრების მოსასმენად არ მცალია.

– სად უნდა წავიდე? – გიორგიმ უწყებას ჩახედა, რომელიც ხელში ეჭირა, – ეს ხომ ოცდამეხუთე კაბინეტია?

– ჰო... ოცდამეხუთეა, – დაუდასტურა მირიანმა.

– გამოდის, რომ მისამართი არ შემშლია. ამ კაბინეტში ვარ დაბარებული შეხვედრაზე.

– ვინ დაგიბარა? – დაიძაბა მირიანი.

– სამმართველოში მითხრეს, რომ საგამოძიებო სამსახურის უფროსმა. შენ ხომ არ ხარ? ასე დაგაწინაურეს სავარძლის ტკეპნისთვის? – ჩაიცინა გიორგიმ.

– არა... ეს გამორიცხულია... აქ დარჩი და გაფრთხილებ, ხელი არაფერს ახლო! – სწრაფად თქვა მირიანმა, შემდეგ ადგა და უკანმოუხედავად გავარდა კაბინეტიდან.

გიორგიმ გაოცებული მზერით გააცილა და როგორც კი კარი გაიხურა, მის სავარძელზე მოხერხებულად მოეწყო, დისტანციური მართვის პულტს გადასწვდა და ტელევიზორი ჩართო.

რამდენიმე წუთში კარზე დააკაკუნეს. გიორგიმ ტელევიზორს ხმა ჩაუწია და ხმამაღლა დაიძახა: მობრძანდით! კარი გაიღო, ოთახში ახალგაზრდა, ტანმაღალმა ქალმა შემოაბიჯა.

„ოჰო. არც ისე ცუდი ყოფილა პროკურატურაში მუშაობა“, – გაიფიქრა ქალის სილამაზით მოხიბლულმა გიორგიმ.

ის ასაკით ოცდახუთიოდე წლისა იქნებოდა. ძალიან უხდებოდა შუბლზე ოდნავ დაუდევრად ჩამოშლილი ქერა თმა და ცისფერი თვალები. ტანთ საქმიანი ქალისთვის შესაფერისი სამოსი ეცვა. მუქი ფერის ქვედაბოლო, ასეთივე ფერის კოსტიუმი და თეთრი, სადა პერანგი.

– გამარჯობა! მე გასაუბრებაზე ვარ მოწვეული, – მომაჯადოებელი ხმით თქვა ქალმა.

– მობრძანდით, – ფეხზე ადგა გიორგი, – მაჩვენეთ უწყება.

ქალმა უწყება გაუწოდა და მის პირისპირ ჩამოჯდა.

ანა ლალიძე, – ამოიკითხა გიორგიმ უწყებაში და ქალს მიუბრუნდა: გავიცნოთ ერთმანეთი, ანა. მე გიორგი მქვია.

– ძალიან სასიამოვნოა. რა საკითხზე გსურთ ჩემთან საუბარი?

– როგორ, თქვენ არაფერი იცით? – გაიკვირვა გიორგიმ.

– არა, – თავი გაიქნია ანამ, – გუშინ საღამოს ტელეფონით დამიკავშირდნენ და პროკურატურაში გასაუბრებაზე მოსვლა მთხოვეს. ეს უწყება კი საშვთა ბიუროში გადმომცეს.

– კეთილი... ყველაფერს აგიხსნით, მაგრამ არ მიყვარს მშრალი საუბარი... ერთი წუთით, – გიორგი სელექტორს გადასწვდა და იმ ღილაკს დააწვა, რომელზეც მისაღები იყო აღნიშნული.



– გისმენთ, – სელექტორიდან ქალის ხმა გაისმა.

– ყავის საქმე როგორ გვაქვს, ძვირფასო? – შინაურულად ჰკითხა გიორგიმ.

– მოგიმზადებთ, – უპასუხეს სამდივნოდან.

– რომელ ყავას სვამთ? – ანას მიუბრუნდა გიორგი.

– სულ ერთია.

– კარგი... ორი შავი ყავა. შოკოლადსაც ხომ ვერ მომიხერხებთ?

– მოგიხერხებთ.

– განსაკუთრებული შემთხვევებისთვის შამპანურიც ხომ არ გაქვთ გადანახული?

– რაა?!

– შამპანური... ჩვეულებრივი, ცივი შამპანური, ლიმონითა და ზეთისხილით.

– არა, შამპანური არ გვაქვს.

– კეთილი, მოიტანეთ ყავა! – გიორგიმ სელექტორი გათიშა და ანას მიუბრუნდა, – მაპატიეთ, საკმარისია ოდნავ მოვდუნდე და უმალ აიშვებენ თავს. ხელქვეითებთან მეტი სიმკაცრეა საჭირო.

– გასაუბრებაზე როდის გადავალთ? – ჰკითხა ანამ.

– ჰო... რა თქმა უნდა, – გიორგიმ მაგიდის უჯრაში ქაღალდის ფურცელი და კალამი მოიძია, ანას გაუწოდა და უთხრა, – დასაწყისისთვის თქვენი მისამართი, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტა ჩამომიწერეთ. ჩემთვის საინტერესო კითხვებს კი პროცესში დაგისვამთ.

ანამ ეჭვიანი მზერა ესროლა და წერას შეუდგა.

– გათხოვილი არ ხართ, თუ ქორწინების ბეჭდის ტარება არ გიყვართ? – ჰკითხა გიორგიმ.

– რა მნიშვნელობა აქვს ამას? – გაოცებით შეხედა ანამ.

– დაიმახსოვრეთ, თქვენ იმყოფებით დაწესებულებაში, სადაც კითხვის დასმა კულტის დონეზეა აყვანილი! – ოფიციალური ტონით თქვა გიორგიმ, – და ჩვენს კითხვებს ყოველთვის პასუხობენ! ეს წმინდათაწმინდა ტრადიციაა! გიმეორებთ, გათხოვილი ხართ თუ არა?

ანამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, კარი გაიღო და კაბინეტში მდივანმა შემოაბიჯა. გიორგისა და ანას დანახვაზე ის გაკვირვებული შედგა და იკითხა:

– მირიანი სად არის?

– სასწრაფო საქმეზე გავგზავნე, – მშვიდად უპასუხა გიორგიმ. შემდეგ სინი ჩამოართვა, რომელზეც ორი ფინჯანი ყავა და შოკოლადი ელაგა და დაამატა, – გმადლობთ, სამდივნოში გადაეცით, რომ ხელი არ შეგვიშალონ... გასაგებია?

– გასაგებია, – დაბნეული სახით უპასუხა ქალმა და ოთახიდან გავიდა..

– ახლა ხელს აღარ შეგვიშლიან. შეგვიძლია მშვიდად ვისაუბროთ... – მაგიდას დაუბრუნდა გიორგი და ყავის ფინჯანი ანას წინ დაუდო.

ამასობაში მირიანი აღელვებული ელაპარაკებოდა დავითს.

– არც კი მჯერა, რომ ეს მართლაც ხდება. რამ მოგაფიქრებინა ავალიანის მოწვევა?! ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ამას – ვერა!

– კარგი... დამშვიდდი. გასაუბრება არაფერს ნიშნავს. ერთმანეთს თუ ვერ გაუგებთ, შეგიძლია, დაითხოვო, უპასუხა დავითმა.

– გასაუბრება?! – იფეთქა მირიანმა, – რაზე უნდა ვესაუბრო იმ ავანტიურისტსა და თავზეხელაღებულ პიროვნებას?! ალბათ, მეორეც ასეთივე უპასუხისმგებლო პიროვნება შემირჩიე?!

– მეორე ჯერ არ გინახავს? – ჰკითხა დავითმა.

– საბედნიეროდ – არა!

– წამოდი, ერთად ვნახოთ. უკვე მოსული იქნება, – თქვა დავითმა და ფეხზე ადგა.

– არ წამოვალ. ახლავე ზემოთ ავალ და მთავარ პროკურორს უარს ვეტყვი ამ საქმეში მონაწილეობაზე!

– ნუ ბავშვობ, მირიან! მხოლოდ გასაუბრება და მეტი – არაფერი, – სთხოვა დავითმა.

– კარგი... ნახევარ საათს დაგითმობ, – მოტყდა მირიანი და კარს მიუბრუნდა.

კაბინეტს მიახლოებული მირიანი გაოცებული შედგა. ოთახიდან ქალის სიცილი ისმოდა.

– ეს ტიპი ჭკუაზე შემშლის! – ბრაზით ჩაილაპარაკა მან და სახელური მოსწია. ნანახმა სურათმა საბოლოოდ დააბნია. მის სამუშაო მაგიდასთან გიორგი და ახალგაზრდა ქალი ისხდნენ, რომელიც გულიანად იცინოდა. მაგიდაზე ყავის ფინჯნები და შოკოლადი იდო.

მისი დანახვისას ქალმა სიცილი შეწყვიტა და ფეხზე ადგა.

– ვინ ბრძანდებით? – ჰკითხა მირიანმა.

– მე გიპასუხებ, – ჩაურთო დავითმა, რომელიც უკან მიჰყვებოდა, – ეს შენი ჯგუფის მესამე წევრი, ქალბატონი ანა ლალიძეა.

მირიანმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დავითმა დაასწრო, – ნახევარი საათი! შენ პირობა მომეცი, – თქვა მან. შემდეგ კი გიორგისა და ანას მიუბრუნდა, – კეთილი... ჩავთვალოთ, რომ გაცნობა შედგა. ახლა დავსხდეთ და მშვიდ ვითარებაში განვაგრძოთ საუბარი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გია სურამელაშვილზე ისედაც ყოველთვის ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ, ბოლო დროს მის შესახებ რამდენიმე ახალი თემა გაჩნდა, მათ შორის, მისი სურვილი პრეზიდენტობასთან დაკავშირებით, რაც ჯერჯერობით გადაიფიქრა. მართალია, პოლიტიკა გვერდზე გადადო, მაგრამ, სამაგიეროდ, მალე მას მაყურებელი აცეკვებულს იხილავს. პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების" ერთ-ერთი მონაწილე სწორედ ჩვენი რესპონდენტია. მოკლედ, სასაუბრო ბევრი დაგროვდა და, რამე რომ არ შეგვეშალოს, თავად რესპონდენტს მოვუსმინოთ.**

# ვის უნდოდა გია სურამელაშვილის გაპრეზიდენტება და რატომ არ შეუშლის მას ცეკვაში ხელს ქეიფი და დროსტარება




**ყველა მეუბნება, რომ ესპანური ცეკვა მომიხდება. ალბათ, ქორეოგრაფები გაითვალისწინებენ და ესპანურ ცეკვას დამიდგამენ**

**– გია, ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა ხალხი და ბევრს საუბრობენ შენს შესახებ.**

– მანამდე არა? ჩემზე ყოველთვის ბევრს საუბრობენ.

**– გეთანხმები, საუბრობენ, როგორც მომღერალზე, მაგრამ, ბოლო დროს თემები მოემატა: აცეკვდი, პოლიტიკაშიც გინდოდა „გადავარდნა..."**

– მაგრამ, არ გადავვარდი.

**– საპრეზიდენტო არჩევნებში მართლა გინდოდა მონაწილეობის მიღება?**

– ეს, უბრალოდ, ძალიან, ძალიან, კარგი ხუმრობა იყო ჩემი მხრიდან, რაც ხალხმა აიტაცა და, როგორც გავიგე, ნახევარი თბილისი ხელსაც აწერდა – გიას პრეზიდენტობა გვინდაო. მადლობა მათ ამისთვის. პრინციპში, ცუდი პრეზიდენტი ნამდვილად არ ვიქნებოდი. ხუმრობა-ხუმრობაში სერიოზულად დავფიქრდი ამაზე. ნინო ჩხეიძემაც მითხრა: ძალიან გთხოვ, კენჭი იყარე, ოღონდ, პრეზიდენტი რომ გახდები, მე კულტურის მინისტრად დამნიშნეო. ყველა თავის საქმეს იკეთებს. დავპირდი, რომ, თუ მე პრეზიდენტი გავხდები, ის კულტურის მინისტრი იქნება.

**– ბოლოს და ბოლოს, რა ქენი, გადაიფიქრე პრეზიდენტობა?**

– გადავიფიქრესავით.

**– ისე, რას გააკეთებდი, საქართველოს პრეზიდენტი რომ იყო?**

– ეს სერიოზული გეგმებია, რომელსაც მერე გაგაცნობთ, პრესკონფერენციას რომ მოვაწყობ. აბა, ახლა რომ ვთქვა, ხომ შეიძლება: ვიღაც სხვას მოეწონოს ჩემი გეგმები და თავად განახორციელოს.

**– ამ აგორებულმა პიარმა ხომ არ მოგცა სტიმული, რომ პოლიტიკაში მართლა გადაინაცვლო?!**

– პოლიტიკაში მიწვევა ყოველთვის მქონდა – 90-იანი წლებიდან დღემდე, მაგრამ, არასდროს მიფიქრია ამაზე სერიოზულად, თუმცა, არც ეს არის გამორიცხული.

**– ვისგან გქონდა მიწვევა?**

– მქონდა კი არა დღესაც მაქვს, მაგრამ, ვისგან ვერ გეტყვით. თუ ეს გადაწყვეტილება მივიღე, ნამდვილად არ დაგიმალავთ.

**– რაც შეეხება პროექტს „ცეკვავენ ვარსკვლავები," როგორ მიიღე მასში მონაწილეობის გადაწყვეტილება?**

– ძალიან რთულად, რადგან, არანაირად არ ვაპირებდი მონაწილეობას. კარგი გაგებით „შებმა" იყო სამთვიანი.

**– მაშინ, გკითხავ: ვინ შეგაბა?**

**შეყვარებული ვარ და ამით ბედნიერი ვარ. ვინ არის, ნამდვილად ვერ ვიტყვი სახალხოდ – ხომ გაგიგიათ, სიყვარულსა მალვა უნდაო**

– „იმედმა".

**– ძალიან ბევრი შრომა სჭირდება ამ პროექტში მონაწილეობას. გაქვს იმის იმედი, რომ ამ ყველაფერს გაუძლებ?**

– ხელის გაშლა ყველამ ვიცით, მაგრამ, სამეჯლისო ცეკვები ძალიან რთულია. ყველანაირად შევეცდები და თავს არ დავზოგავ, რომ გულშემატკივარს იმედი არ გავუცრუო. მართალია, ჩემი მსმენელის იმედი მაქვს, მაგრამ, მთავარი მაინც ჩემი ცეკვაა, მათ ნდობას კი აუცილებლად გავამართლებ. ისე, ყველა მეუბნება, რომ ესპანური ცეკვა მომიხდება. ალბათ, ქორეოგრაფები გაითვალისწინებენ და ესპანურ ცეკვას დამიდგამენ.

**– ყველაზე მეტად რომელ ტურში გინდა ცეკვა?**

– მინდა, ბოლო ტურში ვიცეკვო, 31 დეკემბერს და, შესაბამისად, ბინაც მოვიგო.

**– გავიგე, ახალ დუეტს წერ – ეს არის დუეტი ნინო ჩხეიძესთან ერთად.**

– მე და ჩემი მომავალი აპარატის კულტურის მინისტრი დუეტში ვწერთ სიმღერას. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და დიდ პატივს ვცემთ ერთმანეთს. დრო მოვიდა, დუეტშიც ავმღერდეთ. თან, ჩემი დაწერილი სიმღერაა, რომელიც წლების წინ კახუჩელამ იმღერა. არც კი იცოდა ნინომ, ეს რომ ჩემი სიმღერა იყო, უბრალოდ ძალიან მოეწონა და სურვილი გამოთქვა, ეს ჩავწეროთო. ისე მოგვეწონა მე და ნინოს ერთად მუშაობა, უკვე მეორე სიმღერის ჩაწერაზეც მოვილაპარაკეთ. პირველი – ქალაქურია, ხოლო მეორე – ბასანოვას სტილშია.

**– გავიგე, რამდენიმე თვის წინ ბაბუა გახდი.**

– ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო, გვირგვინი და რაღაც სხვა განზომილებაა. ძალიან ლამაზი, კარგი და ჭკვიანი გოგონა შეგვეძინა. გადასარევი რძალი, შვილი და შვილიშვილი მყავს, რის გამოც უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ თავს. მართალია, ცოტა დაკავებული ბაბუის როლში ვარ, მაგრამ, იმის დრო მაინც მრჩება, რომ შვილიშვილს მოვესიყვარულო.

**– შვილი თუ მღერის?**

– ჩემი შვილი ღიღინებს.

**– მან კი, როცა ვკითხე, რატომ არ მღერი-მეთქი, მიპასუხა – არ მინდა, მამაჩემი დავჩრდილოო.**

– ნუგოს არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა და, ალბათ, ამიტომაც არ უნდა სიმღერა. ბოლო დროს კი ძალიან ნერვიულობს ჩემი ცეკვის გამო. ყველა ტურს დაესწრება ცოლ-შვილთან ერთად, ისინი ჩემი მთავარი გულშემატკივრები იქნებიან. მეც ხუთმაგად ვნერვიულობ. რომ ვუფიქრდები, ამ პროექტში მონაწილეობა ჩემთვის ადვილი არ იქნება, რადგან, მე ცოტა თავისებური ადამიანი ვარ: მიყვარს ღამის ცხოვრება, ძილი, ქეიფი და დროსტარება. პირველი რეპეტიციის უკვე მეშინია.

**– პირად ცხოვრებას რაც შეეხება, რა ხდება?**

– შეყვარებული ვარ და ამით ბედნიერად ვგრძნობ თავს. ვინ არის, ნამდვილად ვერ ვიტყვი სახალხოდ – ხომ გაგიგიათ, სიყვარულსა მალვა უნდაო. მთავარი ის არის, რომ ბედნიერი ვარ, მეც მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. ისიც გრძნობს, რომ მე გაფრთხილება მჭირდება და ხასიათს მიწყობს.

**– ანუ, საყვარელი ადამიანისთვის რთული პიროვნება ხარ.**

– „შოკოლადი" ნამდვილად არ ვარ.

**მარიკა ხიდურელი**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# რატომ არ უშვებდნენ სარფის საბაჟოზე სტუდია „გვირილას“ ბავშვებს, რომლებმაც ბულგარეთში გრანპრი აიღეს




*წლევანდელ ზაფხულს საბავშვო სტუდია „გვირილამ” მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო არტ-ფესტივალში „ნესტია 2013”, ბულგარეთში სანი ბიჩზე. „გვირილამ” სპეციალურად ფესტივალისთვის მოამზადა ბისერ კიროვის ცნობილი ბულგარული ჰიტი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად და რომელმაც მთელი ბულგარელი მაყურებელი აამღერა. ფესტივალში მონაწილეობას იღებდა 12 ქვეყანა, მათ შორის: სერბია, მაკედონია, პოლონეთი, უკრაინა, იტალია, რუსეთი და სხვა.*

**ნინო ჩიხლაძე** *(სტუდიის არტ-მენეჯერი):* ძალიან ბედნიერები ვართ, რომ გვირილებმა ფესტივალზე უმაღლესი შეფასება მიიღეს – „გვირილა” საერთაშორისო ფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა. ჩვენი სტუდიის ბავშვები – მონაწილეთა შორის ყველაზე პატარები იყვნენ, მათ ყველა ეფერებოდა, გულშემატკივრები კი სამახსოვრო სურათებს იღებდნენ გვირილებთან ერთად.

**ერნა წიფურია** *(სტუდია „გვირილას“ ხელმძღვანელი)*: ფესტივალზე იყო უამრავი ნომინაცია. მეამაყება, რომ საერთაშორისო ფესტივალზე, რომელშიც ამდენი ქვეყანა მონაწილეობდა, მთავარი პრიზი – გრანპრი – სტუდია „გვირილას” გადასცეს. გარდა ამისა, ჩვენმა ბავშვებმა გაიმარჯვეს ფესტივალის ნომინაციებში: „საუკეთესო დუეტი“ – ანი ჩაგუნავა და გიორგი ღოლობერიძე; „საუკეთესო ტრიო“ – ელენე ფარფალია, ანი ტოგონიძე და ანი გოდუაძე; „მაყურებლის სიმპათია“ – მარი მელიქიძე; „საუკეთესო არტისტიზმი“ – მარი ყვენწაშვილი; „საუკეთესო რეტრო სიმღერის შესრულება“ – თიკა ზურაბიშვილი; „საუკეთესო კოსტიუმი“ – სალომე ჭიკაძე; „მსოფლიო ჰიტის საუკეთესო შერულება“ – ნანუკა მელუა; „საუკეთესო დეფილირება“ – ინა ბაგდასაროვა; „სახასიათო სიმღერის საუკეთესო შესრულება“ – ნიკა გურასპაშვილი.

როგორც გამარჯვებულები და გრანპრის მფლობელები, სტუდია „გვირილა“ ქალაქ სვატოი ვლასის მერმა მიიწვია თეატრში, გალა კონცერტზე, სადაც ღონისძიებას 3 000 მაყურებელი დაესწრო.

ალსანიშნავია, რომ მოგზაურობისას გადაგვხვდა ბევრი კურიოზი და რამდენიმე მათგანს მოგიყვებით: ჩამოსვლისთანავე საბაჟოზე უამრავი ხალხი დაგვხვდა. ჩვენი ჯგუფის წარმომადგენელი მივიდა საბაჟოს წარმომადგენელთან და აუხსნა, რომ ბულგარეთიდან ჩამოსულია ფესტივალის გამარჯვებული, გრანპრის მფლობელი საბავშვო ანსამბლი „გვირილა”. საბაჟოს წარმომადგენლები შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში, მაგრამ, ბოლო მომენტში გადაიფიქრეს და აღარ გვიშვებდნენ საზღვარზე. მერე გაირკვა, რომ თურმე, მათ ჩვენი უსიმღეროდ გაშვება არ სდომებიათ და, ასე, ჩვენი ბავშვების სიმღერ-სიმღერით გადავლახეთ საბაჟო.






ბულგარეთში ერთ-ერთ ღონისძიებაზე უგემრიელესი ნამცხვრებითა და ტკბილეულით გაგვიმასპინძლდნენ. ჩვენმა პატარებმა დამატებითი ულუფა მოინდომეს, მაგრამ, მასპინძლისგან ცივი უარი მიიღეს. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ უარის „საიდუმლო“ თავის ქნევაში ყოფილა: თავის დაქნევა ჩვენთან თანხმობას ნიშნავს, მათთან კი – უარს და პირიქით. ამიტომ, მასპინძლის ღიმილმა და თავის გაქნევამ პატარები შეცდომაში შეიყვანა. მოკლედ, იმ დღეს ტკბილეული და ნამცხვარი არ მოგკვლებია.

სტუდია „გვირილამ” ფესტივალზე შეიძინა უამრავი მეგობარი და მიიღო ბევრი საინტერესო შემოთავაზება, მათ შორის – ესპანეთში.

***არტ-ფესტივალის პრეზიდენტი და დამფუძვნებელი ვანა პაშკოვა:*** Какие изумительные дети из Грузии, ასე იხსენიებდა ჩვენს პატარებს ქ-ნი ვანა, რომელმაც საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალზე, გალა კონცერტზე, როგორც გამარჯვებულებს, ყველაზე მეტი საკონცერტო დრო ჩვენს პატარებს დაუთმო.

ფესტივალზე გამარჯვების პარალელურად, „გვირილამ” გადაიღო რამდენიმე საინტერესო კლიპი, რომელთა პრეზენტაცია სულ მალე – სექტემბერში, თბილისში გაიმართება.

**ნუგზარ კვაშალი** *(მომღერალი):* ბავშვები სტუდიის 20 წლის იუბილეზე კარგი საჩუქრით დაბრუნდნენ ბულგარეთიდან. ვულოცავ სტუდია „გვირილას” გრანპრის მოპოვებას საერთაშორისო ფესტივალზე! ისინი გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით და მათთან შემოქმედებითი ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

***რაც შეეხება მომავლის გეგმებს სტუდია „გვირილა” უკვე ემზადება მონაწილეობის მისაღებად ხოზის საერთაშორისო ფესტივალში „სიმღერა სამეგრელოზე”, რომელიც სექტემბერში ჩატარდება.***




## ქეთი ორჯონიკიძისა და თათა მეტივიშვილის „ფოტოგრამმეტრია“




15 ოქტომბერს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, ხელოვნების სასახლეში გაიმართა ქეთი ორჯონიკიძისა და თათა მეტივიშვილის ნამუშევრების ფოტოგამოფენა, სახელწოდებით – „ფოტოგრამმეტრია“, მომღერალი სულ სხვა ამპლუაში წარსდგა ხალხის წინაშე: მან თათასთან ერთად ორი თვის განმავლობაში გამოფენისთვის შექმნა ფოტოსურათები და თაბაშირის ქანდაკებები. მნახველმა ორი ნიჭიერი მეგობრის სულ ოცამდე ნამუშევარი იხილა, რომლებიც ოთხ თემად იყო დაყოფილი: 1. სპორტი და ხელოვნება; 2. საგნები დროსა და სივრცეში; 3. სხეულის ნაწილები და 4. აბსტრაქცია. გამოფენას ცნობილი სტუმრები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ქეთისა და თათას ტანდემმა ყველა მნახველი მოხიბლა. ორი ნიჭიერი ადამიანი არ აპირებს ამაზე გაჩერებას და კიდევ ბევრ სიურპრიზს გვპირდება. ხოლო მათ, ვისაც სურთ ქეთისა და თათას „ფოტოგრამმეტრიის“ ნახვა, შეუძლიათ, მიბრძანდნენ ხელოვნების სასახლეში, სადაც ნამუშევრები კიდევ ერთი კვირის განმავლობაში იქნება გამოფენილი.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**ისტორიაში არიან ისეთი პიროვნებები, რომლებმაც ძალიან დიდი როლი ითამაშეს არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონის ისტორიაში. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ თეოდორა კომნენი, რომლესაც სისხლით ნათესაობა აკავშირებდა საქართველოს სამეფო გვართან. მისმა მამამ კალო (ლამაზი) იოანემ, საქართველოში ჰპოვა თავშესაფარი. აქ მან იქორწინა გიორგი მერვეს დაზე. სწორედ გიორგი მერვეს, ამ ქართველი მეფის დახმარებით იოანემ მამამისი ტახტიდან ჩამოაგდო და ტრაპიზონის სამეფოს დაეპატრონა. კალო იოანესა და მისი ქართველი მეუღლის ქორწინების შედეგად მოევლინა ქვეყანას კატერინა, იგივე თეოდორა, მუსლიმურ სამყაროში დესპინად ცნობილი. ჩვენი რესპონდენტი ისტორიკოსი, პროფესორი მირიან მახარაძე, სწორედ ამ ქალბატონის შესახებ გვიამბობს.**

# რა ნათესაური კავშირი ჰქონდა თეთრბატკნიანთა მბრძანებლის უსაყვარლეს მეუღლე თეოდორა კომნენს ქართველებთან

დედით ქართველი თეოდორას სილამაზე არამარტო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, არამედ მთელ იმჟამინდელ მსოფლიოში იყო ცნობილი. ისეთი დიდი დამპყრობელი, როგორიც თეთრბატკნიანთა მბრძანებელი უზუნ ჰასანი იყო, ტრაპიზონის პოლიტიკის დამცველედაც კი მოგვევლინა, იმ პირობით, რომ ამის შემდეგ მას თეოდორას მიათხოვებდნენ. თავის მხრივ, თეოდორა ძალიან ჭოჭმანობდა ამ ქორწინებაზე თანხმობის განცხადებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქორწილო მოლაპარაკება 2 წელს გაგრძელდა. 1456 წელს, გარდაიცვალა კალო იოანე და თეოდორა გაათხოვა მისმა ბიძამ – ტრაპიზონის უკანასკნელმა იმპერატორმა დავითმა.

თეოდორას ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ქორწინების შემთხვევაში, ის რჯულს არ შეიცვლიდა. უფრო მეტიც, მან გათხოვების შემდეგ, არათუ რჯული შეიცვალა, არამედ ამ ვეებერთელა მუსლიმურ სახელმწიფოში 5 ათასამდე ქრისტიანი მრევლი წაიყვანა. ეს, ერთი შეხედვით, ეპოქისთვის წარმოუდგენელი რამ იყო. თეოდორას სიყვარულით გაოგნებულმა უზუნ ჰასანმა, რომელიც ყოველთვის ისლამის დროშის ქვეშ იბრძოდა, თავის სახელმწიფოში ეკლესიების მშენებლობა დაიწყო. დღესაც გვხვდება დიარბაქირის ტერიტორიაზე უზუნ ჰასანისა და თეოდორას მიერ აგებული ეკლესიები. ცნობილია ისიც, რომ თეოდორა, არა მარტო რჯულზე, არამედ თავის სამშობლოზეც ზრუნავდა. 1461 წელს თურქებმა დაიპყრეს ტრაპიზონის სამეფო და მთელი კომნენოსთა გვარი ადრიანოპოლში გადაასახლეს. ორი წლის შემდეგ თეოდორას მითითებით, თეთრბატკნიანებმა და ვენეციის სავაჭრო სახელმწიფომ კავშირი დადეს ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისთვის. სწორედ ამის გამო, თეოდორამ წერილი მისწერა თავის ბიძას, დავითს, რომ მას მალულად თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში მისი რომელიმე შვილი, ან ძმისშვილი – ალექსი გამოეგზავნა. ამით თეოდორა ფიქრობდა, რომ თუ თეთრბატკნიანები ოსმალებს დაამარცხებდნენ, ის ტრაპიზონის სამეფოს აღადგენდა და მასთან გაზრდილ კომნენოსს კვლავ ამ სამეფოს სათავეში მოიყვანდა. მას უნდოდა, ტრაპიზონი კვლავ დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ქვეყანა გამხდარიყო, ანუ დამოკიდებული არც ოსმალებსა და არც თეთრბატკნიანებზე არ ყოფილიყო. შესაძლებელია, იგი ფიქრობდა, რომ სიბერე ისევ თავის ქვეყანაში გაეტარებინა და თავის სამშობლოში დამარხულიყო. თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა.



**თეოდორას სიყვარულით გაოგნებულმა უზუნ ჰასანმა, რომელიც ყოველთვის ისლამის დროშის ქვეშ იბრძოდა, თავის სახელმწიფოში ეკლესიების მშენებლობა დაიწყო**

კერძოდ, მოღალატეები მეთხუთმეტე საუკუნეშიც მრავლად არსებობდნენ. იმპერატორ დავითის პირადმა ხელქვეითმა წერილის არსებობის შესახებ ოსმალეთის სულთანს, მეჰმედ მეორეს შეატყობინა. განრისხებულმა სულთანმა კომნენოსთა გვარის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. ის იმდენად იყო შეურაცხყოფილი, რომ მათი განადგურების შემდეგ მიცვალებულთა დამარხვაც კი აკრძალა. დავითის მეუღლემ, დედოფალმა ანამ უპატრონოდ მიგდებული მეუღლისა და შვილების საფლავი საკუთარი ხელით გათხარა და ისე დამარხა ისინი. ამისთვის კი ის სულთანმა ფინანსურად დააჯარიმა. გასაცოდავებულ და სასოწარკვეთილ დედოფალს გამოსასყიდი დატყვევებულმა მრევლმა შეუგროვა ამ ჯარიმის დასაფარავად.

ამ ინცინდენტის შემდეგ კომნენოსთა გვარიდან გადარჩა ორად-ორი კომნენი ქალ-ვაჟი. ქალი გადაარჩინა იმან, რომ ამ საბედისწერო დღემდე უკვე გათხოვილი იყო რუმელიის ბეგლარბეგზე. რაც შეეხება ვაჟს, ის თავისმა მცირეწლოვნობამ გადაარჩინა. ის სულთნის ბრძანებით ჩარიცხეს იანიჩართა კორპუსში, რჯული შეუცვალეს და ნამდვილ ოსმალო მეომრად ზრდიდნენ. თუმცა, ამ პატარა ბიჭმა მოახერხა თავის მამიდასთან, თეოდორასთან გაქცევა. იქ მან კვლავ ქრისტიანობა მიიღო. რამდენიმე წელში თეოდორას რჩევით ის საქართველოში წამოვიდა, სადაც გურიელის ქალზე იქორწინა და აქ დამკვიდრდა. ამის შემდეგ ცნობები ამ კომნენოსის შესახებ წყდება. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1473 წელს თერჯანის ბრძოლაში, სადაც ერთმანეთს თეთრბატკნიანები და ოსმალები დაუპირისპირდნენ, ქართული რაზმით იბრძოდა ვინმე ბერძენი, მუსლიმებს შორის „ურჯულო ისაკად" მოხსენიებული. ის ამ ბრძოლაში დაიღუპა. მე შესაძლებლად მიმაჩინა, რომ ურჯულო ისაკი სწორედ ის მცირეწლოვანი კომნენოსია.

რაც შეეხება თეოდორას, მის შესახებ სხვა ცნობებიც მოიპოვება. მაგალითად: თეოდორამ ერთგვარად დააკავშირა ტრაპიზონის, თეთრბატკნიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს ურთიერთობები. ის იყო ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ანტიოსმალური კოალიციისა, სადაც ქართველები ტრაპიზონელები და თეთრბატკნიანები ერთად იყვნენ გაერთიანებულები ოსმალთა წინააღმდეგ. თეოდორამ არა მარტო თეთრბატკნიანებთან დააკავშირა ქართველები, არამედ ცნობილ ვენეციელთა გვართანაც. ეს არის ცნობილი ვენეციელი მთავრების, კრესპოს გვარი. სწორედ თეოდორას იმედი ჰქონდათ ქრისტიან ვენეციელებს, რომ ის აიძულებდა თავის ქმარს ოსმალების წინააღმდეგ ომი დაეწყო.

## სულთანმა კომნენოსთა გვარის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. ის იმდენად იყო შეურაცხყოფილი, რომ მათი განადგურების შემდეგ მიცვალებულთა დამარხვაც კი აკრძალა

თეოდორა აქტიურად ებმებოდა სახელმწიფო საქმეებშიც. ფაქტობრივად, ის ერთპიროვნული მმართველი იყო თეთრბატკნიანთა სახელმწიფოსი, როდესაც უზუნ ჰასანი სალაშქროდ მიდიოდა. მან თავად მისწერა სამცხის ათაბაგს, ყვარყვარე მეორეს წერილი, რომ ოსმალების წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო. ცნობილია, ისიც, რომ ყვარყვარეს უარის შემდეგ, თეოდორას დაჟინებული მოთხოვნით, უზუნ ჰასანმა სამცხეში სადამსჯელო ოპერაცია განახორციელა.

თეოდორას ეკუთვნის იმ ეპოქისთვის კიდევ ერთი თამამი საქციელიც. კერძოდ, 1471 წელს ქმარზე გაბრაზებული დედოფალი თეოდორა უზუნ ჰასანს გაეყარა.

ასეთი ფაქტები თითზე ჩამოსათვლელია და აღსანიშნავია, რომ ასეთივე საქციელი თავის დროზე კონიის სელჩუკთა სახელმწიფოს დედოფალმა, თამარ მეფის შვილიშვილმა, – გურჯი ხათუნმაც ჩაიდინა. როგორც ცნობილია, ამის შემდეგ გურჯი ხათუნი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შეურიგდა ქმარს. ალბათ, გაინტერესებთ, თუ როგორ მოიქცა თეოდორა... თეოდორასაც იგივე ბედი ელოდა. ერთ წელიწადში ქმარს შეურიგდა და 1478 წლამდე (უზუნ ჰასანის გარდაცვალებამდე) შაჰის უსაყვარლეს მეუღლედ ითვლებოდა. უზუნ ჰასანის სიკვდილის შემდეგ კი მისი ცხოვრება შეიცვალა.

საქმე ისაა, რომ თეოდორა არ ყოფილა უზუნ ჰასანის პირველი მეუღლე, ამიტომ კანონიერად ტახტი უზუნ ჰასანის პირველი მეუღლის შვილს, იაყუბს ეკუთვნოდა. ამის მიუხედავად, თეოდორამ იმდენი მოახერხა, რომ თავისი შვილი გაამეფა. თუმცა, ამ უკანასკნელის მეფობამ მხოლოდ ერთი დღე გასტანა.

ნახევარძმებმა მას შეთქმულება მოუწყვეს და მოკლეს. ამის შემდეგ თეოდორას ცხოვრება აირია. უზუნ ჰასანის პირველი მეუღლის შვილებმა ის აიძულეს, სახელმწიფოს დედაქალაქი დაეტოვებინა და მის მიერვე აგებულ ეკლესიაში მონაზვნად აღკვეცილიყო. ცნობილია, რომ თეოდორა ამავე ეკლესიაში გარდაიცვალა. ის დაასაფლავეს ეკლესიის კარიბჭესთან.

1505 წელს, ერთ-ერთმა ვენეციელმა მოინახულა და აღწერა მისი საფლავი. ეს დიდებული ქალბატონი თურმე, უღირსად ყოფილა დასაფლავებული. მის ქვეშევრდომებს მიწაც კი არ გაუთხრიათ. მიცვალებულისთვის პირდაპირ დაუდიათ ლოდი, რომლის ქვეშიდან თურმე, მისი სამოსელის ფრაგმენტებიც კი ჩანდა. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ თეოდორამ პირდაპირ თუ ირიბად, მაინც იძია შური უზუნ ჰასანის პირველი მეუღლის შვილებზე. მას უზუნ ჰასანთან ვაჟის გარდა ჰყავდა ქალიშვილი – მარტა. მარტა ცოლად გაჰყვა არდებილის მთავარს – შეიხ ჯუნეიდის შვილს, ჰაიდარს. ამ ქორწინების შედეგად დაიბადა ისმაილი, რომელიც არის სეფიანთა ირანის იმპერიის დამაარსებელი. სწორედ ისმაილმა გაანადგურა საბოლოოდ თეთრბატკნიანთა სახელმწიფო და მბრძანებლობა აართვა უზუნ ჰასანის პირველი ცოლის შთამომავლებს. ყოველივე აქედან, აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ისმაილის ჯარში თეთრბატკნიანთა წინააღმდეგ ქართველებიც იბრძოდნენ. ასე, რომ სეფიანთა ირანის იმპერიის შექმნაში არა მხოლოდ ქართულ ჯარს მიუძღვის წვლილი, არამედ, თეოდორას ხაზით, ისმაილ პირველსა და ქართველებს სისხლით ნათესაობაც აკავშირებდათ.

**ეკა სალაღაია**

**ცნობილ პარაფსიქოლოგ დალი ავაგუმაშვილს უამრავი ადამიანი ემადლიერება. დახმარების სათხოვნელად მასთან ხალხი უცხოეთიდანაც ჩამოდის. ლოცვით ის ნამდვილ სასწაულებს ახდენს. ქალბატონ დალისთან ხშირად მიდიან ცნობილი პირები და ბიზნესმენები, რათა მოპოვებული წარმატება შეინარჩუნონ. იგი ეხმარება, ასევე, ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილ, ნევროზით დაავადებულ და ოჯახური პრობლემებით თავმობეზრებულ ადამიანებს.**

# აურის ნეგატიური ენერგიით დაბინძურება იმუნოდეფიციტს იწვევს

**– ქალბატონო დალი, ამ ბოლო დროს გვირეკავენ მკითხველები, რომლებსაც აინტერესებთ, რატომ ვერ მოახერხეთ მათი მიღება?**

– ბოდიშს ვუხდი ყველას, ვისაც დახმარებაზე უარი ვუთხარი. ახლაც მხოლოდ მათ ვიღებ, ვინც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ვმუშაობდი და დრო მჭირდებოდა დახარჯული ენერგიების აღსადგენად.

**– არის შემთხვევები, როცა ადამიანს ორგანული პათოლოგია არ აღენიშნება, მაგრამ ძალიან ცუდად არის, ზოგიერთი ლოგინიდან ვეღარ დგება; სისუსტეს, უენერგიობას უჩივის, ექიმი კი დიაგნოზსაც ვერ სვამს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

– თუ პაციენტს ორგანული დაავადება არ აღენიშნება, ანუ, მისი ფიზიკური სხეული ჯანმრთელია, მაგრამ, თავს ცუდად გრძნობს, მიზეზი აურის დაბინძურებაა.

**– რა აბინძურებს ადამიანის აურას?**

– 2000 წელს მეცნიერებმაც დაადასტურეს აურის არსებობა. აურა, ანუ, ადამიანის ბიოველი, იგივე ელექტრომაგნიტური ველია, რომელიც გარს აკრავს ჩვენს ფიზიკურ სხეულს. აურას, უპირველეს ყოვლისა, თავად ადამიანი აბინძურებს საკუთარი ნეგატიური ემოციებით, შიშით, ფიქრებითა და აზრებით, ანუ – ცოდვებით. გარდა ამისა, ის გარესამყაროდან მიღებული უარყოფითი ინფორმაციითაც ბინძურდება.

**– შიშიც ცოდვაა?**

– ყველაფერი, რაც აურას ნეგატიური ენერგიით აბინძურებს, ცოდვაა. სხვათა შორის, უამრავ ადამიანს ეშინია ცხოვრების, მომავლის, დათრგუნულია, რაც მას ხელს უშლის წინსვლასა და წარმატების მიღწევაში.

**– შეგიძლიათ, დაეხმაროთ მათ, ვისაც ხვალინდელი დღის ეშინია?**

– რა თქმა უნდა! ცხოვრებისეული შიშების მოხსნა ლოცვით ძალიან ეფექტურია და სასურველ შედეგს მოკლე დროში იძლევა – ზოგჯერ 3-4 სეანსიც კი საკმარისია. სხვათა შორის, აურის დაბინძურება ნევროზსაც იწვევს, თუმცა, ამ დროს პაციენტს ნერვული აშლილობა არ აღენიშნება.

**– ესე იგი, ნერვული სისტემა ჯანმრთელი აქვს, მაგრამ ნევროზს აურაში დაგროვილი ნეგატიური ენერგიის ზემოქმედება იწვევს?**

– დიახ, ასეა! აურის დაბინძურებით გამოწვეული ნევროზის მოხსნაშიც არაჩვეულებრივი შედეგები გვაქვს – ლოცვის ძალა მართლაც სასწაულებს ახდენს! უარყოფითი ინფორმაცია, ემოციები, აზრები, ცხოვრებისეული შიშები და სხვა ნეგატიური პროგრამები ადამიანს სასოწარკვეთილებაში აგდებს, რაც ჩვენს ელექტრომაგნიტურ ველს უკიდურესად ასუსტებს – ორგანიზმის გამოსხივება 65-70 სანტიმეტრიდან ზოგჯერ 10-15 სანტიმეტრამდე მცირდება, ეს კი იმუნოდეფიციტს იწვევს. ასეთ დროს ადამიანი სასიცოცხლო ენერგიას კარგავს და, მიუხედავად იმისა, რომ ორგანული პათოლოგია არ აღენიშნება, ანუ, ფიზიკურად ჯანმრთელია, თავს ცუდად გრძნობს, მძიმე მდგომარეობიდან ვერ გამოდის და ექიმი და წამალი ვეღარ შველის. ამგვარ შემთხვევებში, ერთადერთი გამოსავალი აურის ლოცვით გაწმენდაა.

**– ოჯახურ კონფლიქტებს როგორღა აგვარებთ?**

– ცოლ-ქმარსა და ოჯახის დანარჩენ წევრთა შორის კონფლიქტის მიზეზიც ხშირად აურის დაბინძურებაა. ამ შემთხვევაში ეფექტს მხოლოდ ოჯახის ყველა წევრისა და მათი საცხოვრებელი ფართის ლოცვებით გაწმენდა იძლევა. სასურველი შედეგის მისაღწევად მხოლოდ ოჯახის ერთი წევრის სურვილი არ კმარა, კონფლიქტის ამ გზით მოგვარება დანარჩენებსაც უნდა სურდეთ. საერთოდ, პერიოდულად აუცილებელია დაბინძურებული აურის ლოცვებით გაწმენდა, რადგან, დაუდევრობამ, შესაძლოა, მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს – ნეგატიური ენერგიით ბიოველის დასუსტება იმუნოდეფიციტს იწვევს, რაც ზოგჯერ მძიმე დაავადებათა მიზეზი ხდება.

**დალი ავაგუმაშვილის ყოფილი პაციენტები:**

**ელენე გ-შვილი:** ფსიქოლოგიური ტრავმის შემდეგ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ტრაგედიას საკუთარი ძალებით ვერ გავუმკლავდი და ნევროზი დამეწყო.



**– თუ საიდუმლო არ არის, ასეთი რა შეგემთხვათ?**

– ცოლიანი მამაკაცი შემიყვარდა, რომელთანაც წლების განმავლობაში ვცხოვრობდი, მეფიცებოდა, მიყვარხარო, მაგრამ...

**– მიგატოვათ?**

– პირიქით, მე მივატოვე...

**– რატომ?**

– აღმოჩნდა, რომ მატყუებდა. როგორც გაირკვა, ცოლ-შვილი უყვარდა და ოჯახის დანგრევა თავში აზრადაც არ გაუვლია.

**– მაშ, თქვენთან რატომ ცხოვრობდა?**

– გამომიყვენა! ჩემი ფულით ინახავდა თურმე ცოლ-შვილს – აი, რატომ იყო ჩემთან... ამ ტრაგედიამ წონასწორობა დამაკარგვინა, კინაღამ გავგიჟდი. წამლებს მუჭებით ვსვამდი, მაგრამ, არაფერი მეშველა, მხოლოდ ქალბატონი დალის წყალობით დავიბრუნე სიცოცხლის ხალისი, მისი ლოცვის ძალამ განმკურნა, ცხოვრებისკენ შემომაბრუნა, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი ამ ღვთისნიერ ადამიანს. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს გაჭირვებულთა დასახმარებლად!

**გელა ჩ-ძე:** თბილისში ერთ-ერთ წარმატებულ ბიზნესმენად ვითვლებოდი, მაგრამ, მოულოდნელად საქმე ცუდად წამივიდოდა, კინაღამ გავკოტრდი.

**– რა იყო წარუმატებლობის მიზეზი?**

– მიზეზი?.. მართალი გითხრათ, სანამ ქალბატონ დალისთან არ მოვხვდი, ვერ გავაცნობიერე, თუ რატომ განვიცადე მარცხი...

**– როგორ მოხვდით ავაგუმაშვილთან?**

– ახლობლებისგან ვიცოდი, რომ მასთან წარმატებული ბიზნესმენები დადიან საკონსულტაციოდ; ასევე, ცნობილი პიროვნებებიც სთხოვენ დახმარებას და მეც აღარ დავაყოვნე, მაშინვე ვესტუმრე.

**– შედეგით კმაყოფილი ხართ?**

– სიტყვა „კმაყოფილი" ვერ გამოხატავს იმას, რასაც ქალბატონი დალის მიმართ ვგრძნობ. მან ტაძრისკენ მიმავალი გზა დამანახვა, ქველმოქმედება მასწავლა და ფულზე ორიენტირებული ადამიანი ღმერთისკენ შემომაბრუნა. ქალბატონმა დალიმ სტრესული მდგომარეობიდან სულ რაღაც 2 სეანსით გამომიყვანა და წარმატების შენარჩუნების საიდუმლოს მაზიარა.

**– ახლაც გაქვთ ურთიერთობა?**

– მისი რჩევის გარეშე არც ერთ ახალ საქმეს ხელს არ ვკიდებ. თქვენ წარმოიდგინეთ, დავნათესავდით კიდეც – უმცროსი ვაჟიშვილი მოვანათვლინე!..

**ესმა დ-იანი:** 15 წლის წინ წავედი საქართველოდან. მერწმუნეთ, სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდით, მაინც ვერ მიხვდებით, როგორია სამშობლოსგან მოწყვეტა, თუმცა, ყველამ იცის, რომ ემიგრანტის ხვედრი მძიმეა.

**– ქალბატონ დალისთან რისთვის ჩამოხვედით?**

– წლების განმავლობაში სამშობლოსგან შორს ყოფნამ ჯერ ნევროზი დამმართა, მერე კი ღრმა დეპრესიაში ჩამაგდო. ძალიან ცუდად ვიყავი, თავის მოკვლაზეც კი ვფიქრობდი.

**– ექიმთან არ მისულხართ?**

– რა თქმა უნდა, მივედი, მაგრამ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო, ის კი არა, მედიკამენტებით მოვიწამლე და უარესად გავხდი.

**– ვინ გირჩიათ ქალბატონ დალისთან მისვლა?**

– ჩემმა ქალიშვილმა, რომელიც აქ ცხოვრობს და პროფესიით ექიმია. როცა გაიგო, რომ ნერვული აშლილობა არ მაქვს და ცუდად ყოფნის მიზეზი ნოსტალგიაა, მითხრა – სასწრაფოდ ჩამოდი, დალი ავაგუმაშვილთან მიგიყვან, მისი პაციენტი ხარო.

**– ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

– ქალბატონი დალის ლოცვის ძალამ სულიერად გამაძლიერა და დეპრესიიდან გამომიყვანა. ახლა უკვე ვიცი, რატომ არ უნდა ჩავვარდე სასოწარკვეთილებაში, იმედის მნიშვნელობა გავაცნობიერე და ეკლესიური ცხოვრების სურვილი გამიჩნდა. როგორც კი უკან დავბრუნდები, ტაძარში მივალ და მოძღვარს ავიყვან. უღრმეს მადლობას ვუხდი ქალბატონ დალის, რადგან მისი შემწეობით, სულ სხვა თვალით შევხედე ცხოვრებას, ამქვეყნიურ ყოფას.

***P. S.* *გაითვალისწინეთ, ქალბატონი დალი ჩაწერის გარეშე არავის იღებს. მსურველებს შეუძლიათ, დარეკონ ყოველდღე, დილის 8 საათიდან 16 საათამდე (უფრო გვიან ნუ დარეკავთ), კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონები: 599-10-73-06, 599-05-75-00, 790-96-79-00, 593-17-51-17, 551-40-20-80, 2-96-79-00.***

**21 წლის მოცეკვავე რატი გაჩეჩილაძე, ამერიკაში, კერძოდ დალასში, ცნობილ მოცეკვავეებთან – ამერიკის სამგზის ჩემპიონ დასთან, შორენა გაჩეჩილაძესა და სიძესთან, გოჩა ჩერტკოევთან ერთად ცხოვრობდა. თუმცა, ერთი თვის წინ, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. როგორც თავად ამბობს, ის აქ უფრო საჭიროა – გაცილებით ბევრს გააკეთებს და თავის საქმეშიც უფრო მეტს შეძლებს, ვიდრე უცხო მხარეში. თუ როგორი ურთიერთობა აქვს მას ექსტრავაგანტურ სიძესთან, რით იპყრობდა ამერიკელების ყურადღებას და აპირებს თუ არა გოჩა ჩერტკოევი თბილისში, კერძოდ, პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების" მესამე სეზონისთვის ჩამოსვლას, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რატომ არ ჩამოდის გოჩა ჩერტკოევი საქართველოში ცოლთან ერთად და რის მიყიდვას სთხოვენ მას ამერიკელები

**რატი გაჩეჩილაძე**: თბილისში დავიბადე და გავიზარდე. თექვსმეტი წლის რომ გავხდი, გადავწყვიტე ამერიკაში წასვლა და ჩემი დის, სიძის და ჩემზე დიდი დისშვილის ნახვა. მინდოდა მათი გაცნობა. მათ შესახებ ბევრი ვიცოდი, ძალიან წარმატებულები და ცნობილი ადამიანები რომ იყვნენ ამერიკაში. ოჯახში ხშირად საუბრობდნენ მათზე, მაგრამ როცა ჩავედი და პირადად გავიცანი, მივხვდი, რომ მართლა უნდა მეამაყა მათით, ისეთი თბილები, საყვარლები და ულამაზესები არიან.

**– მათ მანამდე არ იცნობდი?**

– არა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა გრძნობაა, როცა იცი და გყავს და მას არ იცნობ. ჩემი დისშვილი ჩემზე სამი წლით უფროსია და ამერიკაში რომ ჩავედი, ჩემს თავს აცნობდა ხალხს, გაიცანით ეს ჩემი ბიძააო ***(იცინის).*** გოჩასთან კი ვმეგობრობ, ცხოვრებისეულ, კარგ რჩევებს მაძლევს. სხვათა შორის, თვე-ნახევრით ჩავედი, მათ გასაცნობად, მერე უკან დავბრუნდი საქართველოში. თუმცა, გადავწყვიტე, აუცილებლად დავბრუნებულიყავი და იქ ჩამებარებინა კოლეჯში. თან, მეც მოცეკვავე ვარ, ხუთი წლიდან ვცეკვავ. შორენა და გოჩა კი, ამერიკის სამგზის ჩემპიონები იყვნენ სამეჯლისო ცეკვებში და ვიფიქრე, მათთან კარგ მასტერკლასს გავივლი-მეთქი. კოლეჯში ბიზნესმენეჯმენტს ვსწავლობდი, თუმცა არ დამიმთავრებია, რადგან ცეკვამ გამიტაცა და ბიზნესს ცეკვა ვამჯობინე. ჩემი დისა და სიძის სტუდია დალასშია. დამიჯერეთ, ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და უამრავი ადამიანი დადის იქ. მაგალითად, ადვოკატები, ექიმები, არამხოლოდ ახალგაზრდები, არამედ, ხანში შესული ადამიანებიც.



**ხომ წარმოგიდგენიათ, რა გრძნობაა, როცა იცი და გყავს და მას არ იცნობ**

**– როგორი პარტნიორია შენი და ცეკვაში და რა რჩევებს გაძლევდა სიძე?**

– შორენა ძალიან მაგარი პარტნიორია, ხოლო, გოჩას შეფასება ჩემთვის მთავარია. სულ ვეკითხებოდი მათ, რამე ხომ არ შემეშალა, რა გამოვასწორო-მეთქი. სხვათა შორის, გოჩა ძალიან მკაცრია, მაგრამ კარგი გადმოცემის უნარი აქვს და ისე შეგაყვარებს ცეკვას, მას ველარ შეეშვები. ამერიკელებს გოჩა ძალიან უყვართ, ქუჩაშიც ულიმიან და მაღალ საზოგადოებაშიც მიღებული პერსონაა.

**ჩემი და და სიძე თავისი „გოჩა ენდ შორენას" პლანეტიდან არიან და იქაურებად ითვლებიან**

**– როდესაც თბილისში ჩამოვიდა, ქუჩაში თავისი ორიგინალური და ექსტრავაგანტური ჩაცმის სტილით იპყრობდა ყურადღებას. საკუთარი სტილისტი ჰყავს თუ თავად ირჩევს სტილს?**

– მართალია, გოჩას ძალიან უყვარს ორიგინალურად და ექსტრავაგანტურად ჩაცმა. მას არც სტილისტი ჰყავს და არც მრჩეველი ჩაცმის კუთხით. ის საკუთარი თავის დიზაინერია. უბრალოდ, რაც მოსწონს იმას იცვამს და უყვარს ყველაფერი განსხვავებული. ხშირად უკითხავს ჩემთვის, ეს მოგწონს? ამით წამოვიდეო და, ყოველთვის გაუთვალისწინებია ჩემი აზრი. შორენაც და გოჩაც, ორივე არაორდინარული ადამიანია, ყურადღებას იქცევენ და ამაში ჩაცმის სტილიც ეხმარებათ. სადმე რომ მივიდოდით, პირველი ამათ უყურებდნენ, აბა, რა აცვიათ დღესო ***(იცინის).*** აქ რომ ჩამოდიან, აშკარად ემჩნევად ჩაცმით, რომ აქაურები არ არიან. იქ რომ არიან, აშკარად ემჩნევათ, რომ არც ამერიკელები არიან ***(იცინის).*** თავისი – „გოჩა ენდ შორენა" პლანეტიდან არიან და იქაურებად ითვლებიან. სასწაული ურთიერთობა აქვს ცოლ-ქმარს, საუკეთესო მეგობრები არიან და თან, ისე უყვართ ერთმანეთი და ისე გამოხატავენ ამას, გეგონება, გუშინ დაქორწინდნენო.

**– გავიგე, გოჩას მანქანების და მოტოციკლების შემდეგ, ახალი ჰობი აქვსო.**

– ჰო, ასე გამოდის, მაგრამ მანქანებისა და მოტოციკლებისგან განსხვავებით, მესამე ჰობი სულიერია ***(იცინის).*** მას ყოველთვის უყვარდა ცხოველები და სახლში სულ ჰყავდა მინიმუმ ორი ძაღლი, მაგრამ ისეთი კავკასიური ნაგაზი ჩამოიყვანა საქართველოდან, მთელი ამერიკა შოკშია. „არგო" დაარქვა და ქუჩაში მასთან ერთად რომ გადის, ყველა მათ უყურებს, ესენი ვინ არიანო ***(იცინის).*** სულ პაწაწუნა ლეკვი იყო „არგო" და ახლა იმხელაა, რომ დაინახოთ, შეგეშინდებათ. თერთმეტი თვისაა, სამოცდაათი კილო, ძალიან მაგარი ვინმეა. გიჟდება გოჩაზე, ისე უყვარს. გოჩა სახლში რომ მოვა, გაქანდება, შეახტება ამხელა მასა და ლოკავს ***(იცინის).*** მეორე ძაღლი კანადური ნაგაზია, რომელსაც ჰქვია „ერიკისი", მესამე კი იტალიური ჯიშია –სახელად „რუმბა". სამივეს გოჩა უვლის, ყველგან დაჰყავს და სამივე მასზე აფანატებს. ხუმრობს ხოლმე, ესენი ჩემი შვილობილები არიანო ***(იცინის).*** სხვათა შორის, „არგო" ერთადერთი კავკასიური ნაგაზია, რომელიც ამერიკაშია. რომ ვასეირნებდი, ყველა მაჩერებდა და მეკითხებოდა, რა ჯიშია, საიდან გყავთ, იქნებ მოგვყიდოო. გოჩას რომ ეუბნებიან, მოგვყიდეო, ამაზე გიჟდება და ბრაზობს. „არგო" მისთვის შეუფასებელია.

**– ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზე, პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების" მესამე სეზონი იწყება. თუ აპირებს ამ სეზონზე გოჩა თბილისში ჩამოსვლას და ჟიურის წევრობას?**

– მოლაპარაკებები მიდის და მგონი ოქტომბერში ჩამოვა. ზუსტად თავადაც არ იცის. ჯერ ფიქრობს. არ არის გამორიცხული, ბოლო წუთს შეიცვალოს აზრი და უარი თქვას. თუმცა, ძალიან მოსწონს ეს პროექტი და ამბობს, ქართველები ძალიან ნიჭიერები, მოქნილები და ელასტიკურები არიან, უბრალოდ, მასტერკლასები აკლიათო. ჩემი აზრით, გოჩა აუცილებლად ჩამოვა საქართველოში.

**– ამბობენ, გოჩა ცოტა ჯიუტიაო. ასეა?**

– კი, გოჩა ჯიუტია და პრინციპულიც. თუმცა, კარგი ხასიათისაა. აი, როცა ბრაზდება, მაშინ უნდა მოერიდო ***(იცინის).*** ამ დროს მარტო უნდა დატოვო და გაერიდო. მარტო შორენაა მისი დამამშვიდებელი. თუმცა, საქართველოში რომ ჩამოვიდეს, ცოლი ვერ ჩამოჰყვება. ისეთი ბიზნესი აქვთ, რომელიმე უნდა დარჩეს იქ, რომ უხელმძღვანელოს.

**– თავად რატომ მიატოვე ამერიკა და დაბრუნდი საქართველოში?**



**გოჩა და შორენა აქ რომ ჩამოდიან, აშკარად ემჩნევათ ჩაცმით, რომ აქაურები არ არიან. იქ რომ არიან, აშკარად ემჩნევათ, რომ არც ამერიკელები არიან**

– იქ ძალიან კარგად ვიყავი, არც სითბო მაკლდა, არც ოჯახური იდილია, ჩემი და და სიძე ყველანაირ პირობას მიქმნიდნენ თავი რომ კარგად მეგრძნო, მაგრამ მამის, დედისა და ძმის გვერდით, სამშობლოში გაცილებით მშვიდად ვარ. თანაც, იქ მეწყვილე ვერ ვნახე ცეკვაში.

**– რატომ ვერ ნახე მეწყვილე?**

– უბრალოდ, დალასში ჩემი ასაკის შესაფერისი მეწყვილე არ იყო, სხვა ქალაქიდან ჩამოსვლა კი ძნელია. ეს გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. აქ კი, სამუდამოდ ჩამოვედი, თავს ბედნიერად ვგრძნობ, მეწყვილეც ვიპოვე და ცეკვაც მიადვილდება ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

**ახალგაზრდა, თუმცა უკვე საკმაოდ გამოცდილი ძიუდოისტი, ვარლამ ლიპარტელიანი ნაკრებთან ერთად რამდენიმე დღის წინ თბილისში დაბრუნდა. ინდივიდუალურ შეჯიბრში ვარლამი ფინალში კუბელ მეტოქესთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. თუმცა, ის უამრავი ტიტულისა და პრესტიჟული ჯილდოს მფლობელია. ვარლამის მეუღლე „ერისიონის" ხელმძღვანელის, ჯემალ ჭკუასელის შვილიშვილი – გიული ჭკუასელია, ცოლ-ქმარი სულ მალე ვაჟს ელოდება.**

# რატომ წამოდგა ფეხზე ვლადიმირ პუტინი საქართველოს ჰიმნზე და როგორ გახდა ვარლამ ლიპარტელიანი ევროპის ჩემპიონი

**ვარლამ ლიპარტელიანი**: ზოგადად ჩემთვის, როგორც სპორტსმენისთვის, ეს ჩემპიონატი ძალიან მნიშვნელოვანია კარიერისთვის. ოჯახში პატარას მოლოდინი გვაქვს და ამაზე უფრო ვიყავი ორიენტირებული, თუმცა მეუღლე ყველანაირად ხელს მიწყობდა, რომ წარმატებისთვის მიმეღწია. დიდი ხნით მოწყვეტილი ვიყავი ოჯახს – სულ შეკრებებზე ვიყავი თურქეთში, კორეაში, ყვარელში – ვარჯიშები... მეუღლესთან სატელეფონო კონტაქტი მქონდა, მთელი წელი უცხოეთში ვიყავი. მეუღლე ორსულადაა და ამის გამო ვერ ახერხებდა ჩემთან ერთად სიარულს, თორემ შეყვარებულობის პერიოდში სულ თან დამყავდა ხოლმე.

**– ალბათ, ფიზიკური დატვირთვა დიდი გქონდა...**

– ძალიან, დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი, სხვა არაფრის დრო არ მქონდა ფიზიკურად. თან, ვნერვიულობდი, თუმცა, ზედმეტად არა – მაინც, გამოცდილი სპორტსმენი ვარ და არ ვღელავ, არც რამე განსაკუთრებული რიტუალი მაქვს ტატამზე გასვლის წინ ***(იცინის).*** განსაკუთრებული ცრურწმენებით არ გამოვირჩევი – უბრალოდ, საკუთარ თავს ველაპარაკები და ვამხნევებ, მუსიკას ვუსმენ. ლოდინს ვერ ვიტან, უფრო დაძაბულობის მომენტია ***(იცინის).*** თან, ისიც ძალიან დაგვეხმარა, რომ მწვრთნელები ძალიან მკაცრები არ არიან, უფრო ახლო მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს, თორემ, ზედმეტ ფსიქოლოგიურ წნეხს ზოგი სპორტსმენი ვერ უძლებს. გუნდიც ძალიან შეკრულია, ერთადერთი შავი ლაქა ისაა, რომ ადრე გაუგებრობა მოხდა და მეტი არაფერი.

**ვარლამი: „საიდან ვიყავით, ვერ ხვდებოდნენ, გვეკითხებოდნენ, რუსულად ლაპარაკობთო? „გუგლში" ეძებდნენ ავიაკომპანიის თანამშრომლები, სად იყო საქართველო"**

**– ნაკრების ბიჭებიდან ვინმესთან განსაკუთრებით თუ მეგობრობ?**

– ყველასთან, მაგრამ ყველაზე ახლოს ავთანდილ ჭრიკიშვილთან ვარ, ჩემი მეჯვარე და ბავშვობის მეგობარია, ათი წლიდან ვიცნობ. ოთახში თითქმის სულ ერთად ვართ ხოლმე ***(იცინის).***

**– რიოში რა ხდებოდა?**

– რიოში თორმეტი დღით ადრე წავედით, რომ აკლიმატიზაცია გაგვევლო და იქაურ საჭმელს შევჩვეოდით. ძალიან კარგ პირობებში ვცხოვრობდით. ქალაქის დასათვალიერებლად ვიყავით, ქრისტეს ქანდაკების სანახავად ავედით – ახლოდან კიდევ უფრო საოცარია. თუმცა, საშინლად ძნელი ასასვლელი და მისადგომი აქვს. პირველად 2010 წელს ვიყავი რიოში – ტოკიო და რიო ჩემი ოცნების ქალაქები იყო და ორივეგან ვიყავი. ბრაზილიელები ძალიან სპორტული და ხალისიანი ხალხია. თუმცა, რომ ვეუბნებოდი, საიდან ვიყავით, ვერ ხვდებოდნენ, გვეკითხებოდნენ, რუსულად ლაპარაკობთო ***(იცინის).*** „გუგლში" ეძებდნენ ავიაკომპანიის თანამშრომლები, სად იყო საქართველო. 2008-ში ვიყავით ტოკიოში გუნდურ ჩემპიონატზე, სადაც ჩემპიონები გავხდით და 2010-ში რიოში გრანდსლემზე – მესამე ადგილი ავიღე.



**ვარლამი: „ეს უფრო ბუზღუნა და წუწუნაა. ეხვეწებოდნენ, ჩემპიონატს არ უყუროო. ეშინოდათ, ნერვიულობის გამო მშობიარობა ადრე არ დაწყებოდა"**

**– ამ ჩემპიონატზე რიოში ვისთან მოგიწია შეხვედრა?**

– რიოში თავიდან ცოტა უიღბლოდ დავიწყეთ – ოლიმპიური ჩემპიონი, შავდათუაშვილიც ვერ იყო ფორმაში, არ გაუმართლა რეხვიაშვილს და ტატალაშვილს... შემდეგ დღეს ჭრიკიშვილის ჯერი იყო. იმ საღამოს ოთახში ფედერაციის პრეზიდენტი, დავით ქევხიშვილი ძალიან გულდაწყვეტილი შემოვიდა,. ვუთხარი, ნუ გეშინიათ, აუცილებლად ჩვენ გავიმარჯვებთ-მეთქი. სამწუხაროდ, ჭრიკიშვილმა მეორე ადგილი აიღო ინდივიდუალურში. ზუსტად ეგრე მოხდა საფრანგეთის გრანდსლემზე, აქაც იმავე სპორტსმენს შევხვდი ფინალში, ვინც საფრანგეთის გრანდსლემზე დავამარცხე ფინალში – რთული და უხერხული მეტოქეა ეშლი გონსალესი. გამორჩეული სპორტსმენია 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. სამწუხაროდ, ფინალში დავმარცხდი, მაგრამ ყველაფერი წინაა ***(იცინის).***

**– შენი ტიტულების შესახებ გვითხარი, თუ შეიძლება.**

– 2007 წელს მოვიგე ახალგაზრდული ჩემპიონატი პრაღაში, 2008 წელს – ევროპის ჩემპიონატი პოლონეთში, შემდეგ 2008-ში ტოკიოში სამივე შეხვედრა მოვიგე და მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში, წესით, პირველი ირაკლი ცირეკიძე იყო, მაგრამ ვერ მოახერხა წონის დაკლება და ამიტომ მე გავედი ტატამზე. 2008-ში ტაილანდში ავიღე პირველი ადგილი, 2009-ში თბილისში იყო ევროპის ჩემპიონატი და, სამწუხაროდ, ფინალში დავმარცხდი – ძალიან მწარედ მახსენდება. როგორია ქართველისთვის სპორტის სასახლეში ფინალში წაგება. ძალიან ბევრი ტურნირი მაქვს მოგებული, 2012 წელს მომავალ მეუღლესთან ერთად ვიყავი ჩელიაბინსკის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ფინალში რუს მეტოქეს მოვუგე.

**– არაობიექტური მსაჯობა არ იყო?**

– არა, სხვათა შორის, არც მიმიცია მაგის საშუალება არანაირად.

**– პუტინი არ იყო მოსული?**

– არ მახსოვს, მაგრამ 2008 წლის მოსკოვის ტურნირს ესწრებოდა, ოლიმპიადის ამბები წყდებოდა. სამწუხაროდ, გული დავწყვიტეთ რუსებს ***(იცინის).*** საქართველოს ჰიმნზე პუტინი ფეხზე წამოდგა და ისე უსმენდა.

**– გიული, შენ როგორ ეგუები მეუღლის პროფესიას, რეჟიმს...**

**გიული ჭკუასელი**: ძალიან რთულია, მაგრამ რა უფლება მაქვს, რომ ყველანაირად მხარში არ ამოვუდგე, მით უმეტეს, რომ ასეთი წარმატებულია. კი მიჭირს, ხშირად ვწუწუნებ კიდეც...

**ვარლამი**: აქედანაც ცრემლით და ტირილით მაცილებს. მეხვეწება, იქნებ, ერთი თვით გადადო წასვლაო ***(იცინიან).*** ყოფილა ისე, რომ თვენახევარიც წავსულვარ, ორი-სამი კვირა...

**– რამეს არ გაბარებს გიული, უცხოეთიდან რომ ჩამოუტანო?**

– არა, არასოდეს. ვეხვეწები, დამაბარე-მეთქი, მაგრამ ჩემს გემოვნებას ენდობა. სხვათა შორის, პრეტენზიული ორსული არაა, შუაღამეზე არ გაუღვიძია და არ უთხოვია, ეს მომიტანეო. უბრალოდ, ხშირად შივდება ხოლმე.

**– ხშირად კამათობთ?**

– კი. ეს უფრო ბუზღუნა და წუწუნაა. ეხვეწებოდნენ, ჩემპიონატს არ უყუროო, ეშინოდათ, ნერვიულობის გამო მშობიარობა ადრე არ დაწყებოდა.

**– ვარლამ, აპირებ, მეუღლის მშობიარობას დაესწრო?**

– არა, არ მინდა. ორივეს ასე გვირჩევნია – სულ მეშინოდა რიოში, ჩემი აქ ყოფნის პერიოდში არ გააჩინოს-მეთქი.

**– ლირიკული გადახვევა მინდა გავაკეთო. ერთმანეთი როგორ გაიცანით და რამდენი წელი იყავით შეყვარებულები?**

– კლასელები ვიყავით, მეხუთე კლასიდან შეყვარებული ვარ ამ ადამიანზე. თუმცა, გოგოების ამბავი ხომ იცი, თავს იფასებდა. სადღაც მეშვიდე-მერვე კლასში მესიჯით სიყვარული ავუხსენი და ძალიან გამიბრაზდა: ქუჩაში თუ დამინახავ, გზის მეორე მხარეს გადადი. ეგ როგორ გამიბედეო ***(იცინიან)*** – გასვანდა რა. 2012 წელს ბედი სამუდამოდ დავუკავშირეთ ერთმანეთს – ხანმოკლე და ინტენსიური შეყვარებულობის პერიოდი გვქონდა.

**გიული**: ყველაფრით მანებივრებდა – ვარდებით, სუნამოებით, საჩუქრებით, ფოიერვერკით... მე კიდევ სულ ვეჩხუბებოდი და ვებუზღუნებოდი. სახლში ყველა მეუბნებოდა, ძალიან კარგი ბიჭიაო. მარტო ბაბუაჩემი ჯემალი მიჭერდა მხარს: თავი დაანებეთ ამ ბავშვს, არ უნდა და ძალააო? არ იცნობდა მაშინ ვარლამს. რომ შეხვდა და გაიცნო, სახლში დაბრუნდა და მითხრა: სულელი ხარ შენ, ბაბუო. შენც, ბაბუ-მეთქი, – ვუპასუხე ***(იცინის).*** ერთადერთი მხარდამჭერი მყავდა და ეგეც დავკარგე ***(იცინიან).***

**– ქორწილში თუ იცეკვა სიძემ?**

– აბა, რა! ისე კარგად იცეკვა, გაოცებული დარჩა ყველა. მე ბავშვობიდან ვცეკვავდი „ერისიონში" და ვმღერი კიდეც. ლიპოს მეგობრებმა (ლიპოს ვეძახით) ძიუდოისტებმა, ჩვენს ქორწილში „ყარაჩოხლური" იცეკვეს ფორმებით. არ დაეზარათ და ერთი თვე დადიოდნენ სამეცადინოდ „ერისიონში" – ჭრიკიშვილი, ბაინდურაშვილი, ქარდავა, რეხვიაშვილი და მსხალაძე ცეკვავდნენ.

**– გათამამებდნენ? გიული, შენ ხომ ჯემალ ჭკუასელის შვილიშვილი ხარ.**

– პირიქით, სულ მეუბნებოდნენ, რომ ჭკუასელებს მეტი მოეთხოვებათო. სულ თავმდაბლობისკენ მომიწოდებდნენ. ბაბუს გურული ხასიათი აქვს, ფიცხია. მე – ნაკლებად. სულ მაგონებდნენ, განსაკუთრებული არაფერი ვართო. ჩემი და ახლაც „ერისიონში" ცეკვავს და ორმაგად სთხოვს.

**ვარლამი**: არა, გათამამებული ბავშვი კი არის, ისე ***(იცინის).***

**– გიული, ვისი სახელი გქვია?**

**გიული**: ბებიას ჰქვია გიული.

**ვარლამი**: მე ბაბუაჩემის სახელი მქვია, მაგრამ ყველა ვალერის ან „ლიპოს" მეძახის. დაგვჩაგრეს სახელებში ***(იცინის).***

**ქეთი დიდებულიძე**

# ბრძნული აზრები

**უაილდი**: ზნეობა ყოველთვის უკანასკნელი თავშესაფარია იმ ადამიანთათვის, რომელთაც მშვენიერებისა არა გაეგებათ რა.

**ფრიში**: ძლიერი ადამიანების უზნეობა მეტწილად სხვა არაფერია, თუ არა ლტოლვა სხვა, უფრო ცხოველმყოფელი ზნეობისკენ.

**კრაუსი**: სქესობრივი ცხოვრების ზნეობა არის სპარსეთის მეფის მიერ გაცემული ცნობა, რომ მან ბორკილები დაადო ალელვებულ ზღვას.

**საფირი**: იმდენად ნაკლებულობა არ გვიძნელებს ცხოვრებას, რამდენადაც გარდამეტება და გადაჭარბება.

**სენეკა**: თუ ადამიანს სურს, თავისუფლება მოიპოვოს, სამართლიანი უნდა იყოს.

**მონტესკიე**: თავისუფლება იმის უფლებაა, რომ ყველაფერი გააკეთო, რის ნებასაც კანონი გაძლევს.

***

საზოგადოება არის ადამიანთა გაერთიანება და არა თვით ადამიანები.

**ჰიუგო**: მშვიდობა ცივილიზაციის სიკეთეა, ომი კი – მისი დანაშაული.

**ჰაბარდი**: ოპტიმიზმი არის ინტელექტის გასუქება.

**მარკუზე**: ახლა ყველაზე მოდაშია პესიმისტური ოპტიმიზმი: ყველაფერი კი იკურნება, მაგრამ, განკურნებული არაფერი გვინახავს.

**ნათანი**: ოპტიმისტი ის არის, ვისაც სჯერა, რომ ოთახის ბუზი გარეთ გასასვლელ გზებს ეძებს.

**ვერო**: ამინისტია არის აქტი, რომლითაც მბრძანებლები სხვა ადამიანებს ისეთ უსამართლობას აპატიებენ, რომელიც მათ თვითონ ყველაზე ხშირად ჩაუდენიათ.

**კამიუ**: პატივი – უსამართლოთა სათნოებაა.

**შერიდანი**: პატივმოყვარეობა ყველაზე ძლიერი ვნებაა. ღმერთო, მიხსენი ამ ვნებისგან, სხვებისგან კი მე თვითონ ვიხსნი თავს.

**როლანი**: პატიოსნება სათნოებაა, თუ მაშინაც პატიოსანი ხარ, როცა თვალყურს არ გადევნებენ.

**მანი**: მაინც რა არის ღვთისმოშიშობა? – ფიქრი სიკვდილზე.

**თალესი**: ყველაზე ძნელია საკუთარი თავის შეცნობა, ყველაზე ადვილი – სხვებისთვის რჩევის მიცემა.

**ნიცშე**: ყოველგვარი რწმენა არის ჭეშმარიტად მიჩნევა.

**ჰესე**: რწმენა მინდობაა და არა ცოდნის სურვილი.

**იბსენი**: საზოგადოება არის კაცობრიობა სამსახურის დამთავრებასა და დაძინებას შორის.

**პლატონი**: როდესაც სათნოებას ფასი ეკარგება, ოქროს მაზანდა ემატება.

**შლეგელი**: სათნოება ენერგიად ქცეული გონიერებაა.

**როულენდი**: მამაკაცები იმას ლაპარაკობენ ქალებზე, რაც თავად სურთ; ქალები კი იმას უკეთებენ მამაკაცებს, რაც თავად სურთ.

**გოეთე**: მიეცით ქალს საყრდენი წერტილი და მისგან დედამიწას შექმნი.

# თუ გამოიცნობთ

1. ძველი რომაელები თავის საქმიან ჩანაწერებს ცვილის ფირფიტებზე წერდნენ, რომლებსაც ორ ან სამ წიგნად კრავდნენ. **რა ერქვათ მათ?**

2. გასული საუკუნის 20-იან წლებში ამერიკელმა დიზაინერმა გამოიგონა სუნამოს ფლაკონი, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „მშრალი კანონის" პერიოდში. **რა ფორმის იყო ის ფლაკონი?**

3. სიტყვა „ბანკი", როგორც ცნობილია, წარმოიშვა იტალიური სიტყვიდან – „ბანკა", რაც „მაგიდას" ნიშნავს, რომელზეც შუა საუკუნეებში იტალიელი გადამცვლელები თავიანთ მონეტებს აწყობდნენ. თუ რომელიმე მათგანი ვინმეს ნდობით ისარგებლებდა და ბოროტად გამოიყენებდა, მას მაგიდას უმტვრევდნენ. **რა ტერმინი წარმოიშვა ამ მოქმედებით?**

4. ხალხზე მზრუნველი ლენინი ამბობდა, რომ „მისი კვალი ნაკლებად განვითარებულ ხალხში დღესაც შეინიშნება"... არაოფიციალურად, ზოგან დღესაც შეინიშნება, ოფიციალურად კი ეთიოპია მას მხოლოდ 1942 წელს გამოემშვიდობა, საუდის არაბეთი კი – 1962 წელს. **რას?**

5. იდეა მაქსიმ გორკის ეკუთვნოდა, მიხაილ ლაზინსკიმ კი განახორციელა და 1939-იდან 1942 წლამდე, ალყაში მყოფ ლენინგრადში უკვე ტრიალებდა „ჯოჯოხეთი", 1944 წელს ბლოკადამოხსნილ ქალაქში ალაპარაკდნენ „განსაწმენდელზე", ხოლო გამარჯვების 1945 წელს მთელმა საბჭოთა კავშირმა შეიგრძნო „სამოთხის" სრული მშვენიერება. **რით?**

6. როდესაც ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა მაყურებელთა წინაშე წარმოადგინა ოპერა „მოტაცება სერალიადან", პრემიერას დიდი წარმატება ხვდა, მხოლოდ იმპერატორ იოსიფ მეორეს არ მოეწონა, მან მუსიკას უწოდა „ზედმეტად კარგი ჩვენი ყურებისთვის", რადგან, მისი აზრით, ამ ოპერაში ძალიან ბევრი იყო... **რა?**

7. ალექსანდრე მაკედონელი ახალგაზრდობაში საკმაოდ კარგი მორბენალი იყო და მამამისმა შესთავაზა, გასულიყო ოლიმპიურ თამაშებზე. მსოფლიოს მომავალი დამპყრობი დათანხმდა, ოღონდ, ერთი პირობით. **დაასახელეთ ეს პირობა.**

8. ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი, ხანდახან, დაპყრობილ ქვეყნებთან კავშირი რომ განემტკიცებინა, მათ მმართველებთან ნათესაურ კავშირს ამყარებდა. ასე მოიქცა კარიის (სახელმწიფო დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე) დედოფალ ადასთან. **როგორ მოახერხა ალექსანდრემ ეს, თუკი ამჯერად მან ქორწინების თავიდან აცილება მოახერხა?**

9. იულიუს კეისარმა და მალიქ-შაჰმა სახელი ერთი და იმავე რაღაცით გაითქვეს, თუმცა, იულიუსმა ის თვითონ გააკეთა, მალიქ-შაჰმა კი – ომარ ხაიამთან ერთად. **დაასახელეთ რომის პაპი, რომელიც ამავე საქმით შევიდა ისტორიაში.**

10. ინგლისი, ორლეანი, ამსტერდამი... – ამერიკაში, შოტლანდია – კანადაში, გრენადა – კოლუმბიაში, ოდესა – ნიკოლაევსკის ოლქში... **რა აერთიანებთ მათ?**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* 1912 წლის მაისში შვედეთის დედაქალაქში ორთვიანი მივლინებით ჩავიდნენ რუსული არმიის ოფიცრები: პოლკოვნიკი ფონ შრედერი, შტაბ-როტმისტრი ფონ ეკსე, თავადი ჭავჭავაძე, შტაბს-კაპიტანი სელიხოვი, როტმისტრი ეკიმოვი, იზმაილოვსკის პოლკის პოდპორუჩიკი ფონ რუმელი. ამ ცნობილი სახეების დელეგაციას ხელმძღვანელობდა დიდი თავადი დმიტრი პავლოვიჩი. ისინი მეხუთე ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთის ნაკრების ოფიციალური სტატუსით იმყოფებოდნენ.

* ესკიმოსები ფეხსაცმელებს სელაპის ტყავისგან კერავენ. მაგრამ, რადგანაც ის ძალიან მაგარია და ნემსი არ ეყრება, ესკიმოსი ქალები ტყავს მანამდე ღეჭავენ, სანამ არ დარბილდება და ისე კერავენ. გაშრობის შემდეგ ტყავი ისევ მაგრდება.

* „ფლოტი" ესპანურად „არმადაა."

* ტოკიოდან სამხრეთით, 1 800 კილომეტრის მანძილზე, ოკეანის ზედაპირზე 70 მეტრ სიმაღლეზე ამოშვერილია ორი კლდე. ეს არის ზღვის ფრინველების კუნძული – ოკინატორი. 1988 წელს, იაპონიის მთავრობის ინიციატივით, ამ კუნძულისკენ დაიძრნენ ბეტონის მასიური ბლოკებით დატვირთული ხომალდები, ვერტმფრენები, ასობით ადამიანი – იაპონიას 200 მილი ტერიტორიული ზონა რომ არ დაეკარგა.

* ყველასთვის ცნობილია, რომ, ძველბერძნების აზრით, ღმერთების სამყოფელი ოლიმპოს მთა იყო. თუმცა, ცოტამ თუ იცის, რომ ღმერთებს საზაფხულო რეზიდენციაც ჰქონდათ – პელიონი.

* შუა საუკუნეების ევროპაში იყო თქმულება საიდუმლო ტომების შესახებ, რომელიც, თითქოსდა, ალექსანდრე მაკედონელმა აზიის განაპირას ჩაკეტა. ამასთან, ბევრს მიაჩნდა, რომ ადრე ისინი ჯოჯოხეთის მკვიდრი ტარტარები იყვნენ. სწორედ ამ სიტყვიდან წარმოშობილი სახელი დაარქვეს მეზობელმა ტომებმა ზოგიერთ ხალხს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მხc3-a4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




შიდსი ყველაზე ნაკლებად რუსეთსა და იაპონიას შეეხო: როგორც ამბობენ, ის მეოცე საუკუნის შავი ჭირია – რუსეთი მაშინ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში იყო, იაპონია კი – უკვე ოცდამეერთეში.

***

მოჭადრაკე ქალთან ერთად პარკში სეირნობდა. წინ ორი მამაკაცი გადაუდგა. მოჭადრაკემ გონებაში სასწრაფოდ გაიაზრა რამდენიმე სვლა და გადაწყვიტა... დედოფალი გაეწირა.

***

– არასდროს შეედავო უტვინო ადამიანს...
– მე თქვენ არც გედავებით.

***




– სერჟანტო, შენზე ამბობენ რომ ხშირად იგინები და უხამსი სიტყვებით მიმართავ ქვეშევრდომებს!
– ატრაკებენ, ბატონო პოლკოვნიკო, მაგათი...

***

ტიპი მივლინებაშია. სასტუმროში ნომრის აღება უნდა, მაგრამ ადმინისტრატორი ეუბნება, რომ ყველა საწოლი დაკავებულია... ერთი კია თავისუფალი, ოღონდ ორადგილიანია და მეორე საწოლი, უკვე ერთი თვეა, ასევე მივლინებით ჩამოსულ კაცს უჭირავს, თუმცა, ისე ხვრინავს, იქ ვერავინ იძინებს – ორ საათში ოთახიდან გამორბიან. ტიპი დათანხმდა, თუმცა სხვა გზაც არ აქვს...

დილით კი კარგი გამოძინებული გამოდის. გაოცებული ადმინისტრატორი ეკითხება:
– როგორ მოახერხე ისეთ ხვრინვაში დაძინება?
– მარტივად... შევედი ოთახში, ვხედავ იმ კაცს სძინავს და მართლა სასწაულად ხვრინავს. მივუახლოვდი, ლოყაზე ვაკოცე და ჩავჩურჩულე:
– გძინავს, გიჟო?! – მას გაეღვიძა და ამის შემდეგ თვალიც არ მოუხუჭავს..

***

– შეყვარებულს დავშორდი.
– რატომ?
– ვიჩხუბეთ... ვუთხარი, ძალიან მიყვარხარ, ლიკა, ჩემო სიცოცხლე-მეთქი...
– და მაგისთვის...
– მას ეკა ჰქვია.

***

– სანდრო, ორი მტაცებელი ცხოველი დამისახელე!
– ვეფხვი და... აუ, დამავიწყდა...
– ბექა, შენ დამისახელე სამი!
– ვეფხვი, ლომი და... აუ, ვერ ვიხსენებ...
– აბრაამ, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, ხუთი მტაცებელი დამისახელე!
– ორი ვეფხვი და სამი ლომი.

***

ტიპმა წითელზე გაიარა. გააჩერა სერჟანტმა.
– საბუთები.
– არ მაქვს.
– მართვის მოწმობა.
– არ მაქვს.
– ჩასუნთქვა!
– მთვრალი ვარ...
– ახლავე კაპიტანს მოვიყვან...
კაპიტანმა – საბუთები! ინებეთ. მართვის მოწმობა – ინებეთ. ჩასუნთქვა – კი ბატონო.
– სერჟანტმა კი მითხრა, რომ არც საბუთები აქვს, არც მართვის მოწმობა და თანაც მთვრალიაო...
– ეგ იმასაც იტყვის, რომ წითელზე გავიარე!

***

– სანდრო შენ და ლიზის რატომ გაქვთ ერთნაირი შეცდომები?
– მასწ, ჩვენ ხომ ერთი მასწავლებელი გვასწავლის.

***

მულტფილმ „შრეკის“ მორალი: მთავარი არაა, როგორ გამოიყურები, მთავარია, შენზე მახინჯი იპოვო.

***

– სტუდენტებო, დღეს წერითი დავალება უნდა შეასრულოთ.
– ბატონო ლექტორი, მე არ შემიძლია სექსუალურად გადაღლილი ვარ.
– არა უშავს, მეორე ხელით დაწერეთ.

***

ცოლ-ქმარი გზაზე მიდის და გაცხარებული ჩხუბობენ. უცბად ცოლმა ღობესთან ორი ღორი შეამჩნია.




– ენდე, შენი ნათესავებიც გამოჩნდნენ და იმათ ელაპარაკე...
– ხო, ეგენი ჩემი სიდედრ-სიმამრია, შენ უფრო კარგად გაუგებ...

***

გემრიელი კერძების მომზადება და მეუღლისთვის მისი მირთმევა, ქმრის თვალში ცოლს გაცილებით ლამაზს ხდის, მკერდის ზომასაც კი ზრდის... დასალევი კი ამ ყველაფერს აორმაგებს.

***

– ძმებო, ისეთი საყვარელი გავიჩინე....
– და ჩვენ რატომ გვიყვები?
– ისე, უბრალოდ, მინდოდა, ეს სიხარული თქვენთვისაც გამეზიარებინა...
– ხოდა, რაღას დგახარ, მიდი, მოიყვანე ის შენი სიხარული და გაგვიზიარე!

***

ეშმაკი მივიდა მოშესთან და ეუბნება:
– შენთან კონსტრუქციული წინადადება მაქვს – მომყიდე სული...




– მე უფრო სარფიან წინადადებას შემოგთავაზებ – არენდით აიღე.

***

სამშობიაროში ახალგაზრდა დედასთან ახალშობილი მიჰყავთ – შავკანიანი. დაიწყო ტირილი, მეც თეთრი ვარ, ქმარიც... როგორ ავუხსნი? არ გაგვიყვანს სამშობიაროდან...
– დამშვიდდით, ქმარს მე ავუხსნი, ნუ გეშინია...
და გამოცდილი ექიმი ეუბნება ახალბედა მამას:
– სანამ ბავშვს ნახავდეთ, მიპასუხეთ, რა სიხშირით გაქვთ სექსი?
– ყოველდღე.
– ო, ახალგაზრდავ, სიმართლე მითხარით...
– კვირაში ერთხელ...
– სიმართლე-მეთქი.
– თვეში ერთხელ...
– ხოდა, ნახეთ, თქვენი უსაქმურობით დაჟანგული იარაღით რა გამოგივიდათ.

***

ოთხი სახის ექიმი არსებობს.
1. თერაპევტები – არაფერი შეუძლიათ, თუმცა ყველაფერი იციან;
2. ქირურგები – არაფერი იციან, სამაგიეროდ, ყველაფერი შეუძლიათ;
3. ფსიქიატრები – არც არაფერი იციან და არც არაფერი შეუძლიათ;
4. პათანატომები – ყველაფერი იციან და ყველაფერი შეუძლიათ, თუმცა ადამიანები მათთან ძალიან გვიან ხვდებიან.

***

– სანდრო, როგორაა საქმეები?
– ნორმალურად.
– სკოლაში?
– ნორმალურად.
– სახლში, შენები როგორ არიან?
– ნორმალურად.
– მაგ სიტყვის მეტი არაფერი იცი?
– კი, მაგრამ მამამ მითხრა უფროსებთან „ტრაკულად“ არ თქვაო.

# მოქეიფე რაჭიკუნა და „გრუზავიკს“ გამოკიდებული გიჟურა მხეიძე

ქუთაისელ რაჟდენა ქაფიანიძეს სოფელი ჰქონდა ზემო რაჭაში. იმ ზაფხულს სიცხემ ძალიან რომ „გაახურა“, რაჟდენა ნამუსმა შეაწუხა, ჯიბეები მოიქექა და ცოლ-შვილი მშობლიურ რაჭაში გაუშვა „დასასვენებელ-გამოსაფხიზლებლად“.

გაუშვა და გაშალა კიდევაც ნაზამთრი ფრთები („მადლობაა ღმეერთს, ძლივს მაარტო დაავრჩიი...“ – წაუღიღინა).

ერთი კვირა ქეიფობდნენ ამფსონები, ერთი კვირა ისმოდა გაუთავებელი: „დოუკვირდი მაგასაო, ეგ გიყიდის კაბასაო“ და ასე შემდეგ.

კვირისთავზე ცოტა „პახმელიაზე“ გაიღვიძა.

მირიარებული სახლი... აყრილ-დაყრილი ლოგინები... ნოსტალგია ცოლ-შვილზე... – ცუდ დღეშია, რა!

მეორე დღესვე გატენა ჩანთა დასარეცხი შარვალ-საროჩკებით, აიკიდა ზურგზე და სოფელს მიაშურა („იქაა ჩემი სამშობლოო, ჩემი მიწა და კარია“). იქ კი, მოგეხსენებათ – აბა, ჩემთან გადმოდი! აბა, ახლა შენთან, ბოშოო! – ჩაუჭიჭინდნენ მეზობლები და კვლავ ატყდა ბუქნა-ბუქნა ცეკვები. კაი სამი დღე არც გამოფხიზლებულა და არც ცოლ-შვილისთვის მოუცლია. შაბათ-კვირას, ჩემო ბატონო, ორშაბათიც მიაყოლა, და დილით კი სამსახური და წარბებაძგიბული დომენტი უფროსი გაახსენდა და საქუთაისოდ განეწყო – უი, მაგვიანდებაო... ბუნებით რაჭველი იყო და „უი მაგვიანდებაო“ ძალიან გვიან წარმოთქვა – უკვე საკმაოდ დაგვიანებული იყო და ხანჯალნაკრავივით წამოხტა:

– ჩქარა, ქალო, თალიკუნა! მეჩქარება, ბოშო, ქუთაისში მივდივარ! – შეუძახა თანამეცხედრეს.

ცოლი, თალიკუნაც, რაჭველი იყო:

– ქვე ჯერ არ ჩამოსულხარ, შე კაცო, ბოვშებს არ მოსიყვარულებიხარ და, რო გეჩქარება, სა გეჩქარება ისტრიპიტელივით?

– რას ამბოფ, ბოშო შენ?! – გაბრაზდა რაჟიკო, – ამ კვირაში თუ არ ჩევედი ქუთაისში, იმ კვირაში ქვე მამხსნიან სამსახურიდან, უჰ!

რას იზამდა საწყალი თალიკუნა – გარეცხილ-გატკიცინებული ტანსაცმელი ჩაულაგა ჩანთაში პირისბანაში გართულ ქმარს და დაელოდა.

2 საათსა და 35 წუთში რაჟიკუნამ პირი დაიბანა; კიდევ ორ საათში „სასწრაფოდ“ გამოეწყო სამგზავროდ, 3 საათი შვილებისა და




მეზობლების გამომშვიდობებაში დახარჯა და, როგორც იქნა, გამოვიდა ჭიშკარში.

ძალიან რომ ეჩქარებოდა, ავტობუსს აღარ დაუცადა და ქუთაისისკენ მიმავალ მიტუშიას შეუხტა „გრუზავიკის“ ძარაზე, რადგან კაბინაში ადგილი არ იყო.

„გრუზავიკი“ ჯაყჯაყით, 40 კილომეტრ-საათი „გამანადგურებელი სიჩქარით“ დაეშვა დაღმართებში და უკან უზარმაზარი მტვრის ბოლქვები დააყენა (ისე „მხატვრულად“ ვწერ, ზოგიერთს ზღაპარი ეგონება).

ჯაყჯაყიდან რომ კარგა ნახევარი საათი გავიდა, უკან მოტოვებულ მტვრის კორიანტელში მოულოდნელად „სტროგად მწვანე“ „ჟიგული“ გამოჩნდა, „ჟიგულის“ მძღოლი საგანგაშოდ აპიპინებს – გაჩერდი, გაჩერდიო.

მიტუშამ „გრუზავიკის“ ტორმუზი მოძებნა და 40 კილომეტრ-საათი სიჩქარით მიმავალი სატრანსპორტო საშუალება ადგილზე გააქვავა.

„ჟიგულიც“ დამუხრუჭდა.

– რაჟიკოო!! – დაიხრიალა „ჟიგულის“ მძღოლმა, გიჟურა მხეიძემ.

– რა იყო, ბოშო? – შეშფოთდა „კუზაოზე“ მჯდომი.

– რო მიხვალ, სა მიხვალ, შე გამოჩერჩეტებულო, შენა?!

– ქვე რა მოხთა, შე კაცო, დათვი მოგდევს?

– დათვი კი არა, ჩანთა დაგრჩა, კაცო, ჩანთა, შენე!

– ჩანთა დამრჩენია?!

– ხო!

– არ წამამილია, ესე იგი?! – შეწუხდა რაჟიკო.

– აპა, რას გეუბნები, კაცო?! რავა გამოშტერდი შენ ამ ბოლო ხანებში! სულ გამოგაჩერჩეტა მაგ ლოთობამ, უჰ!

– აპა?! – დაიმორცხვა რაჟიკომ, – სულ გამოვჩერჩეტდი ამ ბოლო დროს, რო იცოდე... მეც ქე ვიფიქრე, აქ რო არ არი, ნამდვილად დამრჩა-თქვა. მამეცი, მამეცი, შენ აგაშენა ღმერთმა, – გადმოყო ხელი ძარადან.

– რა მოგცე, შე კაცო?!

– ჩემი ჩანთა.

– სად მაქ მე შენი ჩანთა, სულ გადეირიე ამ ბოლო დროს, კაცო, შენ?!

– აპა, დაგრჩაო? – სამართლიანად გაიოცა რაჟიკომ.

– კაცო... გადამრევ მე შენ! – ჩანთა დარჩაო, შენმა ცოლმა მითხრა, თალიკუნამ და გამოგეკიდე. კიდო კაი, დაგეწიე... დაგრჩა, დაგრჩა... უჰ!

– მერედა, წამოგელო, შე კაცო, ი ჩანთა...

– ბიჯოს! – სულ გადაირია გიჟურა, „ჟიგულის“ მძღოლი, – ჩანთა რო წამამელო, ბოშო, სანამდი იმას ბაგაჟნიკში ჩავდებდი, შენ ქე ჩამასწრებდი ქუთაისში და... ვიჩქარე... ვიჩქარე, კიდო კაი!.. ჩამიჯექი ახლა, მაინც უკან ვბრუნდები... ჭიშკარზე კიდია ი ჩანთა!..

... და, განახლდა ლხინი რაჭაში... ჩანთა – ჩანთთაა, რაჭა – რაჭააა!

გოუმარჯოს, ბოშო, რაჭველებს!!!

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ „ააწყო“ ჩინელმა ბიჭმა ვაგზლის ბაზრობაზე ბიზნესი

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად. ჩემი ბიზნესის გაფართოებას ვაპირებ და ცოტას მოგიყვები იმ ადგილზე, სადაც ამ საქმეს ვგეგმავ. ვაგზლის ბაზრობა ერთი დიდი ტერიტორიაა, რომელიც ცალკე ქალაქი გეგონება. აქ მთელი დღე ისმის მყიდველებისა და გამყიდველების ყაყანი, წყევლა, გინება, ხშირად – ხელჩართული ჩხუბიც. დიდი გმირობა გმართებს, რომ შენი სამუშაო ადგილი არ დაკარგო, თორემ, შეიძლება, ერთ დილას შენს ადგილას შავებში ჩაცმული მსუქანი ქალი დაგხვდეს ყველის ვედროებით და წელზე შემორტყმული დიდი საფულით. ასევე, დიდი მოთმინება უნდა გამოიჩინო კლიენტებთან ურთიერთობის დროს. რატომღაც, ყველა დარწმუნებულია, რომ, თუ არაქართული გარეგნობა გაქვს, ქართულად ლაპარაკიც არ იცი და მყიდველები როლებს ღირსეულად ინაწილებენ - კაცები გაგინებენ, ქალები კი გწყევლიან. მაგალითად, მოვა ვიღაც გახვითქული ქალი და გკითხავს: „რა ღირს თქვენი ძირგამომპალი კედები, თქვე ამოსაწყვეტლებო?“ – მე ვუხსნი, რომ კედები ახლებია და წინასწარ ოდნავ ძვირს ვეუბნები, რომ მერე ცოტა დავუკლო. ყიდვისას კიდევ ერთს დაიწყევლებიან ხოლმე და ორივე კმაყოფილი ვრჩებით. ასევე, ძალიან სიფრთხილეა საჭირო, რომ არაფერი მოგპარონ. გუნდ-გუნდად დადიან ბოშა ბავშვები, რომლებსაც ქართველები




„ციგნებს“ ეძახიან. ისინი სულ ცდილობენ, რამე აგაცალონ. ბაზარში რაც ქართველებისთვის გაქვს ფასი დადებული, უცხოელებს იმაზე სამჯერ მეტს ახდევინებ – ეს აქაურებმა მასწავლეს: მაგათ ფულის მეტი რა აქვთო; მაგრამ, უცხოელები იშვიათად ჩნდებიან ბაზრობაზე.

აქ, ძირითადად, გაჭირვებული და საშუალო შეძლების ხალხი დადის, ზოგჯერ – მდიდრებიც, მაგრამ, ისინი სახეზე ხელაფარებულები დადიან, რომ არავინ იცნოს. ბაზრობის შუაგულში სავაჭრო ცენტრია გახსნილი, სადაც შედარებით სისუფთავეა. მაღაზიების მეპატრონეები ხშირად ჩემთან ყიდულობენ ჩინურ ტანსაცმელს და მერე, ჩემგან ას მეტრში, სამმაგ ფასად ყიდიან, ხალხსაც ჰგონია, რომ, თუ მაღაზიაში იყიდის, უფრო ხარისხიანი იქნება ყველაფერი. ბაზრობაზე ყველანაირი საჭმელი იყიდება – დახლებზეც და საცხობებშიც. დახლებზე სოფლის პროდუქტებია და, შეგიძლია, უშიშრად მიირთვა, საცხობებში კი, ერთი კარგი ჭამა ნიშნავს, რომ საღამოს სასწრაფოს გამოძახება დაგჭირდება გადასხმებისთვის.

ბაზრობაზე შეგიძლია, ნებისმიერი ცნობილი ბრენდის ტანსაცმელი შეიძინო, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩინეთში იკერება, სწორედ ეს ბიზნესი მინდა დავამატო და აუცილებლად მოიმატებს შემოსავალი. სექტემბრისთვის, სანამ სწავლა დაიწყება დიდი და პატარა ახალ ტანსაცმელს ყიდულობს და, ამიტომ, ჩემი შემოსავალი საკმაოდ გაიზარდა.

ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა, მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტონი ვონგი**



გვ. 19

რატომ დაინტერესდა ცნობილი კომპანია „შილერი“ ქართველი მესაყვირით და რის გამო გახდა პაატა ბერიძე მათი სახე



რატომ არ ჩამოდის გოჩა ჩერტკოევი საქართველოში ცოლთან ერთად და რის მიყიდვას სთხოვენ მას ამერიკელები

გვ. 74



საად დადის გვანცა დარასელია „ტვინის გასანიავებლად“ და რატომ არ არის ის „რქებით მიმწოლი“

გვ. 22


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო ... ხში

# თბილისე ... ი®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №38 (664) * 16-22 სექტემბერი * ფასი 1,50 ლარი